

# **გ რ ე ბ უ ლ ში**

## **დ ა ვ ა ბ ი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო  
პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის  
მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა  
შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-  
გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2016, №9

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2016, №9

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2016, №9

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2016, №9

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი ქათევან პარევალია

ტექნიკური რედაქტორი მარია მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

შურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# 1. დამატებითი ანაზღაურებადი შვეპულების მიცემის წესი

## განჩინება

№ას-333-318-2015

27 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
8. ალავიძე

**დავის საგანი:** შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორის 29.01.2014წ-ს №27  
ბრძანების ბათილად ცნობა; 11.11.2013წ-ის №... ბრძანების ბა-  
თილად ცნობა, მძიმე, მავნე ან საშიშროებიან სამუშაოზე მო-  
მუშავე დასაქმებულისათვის დამატებითი ანაზღაურებადი შვე-  
ბულების მიცემა წელიწადში 10 კალენდარული დღით; დასაქ-  
მებულისათვის უქმე დღეებში ნამუშევარი საათების ანაზღაუ-  
რების დავალება; 2013-14წ-ის განმავლობაში ცვლიანობის გრა-  
ფიკით მომუშავე პერსონალისათვის დაკლებული საათობრივი  
ტარიფის ნახევრის ანაზღაურების დავალება და კანონით გათ-  
ვალისწინებული დაყოვნებული თანხის 0,07 პროცენტის დაკა-  
რება; პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის შექ-  
მნა და №... ბრძანებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

### აღნერილობითი ნაწილი:

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწ-  
ველობის მუშაკთა პროფესიული კავშირისა და იმერეთის მეტა-  
ლურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავ-  
შირის სახელით სარჩელი აღიძრა ზესტაფონის რაიონულ სასა-  
მართლოში მოპასუხე შპს „ჯ. მ-ის“ მიმართ, რომლითაც მოსარ-  
ჩელებმა მოითხოვეს:

1.1. შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორის 29.01.2014წ-ის №... ბრძანე-  
ბის ბათილად ცნობა;

1.2. მძიმე, მავნე ან საშიშროებიან სამუშაოზე მომუშავე და-  
საქმებულისათვის დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების  
მიცემა წელიწადში 10 კალენდარული დღით;

1.3. დასაქმებულისათვის უქმე დღეებში ნამუშევარი საათე-  
ბის ანაზღაურება, 2013-14წ-ის განმავლობაში ცვლიანობის  
გრაფიკით მომუშავე პერსონალისათვის დაკლებული საათობ-

რივი ტარიფის ნახევრის ანაზღაურება და დაყოვნებული თანხის კანონით გათვალისწინებული 0,07%-ის ანაზღაურება;

1.4.პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნა და 31.05.2013წ-ის №... ბრძანებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;

1.5. შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორის 11.11.2013წ-ის №... ბრძანების ბათილად ცნობა.

მოპასუხებმ სარჩელი არ ცნო და თავდაპირველ სარჩელთან ერთად განსახილველად წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოთხოვა, საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირს, იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირსა და შპს „ჯ. მ-ს“ შორის გაფორმებული კოლექტიური ხელშეკრულების 7.3 პუნქტის ბათილად ცნობა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს მეტალურგიული სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირისა და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ბათილად იქნა ცნობილი 2014 წლის 29 იანვრის №27 ბრძანების 1-ლი, მე-2 და მე-9 პუნქტები. შპს „ჯ. მ-ს“ დაევალა პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნა 2013 წლის 31 მაისის №.. ბრძანებაში გაცემული წესების შესაბამისად. ბათილად იქნა ცნობილი 2013 წლის 11 ნოემბრის №.. ბრძანება. სხვა ნაწილში მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

შპს „ჯ. მ-ის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ორივე მხარის მიერ. შპს „ჯ. მ-მ“ მოთხოვა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და გაუქმებულ ნაწილში ახალი გადაწყვეტილების მიღებით, თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა მოთხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილება მძიმე, მავნე ან საშიშირებების სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულისათვის დამატებით ანაზღაურებადი შვებულების – წელინადში 10 კალენდარული დღით მიცემის, უქმე დღეებში ნამუშევარი საათების

1,5 ოდენობით ანაზღაურების, 2013-14ნწ-ში ცვლიანობის გრაფიკით მომუშავე პერსონალისათვის დაკლებული საათობრივი ტარიფის ნახევრის ანაზღაურებისა და კანონით გათვალისწინებული დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრების ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით:

საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირის იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

1. შპს „ჯ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

2. გაუქმდა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირისა და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

4. გაუქმდა შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორის 2013 წლის 11 ნოემბრის №... ბრძანება „შვებულების დღეების გაანგარიშების წესის შესახებ“.

5. შპს „ჯ. მ-ში“ მავნე, მძიმე ან საშიშ პირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულებს მიეცა დამატებით ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 10 კალენდარული დღის ოდენობით;

7. საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირის იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირის სარჩელი შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორის 2014 წლის 29 იანვრის №... ბრძანების ბათილად ცნობის მოთხოვნით, დასაქმებული პერსონალისათვის უქმედ დღეებში ნამუშევარი საათების ერთნახევარი ოდენობის ანაზღაურებისა და ამ თანხის დაყოვნებისათვის 0.07%-ის ანაზღაურების მოთხოვნით – არ დაკმაყოფილდა;

8. არ დამაყოფილდა საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირის იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირის სარჩელი პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ;

9. შპს „ჯ. მ-ის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 31.05.2013წ-ს ერთი მხრივ, შპს „ჯ. მ-ს“ და მეორე მხრივ, საქართველოს მეტალურგიულ, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირს და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირს შორის გაფორმდა კოლექტიური ხელშეკრულება.

დადგენილია, რომ 29.01.2014წ-ის შპს „ჯ. მ-ს“ დირექტორ ვ. ლ-ს №... ბრძანებაში გაკეთებულია გარკვეული დათქმები იმის შესახებ, თუ როდის და რა შემთხვევაშია შესაძლებელი მიცეს დასაქმებულს ანაზღაურების გარეშე შვებულება.

დადგენილია, რომ 31.05.2013წ-ს შპს „ჯ. მ-ს“ დირექტორმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დასაქმებულთა სანარმოო მაჩვენებლების შესრულების მიმართულებით მატერიალური დაინტერესების გაზრდისა და სტიმულირების მიზნით გამოსცა ბრძანება №..., რომლითაც დამტკიცდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დასაქმებულთა პრემირების დებულება თანდართული სახით. სხვა საკითხებთან ერთად ამ დებულებით განისაზღვრა საპრემიო სისტემისა და პრემიის გაანგარიშების პრინციპი, სპეციალური შემსწავლელი კომისიის შექმნის პირობები და წესები.

დადგენილია, რომ კოლექტიური ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა სანარმოო სტრუქტურული ერთეულების დასაქმებულთათვის განისაზღვრა 30 სამუშაო დღის ოდენობით.

დადგენილია, რომ შპს „ჯ. მ-ს“ დირექტორის 11.11.2013წ-ის №389 ბრძანებით შპს „ჯ. მ-ში“ შემავალ სტრუქტურებში მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოზე დასაქმებულთათვის დადგინდა ყოველწლიური კუთვნილი შვებულების შემდეგი ოდენობა 24 სამუშაო დღე + 10 კალენდარული დღე.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნა ზემოთ აღნიშნული ბრძანების ბათილობის მოთხოვნით დასაბუთებული იყო, რადგან საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი ანესრიგებდა საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, ხოლო კანონის V თავით კი, რეგულირებული იყო უშუალოდ შვებულებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, სახელდობრ, კანონის 21-ე მუხლის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში სულ მცირე 24 სამუშაო დღით (12.06.2013წ-ის რედაქცია). 21-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შრომითი ხელშეკრულებით შეიძლება გა-

ნისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუარესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას.

31.05.2013წ-ის კოლექტიური ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, ყოველწლიური ანაზღაურებადი შევებულების ხანგრძლივობა სტრუქტურული ერთეულების დასაქმებულთათვის განსაზღვრული იყო 30 სამუშაო დღის ოდენობით, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბრძანებით დადგენილმა საშვებულებო დღეების ოდენობამ გააუარესა დასაქმებულთა მდგომარეობა, რაც ენინააღმდეგებოდა შრომის კოდექსის დებულებებს და ამდენად, ნარმოადგენდა 11.11.2013წ-ის №... ბრძანების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს.

მართლზომიერად იქნა მიჩნეული თავდაპირველი სარჩელის ის მოთხოვნაც, რომელიც შეეხებოდა მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე დასაქმებულთათვის დამატებით წელიწადში 10 კალენდარული დღით ანაზღაურებადი შევებულების მოთხოვნას. ამ თვალსაზრისით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შრომის კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლზე, რომლის თანახმად, „მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულს ეძლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 10 კალენდარული დღე.“

უდავო გარემოებად იქნა მიჩნეული, რომ შპს „ჯ. მ-ში“ დასაქმებულები მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოს ენიოდნენ. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გასაჩივრებული ბრძანების გამოცემით ადმინისტრაციამ დაარღვია როგორც შრომის კოდექსი, ასევე კოლექტიური ხელშეკრულების ზოგადი დებულებები, რომლის 1.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მონაბირე არც ერთ მხარეს არ შეუძლია ცალმხრივი წესით შეწყვიტოს კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

ცხადია მხარეთა შორის შედგენილი კოლექტიური ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა და მხარეთა ვალდებულება იყო ცალმხრივად არ შეეწყვიტათ ურთიერთმიმართ ნაკისრი ვალდებულებები. რომელთაგან უპირველესი და არსებითი სწორედ 30 სამუშაო დღიან ანაზღაურებად შვებულებაზე შეთანხმება იყო.

შრომის კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით.

გასაჩივრებული 11.11.2013წ-ის №... ბრძანებით დაირღვა

მხარეთა შეთანხმება ანაზღაურებადი შვებულების 30 დღიანი სამუშაო დღით განსაზღვრის თაობაზე და დაწესდა ახალი რეგულაცია მხარესთან შეთანხმების გარეშე, რაც კანონშეუსაბამოა, ენინააღმდეგებოდა, როგორც შრომის კოდექსის, ისე კოლექტურ ხელშეკრულებას და რაც საბოლოო ჯამში, ამ ბრძანების ბათილობის საფუძველი იყო

რაც შეეხება 29.01.2014წ-ის №... ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნას, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ამ ბრძანებით „საპატიო მიზეზის გამო დასაქმებულს პირადი განცხადების საფუძველზე და უშუალო ხელმძღვანელის ნებართვით შეიძლება მიეცეს მოკლევადიანი უხელფასო შვებულება ნელინადში არაუმეტეს 15 კალენდარული დღით“. მითითებულ ბრძანებაში ასევე გაკეთებულია გარკვეული დათქმები ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებულ შრომის კოდექსით: 10 დღით ადრე დამსაქმებლის გაფრთხილება, განცხადების ვიზირება სტურუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის მიერ, არყოფნის მიზეზის მითითება და ა.შ.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ბრძანება არ ენინააღმდეგებოდა ანაზღაურების გარეშე შვებულებასთან დაკავშირებულ შრომის კოდექსით დადგენილ რეგულაციებს, სახელდობრ, შრომის კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით ნელინადში სულ მცირე 15 კალენდარული დღით. ეს საკითხი საშვებულებო დღეების ოდენობასთან დაკავშირებით (15 კალენდარული დღე) იგივენაირად იყო მოწესრიგებული გასაჩივრებულ ბრძანებაში, რომლის თანახმად, დასაქმებულებს შეუძლიათ ისარგებლონ 15 კალენდარული დღის ოდენობით არაანაზღაურებადი შვებულებით.

შრომის კანონთა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, „ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია ორი კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ...“

გასაჩივრებული ბრძანების მე-4 პუნქტით „ანაზღაურების გარეშე შვებულების მოთხოვნისას დასაქმებული ვალდებულია 10 სამუშაო დღით ადრე ნერილობით გააფრთხილოს დამსაქმებელი“.

რაც შეეხება ბრძანებაში გაკეთებულ დათქმებს იმის თაობაზე, რომ: შევებულების მსურველებმა უნდა მიუთითონ არ ყოფნის მიზეზებზე; რომ ეს განცხადება ვიზირებული უნდა იყოს შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის ხელმძღვანელის მიერ;

და რომ დასაქმებულს ანაზღაურების გარეშე შვებულების მოთხოვნის უფლება წარმოეშვება მხოლოდ კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების სრული გამოყენების შემდეგ, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ წარმოადგენდა უკანონო მოთხოვნებს ადმინისტრაციის მხრიდან, რადგან საწარმო არის დამოუკიდებელი, ცოცხალი ორგანიზმი და სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე (საწარმოს უწყვეტობის ციკლი და ა.შ.) საწარმოს აქვს უფლება დაანგესოს სხვადასხვა რეგულაციები ამათუ იმ საკითის მოსაწესრიგებლად, მათ შორის, ანაზღაურების გარეშე შვებულების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით აღნიშნა, რომ რიგ შემთხვევებში, შრომის კოდექსი დამსაქმებელს აძლევდა უფლებას დაედგინა დასაქმებულთათვის წლის განმავლობაში ანაზღაურებად შვებულებათა მიცემის რიგითობა (22-ე მუხლის მე-5 ნაწილი) და თუ კანონმდებლი ამგვარი რეგულაციის დაწესებას შესაძლებლად მიიჩნევდა (ანუ, რიგითობას შვებულების მიცემის დროს) ანაზღაურებადი შვებულების მიცემის განსაზღვრისას, სასამართლოს აზრით სრულად ლოგიკური და კანონშესაბამისი იყო საწარმოს მიერ გარკვეულ დათქმათა დაწესება ანაზღაურების გარეშე შვებულების გამოყენებასთან დაკავშირებით.

მით უფრო, გასაჩივრებული ბრძანების მე-6 პუნქტში ერთმნიშვნელოვნად იყო მითითებული, რომ მხოლოდ საწარმოს ინტერესებიდან ან ისეთი გარემოებებიდან გამომდინარე, როცა დასაქმებულის არყოფნამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს, საფრთხე შეუქმნას ადამიანის ჯანმრთელობას, შეიძლება მას უარი ეთქვას ანაზღაურების გარეშე შვებულებით სარგებლობაზე, ამასთან დამსაქმებელი ვალდებულიცაა დასაქმებულს აცნობოს უარის თქმის არგუმენტირებული მოსაზრებებით.

თუმცა მოპასუხის განმარტებით, საწარმოში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომელმე დასაქმებულისთვის უარი ეთქვათ ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემაზე, რაც სადაცოდ არ გაუხდია მოსარჩელეს.

ამდენად, საქმის განმხილველმა სასამართლომ მიიჩნია, რომ 29.01.2014-ის №... ბრძანების ბათილად ცნობის შესახებ თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლო იყო, რაც წარმოადგენდა მის დაქმაყოფილებაზე უარის თქმის კანონისმიერ საფუძველს.

უქმე დღეებში ნამუშევარი საათების ერთნახევარი ოდენობისა და დაყოვნებული ასანაზღაურებელი თანხის 0,07%-ის და-

კისრების თაობაზე თავდაპირველ სარჩელთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შრომის კოდექსის მე-20 მუხლზე, რომელშიც ჩამოთვლილია უქმე დღეები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით უქმე დღეებში დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება მიიჩნევა ზეგანაკვეთურ სამუშაოდ და მისი ანაზღაურების პირობები განისაზღვრებოდა ამავე კანონის მე-17 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით დადგენილი წესით. კერძოდ, მე-17 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით. ამ ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად კი, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სანაცვლოდ დასაქმებულისათვის დამატებითი დასვენების დროის მიცემაზე.

დადგენილია, რომ მხარეთა შეთანხმებაში ანუ, კოლექტიური ხელშეკრულების 8.4.1 პუნქტში დამსაქმებელი იღებს ვალდებულებას ზეგანაკვეთურ საათებში მუშაობა აანაზღაუროს საათობრივი ტარიფის ერთნახევარი ოდენობით. პალატამ მიიჩნია, რომ ანაზღაურების პრინციპი, რაზედაც მხარეები შეთანხმდნენ შესაბამისობაში იყო კანონთან.

რაც შეეხება მოსარჩელეთა მოთხოვნას 2013-14წწ-ში მიუღებელი თანხის გადახდის, ასევე, მისი დაყოვნებისათვის 0,07%-ის გადახდის თაობაზე, სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდებოდა თუ ვის, და რა ოდენობით მიადგა ზიანი და რა თანხა ეკუთვნოდა უქმე დღეებში მუშაობისათვის. ხოლო სასარჩელო მოთხოვნა არ შეიძლება ყოფილიყო ზოგადი, აბსტრაქტულად პირთა წრეზე გათვლილი, მოთხოვნა უნდა ყოფილიყო კონკრეტული, რადგანაც მხოლოდ ამგვარად დაყვენებული სარჩელის საფუძვლიანობაზე შეიძლებოდა ემსჯელა სასამართლოს.

პალატამ ასევე დაუსაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ და აღნიშნა, რომ მართალია შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორის 31.05.2013წ-ის №182 პრძანების საფუძველზე შექმნილ დასაქმებულთა პრემირების დებულების 2.8 პუნქტი ითვალისწინებდა სანარმოო გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, სპეციალური კომისიის შექმნას, მაგრამ პალატამ მიუთითა, რომ სრულიად დაუსაბუთებელი იყო მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ სანარმოო გეგმის შეუსრულებლობას ჰქონდა ადგილი და ეს გარემოება გამოწვეული იყო სანარმოს პრალეული ქმედებით. პალატამ მიიჩნია, რომ სანარმოს გეგმის შეს-

რულება უპირველესად სწორედ სანარმოს მიზანი იყო და ამგვარი კომისიის შექმნის მოთხოვნა სანარმოს დამოუკიდებლობაში ჩარევას ნიშნავდა.

გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, საქართველოს მეტალურგიული სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაქთა პროფესიული კავშირისა და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-7 და მე-8 პუნქტების გაუქმება და ამ ნაწილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. კასატორი სადავოდ ხდის ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის ნინაპირობების განსაზღვრის მართლზომიერებას და მიაჩნია, რომ მისი გამოყენება არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე საპატიო მიზეზებზე და დამსაქმებლის ნებაზე, არამედ სშე-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაზილი დასაქმებულს უფლებას აძლევს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით, სულ მცირე, წელიწადში 15 კალენდარული დღით და ამასთან, რაიმე წინაპირობებს ამისათვის არ აწესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორებს მიაჩნიათ, რომ 29.01.2014წ-ის №... ბრძანების პირველი პუნქტი უკანონოა და უნდა გაუქმდეს. კასატორი ასევე სადავოდ ხდის სპეციალური კომისიის შექმნის საკითხს და აღნიშნავს, რომ სანარმომ ვალდებულება აიღო მის შექმნაზე, ხოლო საქმის განმიღელმა სასამართლომ კი, ერთმანეთისაგან ვერ გამიჯნა სანარმოს ვალდებულება და მის საქმიანობის დამოუკიდებლობაში ჩარევა.

შპს „ჯ. მ-ის“ საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას ემყარება, რომ 31.05.2013წ-ის კოლექტიური შრომის ხელშეკრულება უფრო ადრეა გაფორმებული, ვიდრე სშე-ის 26<sup>1</sup>-ე მუხლი, რომლის თანახმად, „მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულს ექლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება წელიწადში 10 კალენდარული დღე“. კასატორის მოსაზრებით, სანარმო ორიენტირებულია მოგების მიღებაზე და ამდენად, დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მიცემა დაკავშირებულია სანარმოს დამატებით ხარჯებთან.

კასატორი არ ეთანხმება საქმის განმხილველი სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ სადავო 11.11.2013წ-ის №... ბრძანება პრაქტიკულად აუარესებს დასაქმებულის სამართლებრივ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ საქმე შეეხება კანონის იმგვარ რეგულაციას, რომელიც მხარეთა შორის კოლექ-

ტიური შრომის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის არ არსებობდა, ხოლო საწარმომ ამ ცვლილების შემოღებამდე გამოიჩინა კეთილი წება და დასაქმებულებს, რომლებიც საწარმოში ასრულებდნენ მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოს დამატებით მისცა 6 დღე ანაზღაურებადი შვებულება (ვრცლად იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები).

კასატორის მოსაზრებით, საქმის განმხილველმა სასამართლომ ასევე არ იმსჯელა შეგებებული სარჩელის მოთხოვნაზე, რომელიც შეეხებოდა კოლექტიური შრომის ხელშეკრულების 7.3 პუნქტის ბათილობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით საქართველოს მეტალურგიული სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის, იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირისა და შპს „ჯ. მ-ის“ საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– 31.05.2013წ-ს ერთა მხრივ, შპს „ჯ. მ-ს“ და მეორე მხრივ, საქართველოს მეტალურგიულ, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირს და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირს შორის გაფორმდა კოლექტიური ხელშეკრულება.

– 29.01.2014წ-ის შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორ ვ. ლ-ს №... ბრძანებაში გაკეთებულია გარკვეული დათქმები იმის შესახებ, თუ როდის და რა შემთხვევაშია შესაძლებელი მიეცეს დასაქმებულს ანაზღაურების გარეშე შვებულება.

– 31.05.2013წ-ს შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორმა ზესტაფონის ფერმენადნობთა ქარხანაში დასაქმებულთა საწარმოო მაჩვენებლების შესრულების მიმართულებით მატერიალური დაინტერესების გაზრდისა და სტიმულირების მიზნით გამოსცა ბრძანება

№..., რომლითაც დამტკიცდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში დასაქმებულთა პრემირების დებულება თანდართული სახით. სხვა საკითხებთან ერთად ამ დებულებით განისაზღვრა საპრემიო სისტემისა და პრემიის გაანგარიშების პრინციპი, სპეციალური შემსწავლელი კომისიის შექმნის პირობები და წესები.

– კოლექტიური ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა სანარმოო სტრუქტურული ერთეულების დასაქმებულთათვის განისაზღვრა 30 სამუშაო დღის ოდენობით.

– შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორის 11.11.2013წ-ის №... ბრძანებით შპს „ჯ. მ-ში“ შემავალ სტრუქტურებში მძიმე, მავნე და საშიშ-პირობებიან სამუშაოზე დასაქმებულთათვის დადგინდა ყოველწლიური კუთვნილი შვებულების შემდეგი ოდენობა 24 სამუშაო დღე + 10 კალენდარული დღე.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქმიური მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირისა და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშავთა პროფესიული კავშირის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას წარმოადგენს 29.01.2014წ-ის №... ბრძანების ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ მოცემული ბრძანება აწესებს ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის დამატებით პირობებს, რაც კასატორის მოსაზრებით, კანონშეუსაბამოა.

კასატორის ზემოაღნიშნულ პოზიციას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის თანახმად, შრომითი უფლებების დაცვა განისაზღვრება ორგანული კანონით – საქართველოს შრომის კოდექსით. საქართველოს შრომის კოდექსი აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით (საქართველოს შრომის კოდექსის 1.1 მუხლი); შრომის ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით (სშკ-ის 1.2 მუხლი). ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, სადაც ანაზღაურების გარეშე შვებულების მიცემის წინაპირობების კანონშესაბამისობა, საკასაციო პალატა მიუთითებს შრომის კოდექსის 21-ე მუხლზე, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს ანაზღაურების გარეშე შვებულებით წელიწადში სულ მცირე, 15 კალენდარუ-

ლი დღით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადაც ბრძანების პირველი პუნქტიც ანალოგიურად ადგენს საშვებულებო დღეების რაოდენობას, ხოლო რაც შეეხება „წინასწარი ვიზურების აუცილებლობას“, „შვებულების მოთხოვნის უფლების მხოლოდ კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების სრული გამოყენების შემდეგ წარმოშობას“ და „საპატიო მიზეზის არსებობას“, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არც მითითებული დათქმები წარმოადგენს კანონშეუსაბამო დებულებებს, გამომდინარე იქიდან, რომ შრომის კოდექსის 23-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დამსაქმებლის წინასწარი გაფრთხილების ვალდებულებას, ადგენს ქცევის ნესს, რომლის თანახმად, ანაზღაურების გარეშე შვებულების აღებისას დასაქმებული ვალდებულია 2 კვირით ადრე გააფრთხილოს დამსაქმებელი შვებულების აღების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაფრთხილება შეუძლებელია გადაუდებელი სამედიცინო ან ოჯახური პირობების გამო. რაც შეეხება „შვებულების მოთხოვნის უფლების მხოლოდ კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულების სრული გამოყენების შემდეგ წარმოშობასა“ და „საპატიო მიზეზის“ არსებობას, აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა იზიარებს საქმის განმხილველი სასამართლოს მითითებას იმის თაობაზე, რომ ვინაიდან საწარმო არის დამოუკიდებელი, ცოცხალი ორგანიზმი და სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე (საწარმოს უწყვეტობის ციკლი და ა.შ.). საწარმოს აქვთ უფლება დააწესოს სხვადასხვა რეგულაციები ამა თუ იმ საკითხის მოსანესრიგებლად, მათ შორის, ანაზღაურების გარეშე შვებულების გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ 29.01.2014წ-ის №27 ბრძანება არ ეწინააღმდეგება ანაზღაურების გარეშე შვებულებასთან დაკავშირებულ შრომის კოდექსით დადგენილ რეგულაციებს.

საკასაციო პალატას ასევე უსაფუძვლოდ მიაჩნია პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის თაობაზე კასატორის მოთხოვნა და აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი კომისიის შექმნის შესახებ გაკეთდა ჩანაწერი შპს „ჯ.მ-ის“ დირექტორის 31.05.2013წ-ის №.... ბრძანებით დამტკიცებულ „ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დასაქმებულთა პრემირების დებულებაში“, ამგვარი კომისიის შექმნის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს უშუალოდ ორგანიზაციის უფლებამოსილების სფეროს. კერძოდ, დებულების 2.8 პუნქტით დადგენილია კომისიის შექმნის შესაძლებლობა საწარმოო გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში, ხოლო საკითხი იმის შესა-

ხებ საჭიროა თუ არა ამგვარი კომისიის შექმნა და სახეზე არის თუ არა საწარმოო გეგმის შეუსრულებლობა, რაც ამ დებულების მიხედვით კომისიის შექმნის წინაპირობად არის მიჩნეული, უნდა გადაწყვიტოს საწარმოს ადმინისტრაციამ. შესაბამისად, ამ საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს უშუალოდ საწარმოს და არა სასამართლოს კომპეტენციას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა უქმე დღეებში ნამუშევარი სა-ათების გაზრდილი ოდენობით ანაზღაურება და დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრება (იხ., თავდაპირველი სარჩელი, წინ-მსწრები გადაწყვეტილებები). წარმოადგენილი საკასაციო საჩივ-რით კი, მართალია კასატორები მოითხოვენ გასაჩივრებული გა-დაწყვეტილების გაუქმებას თავდაპირველი სარჩელის დაკმა-ყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში, ახალი გა-დაწყვეტილების მიღებით თავდაპირველი სარჩელის დაკმაყო-ფილებას, თუმცა უქმე დღეებში ნამუშევარი საათების გაზრდი-ლი ოდენობით ანაზღაურებისა და დაყოვნებული თანხის 0,07%-ის დაკისრების ნაწილში, საკასაციო საჩივარი კასაციის საფუძ-ვლებზე (კასაციის მიზეზებზე) რაიმე მითითებას არ შეიცავს და ამდენად, ამ ნაწილში, მოთხოვნის მართლზომიერებას საკა-საციო პალატა ვერ შეამონებს.

რაც შეეხება შპს „ჯ. მ-ის“ საკასაციო საჩივრის პრეტენზიას შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორის 11.11.2013წ-ის №.... ბრძანების გა-უქმებისა და შპს „ჯ. მ-ში“ მავნე, მძიმე ან საშიშ პირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულებისათვის დამატებით ანაზ-ღაურებადი შვებულების წელიწადში 10 კალენდარული დღის ოდენობით მიცემის მართლზომიერებასთან დაკავშირებით, სა-კასაციო პალატა მიუთითებს შპს „ჯ. მ-ის“ დირექტორის 11.11.2013წ-ის №... ბრძანებაზე, რომლითაც დადგენილ იქნა შვებულების დღეების გაანგარიშების წესები, კერძოდ, 3.1 პუნ-ქტით შპს „ჯ. მ-ში“ შემავალ სტრუქტურებში მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოზე დასაქმებულთათვის დადგინდა ყოველწლიური კუთვნილი შვებულების შემდეგი ოდენობა 24 სამუშაო დღე + 10 კალენდარული დღე. შრომის კოდექსის 21-ე მუხლით კი, განისაზღვრა დასაქმებულის უფლება ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით წელიწადში სულ მცირე 24 სამუ-შაო დღით (12.06.2013წ-ისათვის მოქმედი რედაქცია). 21-ე მუხ-ლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, შრომითი ხელშეკრულებით შე-იძლება განისაზღვროს ამ მუხლით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ვადები და პირობები, რომლებიც არ უნდა აუ-რესებდეს დასაქმებულის მდგომარეობას. 31.05.2013წ-ის კო-

ლექტიური ხელშეკრულების 7.3 პუნქტის თანახმად, ყოველ-ნლიური ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა სტრუქტურული ერთეულების დასაქმებულთათვის განსაზღვრულია 30 სამუშაო დღით. შესაბამისად, სადაც 11.11.2013წ-ის №... ბრძანება პრაქტიკულად აუარესებს დასაქმებულის სამართლებრივ მდგომარეობას და ამდენად, ენინააღმდეგება შრომის კოდექსის 21-ე მუხლის მე-3 ნაწილს. აღნიშნული კი, 11.11.2013წ-ის №... ბრძანების გაუქმების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

აქვე საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართლზომიერად იქნა მიჩნეული თავდაპირველი სარჩელის ის მოთხოვნაც, რომელიც შეეხებოდა მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე დასაქმებულთათვის დამატებით წელინადში 10 კალენდარული დღით ანაზღაურებადი შვებულების მოთხოვნას. უდავო გარემობად იქნა მიჩნეული, რომ შპს „ჯ. მ-ში“ დასაქმებულებს მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოს, ხოლო შრომის კოდექსის 26<sup>1</sup> მუხლის თანახმად კი, „მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიან სამუშაოზე მომუშავე დასაქმებულს ეძლევა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება წელინადში 10 კალენდარული დღე 12.06.2013წ-ისათვის მოქმედი რედაქცია).

საკასაციო პალატის ზემოთაღნიშნული შსჯელობიდან გამომდინარე კი, დაუსაბუთებელია კასატორის (შეგებებული სარჩელის ავტორის) მოთხოვნა 31.05.2013წ-ის კოლექტიური ხელშეკრულების 7.3 პუნქტის, რომელიც ანექსებს შვებულების დღების ოდენობას, ბათილად ცნობის თაობაზე.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩინა, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივრი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილების შედეგზე.

ბა ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივრები, რის გამოც მათ უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორებს: საქართველოს მეტალურგიულ, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირსა და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირს უნდა დაუბრუნდეთ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (800 ლარი) 70%, რაც შეადგენს 560 ლარს;

ასევე, შპს „ჯ. მ-ს“ უნდა დაუბრუნდეს გადახდილი საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (900 ლარი) 70%, რაც შეადგენს 630 ლარს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ს ა:**

1. საქართველოს მეტალურგიული, სამთო, და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირისა და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორებს: საქართველოს მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირსა (ს/კ...) და იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიულ კავშირს (ს/კ...) დაუბრუნდეთ აიპ „იმერეთის მეტალურგიული და სამთო მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის“ მიერ 2015 წლის 08 აპრილს №140 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (800 ლარი) 70% – 560 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.

3. შპს „ჯ. მ-ს“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

4. კასატორს – შპს „ჯ. მ-ს“ (ს/კ...) დაუბრუნდეს 2015 წლის 8 აპრილს №.. საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟისა (600 ლარი) და 2015 წლის 25 მარტს №... საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) 70% – 630 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **2. ხელფასის ანაზღაურება და პირგასამტეცლოს დაკისრება**

### **განჩინება**

№ას- 1205-1132-2015

26 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
ნ. ბაქაქური

**დავის საგანი:** მიუღებელი ხელფასისა და დაყოვნებული  
თანხის 0,07%-ის ანაზღაურება

**აღნერილობითი ნაწილი:**

#### **1. სასარჩელო მოთხოვნა:**

6. ძ-მა (შემდგომში – მოსარჩელე) სარჩელი აღძრა სასამარ-  
თლოში შპს „ს-ის“ (შემდგომში – მოპასუხე) მიმართ და მოით-  
ხოვა 2006 წლის სახელფასო დავალაანების – 1 440 ლარისა და  
ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის დაყოვნე-  
ბული თანხის 0,07%-ის ანაზღაურება.

#### **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხემ, როგორც მოთხოვნის განხორციელების შემა-  
ფერხებელი, ისე შემწყვეტი შესაგებლით არ ცნო სარჩელი და  
განმარტა, რომ მას მოსახლეობისათვის სტანციონარული მომ-  
სხურება არ გაუწევია, შესაბამისად, მოთხოვნას არ გააჩნდა სა-  
ფუძველი, ამასთანავე, მოპასუხემ მიუთითა სარჩელის ხანდაზ-  
მულობაზეც.

#### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე- ბის სარეზოლუციო ნაწილი:**

სენაკის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 7 მაისის გა-  
დაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

#### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-  
სით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარ-  
ჩელის დაკმაყოფილება.

#### **5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა- წილი:**

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაქმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკავიყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დარიცხული ხელფასის სახით დაეკისრა 120 ლარი 12 თვეზე გაანგარიშებით, ასევე, მიეცა ხელზე ასაღები ხელფასის 0,07% შეიდან თვეზე დაანგარიშებით.

5.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

5.1.1. სასამართლოს დასკვნით, სარჩელი არ არის ხანდაზმული, ვინაიდან მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წელს, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეგრელო ზემო სკანეთის სამხარეო ფილიალსა და მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მისთვის ხელმისაწვდომი მხოლოდ 2014 წელს მოპასუხესთან არსებული სხვა სასამართლო დავის წარმოებისას გახდა. ამ გარემოებას არ შედაგებია მოპასუხე, მეტიც, სააპელაციო სასამართლოში ეს გარემოება სადაცოდაც არ გაუხდია.

5.1.2. სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე კი, პალატამ აღნიშნა შემდეგი: მოსარჩელე დავობს 2006 წლის სახელფასო დავალიანებაზე, რომელიც შას ეკუთვნის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე. თავის მხრივ, ხელშეკრულება გაფორმდა საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეგრელო ზემო სკანეთის სამხარეო ფილიალსა და მოპასუხეს შორის. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მისი საგანია: მოსახლეობის სტაციონარული/ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების შესყიდვა. იმავე მხარეებს შორის, იმავე წელს დაიდო №2რ16 ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა 2006 წლის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები. №2რ16 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მიხედვით, შემსყიდველი „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის“ შესაბამისად, ვალდებულებას იღებდა, მიმნოდებლისათვის აენაზღაურებინა მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის კომპონენტის მიხედვით შესრულებული სამუშაო. №2რ26 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მიხედვით, ექიმ-სპეციალისტის მიერ „პროგრამით“ შესრულებული სამუშაოების და-

ფინანსება განხორციელდებოდა ფიქსირებული ანაზღაურების წესით და დარიცხული ხელფასი განისაზღვრა 120 ლარით.

5.1.3. არ იქნა გაზიარებული მოპასუხის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული მოსახლეობის სტაციონარული მომსახურება, რადგანაც ეს პოზიცია ენინაალმდეგებოდა საქმეში წარმოდგენილ ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც, მხარემ აიღო სტაციონარული მომსახურების ვალდებულება. ამ გარემოებას ადასტურებდა საქმეში წარმოდგენილი №2რ26 ხელშეკრულებაც (ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესახებ), რომლის თანახმადაც, შემსყიდველი მიმწოდებელს სთავაზობდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სტაციონარულ დახმარებასაც.

5.1.4. უდავო იყო, რომ მოსარჩევე ექიმ-სპეციალისტი იყო, რომელიც სტაციონარულ მომსახურებას ეწეოდა, ხოლო ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით დგინდებოდა, რომ ექიმ-სპეციალისტის ანაზღაურება ფინანსდებოდა ფიქსირებული ანაზღაურების წესით და დარიცხული ხელფასი შეადგენდა თვეში 120 ლარს. ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში მოსარჩევეს ეკუთვნოდა 2006 წელს სტაციონალური მომსახურეობისათვის თვეში დარიცხული 120 ლარი, ხოლო, რაც შეეხებოდა 0.07%-ს, ამ საკითხის მარეგულირებელი ნორმა ამოქმედდა 2006 წლის მაისიდან, რის გამოც, მოსარჩევეს თანხა უნდა მისცემოდა მაისის შემდგომ პერიოდზე დარიცხული ხელფასის 0.07% შრომის კოდექსის 53-ე მუხლისა და 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად.

5.1.5. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის პირველი ნაწილით, 129-ე მუხლის პირველი ნაწილით, 130-ე მუხლით და განმარტა, რომ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ფილიალსა და მოპასუხეს შორის 2006 წელს გაფორმებული ხელშეკრულება დასაქმებულისათვის ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ 2014 წელს მოპასუხესთან არსებული სხვა სასამართლო დაგის წარმოებისას, შესაბამისად, დარღვეული უფლების შესახებ მოსარჩელემ შეიტყო 2015 წელს, რაც გამორიცხავს სარჩელის ხანდაზმულობას.

5.1.6. პალატამ მიუთითა შრომის კოდექსის მე-2 მუხლისა და საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის დისპოზიციაზე და აღნიშნა, რომ 2006 წელს, როცა მოსარჩევე წარმოადგენდა მოპასუხე საზოგადოების ექიმს, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ფილიალსა და დამსაქმებელს

შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების, ასევე, №2რ16 ხელშეკრულების (რომლითაც განისაზღვრა 2006 წლის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები) საფუძველზე ექიმ-სპეციალისტის მიერ „პროგრამით“ შესრულებული სამუშაოების დაფინანსება განხორციელდებოდა ფიქსირებული ანაზღაურების წესით და დარიცხული ხელფასი განისაზღვრა 120 ლარით. სტაციონარული მომსახურებისთვის 2006 წელს ხელფასის სახით დასაქმებულს ოვეში 120 ლარი არ მიუღია. მითითებული ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ სასამართლო მოთხოვნა, შრომის კოდექსის 34-ე მუხლის, 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის, სამოქალაქო კოდექსის 316-ე-317-ე, 361-ე მუხლების შესაბამისად, ნანილობრივ საფუძვლიანი იყო, შესაბამისად, მოპასუხეს დასაქმებულის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა 2006 წლის მანძილზე მიუღებელი 120 ლარისა და 2006 წლის ივნისიდან დეკემბრამდე ამ თანხის 0.07%-ის გადახდა.

## **6. კასატორების მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა, მოპასუხემ მოითხოვა მისი სარჩელის დაკმაყოფილების ნანილში გაუქმება, საქმის იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო მოსარჩელემ – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

### **6.1. შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლები:**

6.1.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილება ემყარება, როგორც მატერიალური, ისე, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევას, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა მთელ რიგ ფაქტობრივ გარემოებებს, ამასთან, არ იმსჯელა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა, მაგალითად, ხანდაზმულობა. კასატორი 1995 წლიდან ეწევა ამბულატორიულ და არა სტაციონარულ მომსახურებას. მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამა და მისი დანართი №1-ით ნათლად დგინდება, რომ დაწესებულებასა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს შორის ხელშეკრულება დადო მხოლოდ ამბულატორიულ მომსახურებაზე და დანართი №1-ში ჩანს, რომ დაფინანსებულია ენდოკრინოლოგი და ონკოლოგი, ხოლო ექიმ-ალერგოლოგი მასში არ არის მოხსენიებული. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა თვეში 120 ლარით მოსარჩელის დაფინანსების თაობაზე

ემყარება მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტებას, ისე, რომ სასა-მართლომ არ გაიზიარა მოპასუხე საწარმოს დირექტორის გან-მარტება და თავად ხელშეკრულების დებულებები.

6.1.2. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მოპა-სუხის განმარტება იმის შესახებ, რომ სტაციონარული მომსა-ხურების თაობაზე ხელშეკრულება არ ყოფილა გაფორმებული, ამგვარი ხელშეკრულება გაფორმდა ს-ლ საავადმყოფოსთან, რაც ნათლად ჩანს 2006 წლის ხელშეკრულებიდან. მოპასუხის საქმიანობა შემოიფარგლებოდა ამშულატორიული დახმარების განვით, რაც ასევე ირკვევა სარჩელზე დართული 20.07.2006წ. №118 საგადახდო დავალებით. რაც შეეხება 2006 წლის №2რ16 და №2რ26 ხელშეკრულებებს, ისინი სტაციონარულ მომსახუ-რებას შეეხება და მოპასუხესთან რაიმე საერთო არ აქვს, რად-განაც საავადმყოფოს არ გააჩნია სტაციონარული მომსახურე-ბის ლიცენზია.

6.1.3. სარჩელის უსაფუძვლობასა და ხანდაზმულობაზე მი-თითებული იყო შესაგებელში, რაც არასწორად არ გაიზიარა სა-აპელაციო სასამართლომ და დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის განმარტებას ყოველგვარი მტკიცებულების წარუდგენლად.

6.1.4. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ მოპასუხე ეწეოდა სტაციონარულ მომსახურებას, 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის დანართ №1-ში ექიმ-ალერ-გოლოგის დაფინანსებისა და ხელფასის თვეში 120 ლარით გან-საზღვრის შესახებ. მოსარჩელეს არ წარმოუდგენია შრომითი ხელშეკრულება, ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსარ-ჩელესთან შრომითი ხელშეკრულება 2006 წლის 1 მარტს გაფორ-მდა.

## 6.2. 6. d-ის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 53-ე მუხლი. სასამარ-თლოს შეფასებით, მოსარჩელეს ეკუთვნოდა მიუდებელი ხელ-ფასის 0,07% 2006 წლის ივნისიდან, რადგანაც შრომის კოდექსი სწორედ ამ დროს ამოქმედდა, ხოლო წინა პერიოდის ურთიერ-თობებზე მითითებული ნორმების მოქმედება არ ვრცელდებო-და, რაც არასწორია. ამ შემთხვევაში, სასამართლომ არ გაითვა-ლისწინა ამავე კოდექსის 53-ე მუხლი დათქმა, რომ იგი ვრცელ-დება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა.

## სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-

საჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიმიწევს, რომ ისინი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე დამსაქმებლის ვალდებულების არსებობა, ამ თვალსაზრისით კი, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.1.1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის სამეცნიერო-ზემო სვანეთის სამხარეო ფილიალსა და შპს „ს-ას“ შორის 2006 წელს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა მოსახლეობის სტაციონარული/ამბულატორიული დახმარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების შესყიდვას.

1.1.2. იმავე მხარეებს შორის, იმავე წელს დაიდო №2რ16 ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა 2006 წლის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები. №2რ16 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მიხედვით, შემსყიდველი „ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის“ შესაბამისად, ვალდებულებას იღებდა, აენაზღაურებინა მიმწოდებლისათვის მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის კომპონენტის მიხედვით შესრულებული სამუშაო.

1.1.3. №2რ26 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მიხედვით, ექიმ-სპეციალისტის მიერ „პროგრამით“ შესრულებული სამუშაოების დაფინანსება განხორციელდებოდა ფიქსირებული ანაზღაურების წესით და დარიცხული ხელფასი განისაზღვრა 120 ლარით.

1.1.4. 6. ძ-ი ექიმ-სპეციალისტი იყო, რომელიც სტაციონალურ მომსახურებას ეწეოდა და №2რ26 ხელშეკრულებით ეკუთვნიდა ფიქსირებული ანაზღაურების წესით დარიცხული ხელფასი თვეში 120 ლარი.

1.1.5. სასაჩივრელო მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული, ამასთან, ანაზღაურების დაყოვნების გამო კანონისმიერი პირგასამტებ-

ლოს მოთხოვნის უფლება მოსარჩელეს მოქმედი შრომის კოდექსის ძალაში შესვლის შემდგომი პერიოდისათვის ეკუთვნოდა.

1.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პრეტენზიათა დასაბუთებულობის შემოწმებისა და იმ გარემოების გარკვევისათვის, თუ რამდენად არსებითი გავლენა შეეძლო მოეხდინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სისწორეზე მხარეთა პრეტენზიებს, პალატა ყურადღებას გაამახვილებს რამდენიმე საკითხზე:

1.2.1. სასამართლებრივ საფუძველს საქართველოს შრომის კოდექსის 34-ე მუხლი და 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი წარმოადგენს. სარჩელის ფორმალური საფუძვლი-ანობის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ 6.ძ-ი მოთხოვნის დაკამაყოფილებისათვის ზემოხსენებული ნორმების ყველა ელემენტზე მიუთითებს, სწორედ ეს გარემოება განაპირობებს შესაგებლის საფუძვლიანობის (არსებითობის) შემოწმების აუცილებლობას. მოპასუხის შედავება შესაფასებელია რამდენიმე მიმართულებით: ერთი მხრივ, იგი განმარტავს, რომ მას, როგორც სამედიცინო დაწესებულებას, სტაციონარული მომსახურება სახელმწიფოს 2006 წლის პროგრამის ბენეფიციარებისათვის არ გაუწევია, რადგანაც ამ მომსახურებაზე მას ხელშეკრულება არ გაუფორმებია სახელმწიფოსთან, ხოლო, მეორე მხრივ, მიუთითებს სასამართლო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.

1.3. საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოპასუხის მხრიდან სტაციონარული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში კასატორს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია, რადგანაც საქმეში არსებული 2006 წლის სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება (რომელიც ზოგადი ხასიათისაა და მოპასუხის მითითების საწინააღმდეგოდ, არ შეიცავს ერთმნიშვნელოვან დათქმას მხოლოდ ამბულატორიული მომ-

სახურების განევაზე), ასევე, მოსარჩელის მიერ წარდგენილი №2რ26 და №2რ16 ხელშეკრულებები (სპეციფიკური პირობები) შეიცავენ პირდაპირ მითითებას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სტაციონარული მომსახურების შესახებ და ექიმ-სპეციალისტის ანაზღაურება განსაზღვრულია ფიქსირებული ხელფასით – თვეში 120 ლარით. №2რ26 ხელშეკრულების თანახმად, „მიმწოდებელი მოვალეა სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა უზრუნველყოს სრული სამედიცინო მომსახურებით მისთვის სამედიცინო საქმიანობაზე მინიჭებული სახელმწიფო ლიცენზის ფარგლებში“. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე აპელირებდა, რომ არ გააჩნდა სტაციონარული მომსახურების სამედიცინო ლიცენზია, თუმცა, საექიმო საქმიანობის უფლების განმსაზღვრელი მტკიცებულება (ლიცენზია), სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად, მას საქმის ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში განხილვისას არ წარუდგენია, შესაბამისად, სავსებით დაუსაბუთებელია მოპასუხის პრეტენზია იმის შესახებ, რომ სტაციონარული მომსახურების განევის ფაქტის დადგენისას სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მოსარჩელის განმარტებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თავად მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული შუამდგომლობა მოპასუხის დავალდებულების თაობაზე, წარედგინა 2006 წლის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ინახებოდა მოპასუხეს-თან და არეგულირებდა სტაციონალური მომსახურების განე-ვის საკითხს. მოსარჩელე ასევე მოითხოვდა 2006 წლის სახელ-ფასო უწყისების წარდგენას. რაც შეეხება კასატორის (მოპასუხის) მითითებას, რომ №2რ16 და №2რ26 ხელშეკრულებები გაფორმებული იყო ს-ლ სააგადმყოფოსთან, პალატა მას ვერ გაიზიარებს, რადგანაც თავად ამ ხელშეკრულებებზე მოპასუხის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის – დირექტორ მ.პ-ას ხელმოწერები და სამსახურებრივი ბეჭედია დასმული, ამასთანავე, ამ გარემოებაზე საქმის მომზადების დასრულებამდე მოპასუხეს არ მიუთითებია. ამავე საფუძვლით ვერ იქნება საკასაციო პალატის მიერ შეფასებული შპს „სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების“ მტკიცება იმის თაობაზე, რომ მხოლოდ ამბულატორიული მომსახურების განვას ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დადებული ხელშეკრულების დანართი №1 და 2006 წლის 20 ივნის №118 საგადახდო დავალება, რადგანაც ამგვარი მტკიცებულებები საქმის ქვემდგომი წესით განხილვისას მოპასუხის

მხრიდან არ წარმოდგენილა.

1.4. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ნ. ძ-ი დასაქმებული იყო შპს „ს-აში“. ამ გარემოებას შესაგებლით დაეთანხმა მოპასუხე, თუმცა დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, განისაზღვროს მოსარჩელის მიერ დაკავებული პოზიცია, რადგანაც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სტაციონარული მომსახურების ანაზღაურება დადგენილია ექიმ-სპეციალისტისათვის. სარჩელის თანახმად, ნ. ძ-ი სწორედ ექიმ-სპეციალისტის პოზიციაზე იყო დასაქმებული. მოპასუხებ კი, ერთი მხრივ, უარყო ზოგადად სტაციონარული მომსახურების განევის ფაქტი, ხოლო, მეორე მხრივ, შესაგებელში აღნიშნა, რომ ნ. ძ-ი მუშაობდა ექიმ-ალერგოლოგად. ზოგადი წესის თანახმად (სსსკ-ის 102.1 მუხლი), სადაც გარემოების მტკიცების ტვირთი მოსარჩელს უნდა დაეკისროს, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, გასათვალისწინებულია შრომის კოდექსით დადგენილი შემდეგი რეგულაცია: შრომითი ხელშეკრულება იდება წერილობითი ან ზეპირი ფორმით, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით (შე-ის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი). საქმის მასალებით არ დასტურდება, თუ რა ფორმით იყო გაფორმებული მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულება, ამასთანავე, პალატა მიიჩნევს, რომ დამსაქმებელს, როგორც შრომის ორგანიზაციულ მოწესრიგებაზე უფლებამოსილ პირს, სრული შესაძლებლობა გააჩნდა, ნარედგინა სათანადო მტკიცებულებები დასაქმებულის მიერ დაკავებული პოზიციის შესახებ, თავის მხრივ, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე ექიმ-სპეციალისტის თანამდებობაზე იყო დანიშნული, რადგანაც, გასაჩირვებული გადაწყვეტილებით სასამართლო ამ ფაქტს უდავოდ მიიჩნევს მაშინ, როდესაც მოპასუხებ მას არ ეთანხმებოდა. ამასთანავე, საგულისხმოა ისიც, რომ საქალაქი სასამართლომ მხარეთა ზეპირი განმარტების საფუძველზე დადგენილად მიიჩნია მოსარჩელის ექიმ-ალერგოლოგად დანიშნულის ფაქტი №83/კ-01.10.95 ბრძანების საფუძველზე, როდესაც ამგვარი ბრძანება საქმეში არ არის წარმოდგენილი. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა კი, არ შეიცავს შეფასებას, თუ რამდენად არსებითი შედავება წარადგინა აპელანტმა მითითებულ გარემოებაზე (სსსკ-ის 377-ე მუხლი), ამდენად, ამ ნაწილში შპს „ს-ამ“ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია და საჭიროებს მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევას (სსსკ-ის 105-ე მუხლი), მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც ახალ გარემოებას, საკა-

საციონ პალატა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის საფუძველზე არ იზიარებს და შეფასების საგნად არ მიიჩნევს კასატორის მტკიცებას, რომ ნ.ძ-თან, როგორც აღერგოლოგთან, ხელშეკრულება 2006 წლის 1 მარტს გაფორმდა.

1.5. პალატა დასაბუთებულ შედავებად მიიჩნევს მოპასუხის მიერ საკასაციო საჩივარმი გამოთქმულ იმ პრეტენზიას, რომლის თანახმადაც, სასამართლომ არასწორად განმარტა მოთხოვნის ხანდაზმულობის საკითხი. კასატორის აღნიშნული პრეტენზია იმდენად არსებითია, რომ აბსოლუტურ გავლენას ახდენს სარჩელის ბედზე, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. უპირველესად საკასაციო პალატა ყურადლებას იმ გარემოებაზე გაამახვილებს, რომ სააპელაციო პალატამ დაადგინა მხარეთა შროის პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი, ასეთ შემთხვევაში კი, ხანდაზმულობის საკითხის მარეგულირებელ ნორმად სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის არა პირველი, არამედ, მე-2 ნაწილი გვევლინება, რომლის თანახმადაც, ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილი), თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობისაა ის გარემოება, თუ როდის შეიტყო პირმა უფლების დარღვევის შესახებ. მოთხოვნის ხანდაზმულობის ფაქტის დადგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა მტკიცებულება, რომელიც წარმოდგენილია საქმეში. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. განსახილველი ნორმის თანახმად, ყურადლება უნდა მიექცეს ორ ელემენტს, რომლებსაც უკავშირდება მოთხოვნის წარმოშობის დრო: პირმა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ და/ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. პირველ შემთხვევაში, არსებობს ფაქტები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ მისი უფლების დარღვევის ცოდნაზე, ხოლო, მეორე შემთხვევაში, არ არსებობს ის ფაქტები, რომლებიც პირდაპირ უთითებს მისი უფლების დარღვევის შესახებ ცოდნაზე, მაგრამ არსებობს გარემოებები, რომლებიც მიუთითებს იმაზე, რომ პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ, მაგრამ, თავისი დაუდევრობის გამო ვერ შეიტყო. საკასაციო პალა-

ტა განმარტავს, რომ პირველი ელემენტის არსებობა (როდესაც არსებობს ფაქტები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს მისი უფლების დარღვევის ცოდნაზე) გამორიცხავს მეორე ელემენტზე აპელირების საშუალებას (უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ). შესაბამისად, სააპელაციო პალატამ კრიტიკულად უნდა შეაფასოს მოსარჩევლის მტკიცება, რომ მან უფლების დარღვევის შესახებ 2014 წელს, მოპასუხესთან სხვა სასამართლო დავის წარმოებისას შეიტყო მაშინ, როდესაც, შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.6. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს 6. ძ-ის პრეტენზიას გასაჩივრებული გადაწყვეტილებით შრომის კოდექსის 53-ე მუხლის არასწორი განმარტების თაობაზე. ამ თვალსაზრისით სასამართლო მხედველობაში იღებს იმას, რომ სასარჩევლო მოთხოვნას წარმოადგენდა 2006 წლის მიუღებელი ხელფასისა და ანგარიშსწორების დაყოვნების გამო კანონისმიერი პირგასამტებლოს დაკისრება ყოველ გადაცილებულ დღეზე. ამ უკანასკნელ საკითხს არეგულირებს შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი და იგი დასაქმებულს აღჭრავს უფლებით, ნებისმიერი ანაზღაურების თუ ანგარიშსწორების დაყოვნების ყოველი დღისათვის მოსთხოვოს დამსაქმებელს დაყოვნებული თანხის 0,07%-ის გადახდა. სააპელაციო სასამართლოს დაკვინით, ვინაიდან შრომითი ურთიერთობა ამოინურა ახალი კანონის (შრომის კოდექსის) ამოქმედების შემდგომ, 31-ე მუხლის მე-3 ნაწილის დათქმაც შეეხებოდა მხოლოდ შრომის კანონთა კოდექსის გაუქმებისა და ახალი შრომის კოდექსის ამოქმედებითან მოყოლებულ პერიოდს და პირგასამტებლო მხოლოდ ამ დღისათვის მისაღებ ხელფასზე უნდა იქნას დარიცხული. საკასაციო სასამართლო მოქმედი შრომის კოდექსის 53-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, ეს კანონი ვრცელდება არსებულ შრომით ურთიერთობებზე, მიუხედავად მათი წარმოშობის დროისა. საკანონმდებლო დათქმა მისი დროში მოქმედების პრინციპის თაობაზე გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოს შეფასების გაზიარების შესაძლებლობას, რომ პირგასამტებლოს ანაზღაურების უფლება პირმა მხოლოდ ახალი კანონის ამოქმედების შემდგომ მისაღებ და დაყოვნებულ ხელფასზე მოიპოვა. შრომის კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 53-ე მუხლის ანალიზი, მოცემულ შემთხვევაში, დაუმვებელია ამავე კოდექსის 34-ე მუხლის გარეშე, ამ უკანასკნელი ნორმით დადგე-

ნილია, რომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულთან მოახდინოს საბოლოო ანგარიშსნორება არა უგვიანეს 7 კალენდარული დღისა, თუ შრომითი ხელშეკრულებით ან კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. ამდენად, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მოსარჩევლისათვის პირგასამტებლოს ანაზღაურების საკითხი სააპელაციო პალატას უწდა გადაეწყვიტა შემდეგნაირად: საბოლოო ანგარიშსნორების დაყოვნების გამო, კანონით განსაზღვრული პროცენტის გადახდა მოპასუხეს ეკისრებოდა არა მხოლოდ იმ შეუსრულებელი ვალდებულების პროპორციულად, რაც ახალი კანონის ამოქმედების შემდგომ წარმოიშვა, არამედ იმ თანხაზეც, რომელიც ამ კანონის ამოქმედების დროისათვის არ იყო ანაზღაურებული.

1.7. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსაზღველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებით საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დაგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოყოფანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების დარღვევით და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საჭიროა სწორედ მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა. ამ საფუძვლიდან გამომდინარე, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, ვიდრე ობიექტურად არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

1.8. რაც შეეხება კასატორ შპს „ს. ა. გ-ის“ მოთხოვნას საქმის იმავე სასამართლოს სხვა შემადგნელობისათვის დაბრუნების თაობაზე, პალატა მას უსაფუძვლოდ მიიჩნევს. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამგვარ შესაძლებლობას ითვალისწინებს, თუმცა, არც საქმის მასალებით დგინდება და არც კასატორს მიუთითებია გარემოებები იმის თაობაზე, თუ რა საჭიროება არსებობს საქმის განმხილველი სასამართლო შემადგენლობის შეცვლისა.

2. საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი მტკიცებულებები:

2.1. საქმეში წარმოდგენილ საკასაციო საჩივრებს, ასევე, მო-

პასუხის საკასაციო შესაგებელს ერთვის მტკიცებულებები.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესუალურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, მით უფრო გაუმართლებელია იმ მტკიცებულებათა განმეორებით წარმოდგენა, რომლებიც საქმის მასალებშიც მოიპოვება. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს წარმოდგენილ მტკიცებულებათა გაზიარების საფუძველი, შესაბამისად, მხარეებს უნდა დაუბრუნდეთ ისწინ.

### 3. სასამართლო ხარჯები:

3.1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსარჩევე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანგარიშსწორებისაგან გათავისუფლებულია, ხოლო, საკასაციო საჩივრის გამო, მოპასუხის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილია 300 ლარი.

3.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააპრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღდვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა განისაზღვროს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### სარგზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 104-ე, 407-ე, 412-ე მუხლებით და

## **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ს-ის“ დირექტორ მ. ბ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. ნ. ძ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
4. ნ. ძ-ი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ხოლო შპს „ს-ის“ საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილი.
5. შპს „ს-ას“ დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე დართული მოსახლეობის ამბულატორიული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების შესრულების, აღრიცხვის, ანგარიშგებისა და ანაზღაურების წესის, 2006 წლის 1 იანვრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს №00875 ლიცენზიის, 2006 წლის 20 ივლისის №118 საგადახდო დავალების ასლები და 2006 წლის 6 მარტის №21/კ ბრძანების ამონაწერი, ასევე, საკასაციო შესაგებელზე დართული ამავე მტკიცებულებების, სენაკის რაიონის გამგეობასა და მოპასუხეს შორის დადებული №5.27.02 ხელშეკრულების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს №01-11/08/4264; №01-19/03/301; №01-19/03/13109; №02/76904 მიმართვები ნ. ძ-ისადმი, 2003-2005 წლების ხელშეკრულებების №1 დანართები 29 (ოცდაცხრა) ფურცლად, ხოლო ნ. ძ-ს – საქართველოს შრომის კოდექსის ამონარიდი, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 16 დეკემბრის №2/ბ-1107-13 განჩინების, ს-ლი სასამართლოს 2009 წლის 12 მარტის №2/230 სააღსრულებო ფურცლისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 19 მარტის №2/ბ-190-2015 განჩინების ასლი.
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **3. მროვითი ხელშეკრულების შეცვალის საფუძვლები**

#### **განჩინება**

№ს- 1294-1232-2014

17 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
ბ. ბაქაქური

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღ-  
დგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

#### **აღნერილობითი ნაწილი:**

თ. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ააიპ ს-ოს მიმართ და  
მოითხოვა თ. გ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ  
სააგენტოს 2013 წლის 8 ნოემბრის №... ბრძანებისა და სააგენ-  
ტოს მონიტორინგის ჯგუფის 2013 წლის 23 ოქტომბრის დას-  
კვნის ბათილად ცნობა, თ. გ-ის აღდგენა ააიპ ქ. თბილისის №...  
საბავშვო ბაგა-ბალის დირექტორის თანამდებობაზე, ასევე 2013  
წლის 8 ნოემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრუ-  
ლებამდე პერიოდის იძულებითი განაცდურის გადახდის დაკის-  
რება მისი ყოველთვიური ხელფასის – 1000 ლარის გათვალის-  
წინებით.

მოსარჩელის განმარტებით, სააგენტოს მონიტორინგის ჯგუ-  
ფის 2013 წლის 23 ოქტომბრის დასკვნის მიხედვით, ბაგა-ბალში  
გამოვლინდა შემდეგი დარღვევები: 1. მონიტორინგის დროს, სა-  
ბავშვო ბალში სამუშაო ადგილზე არ იმყოფებოდა დირექტორი,  
საქმის მნარმოებელი, ექთანი, შეთოდასტი. აღნიშნულთან და-  
კავშირებით, მოსარჩელემ განმარტა, რომ წესდებით, დირექ-  
ტორს არ მოეთხოვება მთელი დღის განმავლობაში ბაგა-ბალში  
ყოფნა და არ ეკრძალება სამუშაო საათებში ბაგა-ბალთან და-  
კავშირებულ სხვა საქმეებზე სიარული. მითუმეტეს, რომ მონი-  
ტორინგი მთელი დღის განმავლობაში არ მიმდინარეობდა.

დასკვნაში აღნიშნულია, რომ მენიუ-ფაქტურაზე არ იყო დი-  
რექტორის ხელმოწერა და ბეჭედი, ამასთან, მენიუ განერილი  
იყო მნირედ, 1000 კალორიაზე ნაკლები ოდენობით.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ სადავო მენიუზე მისი ხელმო-

წერისა და ბეჭდის არარსებობა ადასტურებს, რომ დირექტორი აღნიშნულ მენიუს არ დაეთანხმა და მასში შეიტანდა სათანადო შესწორებას.

მხარე არ დაეთანხმა დასკვნაში მითითებულ გარემოებას, რომ მონიტორინგის შედეგად ბაგა-ბალში გამოვლინდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დარღვევები.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მონიტორინგის ბაგა-ბალში შესვლისა და ჯგუფის ბალში ყოფნის პერიოდში ბაგა-ბალში არ იმყოფებოდა დირექტორი და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესზე პასუხისმგებელი სამი თანამშრომელი, ყოველგვარი საპატიო მიზეზის გარეშე. ასეთი ვითარება საფრთხეს უქმნის აღსაზრდელთა უსაფრთხოებას, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ხარისხს და მიუთითებს დაკისრებული მოვალეობებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილებით თ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელებ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით თ. გ-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 9 ივნისის თ. გ-ე დაინიშნა ააიპ №... საბავშვო ბაგა-ბალის დირექტორად. საბავშვო ბაგა-ბალში დირექტორს უშუალოდ ექვემდებარებოდნენ ბაგა-ბალის დირექტორის მოადგილე, მეთოდისტი (საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი), ექთანი (ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი), საქმის მრავმოებელი (ბუღალტერი), მნე (სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი).

თ. გ-ის, როგორც №... საბავშვო ბაგა-ბალის დირექტორის, უფლებამოსილებას წარმოადგენდა: საბავშვო ბაგა-ბალის მართვა; ბალის წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში; აღნიშნული დაწესებულების საერთო საქმიანობის წარმართვა. ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ბაგა-ბალის დირექტორს. იგი პასუხისმგებელი იყო ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს მიერ დამტკიცებული ბაგა-ბალის მართვის სტრატეგიის განხორციელებაზე, ამავე სააგენტოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიის დანერგვაზე. მასვე ევალებოდა, შეექმნა შესაბამისი პირობები ბავ-

შვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვისა და განვითარებისათვის და მონიტორინგი გაეწია მისი განხორციელებისათვის. იგი ვალდებული იყო, დაეცვა აღსაზრდელის ყველა ის უფლება, რაც მას ბავშვის უფლებათა კონვენციით აქვს მინიჭებული. თ. გ-ის, როგორც ბალის დირექტორის მოვალეობას შეადგინდა თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებაზე კონტროლი, ასევე, თანამშრომელთა შორის საქმიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებისადმი ხელშეწყობა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ №... საბავშვო ბაგა-ბაღში მეთოდისტის (საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორის) თანამდებობაზე დასაქმებული იყო მ. დ-ე. შრომითი ხელშეკრულებით, მის სამუშაო დროდ განსაზღვრული იყო კვირაში ორი სამუშაო დღე – ორშაბათი და ხუთშაბათი, 09:30 სთ-დან 17:30 სთ-მდე. ექთნის (ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორის) თანამდებობაზე დასაქმებული იყო მ. გ-ი. შრომითი ხელშეკრულებით, მის სამუშაო დროდ განსაზღვრული იყო ხუთდღიანი სამუშაო კვირა, 09:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე. საქმის მწარმოებლის (ბუღალტრის) თანამდებობაზე დასაქმებული იყო ნ. ნ-ი. შრომითი ხელშეკრულებით, მის სამუშაო დროდ განსაზღვრული იყო ხუთდღიანი სამუშაო კვირა: ხელშეკრულებით სამუშაო საათები მითითებული არ არის.

საბავშვო ბაღში დასაქმებულ პირებს, შინაგანანესის თანახმად, ეძლევათ შესვენების დრო – ... წუთი, რომელიც თანამშრომელს შეუძლია გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ ისე, რომ ხელი არ შეუშალოს სააღმზრდელო პროცესს. დირექტორის ბრძანებით, შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა პირისათვის შესვენების განსხვავებული დრო. საბავშვო ბაღში დასაქმებულ პირს, უფლება არა აქვს, შესვენების დროის განმავლობაში დატოვოს სამუშაო ადგილი, ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბრის №280/ნ ბრძანებით დამტკიცებული 2013 წლის სექტემბერ-დეკემბრის თვეებში მოქმედი „კვების ორგანიზაცია ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში“ სანიტარული წესებითა და ნორმებით, რომელთა თანახმად, ბავშვის კვების მენიუ უნდა იყოს მრავალფეროვანი. დღედამური რაციონის კერძების ნაკრები უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვთა ორგანიზმის მოთხოვნილებებს ძირითად საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე, სარეკომენდაციო ასაკობრივი ნორმების გათ-

ვალისწინებით. გარდა ასაკობრივი ნორმებისა, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს სეზონურობა, ალზრდის პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, კვების თავისებურებები და სხვ.

სკოლამდელ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს 10-დღიანი ან 2-კვირიანი პერსპექტიული მენიუ და სპეციალურად შემუშავებული კერძების კართოტეკა. პერსპექტიულ მენიუებზე დაყრდნობით, მენიუ-განრიგი უნდა შედგეს ყოველდღიურად. მასში უნდა აღინიშნოს იმ ბავშვებისა და თანამშრომლების რიცხვი, ვინც უნდა მიიღოს აღნიშნული საკვები.

ბავშვთა კვების ხარისხზე აუცილებელია, დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი: რომელიმე პროდუქტის არქონის შემთხვევაში, ის შეიძლება შეიცვალოს ძირითადი საკვები ნივთიერებების (ცილები და ცხიმები) იდენტური რაოდენობის შემცველი სხვა პროდუქტით, რისთვისაც აუცილებელია, პროდუქტების ურთიერთჩანაცვლების დადგენილი ცხრილით სარგებლობა. საკვების ულუფათა მოცულობა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ასაკს. ბავშვთა კვების დღიური მენიუ აუცილებელია გამოიკრას კედელზე (მშობელთათვის).

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 10 ოქტომბერს ააიპ ს-ოს დირექტორმა გამოსცა №... ბრძანება სააგენტოში მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფს დაევალა მონიტორინგის განხორციელება ააიპ „თბილისის №... საბავშვო ბაგა-ბაღში“ და ააიპ „თბილისის №... საბავშვო ბაგა-ბაღში“. დასახელებულ ბაგა-ბაღებში მონიტორინგის განხორციელება ჯგუფს დაევალა სამუშაო გეგმის (ბრძანების დანართი №1) შესაბამისად. მონიტორინგის ჯგუფს შემოწმების განხორციელება და მონიტორინგის შედეგებზე დასკვნის სააგენტოში წარდგენა დაევალა 2013 წლის 24 ოქტომბრისდე.

№.. საბავშვო ბაგა-ბაღში ჯგუფს მონიტორინგი უნდა განეხორციელებინა შემდეგი სამუშაო გეგმის მიხედვით: 1. სოციალური და საალმზრდელო გარემო; 2. მართვა და საქმისწარმოება; 3. კვების ბლოკი და საწყობი; 4. მონიტორინგის პროცესში, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა საკითხების შესწავლა.

მონიტორინგის ჯგუფს გადაწყვეტილი ჰქონდა №... საბავშვო ბაგა-ბაღის მონიტორინგი 2013 წლის 11 ოქტომბერს (პარასკევ დღეს), მაგრამ ბაღისკენ გამგზავრების წინ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს დაურეკა სააგენტოს რაიონულმა კოორდინატორმა, რომელმაც აცნობა, რომ დირექტორი (მოსარჩელე) თ. გ-ე არ იქნებოდა ადგილზე ბავშვის ცუდად ყოფნის გამო, ამის შემდეგ, მონიტორინგის ჯგუფმა გადაწყვიტა მოცემულ ბაგა-ბაღში სხვა სამუშაო დღეს მისვლა.

2013 წლის 15 ოქტომბერს, სამშაბათ დღეს, დღის პირველ ნახევარში მონიტორინგის ჯგუფის სამი წევრი (მათ მოგვიანებით შეუერთდა ჯგუფის წვერი, კონსულტანტი ე. დ-ი) მივიდა №... საბავშვო ბაგა-ბალში, მონიტორინგის განსახორციელებლად.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ №... საბავშვო ბაგა-ბალში მისულმა მონიტორინგის ჯგუფმა ვერ შეძლო სამუშაო გეგმის შესაბამისი მონიტორინგის განხორციელება დირექტორის, მოსარჩევეთ გ-ის და სხვა პირების — საქმის მწარმოებლის (ბუღალტრის), ექთნის, მეთოდისტის საბავშვო ბალში თავიანთ სამუშაო ადგილებზე არყოფნის გამო, ამასთან, იმის გამოც, რომ ვერ შემონმდა დოკუმენტაცია, რომელზეც ხელი მიუწვდებოდა მხოლოდ დირექტორს. მონიტორინგის ჯგუფმა ნახა, რომ ალსაზრდელთა ელექტრონული აღრიცხვა გაკეთებული იყო. მონმე თ. თ-ის ჩვენებით, აღრიცხვა დამლაგებელმა განახორციელა.

იმის შესახებ, რომ ბაგა-ბალის დირექტორი თ. გ-ე ამა თუ იმ ობიექტური მიზეზით არ იმყოფებოდა სამსახურში (არ მოსულა ან იყო დროებით გასული) ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით (მისი განმარტებით, ის გასული იყო, შევებულების შესახებ განცხადების სააგენტოში მიტანის მიზნით), არ იცოდა არც საბავშვო ბაგა-ბალის რომელიმე თანამშრომელმა (მათ შორის დირექტორის მოადგილემ, მოსარჩევემ თავად განაცხადა, რომ მას დირექტორის მოადგილისათვის არაფერი უთქვამს), არც სააგენტოს შესაბამისმა თანამშრომელმა (მაგალითად, რაიონულმა კოორდინატორმა, რომელსაც ჰქონდა ინფორმაცია თ. გ-ის სამსახურში არყოფნის შესახებ, წინა სამუშაო დღეს, 2013 წლის 11 ოქტომბერს. მონმე თ. თ-ის ჩვენებით, მნეს ინფორმაციით, დირექტორი ბალში ჯერ კიდევ არ იყო მისული).

ბაგა-ბალის დირექტორისათვის არ იყო ცნობილი, მისი ბაგა-ბალში არყოფნის პერიოდში ადგილზე იქნებოდნენ თუ არა სხვა პასუხისმგებელი პირები: მან არ იცოდა, რომ იმ დღეს (სამშაბათს) სამსახურში გამოცხადდებოდა მეთოდისტი მ. დ-ე, რომელიც, როგორც წესი, მუშაობდა კვირაში ორ დღეს — ორშაბათს და ხუთშაბათს, ხოლო ექთანი მ. გ-ი აპირებდა თუ არა (გარკვეული მიზეზებით) შენობიდან გასვლას. მოსარჩელისათვის ცნობილი არ იყო, იმ დღეს სამსახურში მისი ადგილზე არ ყოფნისას ბაგა-ბალში მოვიდოდა თუ არა საქმის მწარმოებელი (ბუღალტერი) ნ. წ-ი, რომელსაც შრომითი ხელშეკრულებით ევალებოდა ბაგა-ბალში კვირაში 5 დღე ემუშავა, ასევე, სხვა დაწესებულებაში დასაქმების გამო, ბალში კვირის გარკვეულ დღე-

ებში ცხადდებოდა.

№... საბავშვო ბაგა-ბალში მისულ მონიტორინგის ჯგუფს ადგილზე დახვდა მნე, დირექტორის მოადგილე და დამლაგებელი. მონიტორინგის ჯგუფის ადგილზე ყოფნის პერიოდში, მათ მიერ ბაგა-ბალის ტერიტორიის დატოვებამდე თანამშრომელთა სატელეფონო ზარების საფუძველზე, სხვადასხვა დროს სამსახურში მივიდნენ საქმის მნარმოებელი (ბუღალტერი), ექთანი და მეთოდისტი.

ბაგა-ბალის ტერიტორიიდან გასულ მონიტორინგის ჯგუფის წევრებს გზაზე, დაახლოებით 10-12 წუთში, შეხვდათ თ. გ-ეც.

№... საბავშვო ბაგა-ბალში მისული მონიტორინგის ჯგუფი, პირველად შევიდა კვების ბლოკში, სადაც მნემ მათ გადასცა იმ დღის მენიუ-ფაქტურა, რომელიც არ იყო დამტკიცებული დირექტორის მიერ. მასზე არ იყო დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი. აღნიშნული მენიუ-ფაქტურა, რომლითაც განერილი იყო დღის მენიუ იყო მნირი (მენიუ-ფაქტურა არ მოიცავდა აუცილებელ პროდუქტებს, ასევე, იყო არაბალანსირებული (არ იყო დაცული 1-1-4-ის პრინციპი: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) და დღის დასაშვებ ნორმაზე (1000 კვალორია) მნიშვნელოვნად ნაკლები კალორიით (928,67 კვალორია).

მონიტორინგის ჯგუფმა 2013 წლის 23 ოქტომბერს შეადგინა დასკვნა №... საბავშვო ბაგა-ბალის შემოწმების შესახებ. დასკვნის თანახმად, ბაგა-ბალში ვერ განხორციელდა გეგმის შესაბამისი მონიტორინგი დირექტორის და სხვა პირების ბაგა-ბალში არყოფნის გამო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მონიტორინგის პროცესში, ჯგუფის მიერ გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- მართვისა და საქმის წარმოების სფეროში გამოვლინდა, რომ „სამუშაო ადგილზე არ იმყოფებოდა დირექტორი, საქმის მნარმოებელი, ექთანი, მეთოდისტი. ზემოაღნიშნული პირები წარმოადგენენ სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაციას. მათი არყოფნა ხელისშემსლელია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულფასოვნად და უსაფრთხოდ წარმართვისათვის. ერთდროულად დირექტორის და სხვა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მონაწილე თანამშრომლების ბაგა-ბალში სამუშაო საათებში არყოფნა მიუთითებს დაკისრებული მოვალეობებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და პირდაპირ უქმნის საფრთხეს აღსაზრდელთა უსაფრთხოებას. გაიგეს რა მონიტორინგის შესახებ, აღნიშნული თანამშრომლები მოგვიანებით გამოცხადდნენ საბავშვო ბალში, თუმცა მათ არ წარმოუდგენიათ

სამუშაო საათებში სამსახურში საპატიო მიზეზით არყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები“.

2. კვების ბლოკის და საწყობის მხრივ, გამოვლინდა, რომ „დღის მენიუ-ფაქტურაზე არ იყო დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი. განერილი მენიუ იყო მწირი, არაბალანსირებული და 1000 კალორიაზე ნაკლები“.

3. სოციალური და სააღმზრდელო გარემოს მხრივ, გამოვლინდა, რომ „ბალის ჯგუფების შესასვლელთან არ არის გამოკრული განერილი დღის განრიგი მშობლებისათვის. არც სველ წერტილებშია თვალსაჩინო მითითებები, ცენტრების სიმცირეა“.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თ. გ-ე გაეცნო დასკვნას, რაც მან ხელმოწერით დაადასტურა, რა დროსაც წერილობით მიუთითა, რომ არ ეთანხმება გარკვეულ საკითხებს. დადგინდა მენიუ-ფაქტურის მინიმალურ სტანდარტებთან შეუსაბამობის არა ერთი შემთხვევა, სახელდობრ, 2013 წლის ოქტომბრის თვეში დადგინდა 11 ასეთი შემთხვევა.

2013 წლის 8 ნოემბერს მოპასუხე სააგენტოს დირექტორმა გამოსცა №... ბრძანება „თ. გ-ის თანადებობიდან გათავისუფლების შესახებ“. დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის გამო, აღნიშნული ბრძანებით თ. გ-ე თანამდებობიდან გათავისუფლდა 2013 წლის 8 ნოემბრიდან. ბრძანებაში მისი გამოცემის საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტსა და სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის 2013 წლის 23 ოქტომბრის დასკვნაზე.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის პირველი და მეოთხე პუნქტებით, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლით და მიუთითა, რომ ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას, საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან თავისუფლად დათანხმდება ან განახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ამ უფლების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩევე თ. გ-ემ ჯეროვნად არ შეასრულა შრომით ვალდებულება, ამასთან, მისმა არამართლზომიერმა ქმე-

დებებმა განაპირობეს მოპასუხის მხრიდან მასთან შრომითი ურ-თიერთობის შეწყვეტა, კერძოდ, დადგინდა, რომ საბავშვო ბა-გა-ბალში თანამშრომლები არ იცავდნენ შრომის დისციპლინას, სამსახურიდან გასვლას არ უთანხმებდნენ დირექტორს, ბაგა-ბალის დირექტორიც სამსახურში თუნდაც გარკვეული პერიო-დით არყოფნის (გვინდ მოსვლის თუ დროებით გასვლის) შესა-ხებ საქმის კურსში არ აყენებდა შესაბამის პირებს, მათ შორის დირექტორის მოადგილეს, რომელიც ვალდებული იყო, ასეთ დროს შეეცვალა იყო.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ვითარება საფრთხეს უქმნის აღსაზრდელთა უსაფრთხოებას, მათ ჯან-საღ და უსაფრთხო (უვნებელ) კვებას, სასწავლო-სააღმზრდე-ლო პროცესის ხარისხს, სათანადო საქმის წარმოებას, რაც ბა-გა-ბალის უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. დადგინდა უმ-ნიშვნელოვანესი დოკუმენტის – მენიუ-ფაქტურის შედგენის პროცედურის დარღვევა, ამასთან, გამოვლინდა ბავშვთა კვე-ბის დადგენილი ნორმების არა ერთი დარღვევა. ბაგა-ბალის ჯგუფების შესასვლელებთან, მშობლებისათვის არ იყო გამოკ-რული დღის განრიგი, სველ წერტილებში არ იყო (მონიტორინ-გის დროს) გამოკრული თვალსაჩინო მითითებები. ვინაიდან ბა-გა-ბალის დირექტორი წარმართავს ბაგა-ბალის საერთო საქმია-ნობას, ის არის პასუხისმგებელი ამ საქმიანობის ხარისხზე, კა-ნონიერებასა და ეფექტურობაზე.

სააპელაციო პალატის მითითებით, დადგენილი ფაქტობრი-ვი გარემოებები მეტყველებენ ბაგა-ბალის დირექტორის მხრი-დან თავისი მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაზე, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს საფრთხეს აღსაზრდელის, ბავშვის ჯანმრთელობისა თუ აღზრდის სწორად წარმართვისათვის.

ბავშვთა უფლებათა კონვენციის 3.3. მუხლის თანახმად, მო-ნანილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვებზე ზრუნვისათვის, მათი დაცვისათვის პასუხისმგებელი დაწესე-ბულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ კომ-პეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რაოდენობრიობისა და ვარგისიანობის, აგრეთვე, კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით. ამავე კონვენციის 26.1. მუხლის მიხედვით, მონანილე სახელმწიფოე-ბი ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას ცხოვრების იმ დონეზე, რომელიც აუცილებელია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, სუ-ლიერი, ზენობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს მოსარჩე-

ლის სამსახურიდან განთავისუფლების თაობაზე ააიპ ს-ოს პრძანების გაუქმების, მოსარჩელის სამსახურში აღდგენისა და, შესაბამისად, იძულებითი განაცდურის ანაზღაურების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება თ. გ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო პალატა არასწორად დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და არ გაიზიარა აპელანტის არც ერთი არგუმენტი.

მხარის მითითებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მონიტორინგის დასკვნაში მითითებული დარღვევები იყო სისტემატური ხასიათის. ფაქტობრივად, დასკვნას საფუძვლად უდევს მხოლოდ ერთი დღის შემოწმების შედეგები და დარღვევები.

კასატორმა ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატამ სადაც ურთიერთობის მიმართ ისე გამოიყენა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი, რომ არ გამოუკვლევია, რამი გამოიხატა მოსარჩელის მიერ ვალდებულების უხეში დარღვევა. აღნიშნული ნორმა გულისხმობს არა წესისმიერი, არამედ მხოლოდ უხეში დარღვევისას სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას, რაც განსახილველ შემთხვევაში არ დაფიქსირებულა.

სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობდა შრომითი მოვალეობის უხეში დარღვევა, შესაბამისად, დისციპლინური სასჯელის უკიდურესი ზომის – სამსახურიდან განთავისუფლების გამოყენება სამართლებრივად გაუმართლებელი იყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ ბაგა-ბალის მართვის სტრატეგია, რომელიც დამტკიცებულია ააიპ სოს მიერ, არ არის ნორმატიული ხასიათის. ამდენად, ის გარემოება, რომ ბავშვმა დღეში 1000 კილო კალორია უნდა მიიღოს არის სარეკომენდაციოა ხასიათის და სავალდებულო ხასიათს არ ატარებს. გარდა ამისა, დასკვნაში მითითებული კალორიების რაოდენობა მინიმალური გადახვევაა სარეკომენდაციო დოზიდან.

კასატორის განმარტებით, ბაგა-ბალის ბიუჯეტი მწირია, თითო ბავშვზე მხოლოდ 1,5 ლარის გამოყოფა ხერხდება და შესაძლოა, ერთ დღეს ბავშვს მიეღო 1000 კილო კალორიაზე ნაკლები, ხოლო მეორე დღეს – მეტი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დასკვნა ეყრდნობა ერთი დღის მონაცემებს და ბაგა-ბალში ბავშვების მდგომარეობა და პირობები სრულფასოვნად შეს-

წავლილი არ არის. რაც შეეხება დირექტორის ხელმოწერას, არ-საიდან არ დგინდება ხელმოწერის სავალდებულოდ დილით შეს-რულების თაობაზე, დირექტორს შეეძლო, დღის მეორე ნახე-ვარში მოეწერა ხელი.

მხარემ მიიჩნია, რომ ასევე სარეკომენდაციო ხასიათს ატა-რებს დღის განრიგის გამოყენა და სველ წერტილებში თვალსა-ჩინო მითითებების განთავსება.

კასატორი არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დას-კვნას, რომ დირექტორის არყოფნამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ბაგა-ბალის საქმიანობასა და სასწავლო პროცესზე. გარ-კვეულ პირთა სამსახურში არყოფნის ფაქტი დირექტორის გა-თავისუფლების წინაპირობა არ უნდა გამხდარიყო. ამასთან, დი-რექტორს არ დასცალდა თანამშრომლების მიერ სამუშაოს გაც-დენაზე რეაგირება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 29 დეკემბრის განჩინებით თ. გ-ის საკა-საციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხ-ლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექ-სის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა თ. გ-ის საკასაციო საჩივარის დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებ-ლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2009 წლის 9 ივლისს თ. გ-ე დაინიშნა ააიპ №... საბავშვო ბაგა-ბალის დირექტორად. საბავშვო ბაგა-ბალში დირექტორს უშუალოდ ეკვემდებარებოდნენ ბაგა-ბალის დირექტორის მო-ადგილე, მეთოდისტი (საგანმანათლებლო პროგრამების კოორ-დინატორი), ექთანი (ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნ-ველყოფის კოორდინატორი), საქმის მნარმოებელი (ბუღალტე-რი) და მწე (სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი).

თ. გ-ის, როგორც №... საბავშვო ბაგა-ბალის დირექტორის, უფლებამოსილებას წარმოადგენდა: საბავშვო ბაგა-ბალის მარ-თვა; ბალის წარმოდგენა მესამე პირებთან ურთიერთობაში; აღ-ნიშნული დაწესებულების საერთო საქმიანობის წარმართვა. ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე პასუხისმგებ-ლობა ეკისრებოდა ბაგა-ბალის დირექტორს. იგი პასუხისმგებე-ლი იყო ბაგა-ბალების მართვის სააგენტოს მიერ დამტკიცებუ-ლი ბაგა-ბალის მართვის სტრატეგიის განხორციელებაზე, ამა-

ვე სააგენტოს მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგის დანერგვაზე. მასვე ევალებოდა, შეექმნა შესაბამისი პირობები ბავშვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვისა და განვითარებისათვის და მონიტორინგი გაეწია მისი განხორციელებისათვის. იგი ვალდებული იყო, დაეცვა აღსაზრდელის ყველა ის უფლება, რაც მას ბავშვის უფლებათა კონვენციით აქვს მინიჭებული. თ. გ-ის, როგორც ბალის დირექტორის მოვალეობას შეადგინდა თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივ მოვალეობათა ჯეროვან შესრულებაზე კონტროლი, ასევე, თანამშრომელთა შორის საქმიანი და ურთიერთპატივისცემზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებისადმი ხელშეწყობა.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ №... საბავშვო ბაგა-ბალში მეთოდისტის (საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორის) თანამდებობაზე დასაქმებული იყო მ. დ-ე. შრომითი ხელშეკრულებით, მის სამუშაო დროდ განსაზღვრული იყო კვირაში ორი სამუშაო დღე – ორშაბათი და ხუთშაბათი, 09:30 სთ-დან 17:30 სთ-მდე. ექთნის (ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორის) თანამდებობაზე დასაქმებული იყო მ. გ-ი. შრომითი ხელშეკრულებით, მის სამუშაო დროდ განსაზღვრული იყო ხუთდღიანი სამუშაო კვირა, 09:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე. საქმის შწარმოებლის (ბუღალტრის) თანამდებობაზე დასაქმებული იყო ნ. ნ-ი. შრომითი ხელშეკრულებით, მის სამუშაო დროდ განსაზღვრული იყო ხუთდღიანი სამუშაო კვირა: ხელშეკრულებით სამუშაო საათები მითითებული არ არის.

საბავშვო ბალში დასაქმებულ პირებს, შინაგანაზესის თანახმად, ეძლევათ შესვენების დრო – 45 წუთი, რომელიც თანამშრომელს შეუძლია გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ ისე, რომ ხელი არ შეუშალოს სააღმზრდელო პროცესს. დირექტორის ბრძანებით, შეიძლება განისაზღვროს სხვადასხვა პირი-სათვის შესვენების განსხვავებული დრო. საბავშვო ბალში დასაქმებულ პირს, უფლება არა აქვს, შესვენების დროის განმავლობაში დატოვოს სამუშაო ადგილი, ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2003 წლის 12 ნოემბრის №280/6 ბრძანებით დამტკიცებული 2013 წლის სექტემბერ-დეკემბრის თვეებში მოქმედი „კვების ორგანიზაცია ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში“ სანიტარული წესებითა და ნორმებით, რომელთა თანახმად, ბავშვის კვების მენიუ უნდა იყოს მრავალფეროვანი. დღედამური რაციონის კერძების ნაკრები უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვთა ორ-

განიზმის მოთხოვნილებებს ძირითად საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე, სარეკომენდაციო ასაკობრივი ნორმების გათვალისწინებით. გარდა ასაკობრივი ნორმებისა, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს სეზონურობა, აღზრდის პირობები, ჯანმრთელობის მდგომარეობა, კვების თავისებურებები და სხვ.

სკოლამდელ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს 10-დღიანი ან 2-კვირიანი პერსპექტიული მენიუ და სპეციალურად შემუშავებული კერძების კართოტეკა. პერსპექტიულ მენიუებზე დაყრდნობით, მენიუ-განრიგი უნდა შედგეს ყოველდღიურად. მასში უნდა აღინიშნოს იმ ბავშვებისა და თანამშრომლების რიცხვი, ვინც უნდა მიიღოს აღნიშნული საკვები.

ბავშვთა კვების ხარისხზე აუცილებელია, დაწესდეს ყოველ-დღიური კონტროლი: რომელიმე პროდუქტის არქონის შემთხვევაში, ის შეიძლება შეიცვალოს ძირითადი საკვები ნივთიერებების (ცილები და ცხიმები) იდენტური რაოდენობის შემცველი სხვა პროდუქტით, რისთვისაც აუცილებელია, პროდუქტების ურთიერთჩანაცვლების დადგენილი ცხრილით სარგებლობა. საკვების ულუფათა მოცულობა მკაფრად უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ასაკს. ბავშვთა კვების დღიური მენიუ აუცილებელია გამოიკრას კედელზე (მშობელთათვის).

საპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 2013 წლის 10 ოქტომბერს ააიპ ს-ოს დირექტორმა გამოსცა №... ბრძანება სააგენტოში მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფს დაევალა მონიტორინგის განხორციელება ააიპ „თბილისის №... საბავშვო ბაგა-ბალში“ და ააიპ „თბილისის №... საბავშვო ბაგა-ბალში“. დასახელებულ ბაგა-ბალებში მონიტორინგის განხორციელება ჯგუფს დაევალა სამუშაო გეგმის (ბრძანების დანართი №1) შესაბამისად. მონიტორინგის ჯგუფს შემოწმების განხორციელება და მონიტორინგის შედეგებზე დასკვნის სააგენტოში წარდგენა დაევალა 2013 წლის 24 ოქტომბრამდე.

№... საბავშვო ბაგა-ბალში ჯგუფს მონიტორინგი უნდა განეხორციელებინა შემდეგი სამუშაო გეგმის მიხედვით: 1. სოციალური და სააღმზრდელო გარემო; 2. მართვა და საქმისნარმოება; 3. კვების ბლოკი და საწყობი; 4. მონიტორინგის პროცესში, საჭიროებიდან გამომდინარე, სხვა საკითხების შესწავლა.

მონიტორინგის ჯგუფს გადაწყვეტილი ჰქონდა №... საბავშვო ბაგა-ბალის მონიტორინგი 2013 წლის 11 ოქტომბერს (პარასკევ დღეს), მაგრამ ბალისკენ გამგზავრების წინ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს დაურეკა სააგენტოს რაიონულმა კოორდინატორმა, რომელმაც აცნობა, რომ დირექტორი (მოსარჩელე) თ. გ-ე არ იქნებოდა ადგილზე ბავშვის ცუდად ყოფნის გამო, ამის

შემდეგ, მონიტორინგის ჯგუფმა გადაწყვიტა მოცემულ ბაგა-ბალში სხვა სამუშაო დღეს მისვლა.

2013 წლის 15 ოქტომბერს, სამშაბათ დღეს, დღის პირველ ნახევარში მონიტორინგის ჯგუფის სამი წევრი (მათ მოგვიანე-ბით შეუერთდა ჯგუფის წევრი, კონსულტანტი ე. დ-ი) მივიდა №... საბავშვო ბაგა-ბალში, მონიტორინგის განსახორციელებლად.

სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ №... საბავშვო ბა-გა-ბალში მისულმა მონიტორინგის ჯგუფმა ვერ შეძლო სამუშაო გეგმის შესაბამისი მონიტორინგის განხორციელება დორექტორის, მოსარჩელე თ. გ-ისა და სხვა პირების – საქმის მწარმოებლის (ბუ-ლალტრის), ექთნის, მეთოდისტის საბავშვო ბალში თავიანთ სამუშაო ადგილებზე არყოფნის გამო, ამასთან, იმის გამოც, რომ ვერ შემოწმდა დოკუმენტაცია, რომელზეც ხელი მიუწვდებოდა მხო-ლოდ დირექტორს. მონიტორინგის ჯგუფმა ნახა, რომ ალსაზ-რდელთა ელექტრონული აღრიცხვა გაკეთებული იყო. მოწმე თ. თ-ის ჩვენებით, აღრიცხვა დამლაგებელმა განახორციელა.

იმის შესახებ, რომ ბაგა-ბალის დირექტორი თ. გ-ე ამა თუ იმ ობიექტური მიზეზით არ იმყოფებოდა სამსახურში (არ მოსულა ან იყო დროებით გასული) ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით (მისი განმარტებით, ის გასული იყო, შვებულების შესახებ გან-ცხადების სააგენტოში მიტანის მიზნით), არ იცოდა არც საბავ-შვი ბაგა-ბალის რომელიმე თანამშრომელმა (მათ შორის დირექ-ტორის მოადგილემ, მოსარჩელემ თავად განაცხადა, რომ მას დირექტორის მოადგილისათვის არაფერი უთქვამს), არც საა-გენტოს შესაბამისმა თანამშრომელმა (მაგალითად, რაიონულ-მა კოორდინატორმა, რომელსაც ჰქონდა ინფორმაცია თ. გ-ის სამსახურში არყოფნის შესახებ, წინა სამუშაო დღეს, 2013 წლის 11 ოქტომბერს. მოწმე თ. თ-ის ჩვენებით, მნეს ინფორმაციით, დირექტორი ბალში ჯერ კიდევ არ იყო მისული).

ბაგა-ბალის დირექტორისათვის არ იყო ცნობილი, მისი ბაგა-ბალში არყოფნის პერიოდში ადგილზე იქნებოდნენ თუ არა სხვა პასუხისმგებელი პირები: მან არ იცოდა, რომ იმ დღეს (სამშა-ბათს) სამსახურში გამოცხადდებოდა მეთოდისტი მ. დ-ე, რო-მელიც, როგორც წესი, მუშაობდა კვირაში ორ დღეს – ორშა-ბათს და ხუთშაბათს, ხოლო ექთანი მ.გ-ი აპირებდა თუ არა (გარ-კვეული მიზეზებით) შენობიდან გასვლას. მოსარჩელისათვის ცნობილი არ იყო, იმ დღეს სამსახურში მისი ადგილზე არ ყოფ-ნისას ბაგა-ბალში მოვიდოდა თუ არა საქმის მწარმოებელი (ბუ-ლალტრი) ნ. წ-ი, რომელსაც შრომითი ხელშეერულებით ევა-ლებოდა ბაგა-ბალში კვირაში 5 დღე ემუშავა, ასევე, სხვა დაწე-სებულებაში დასაქმების გამო, ბალში კვირის გარკვეულ დღე-

ებში ცხადდებოდა.

№... საბავშვო ბაგა-ბალში მისულ მონიტორინგის ჯგუფს ადგილზე დახვდა მნე, დირექტორის მოადგილე და დამლაგებელი. მონიტორინგის ჯგუფის ადგილზე ყოფნის პერიოდში, მათ მიერ ბაგა-ბალის ტერიტორიის დატოვებამდე თანამშრომელთა სატელეფონო ზარების საფუძველზე, სხვადასხვა დროს სამსახურში მივიდნენ საქმის მნარმოებელი (ბუღალტერი), ექთანი და მეთოდისტი.

ბაგა-ბალის ტერიტორიიდან გასულ მონიტორინგის ჯგუფის წევრებს გზაზე, დაახლოებით 10-12 წუთში, შეხვდათ თ. გ-ეც.

№... საბავშვო ბაგა-ბალში მისული მონიტორინგის ჯგუფი, პირველად შევიდა კვების ბლოკში, სადაც მნემ მათ გადასცა იმ დღის მენიუ-ფაქტურა, რომელიც არ იყო დამტკიცებული დირექტორის მიერ. მასზე არ იყო დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი. აღნიშნული მენიუ-ფაქტურა, რომლითაც განერილი იყო დღის მენიუ იყო მნირი (მენიუ-ფაქტურა არ მოიცავდა აუცილებელ პროდუქტებს, ასევე, იყო არაბალანსირებული (არ იყო დაცული 1-1-4-ის პრინციპი: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები) და დღის დასაშვებ ნორმაზე (1000 კვალორია) მნიშვნელოვნად ნაკლები კალორიით (928,67 კვალორია).

მონიტორინგის ჯგუფმა 2013 წლის 23 ოქტომბერს შეადგინა დასკვნა №... საბავშვო ბაგა-ბალის შემოწმების შესახებ. დასკვნის თანახმად, ბაგა-ბალში ვერ განხორციელდა გეგმის შესაბამისი მონიტორინგი დირექტორის და სხვა პირების ბაგა-ბალში არყოფნის გამო.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მონიტორინგის პროცესში, ჯგუფის მიერ გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- მართვისა და საქმის წარმოების სფეროში გამოვლინდა, რომ „სამუშაო ადგილზე არ იმყოფებოდა დირექტორი, საქმის მნარმოებელი, ექთანი, მეთოდისტი. ზემოაღნიშნული პირები წარმოადგენენ სკოლამდელი დაწესებულების ადმინისტრაციას. მათი არყოფნა ხელისშემსლელია სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულფასოვნად და უსაფრთხოდ წარმართვისათვის. ერთდროულად დირექტორის და სხვა, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მონაწილე თანამშრომლების ბაგა-ბალში სამუშაო საათებში არყოფნა მიუთითებს დაკისრებული მოვალეობებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და პირდაპირ უქმნის საფრთხეს აღსაზრდელთა უსაფრთხოებას. გაიგეს რა მონიტორინგის შესახებ, აღნიშნული თანამშრომლები მოგვიანებით გამოცხადდნენ საბავშვო ბალში, თუმცა მათ არ წარმოუდგენიათ

სამუშაო საათებში სამსახურში საპატიო მიზეზით არყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტები“.

2. კვების ბლოკის და საწყობის მხრივ, გამოვლინდა, რომ „დღის მენიუ-ფაქტურაზე არ იყო დირექტორის ხელმოწერა და ბეჭედი. განერილი მენიუ იყო მწირი, არაბალანსირებული და 1000 კალორიაზე ნაკლები“.

3. სოციალური და სააღმზრდელო გარემოს მხრივ, გამოვლინდა, რომ „ბალის ჯგუფების შესასვლელთან არ არის გამოკრული განერილი დღის განრიგი მშობლებისათვის. არც სველ წერტილებშია თვალსაჩინო მითითებები, ცენტრების სიმცირეა“.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ თ. გ-ე გაეცნო დასკვნას, რაც მან ხელმოწერით დაადასტურა, რა დროსაც წერილობით მიუთითა, რომ არ ეთანხმება გარკვეულ საკითხებს. დადგინდა მენიუ-ფაქტურის მინიმალურ სტანდარტებთან შეუსაბამობის არა ერთი შემთხვევა, სახელდობრ, 2013 წლის ოქტომბრის თვეში დადგინდა 11 ასეთი შემთხვევა.

2013 წლის 8 ნოემბერს მოპასუხე სააგენტოს დირექტორმა გამოსცა №... ბრძანება „თ. გ-ის თანადებობიდან გათავისუფლების შესახებ“. დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის გამო, აღნიშნული ბრძანებით თ. გ-ე თანამდებობიდან გათვალისწილდა 2013 წლის 8 ნოემბრიდან. ბრძანებაში მისი გამოცემის საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტსა და სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის 2013 წლის 23 ოქტომბრის დასკვნაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მესუთე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე. ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს იმ მოთხოვნებს, რომელთაც საკასაციო საჩივარი უნდა შეიცავდეს და ეფუძნებოდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები სამოქალაქო საპროცესო

კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული არც ერთი ზემოთ მითითებული საფუძვლით.

სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებოთად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს ნარმატების პერსპექტივა.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-საზრისით, ვინაიდან მოცემულ საქმეზე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტაბილური პრაქტიკა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვას ნარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდეხად, საკასაციო პალატა თვლის, რომ კასატორ თ. გ-ეს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით ი. მ-ის მიერ 2014 წლის 12 დეკემბერს №2 საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. გ-ის საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ თ. გ-ეს (პირადი №.....) სახელმწიფო ბიუჯეტი-დან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით ი. მ-ის მიერ 2014 წლის 12 დეკემბერს №2 საგადახდო დავალებით გადახდილი 300 ლარის 70% – 210 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## **შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები; კომანდაციის გადახდა**

### **განხილვა**

№ას-122-114-2015

23 მარტი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** კომპენსაციის გადახდა, გამოუყენებელი შვე-  
ბულების თანხის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. გ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ე. ე.  
სას“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის კომპენ-  
საციის – სამი თვის ხელფასის, 12 000 ლარის. ასევე – 2013 წლის  
გამოუყენებელი შვებულების თანხის, 4000 ლარის (ხელზე ასა-  
ლები) დაკისრება.

მოპასუხე მ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2014 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით ზ. გ-ის სარ-  
ჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა ზ. გ-ის მი-  
ერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების  
გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკ-  
მაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 01 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ.გ-  
ის სააპელაციო საჩივრი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის  
საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014  
წლის 28 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი  
გადაწყვეტილება. ზ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. შპს „ე. ე.  
სა-ს“ ზ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სამი თვის ხელფასის ანაზ-  
ღაურება 12 000 ლარის ოდენობით. შპს „ე. ე. სა-ს“ ზ.გ-ის სასარ-  
გებლოდ დაეკისრა საშვებულებო თანხის ანაზღაურება 4000  
ლარის ოდენობით.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ  
დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე,

რომ ზ.გ-ის ყოველთვიური ანაზღაურება შპს „ე. ე. სა-ში“ შეადგენდა 4000 ლარს. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ დოკუმენტებზე, რომლითაც ირკვეოდა, რომ მოსარჩელე ზ. გ-ეს 2011 წლის 01 თებერვლიდან შრომითი ურთიერთობა ჰქონდა შპს „ე. ე. სა-სთან“.

2011 წლის 01 თებერვალს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით (რომელიც მოქმედებდა 2011 წლის 31 დეკემბრამდე) ზ. გ-ე დაინიშნა მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე, ხოლო მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვრა 3000 ლარით (ხელზე ასაღები).

2012 წლის 01 ივლისის შეთანხმებით, 2011 წლის 01 თებერვლით დათარიღებულ შრომით ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა რამდენიმე ცვლილება-დამატება, სახელდობრ, შეთანხმებით შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2012 წლის 31 დეკემბრამდე; 2012 წლის 01 ივლისიდან, მოსარჩელის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვრა 4000 ლარით (ხელზე ასაღები).

2012 წლის 28 დეკემბრის შეთანხმებით, 2011 წლის 01 თებერვალს გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა რამდენიმე ცვლილება-დამატება: შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა 2013 წლის 31 დეკემბრამდე; 2013 წლის 01 იანვრიდან, მოსარჩელის ყოველთვიური ხელფასი განისაზღვრა 4000 ლარით (ხელზე ასაღები).

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ზ. გ-ის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, სახელდობრ, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლზე, რომელიც არეგულირებს შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებს. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა. შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა ნიშანავს შრომითსამართლებრივი ურთიერთობის დასრულებას დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, რაც შეიძლება, განხორციელდეს სხვადასხვა მიზეზითა და საფუძვლით, როგორიცაა: შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა, შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მხარეთა შეთანხმება და ა.შ. აღნიშნული საფუძვლები განმტკიცებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლში. როგორც აღნიშნეთ, შრომითი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ, შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევისას შეწყვი-

ტონ შრომითი ხელშეკრულება. პრაქტიკაში, აღნიშნული ნორმა, უმეტესნილად დამსაქმებლის უფლების გამოყენებით გამოიხატება, კერძოდ, დამსაქმებლი დასაქმებულთან წყვეტის შრომით ხელშეკრულებას დასაქმებულის მიერ შრომითი პირობების დარღვევის გამო. ამიტომ, ამ საფუძვლით შრომითი ურთიერთობის მოშლა, რასაც შედეგად უკავშირდება დასაქმებულის შრომითი უფლების შეწყვეტა, მოითხოვს შეწყვეტის საფუძვლის ძალიან დეტალურ და გულმოდგინე შესწავლასა და შეფასებას, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია მხარეთა შორის (დამსაქმებელ-დასაქმებულს) სამართლიან ბალანსის დასაცავად. ერთი მხრივ, დასაქმებულს უსაფუძვლოდ არ უნდა შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულება და ამით არ მოესპოს საარსებო საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, დამსაქმებელს არ უნდა შეეზღუდოს შრომითი მოვალეობების დამრღვევი მუშავის სამუშაოდან გათავისუფლების უფლება და მისთვის მიუღებელი მუშავის სამუშაოზე დატოვებით არ უნდა შეექმნას გარკვეული რისკები. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საერთაშორისო აღიარებული სტანდარტია, რომ დასაქმებულის სამუშაო ადგილიდან დათხოვნისას, თუნდაც, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის წინაპირობებისას, უნდა არსებობენ გათავისუფლების გონივრული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულებაზე, რომლის საფუძველზე შექმნილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო). მის ფარგლებშიც შემუშავებულია შრომითი უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და კონვენციები. ერთ-ერთი მათგანია შსო-ს №158 შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კონვენცია, რომელიც 1982 წელს არის მიღებული და ითვალისწინებს გონივრული საფუძვლის ცნებას. კონვენციის მიხედვით, „გონივრულობის“ პრინციპი ასახული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ დონეზე და განმტკიცებული უნდა იყოს საკანონმდებლო სისტემაში. „რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი 158-ე კონვენციის მონაწილე მხარე არ არის, მას „გონივრული საფუძვლის“ პრინციპის კონვენციისეული მნიშვნელობით შიდასახელმწიფოებრივ დონეზე დანერგვის მოვალეობა იმავე ხარისხითა და მოცულობით აკისრია, როგორც ეს – კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს. საქართველოს ეს საერთაშორისო ვალდებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლიდან გამომდინარეობს“. სამოქალაქო საქმეთა პალატამ, ასე-

ვე, განმარტა, რომ „შრომით ურთიერთობაში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მასთან თანხვედრაშია, კერძოდ, კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნა შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას, რაც უკავშირდება დასაქმებულის შესაძლებლობებსა და ქცევის წესს ან დაწესებულების, საწარმოს აუცილებლობას ან სამსახურს“.

აღნიშნული კონვენციის სრული სათაურია „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ კონვენცია“. შესაბამისად, იგი ძირითადად დასაქმებულის უკანონო საფუძვლით დათხოვნისაგან დაცვაზეა ორიენტირებული, თუმცა ამავე დროს, კონვენცია მიზნად ისხავს წონასწორობის დამყარებას შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის. კონვენცია ითვალისწინებს დასაქმებულის დაცვას დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, მაგრამ არა ნებისმიერი შემთხვევაში. ამ მხრივ კონცენცია შეიცავს სპეციალურ დათქმებს, რაც დამსაქმებელს უფლებას აძლევს, გაათავისუფლოს მუშაკი გარკვეული წინაპირობების არსებობისას. ამგვარი დათქმები გაბნეულია სხვადასხვა მუხლში, ასე მაგ. მუხლი მე-2.მ, მე-4, მ. მე-11.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კონვენცია მოიცავს რეგულაციებს იმის თაობაზე, თუ რა მიიჩნევა მუშაკის უკანონო დათხოვნად, ისევე, როგორც – რა არ ჩაითვლება ამ ქმდებად. კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, მუშაკის დათხოვნის გონივრული საფუძველი უნდა უკავშირდებოდეს: ა) მუშაკის არაკომპეტენტურობასთან ანდა არასათანადო ქცევას; ბ) უნდა მომდინარეობდეს საწარმოს, დაწესებულება თუ მათი სერვისის ოპერაციული საჭიროებიდან. ამგვარი კვალიფიკაციის მინიჭებისას მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საზედამედველო ორგანოს – ექსპერტთა კომიტეტის კომენტარები, გადაწყვეტილებები და საერთაშორისო შრომით რეკომენდაციები, რომელთაც, მართალია, სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ, მაგრამ განმარტავენ კონვენციის ტექსტს, რეგულირების მასშტაბებს და ისინი შესაძლოა, ნარმოდგენილ იქნას, როგორც შთაგონების წყარო კანონმდებლობისა და ეროვნული სასამართლოებისათვის. შსო-ს ექსპერტთა კომისიის 1995 წლის მოხსენებაში მიმოხილულია „არასათანადო ქცევის“ კონცეფცია, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ორ კომპონენტად: 1) მუშა-მოსამსახურეთა მიერ შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებული მოვალეობების არაჯეროვანი

შესრულება (არასათანადო პროფესიული ქცევა); 2) შეუფერებელი ყოფაქცევა.

მუშაკის მიერ „შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაში იგულისხმება:

– სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების უგულებელყოფა;

– შრომის შინაგანანების დარღვევა (განსაკუთრებით, უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის დაცვის წესების კუთხით);

– დამსაქმებლის ლეგიტიმური ბრძანების დაუმორჩილებლობა;

– არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე დაგვიანება ან საერთოდ გამოუცხადებლობა“.

ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლები წარმოადგენს დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების გონივრულ, ლეგიტიმურ საფუძვლებს. შესაბამისად, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს საკითხი: მოსარჩევე რომელ საფუძვლებზე დაყრდნობით გათავისუფლდა და არსებობდა თუ არა საკმარისი მტკიცებულებები ამისათვის. უნდა შეფასდეს რაში გამოიხატა მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, რომელიც, შესაძლოა, მივიჩნიოთ იმ დოზის შრომით სამართალდარღვევად, რომ მისი გათავისუფლება გონივრული საფუძვლის არეალში მოთავსდეს.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, 2013 წლის 10 ივნისის ბრძანებაში საფუძველი არ იყო მითითებული, თუმცა სარჩელის პასუხად სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში მოპასუხე კომპანიამ განმარტა, რომ ზ. გ-ე სამსახურიდან გათავისუფლეს მის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო.

შპს „ე. ე. სა“ ზ.გ-ის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად მიუთითებს სამ გარემოებაზე: 1) შპს „რ. ა-ის“ დასკვნით დადგენილ დარღვევებზე, რომლითაც დგინდება მოსარჩელის არაკეთილიფიციურობა; 2) დასაქმებულის არაკეთილსინდისიერებაზე, რაც გამოიხატა მაჟორიტარი პარტნიორი კომპანიის დირექტორის მიერ დასახელებული უფლებამოსილი პირის მითითებების შეუსრულებლობაში და 3) ანგარიშფაქტურას, რომლის მიხედვითაც დგინდება ფინანსური დარღვევები. ამ უკანასკნელ გარემოებაზე სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იმ საფუძვლით, რომ მითითებულ გარემოებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსარჩელის საწინააღმდეგო დასკვნა არ გამოუტანია. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ასკვნიდა დამსაქმებლის მიერ მოსარჩე-

ლისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების მართლზომიერებას, მოცემულ გარემოებას არ დაფუძნებია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და ნორმით დადგენილ მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესზე, რომელიც შრომითსამართლებრივ დავებში გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ დასაქმებულია ვალდებული ამტკიცოს დათხოვნის მართლზომიერება. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება მასზე, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან განაპირობებს მტკიცების ტვირთის შებრუნებას დამსაქმებულის მხარეს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, სწორედ მოპასუხე იყო ვალდებული სათანადო მტკიცებულებებით დაედასტურებინა ზ. გ-ის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი.

შპს „რ. ა-ის“ დასკვნების შესაბამისად, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აუდიტორულმა კომპანიამ ჩაატარა შემოწმება და გამოიტანა პირობითი დასკვნა, რომლის მიხედვითაც გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

- ორგანიზაციაში არ ტარდება ძირითადი საშუალებების ინვენტარზარით საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით;

- არ არის მშენებლობის დროს გახარჯული მასალის ჩამოწერის, შესრულებული სამუშაოს და საწვავის ჩამოწერის აქტები;

- შპს „ე. ე. სა-ში“ პროგრამულად არ აღირიცხება და ვერ მოიძებნა სალაროს გასავლის ან შემოსავლის ორდერები, მაშინ, როდესაც ფიქსირდება: სალარო აპარატები, პროდუქტის რეალიზაციის დროს ნაღდი ფულის მიმღები პირები, შემდგომ კი – ნაღდი ფულის აკუმულირება და შეტანა ბანქში.

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილ იქნა, რომ აუდიტმა შექმნა ზოგადი შინაარსის დასკვნა, რომლის მიხედვითაც ვერ დგინდებოდა ვერცერთი კონკრეტული დარღვევა, რომელიც შეიძლება, გამომდინარეობდეს მოსარჩელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებიდან. აღნიშნული შეფასების საფუძველს სააპელაციო პალატას აძლევდა შემდეგი გარემოებები:

საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნები არ იყო სათანადო დასაბუთებული და იგი სარწმუნოდ არ ადასტურებდა იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე არღვევდა დაკისრებულ შრომით მოვალეობებს.

თავად მოპასუხის წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაადასტურა, რომ, მაგალითად, აუდიტის რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა ორგანიზაციაში

ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მოსარჩელის მოვალეობად შრომითი ხელშეკრულების პირობებში არ შედიოდა (იხ. 2014 წლის 17 ნოემბრის სხდომის ოქტომბერი 16:52:36 წთ-დან). მათ მხოლოდ ზოგადად მიუთითეს ბუღალტრის მოვალეობებზე, თუმცა ვერ განმარტეს, თუ რაში გამოიხატა ზ.გ-ის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების კონკრეტული პირობის დარღვევა.

პალატამ აღნიშნა, რომ აუდიტორული დასკვნის შეფასებისას, (იმდენად რამდენადაც აუდიტის დასკვნა სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კომპეტენციას ეფუძნება) ყურადღება უნდა მიექცეს რამდენიმე გარემოებას, მათ შორის: გამოსაკვლევად მინოდებულ მასალას, მის კვლევით ნაწილს, რადგან სწორედ კვლევითი ნაწილის შედეგი აისახება საბოლოო დასკვნაში. განსახილველ შემთხვევაში, საერთოდ გაურკვეველი იყო, აუდიტორმა რა მასალებზე დაყრდნობით ჩაატარა აუდიტორული კვლევა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ აუდიტორული დასკვნები საემბოდ ზედაპირული ხასიათისაა, ვინაიდან, არ დგინდებოდა, რომ აუდიტორმა იხელმძღვანელა დასკვნის მომზადებისათვის აუცილებელი და საკმარისი დოკუმენტაციით.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, აუდიტის დასკვნა არ შეიცავდა მითითებას იმის თაობაზე, რომ ზ. გ-ე არ ატარებდა ძირითად საშუალებათა ინვენტარიზაციას, არამედ დასკვნაში მითითებული იყო, რომ ინვენტარიზაცია საერთაშორისო სტანდარტების უგულვებელყოფით მიმდინარეობდა. მოპასუხე მხარემ ვერ დაადასტურა, რომ საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრება და შემოღება ინვენტარიზაციის პროცესში წარმოადგენდა ზ.გ-ის, როგორც მთავარი ბუღალტრის, უშუალო შრომით სახელშეკრულებო ვალღებულებას.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ბუნდოვანია მითითება მშენებლობის დროს გახარჯული მასალისა და საწვავის ჩამონერის აქტების არარსებობაზე, რადგან არ დგინდება თავად ასეთი სამშენებლო მასალისა და საწვავის გახარჯვის ფაქტები. აღნიშნული უნდა დადგენილიყო შესაბამისი აქტებით, რაც მოპასუხე მხარეს არ წარმოუდგენია. ამ აქტების არარსებობა სათუოს ხდის აუდიტის დასკვნის შედეგებს, მით უფრო, იმ პირობებში, როდესაც კომპანიამ თავად მიაწოდა მასალები აუდიტს შესამონმებლად და მასალის მოხმარებისა და გახარჯვის აქტების მიწოდებაც სწორედ კომპანიას ხელეწიფებოდა. აუდიტის დასკვნა ბუნდოვანია იმ ნაწილშიც, რომელშიც იგი უთითებს სალაროს გასავლისა და შემოსავლის ორდერების არარსებობაზე, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდება

კონკრეტულად რა ოპერაციებზეა საუბარი და ასევე არც ის დასტურდება, რომ ამ დოკუმენტების გამოთხოვის მიზნით მიმართეს ბულალტერს და მან არ გადასცა ისინი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ დამსაქმებლის მიერ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა იყო ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი, იგი არ ქმნიდა პირის მიერ შრომითი მოვალეობების დარღვევის დადგენისათვის ურყევ რჩმენას, მისი მეშვეობით არ დგინდებოდა უთანხმოების კვალიფიციური მოტივები დასკვნაში აღწერილ დაუდასტურებელ გარემოებებსა და მოსარჩელის კონკრეტულ ქმედებებს შორის. შესაბამისად, პალატა ამ დასკვნებს უკრიტიკოდ ვერ გაიზიარებდა, ვინაიდან მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისმობდა მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სანრმუნოობის) შემოწმებას. აღნიშნული მეთოდების გამოყენების შედეგად კი პალატა მოცემულ დასკვნებს არ მიიჩნევდა საკმარის მტკიცებულებად მოსარჩელის მხრიდან შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე პირობის დარღვევის დადასტურებისათვის.

მოსარჩელის გათავისუფლების საფუძვლად დამსაქმებელი კომპანია, ასევე უთითებდა მის არაკეთილსინდისიერებაზე, რაც გამოიხატა ხელმძღვანელი პირებისადმი დაუმორჩილებლობაში.

საქმის მასალებით დგინდებოდა, რომ შპს „ე. ე. სა“ დაფუძნდა 2008 წელს. მისი პარტნიორები (დამფუძნებლები) არიან: გ. ჭ-ი (40% ნილი) და „კ. მ. ჰ. ა. სი“, მდებარე ნ-ის კუნძულებზე (60% ნილი). შპს „ე. ე. სა-ს“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა: 2010 წლის 30 დეკემბრიდან 2013 წლის 19 აპრილამდე – ზ. ჯ-ე; 2013 წლის 19 აპრილიდან 2014 წლის 25 თებერვლამდე – რ. ს-ია.

მოპასუხე კომპანიის 60% ნილის მფლობელი პარტნიორი არ ინიცირდა კომპანიის სახელით წარმოებულ ფინანსურ ოპერაციებს, ამავე დროს, ის უქმაყოფილ იყო კომპანიის მართვით.

მოპასუხე კომპანიის დირექტორ ზ. (ზ.) ჯ-სა და 40% ნილის მფლობელ გ. (გ.) ჭ-ის მიმართ წარმოშობილი უნდობლობის გამო, კომპანიაში 60% ნილის მფლობელი კომპანიის დირექტორმა („მაჟორიტარმა“ პარტნიორმა) თავის სრულ და ერთადერთ უფლებამოსილ პირად (წარმომადგენლად) დანიშნა რ. ს-ია (რომელიც იმ დროს ჯერ კიდევ არ იყო დირექტორი).

პარტნიორი კომპანიის დირექტორი ს. პ. პ-ი. მოსარჩელე ზ. გ-ეს, 2013 წლის 1 მარტის ელექტრონული წერილით ატყობი-

ნებდა შემდეგს: „... განცვიფრებული ვარ, „ე-ში“ არსებული ფინანსური თაღლითობის აღმოჩენით... ზ. ჯ-სა და გ. ჭ-ს არ უნდა ჰქონდეთ არავითარი უფლებამოსილება „ე. ე. სა-ს“... ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით და არ უნდა ჰქონდეთ უფლება შევიდნენ ფინანსურ ურთიერთობაში ან სხვა სახის ვალდებულებით ურთიერთობაში კომპანიის სახელით... გნიშნავ რ. ს-იას სრულ და ერთადერთ უფლებამოსილ პირად, რათა განკარგოს საბანკო საქმეები და დაამტკიცოს კომპანიის ფინანსური და სხვა სახის ვალდებულებები...“.

ზემოაღნიშნული, 2013 წლის 1 მარტის ელექტრონული წერილით, 60% წლის მფლობელმა პარტნიორმა კომპანიის დირექტორმა ზ. გ-ეს დაავალა მისი წარმომადგენელი რ. ს-იას ინსტრუქციების შესრულება, გამოთქვა ზ.გ-ის, როგორც მთავარი ბუღალტრის მხრიდან, მასთან და რ. ს-იასთან თანამაშრომლობის იმედი, კომპანიიდან მოპარული ფულის გამოვლენის საქმეში. ელექტრონულ წერილში აღნიშნულია შემდეგი: „... თქვენ ვალდებული ხართ შეასრულოთ რ-ის ინსტრუქციები. თუ რაიმე გადახდა განხორციელდება ამ ანგარიშებიდან რ-ის წებართვის გარეშე, მე დაუყოვნებლივ დავაყენებ პასუხისმგებელი პირების წინააღმდეგ გამოძიების დაწყების საკითხს... შესაძლოა, ბატონმა ჯ-ემ ანდა ბატონმა ჭ-მა გთხოვთ „ე. ე. სა-ს“... საბუღალტრო დოკუმენტების კორექტირება, რათა დაფარონ თავიანთი თაღლითური საქმიანობა. მე აპსოლუტურად გიკრძალავთ, შეასრულოთ მათ მიერ გატარებული ნებისმიერი (ასეთი) ინსტრუქცია... ვიმედოვნებ, ითანამშრომლებთ რ-სთან და ჩემთან. ჩვენ ვცდილობთ გამოვავლინოთ კომპანიიდან მოპარული თანხები... გპირდებით სამართლიანობას და გულუხვად დაჯილდოებას, თუმცა, თუ აღმოგაჩინთ, რომ არ თანამშრომლობთ ჩვენს გამოძიებასთან, არ გვექნება სხვა გამოსავალი, გარდა სამართლებრივი ქმედებების დაწყებისა“.

მოსარჩევე ზ. გ-ე დაეთანხმა 60% წლის მფლობელი პარტნიორი კომპანიის დირექტორის წინადადებებს: მას არ უთქვამს, რომ რომელიმე საკითხი (მაგ. რ. ს-იას ინსტრუქციების შესრულების ვალდებულება და ა.შ.) მისთვის მიუღებელი იყო.

ზ. გ-ე ს. პ. პ-სთვის, პასუხად მინერილ ელექტრონულ წერილში წერს: 1... თქვენი პირობები მისაღებია ჩემთვის და გავაგრძელებ თქვენი მითითებების შესაბამისად.

საქმის მასალებით დგინდება, რომ მოსარჩევე გარკვეული პერიოდი ასრულებდა პარტნიორი კომპანიის დირექტორის მოთხოვნას მისთვის (მისი წარმომადგენლის – რ. ს-იასათვის) კომპანიის ფინანსური ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, 2013

წლის 15 მარტიდან 23 აპრილამდე პერიოდში კი, მას კომპანიის პარტნიორისა და მისი უფლებამოსილი პირის ეს დავალება არ შეუსრულებია: აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება მოსარჩე-ლეს არ უარყვია, თუმცა განმარტა, რომ ის პასუხისმგებელი იყო მხოლოდ კომპანიის დირექტორის წინაშე; 2013 წლის 15 მარტიდან 19 აპრილამდე კი, რ. ს-ია დირექტორი არ იყო. მართალია, ის დირექტორად დარეგისტრირდა 2013 წლის 19 აპრილს, მაგრამ შემდეგი დღეები დამთხვა შაბათ-კვირას – „უქმე არა-სამუშაო“ დღეებს.

სააპელაციო პალატა იზიარებს აპელანტის განმარტებას, რომ რ. ს-იას ინსტრუქციების შესრულება მოსარჩელეს არ ევა-ლებოდა კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით – სანარ-მოს დირექტორი გარკვეული პერიოდის შემდეგ გახდა რ. ს-ია. აღნიშნული მოსაზრება სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსამართლის შეკითხვაზე პასუხის გაცემისას თავად მოპასუ-ხე მხარემ არ უარყო, თუმცა განმარტა, რომ მოსარჩელის ამ-გვარი ვალდებულება ეკისრებოდა კეთილსინდისიერების პრინ-ციპს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამარ-თლომ განმარტა შემდეგი: კეთილსინდისიერად ქცევის ვალდე-ბულება სამოქალაქო ურთიერთობებში გააჩნია ორივე მხარეს, როგორც დასაქმებულს, ისე დამსაქმებელს, გამომდინარე სა-მოქალაქო კოდექსის 8.3 მუხლიდან. მოცემულ სადაცო სამარ-თალურთიერთობაში ყურადღება უნდა მიექცეს კერძო სამარ-თლის სუბიექტის (განსახილველ შემთხვევაში – შპს) მაჟორი-ტარ პარტნიორსა და შპს-ს თანამშრომელს შორის ურთიერთო-ბის ფორმებისა და მისი სამართლებრივი შედეგების „მეწარმე-თა შესახებ“ კანონით განსაზღვრულ წესთან შესაბამისობას. აღ-ნიშნული კანონის 9.6 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, პარ-ტნიორთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას დირექტო-რების დანიშვნისა და გამოწვევის, მათთან ხელშეკრულებების დადებისა და შეწყვეტის, აგრეთვე, მათი ანგარიშების დამტკი-ცების შესახებ; ის გარემოება, რომ 60%-იანი წილის მფლობელ პარტნიორს გააჩნია გარკვეული უთანხმოება მოქმედ დირექ-ტორთან და მისი შეცვლის სურვილი, არ ანიჭებს მას კანონით ან წესდებით განსაზღვრული პროცედურის გარეშე დირექტო-რის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამეწარმეო საზო-გადოებაში შპს-ს დირექტორსა და ბუღალტერს შორის ურთი-ერთობა ერთგვარ სუბორდინაციულ ხასიათს ატარებდა. აქე-დან გამომდინარე კი, ბუღალტორისათვის მაჟორიტარი პარტნი-

ორის მიერ მოქმედი დირექტორის დავალებების იგნორირება, ვიდრე დირექტორი ლეგიტიმური გზით შეიცვლებოდა თავად მაჟორიტარი პარტნიორის მხრიდან წარმოადგენდა არაეთიკურ საქციელს.

ვინაიდან მოპასუხებ მოსარჩელის გათავისუფლების საფუძვლად მიუთითა ზ. გ-ის მხრიდან მაჟორიტარი პარტნიორი კომპანიის დირექტორის მიერ დასახელებული უფლებამოსილი პირის მითითებების შეუსრულებლობა, ცხადია, მას პრეტენზია გააჩნდა მოსარჩელის, როგორც დასაქმებულის „არასათანადო ქცევასთან“ დაკავშირებით.

„არაკომპეტენტურობა არასათანადო ქცევისაგან განსხვავდება იმით, რომ ამ უკანასკნელის დასადგენად საჭიროა გარკვეული ხარისხით გამოიყეთოს დასაქმებულის „ბრალეულობა“. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ბრალეულობა გამოირიცხა, ვინაიდან, მოპასუხებ ვერ უთითებდა, რომელი სტანდარტი დაირღვა მოსარჩელის მიერ.

ბრალეულობის კონტექსტში ყურადღება მიექცა იმასაც, თუ რა ზიანი მიადგა დამსაქმებელი ორგანიზაციის ინტერესებს და-საქმებულის ისეთი ქმედებით, რომლის ჩადენის სურვილი ან და შინაგანი თანხმობა დასაქმებულს გააჩნდა. ზ. გ-ის მიერ გამოვლენილ ამგვარ ბრალეულ ქცევასა და ამით გამოწვეულ საზიანი შედეგებზე მოპასუხე ვერ უთითებდა. შესაბამისად, მითითებული მეორე საფუძვლითაც არ დგინდებოდა მოსარჩელის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების დარღვევა. მაშასადამე, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზ. გ-ე საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, არამართლზომიერად გათავისუფლდა სამსახურიდან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ასევე 362-ე მუხლის მეორე ნაწილზე და აღნიშნა, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების 4.2. მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ დასაქმებულისათვის, ხელშეკრულების შეწყვეტის სამი თვის ხელფასის ოდენობით თანხის გადახდის ვალდებულება უშუალოდ უკავშირდება დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლას (შეწყვეტას). შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრება ვალდებულება, აუნაზღაუროს ზ. გ-ეს სამი თვის ხელფასი 12 000 ლარი, რადგან ცალმხრივად შეწყვეტა ხელშეკრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. რაც შეეხება შვებულების კომ-

პენსაციის მოთხოვნას, პალატამ განმარტა შემდეგი: სშკ-ის 21.1 მუხლის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღით.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1936 წლის №52-ე კონვენციის – „ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების შესახებ“ (რატიფიცირებულია საქართველოს მიერ 1993წ.) მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია მენარმის მიზეზით, მაგრამ, ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის, ამ კონვენციის შესაბამისად, იდებს კომპენსაციას. „განსახილველი ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას დასაქმებულს შეუძლია მოითხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით არ შეიძლება დასაქმებულს წაერთვას შვებულების უფლება, რომელსაც იგი სავარაუდოდ გამოიყენებდა“. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილია დამსაქმებლის (მენარმის) მიერ მოსარჩევესთან შრომითი ურთიერთობის უკანონოდ შეწყვეტა, რაც დასაქმებულისათვის შვებულების კომპენსაციის – გათავისუფლებამდე არსებული ერთი თვის ხელფასის – 4000 ლარის გადახდის წინაპირობას ქმნის.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შპს „ე. ე. სა-მ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არა-სათანადოდ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისი ნორმა და კონვენცია და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

განსახილველ შემთხვევაში, ბუღალტრისათვის დაკისრებული მივალეობების შეუსრულებლობის დასადასტურებლად საქმეში წარდგენილ იქნა აუდიტორიული დასკვნები, რომელიც ასახავდა კომპანიაში 2013 წლის 01 იანვრიდან მოსარჩელის ზ. გ-ის გათავისუფლებამდე არსებულ დარღვევებსა და ბუღალტრული ოპერაციების არასწორ წარმოებას, კერძოდ, ამ დასკვნებში აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაციაში არ ტარდებოდა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით; ვერ იქნა მიღებული რჩმუნება ანგარიშგებაში წარმოდგენილი ძირითადი საშუალებების სისრულის შესახებ; სანარმოში არ აღმოჩნდა გახარჯული მასალის, შესრულე-

ბული სამუშაოსა და საწვავის ჩამონერის აქტები; არ დადასტურდა კომპანიაში სალაროს პროგრამული აღრიცხვის წარმოება, გასავლისა და შემოსავლის ორდერების არსებობა, მაშინ, როდესაც ფიქსირდებოდა: სალარო აპარატები, პირები, რომლებიც პროდუქტის რეალიზაციისას იღებდნენ ნაღდ ფულს, შემდგომ ხდებოდა ნაღდი ფულის აკუმულირება და ბანკში შეტანა; საწარმოს არ ჰქონდა დადგენილი დანაკარგის ნორმები პროდუქტის რეალიზაციისას; არ იყო სრულად გათვალისწინებული წინა აუდიტორის შენიშვნები და რეკომენდაციები.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიჩნია, რომ 20.07.2013-ის დასკვნები იყო ზედაპირული და არ წარმოადგენდა საწარმოში არსებული ფინანსური დარღვევების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებას, რაც, კასატორის მოსაზრებით, უმართებულო. კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ იმაზე მაღალი სტანდარტი დაუნესა დამსაქმებელს, ვიდრე ეს გამომდინარეობდა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებითან. მართალია, შრომით დავებში დამსაქმებელ ორგანიზაციას ეკისრებოდა მტკიცების ტვირთი, დაედასტურებინა დასაქმებულის მიერ ვალდებულების დარღვევა, მაგრამ მისი ეს საპროცესო მოვალეობა არ უნდა ყოფილიყო უპირობო და აბსოლუტური ვალდებულება, რითაც გამოირიცხებოდა ცალკეულ შემთხვევებში, დასაქმებულის ვალდებულება, დაემტკიცებინა თავისი პოზიცია.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს კანონი „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტის შესახებ“ და შრომის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილი, როდესაც მიუთითა, რომ კასატორმა ვერ დაამტკიცა ძირითადი საშუალებების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინვენტარიზაციის დასაქმებულის სახელშეკრულებო ვალდებულებისადმი მიკუთვნება. მხარეთა შორის 2011 წლის 01 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების 1.2 მუხლის თანახმად, დასაქმებული კისრულობდა ვალდებულებას, შეესრულებინა ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებული სამუშაო იმ რეზიმით, მოცულობითა და გრაფიკით, რომელიც განსაზღვრული იყო ხელშეკრულებით, სამუშაოზე დანიშვნის ბრძანებითა და მოქმედი კანონმდებლობით. ამავე ხელშეკრულების 1.3 მუხლით კი, დადგენილი იყო, რომ დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ურთიერთობებს არეგულირებდა, როგორც შრომითი ხელშეკრულება, ისე მოქმედი კანონმდებლობა ე.ი, მათ შორის, შრომის კოდექსი, სამოქალაქო

კოდექსი, აგრეთვე, ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სფეროში არსებული სპეციალური კანონი „ბულალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“.

შრომითი ურთიერთობის სუბორდინაციული ხასიათიდან გამომდინარე (საქართველოს შრომის კოდექსის მე-11 მუხლი) დამსაქმებელს, როგორც წესი, აქვს უფლება, გასცეს შესაბამისი მითითებები, რომლებიც ხელშეკრულების საგნიდან, მისი სპეციფიკიდან გამომდინარეობს და რომელთა შესრულებაც უკეთ უზრუნველყოფს დამსაქმებლის, როგორც მესაკუთრის, საანარმოო თუ სხვა ინტერესების განხორციელებას. ამრიგად, ზ. გ-ეს ევალებოდა ბულალტრული ანგარიშგების შესრულება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ შრომითი ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა მისი უფლება-მოვალეობებს ამომწნურავ ჩამონათვალს.

კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ 2013 წლის 15 მარტიდან იმავე წლის 23 პპრილამდე ზ. გ-ის მიერ რ. ს-იასთვის შპს „ე. ე. სა-ს“ თაობაზე ფინანსური ინფორმაციის მიუწოდებლობით მას არ დაურღვევია დამსაქმებლის წინაშე შრომითი ვალდებულებები ვინაიდან, 2013 წლის 19 პპრილამდე რ. ს-ია ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, დირექტორის უფლებამოსილებით აღჭურვილი ჯერ კიდევ არ იყო.

კასატორის მოსაზრებით, ვინაიდან, დამსაქმებელ სუბიექტს საანარმო, – შპს „ე. ე. სა“ წარმოადგენდა და შექმნილი ვითარების გათვალისწინებით დასაქმებულს ევალებოდა განსაკუთრებული გულისხმიერება (ს-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწ.) და უნდა მიეწოდებინა რეალური მმართველისათვის – რ. ს-იასთვის კომპანიაში არსებული ფინანსური ინფორმაცია. მით უმეტეს, რომ გ-ე თავდაპირველად დაეთანხმა პარტნიორი საანარმოს დირექტორის წერილს შეესრულებინა აღნიშნული ვალდებულება და გარკვეული დროის განმავლობაში ასრულებდა შას.

კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა „ყოველწლიური ფასიანი შვებულების შესახებ“ კონვენციის მე-6 მუხლი, ვინაიდან საქმეში არსებული მტკიცებულებებით სათანადოდა დადასტურებული გ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტი მის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო და არა მეწარმის მიზეზით. გარდა ამისა, არ არსებობდა დასაქმებულის ნება შვებულებით სარგებლობის თაობაზე, რომელიც უნდა მისვლოდა კასატორს. ამასთან, არასწორია ზ.გ-ისათვის მთლიანი საშვებულებო თანხის ანაზღაურება,

რადგან მხარეებმა რამდენჯერმე გააგრძელეს 2011 წელს 01 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა. შრომითი ხელშეკრულება კი, ისე შეწყდა, რომ ნახევარი წელიც არ ყოფილა გასული შრომითი ურთიერთობის გაგრძელებიდან. ამრიგად, სწორედ შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციულად უნდა მინიჭებულიყო ზ. გ-ისათვის გამოუყენებელი შვებულებისათვის კომპენსაციის მიღების უფლება. ეს გამომდინარეობდა თავად ანაზღაურებადი შვებულების, როგორც ინსტიტუტის არსიდან. კანონის თანახმად, დასაქმებული იღებს არა უმეტეს 24 სამუშაო დღის შვებულების გამოყენების უფლებას მთელი წლის განმავლობაში სამუშაოს შესრულებისათვის. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება არ იყვეთებოდა, დაუსაბუთებელი იყო ერთ თვის საკომპენსაციო თანხის (4000 ლარის) მოსარჩელისათვის მიკუთვნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 09 თებერვლის განჩინებით შპს „ე. ე. სა-ს“ საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „ე. ე. სა-ს“ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ზ. გ-ის ყოველთვიური ანაზღაურება შპს „ე. ე. სა-ში“ შეადგენდა 4000 ლარს. მისი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 10 ივნისის ბრძანებაში, მართალია, არ იყო მითითებული ფაქტობრივი საფუძველი, თუმცა სარჩელის პასუხად სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში მოპასუხე კომპანიამ განმარტა, რომ ზ. გ-ე სამსახურიდან მის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო გაათავისუფლეს, რაც მოპასუხის განმარტებით დასტურდებოდა შემდეგი გარემოებებით:

1) შპს „რ. ა-ის“ დასკვნით დგინდებოდა მოსარჩელის არაკვალიფიურობა; 2) დასაქმებულის არაკეთილსინდისიერება,

რაც გამოიხატა მაჟორიტარი პარტნიორი კომპანიის დირექტორის მიერ დასახელებული უფლებამოსილი პირის მითითებების შეუსრულებლობაში 3) ანგარიშფაქტურით, რომლის მიხედვითაც დგინდებოდა ფინანსური დარღვევები. ამ უკანასკნელ გარემოებაზე სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იმ საფუძვლით, რომ მითითებულ გარემოებასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსარჩელის საწინააღმდეგო დასკვნა არ გამოუტანია. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ასკვნიდა დამსაქმებლის მიერ მოსარჩელისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების მართლზომიერებას, მოცემულ გარემოებას არ დაფუძნებია.

შპს „რ. ა-ის“ დასკვნასთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა იყო ბუნდოვანი და დაუსაბუთებელი, იგი არ ქმნიდა პირის მიერ შრომითი მოვალეობების დარღვევის დადგენისათვის ურყევ რწმენას, მისი მეშვეობით არ დგინდებოდა უთანხმოების კვალიფიციური მოტივები დასკვნაში აღნერილ დაუდასტურებელ გარემოებებსა და მოსარჩელის კონკრეტულ ქმედებებს შორის.

რაც შეეხბოდა მოსარჩელის არაკეთილსინდისიერებას, რაც მოპასუხის მოსაზრებით, გამოიხატა ხელმძღვანელი პირებისადმი დაუმორჩილებლობაში, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ კეთილსინდისიერად ქცევის ვალდებულება სამოქალაქო ურთიერთობებში გააჩნდა ორივე მხარეს, როგორც დასაქმებულს, ისე დამსაქმებელს, გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის 8.3 მუხლიდან. საქმის მასალებით დადგენილ იქნა, შპს „ე. ე. სა“ დაფუძნდა 2008 წელს. მის პარტნიორებს (დამფუძნებლები) წარმოადგენდნენ გ. ჭ-ი (40% წილი) და „კ. მ. ჭ. ა-ის“, მდებარე ნ-ის კუნძულებზე (60% წილი). შპს „ე. ე. სა-ს“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა: 2010 წლის 30 დეკემბრიდან 2013 წლის 19 აპრილამდე – ზ. ჯ-ე; 2013 წლის 19 აპრილიდან 2014 წლის 25 ოქტომბერის დასამართლებრივი მინისტრის მიერ მომართებელი მინისტრის მიერ მიმართებით და მოსარჩელის მიერ მიმართებით და მოსარჩელის კონკრეტულ ქმედებებს შორის.

მოპასუხე კომპანიის 60% წილის მფლობელი პარტნიორი არ იწონებდა კომპანიის სახელით წარმოებულ ფინანსურ იპერაციებს, ამავე დროს, იგი უკმაყოფილო იყო კომპანიის მართვით. 2013 წლის 01 მარტის ელექტრონული წერილით, 60% წილის მფლობელმა პარტნიორმა კომპანიის დირექტორმა ზ. გ-ეს დაავალა მისი წარმომადგენელ რ. ს-იას ინსტრუქციების შესრულება, გამოთქვა ზ. გ-ის, როგორც მთავარი ბუღალტრის მხრიდან მასთან და რ. ს-იასთან თანამშრომლობის იმედი, კომპანიიდან მოპარული თანხის გამოვლენის საქმეში.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ რ. ს-იას ინსტრუქციების შესრულება მოსარჩელეს არ ევალებოდა კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლით – საწარმოს დირექტორი გარკვეული პერიოდის შემდეგ გახდა რ. ს-ია. აღნიშნული მოსაზრება თავად მოპასუხე მხარემ არ უარყო სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოსამართლის შეკითხვაზე პასუხის გაცემისას – თუმცა განმარტა, რომ მოსარჩელის ამგვარი ვალდებულება ეკისრებოდა კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამენარმეო საზოგადოებაში შპს-ს დირექტორსა და ბუღალტერს შორის ურთიერთობა ერთგვარ სუბორდინაციულ ხასიათს ატარებდა. აქედან გამომდინარე კი, ბუღალტრისათვის მაჟორიტარი პარტნიორის მიერ მოქმედი დირექტორის დავალებებისადმი იგნორირების მონოდება, ვიდრე არ შეიცვლებოდა ლეგიტიმური გზით დირექტორი, თავად მაჟორიტარი პარტნიორის მხრიდან წარმოადგენდა არაეთიკურ საქციელს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, ზ. გ-ე საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, არამართლზომიერად გათავისუფლდა სამსახურიდან.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასების მიზნით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ასევე, 362-ე მუხლის მეორე ნაწილზე და აღნიშნა, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების 4.2. მუხლი პირდაპირ მიუთითებდა, რომ დასაქმებულისათვის, ხელშეკრულების შეწყვეტის სამი თვის ხელფასის ოდენობით თანხის გადახდის ვალდებულება უშუალოდ უკავშირდება დამსაქმებლის მიერ შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლას (შეწყვეტას). შესაბამისად, მოპასუხეს ეკისრებოდა ვალდებულება, აენაზღაურებინა ზ. გ-ისათვის თანხა სამი თვის ხელფასი – 12 000 ლარი, რადგან ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

რაც შეეხება შვებულების კომპენსაციის მოთხოვნას, პალტამ განმარტა შემდეგი: სშკ-ის 21.1 მუხლის თანახმად, დასაქმებულს უფლება აქვს, ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით – არანაკლებ წელიწადში 24 სამუშაო დღით. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1936 წლის №52-ე კონვენციის – „ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების შესახებ“ (რატიფი-

ცირებულია საქართველოს მიერ 1993წ.) მე-6 მუხლის თანახმად, პირი, რომელიც გათავისუფლებულია მეწარმის მიზეზით, მაგრამ, ვიდრე იგი გამოიყენებდა კუთვნილ შვებულებას, შვებულების ყოველი დღისათვის, ამ კონვენციის შესაბამისად, იღებს კომპენსაციას. განსახილველი ნორმით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, დასაქმებულს შეუძლია, მოთხოვოს იმ წელს გამოუყენებელი საშვებულებო კომპენსაცია, რადგან დამსაქმებლის ინიციატივით შრომის ურთიერთობის შეწყვეტით დასაქმებულს შვებულების უფლება ვერ წაერთმევა, რომელსაც იგი, სავარაუდოდ გამოიყენებდა. განსახილველ შემთხვევაში, დადგენილ იქნა, რომ დამსაქმებლის (მეწარმის) მიერ მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობის უკანონობ შეწყვეტა დასაქმებულისათვის შვებულების კომპენსაციის – გათვისუფლებამდე არსებული ერთი თვის ხელფასის – 4000 ლარის გადახდის ნინაპირობას ქმნიდა.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩნია, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტა-

ბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას შპს „ე. ე. სა-ს“ საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (800 ლარი) 70%, რაც შეადგენს 560 ლარს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ე. ე. სა-ს“ საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორს – შპს „ე. ე. სა-ს“ (ს/კ:.....) დაუბრუნდეს შპს ე. ე.-ის მიერ 2015 წლის 21 იანვარს №1421843219 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (800 ლარი) 70% – 560 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ... .

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გააჩივრდება.

# შრომითი ხელშეკრულების შეცვალის საფუძვლები

## განვითარება

№ას-164-154-2015

27 აპრილი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. ბაქაქური,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** განკარგულების ბათილად ცნობა, სამუშაო  
ადგილზე აღდგენა და იძულებით მოცდენილი დროის ანაზღა-  
ურება

### აღნერილობითი ნაწილი:

6. უ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხების: სიღ-  
ნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სიღნაღის მუნიცი-  
პალიტეტის გამგეობის მიმართ, რომლითაც მოითხოვა: 1. სიღ-  
ნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 07.10.2013წ-ის №... გან-  
კარგულების ბათილად ცნობა; 2. სიღნაღის მუნიციპალიტეტის  
ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტო-  
რის თანამდებობაზე აღდგენა; 3. სიღნაღის მუნიციპალიტეტის  
გამგეობისათვის იძულებით გაცდენილი დროის ანაზღაურება  
თვეში, 480 ლარის ოდენობით 2013 წლის 07 ოქტომბრიდან გა-  
დაწყვეტილების აღსრულებამდე.

მოპასუხებმა სარჩელი არ ცნეს.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 04 მარტის  
გადაწყვეტილებით 6. უ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა 6. უ-ის მი-  
ერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2014 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით 6. უ-ის საა-  
პელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. სიღნაღის რაიონული სასა-  
მართლოს 2014 წლის 04 მარტის გადაწყვეტილების შეცვლით  
მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. 6. უ-ის სარჩელი დაკ-  
მაყოფილდა სრულად. ბათილად იქნა ცნობილი სიღნაღის მუნი-  
ციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 07 ოქტომბრის განკარ-  
გულება №.. და 6. უ-ი აღდგენილ იქნა სიღნაღის მუნიციპალი-  
ტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დი-  
რექტორის თანამდებობაზე. სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამ-  
გეობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა იძულებით გაც-

დენილი დროის ანაზღაურება თვეში 480 ლარის ოდენობით 2013 წლის 07 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

დადგენილია, რომ 2013 წლის 07 ოქტომბრის სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №.. განკარგულებით ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებული ფინანსური და ადმინისტრაციული დარღვევის, დამფუძნებლისა და თანამშრომელთა მიმართ გამოჩენილი არაკოლეგიალობისათვის ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორი ნ. უ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. განკარგულებაში გათავისუფლდების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი, 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტი და 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი, სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი, მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 25 აპრილს №21 განკარგულებით დამტკიცებული სიღნაღის მუნიციპალიტეტის არასამენარმეო არაკომერციული იურიდიული პირის წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის 78-ე მუხლი.

დადგენილია, რომ ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება ორჯერ შემოწმდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 31 ივლისის №... ბრძანებისა და იმავე წლის 30 აგვისტოს №... ბრძანების საფუძველზე შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ.

დადგენილია, რომ 2013 წლის 01 ოქტომბერს სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ აცნობა ნ. უ-ს, რომ 2013 წლის 07 ოქტომბრის სესიაზე განიხილებოდა საკითხი ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში აღმოჩენილი ფინანსური და ადმინისტრაციული დარღვევების შესახებ, სადაც დაისმებოდა საკითხი მისი მოსალოდნელი გათავისუფლდების თაობაზე და მასვე ეთხოვა აღნიშვნულ სესიაზე დასწრება.

უდავოდ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ შრომითი ხელშეკრულება მოსარჩევესა და მოპასუხეს შერილობითი ფორმით არ დადებულა. ნ. უ-ი ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორად დაინიშნა სიღნაღის მუნიციპალიტეტის განკარგულებით, რომლითაც რაიმე კონკრეტული ვადა განსაზღვრული არ ყოფილა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. უ-ის სამსახური-

დან გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული მრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფაქტობრივი გარემოებები, როგორიცაა დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანანექსით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, კერძოდ, სააღმზრდელო დაწესებულებაში არსებული ფინანსური და ადმინისტრაციული დარღვევა, დამფუძნებლისა და თანამშრომელთა მიმართ გამოჩენილი არაკოლეგიალობა ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების შემოწმების აქტებით, რომელზედაც აპელირებდა მოპასუხე, არ დგინდებოდა, კერძოდ, დადგენილ იქნა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 31.07.2013-ის ბრძანების საფუძველზე განხორციელებული შემოწმება შეეხო 2013 წლის 01 იანვრიდან 2013 წლის 01 აგვისტომდე პერიოდს. სიღნაღის რაიონული სასამართლოს 26.06.2013-ის კანონიერ ძალში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე 6. უ-ი აღდგენილ იქნა ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორად. ამასთან, აპელანტის აღდგენა დაკავებულ თანამდებობაზე განხორციელდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 06 აგვისტოს განკარგულება №..-ით 2013 წლის 06 აგვისტოდან. დადგენილია, რომ 2013 წლის 06 აგვისტომდე პერიოდში დირექტორის თანამდებობას იკავებდნენ 2013 წლის 22 აპრილამდე – 6. ი-ე, ხოლო 22 აპრილიდან 06 აგვისტომდე – ე. კ-ი. შესაბამისად, მხარეთა შორის ახალი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2013 წლის 06 აგვისტოდან და დაწესებულებაში ამ დრომდე წარმოშობილი ფინანსური და ადმინისტრაციული დარღვევები, საქმის განმხილველი სასამართლოს მოსაზრებით, არ წარმოადგენდა 6. უ-ისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლებს.

რაც შეეხება, 06 აგვისტოდან 07 ოქტომბრამდე პერიოდს, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 07 ოქტომბრის განკარგულება №..-ის შესაბამისად სშ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით 6. უ-ის გათავისუფლებას საფუძვლად დაედო შემდეგი: გაერთიანების მხრიდან ბალების მუშაობაზე სუსტი კონტროლი და სუსტი მენეჯმენტი, რაც გამოიხატა ფილიალების თანამშრომლებთან მტკიდრო ურთიერთობის არარსებობასა და მათი პრობლემების არცოდნაში. 6. უ-ის მხრიდან ფილიალების

დირექტორებისა და თანამშრომლების მიმართ მითითებების, განკარგულებებისა და ბრძანებების გაუცემლობაში. დირექტივების არქონამ კი, სადავო განკარგულება №...-ის შესაბამისად, გამოიხვია ფილიალების დირექტორებისა და თანამშრომლების დათორგუნვა და ფილიალებში ქაოსის შექმნა, რაც უარყოფითად აისახა სასწავლო წლის დაწყებაზე, კერძოდ, ბაღების მუშაობის გაუმართაობის გამო, ვერ მოხერხდა სასწავლო პროცესის დროულად დაწყება და გაერთიანების ხელმძღვანელის მხრიდან სასწავლო წლისათვის ბაღების მზადყოფნის შესახებ არ მოხდა საკრებულოსათვის ცნობების მიწოდება.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სადავო განკარგულება №...-ის მიხედვით ნ. უ-ის ნერილობითი მიმართვები საკრებულოსადმი ბაღებისათვის პრობლემური საკითხების მოგვარებაში დახმარების თაობაზე, შეფასებულია, როგორც სუსტი მენეჯმენტის დადასტურება. სადავო განკარგულება №...-ის შესაბამისად, ნ. უ-ის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევისა და თანამშრომელთა მიმართ არაკოლეგიალობის დამადასტურებელ გარემოებად მითითებულია აგრეთვე, გაერთიანებაში ფინანსური შემონმების მიმდინარეობისას გაერთიანების მთავარი ბუღალტრის გათავისუფლება და ასევე, წნორის № - ფილიალში აღმზრდელების თანაშემწებად გადაყვანის ფაქტები, რაც სადავო განკარგულებით შეფასებულია, როგორც ნ. უ-ის მხრიდან თანამშრომელთა უკანონო, შრომის კოდექსის დარღვევით განხორციელებული გათავისუფლების ფაქტი, რითაც დაირღვა გათავისუფლებულ პირთა შრომითი უფლებები.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... განკარგულებაში ნ. უ-ის მიმართ ვალდებულებების უხეშ დარღვევად მითითებული გარემოებები არ დადასტურდა საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებებით, კერძოდ, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორების მხრიდან ფილიალებში არსებული პრობლემების არცოდნისა და მათზე მონიტორინგის არარსებობის გარემოებების საპირისპიროდ, სააპელაციო სასამართლო მიიჩნია საქმის მასალებში წარმოდგენილი შემდეგი მტკიცებულებები: სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2013 წლის 15 აგვისტოს წერილი №..., რომლითაც დაწესებულების დირექტორი სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განმეორებით მიმართავს საპავშვი ბაღებში საკვები პროდუქტების შენახვის პრობლემების მოგვარების მიზნით, მაცივრების შეძენის თხოვნით. 2013 წლის 23 აგვისტოს №... წერილში სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექ-

ტორმა 6. უ-მა სიღნალის მუნიციპიპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს მიაწოდა საკრებულოს მიერ 2013 წლის 26 თებერვლის დამტკიცებული ბიუჯეტის 63 285 ლარის ოფისის ხარჯის ნაწილში ინფორმაცია 2013 წლის 23 აგვისტოს მდგომარეობით გახარჯული თანხისა და დარჩენილი თანხის 25 869 ლარის გახარჯვის გეგმის თაობაზე. გარდა ამისა, აღნიშნულ წერილში საკრებულოს მიეწოდა ინფორმაცია ბალების ჩამონათვალისა და ბავშვთა რაოდენობის შესახებ. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 6. უ-ის 2013 წლის 16 სექტემბრის ბრძანებით წნორის №... ფილიალის დირექტორს 6. ბ-ს მიეცა გაფრთხილება ბავშვთა რეგისტრაციის პრობლემების არასწორად წარმართვის გამო და მიეცა ხუთი დღე არსებული დარღვევების გამოსასწორებლად. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2013 წლის 06 სექტემბრის №... წერილის თანახმად, სიღნალის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიეწოდა ინფორმაცია 2013 წლის აგვისტოს თვეში დაწყებული ბალებში სააღრიცხვო დოკუმენტაციის ეტაპობრივად შემონმებისას აღმოჩენილი დარღვევების ხარვეზებისა და შესაბამისი ზომების მიღების შესახებ. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2013 წლის 13 აგვისტოსა და 06 სექტემბრის №... და №... წერილებით სიღნალის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეთხოვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 23-ე ბალში ზაფხულში ჩატარებული რემონტის შემდეგ არსებული პრობლემების შესწავლის მიზნით სატრანსპორტო პრობლემებისა და მძლოლის საშტატო ერთეულის არარსებობის გამო, შექმნილი პრობლემების მოგვარებაში დახმარების აღმოჩენა. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სიღნალის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დაქვემდებარებაში არსებული ანაგის №..., ძვ.ანაგის, ხორნაბუჯის, ვაქირის, ბოდბის №...-ე ფილიალებში 2013 წლის 16 სექტემბრის სასწავლო პროცესის დაწყების შეფერხება გამოწვეული იყო სიღნალის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოებული სარემონტო სამუშაოების გაგრძელებით.

ზემოაღნიშნული მტკიცებულებების საფუძველზე, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სადავო განკარგულება №...-ში ასახული დარღვევები, კონკრეტული ფაქტები საქმის მასალებით არ დასტურდებოდა. რაც შეეხება 2013 წლის 07 ოქტომბრის №... განკარგულებაში მითითებულ გარემოებას საკრებულოში გაერთიანების თანამშრომელთა და სხვა მოქალაქეთა მხრიდან სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში არ-

სებულ დარღვევებზე განვითარების ხედვის არარასებობასა და სხვა მიზეზთა გამო კადრების გადახედვის მოთხოვით მრავალი საჩივრის არსებობაზე, სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ ამა თუ იმ დარღვევის ფაქტებზე მითითებით დაწესებულების თანამშრომელთა და სხვა მოქალაქეთა მხრიდან საჩივრების არსებობა არ წარმოადგენდა პირის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს დამქირავებლის მხრიდან დარღვევის კონკრეტული ფაქტების დადასტურების გარეშე. შესაბამისად, სადაც განკარგულებაში თანამშრომელთა და სხვა მოქალაქეთა მხრიდან საჩივრების არსებობაზე მითითება, ნ. უ-ის მიერ, მასზე დაკისრებულ ვადებულებათა უხეში დარღვევის დამადასტურებელ რაიმე მტკიცებულებად ვერ გამოდგებოდა.

2013 წლის 07 ოქტომბრის №... განკარგულებაში მთავარი ბუღალტრისა და წნორის №... ფილიალში თანამშრომელთა ნ. უ-ის მიერ გათავისუფლების ფაქტებთან მიმართებაში. პალატამ განმარტა, რომ სამსახურიდან გათავისუფლების კანონიერების შემოწმება შრომის კანონმდებლობისა და გათავისუფლებულ პირთა უფლებების დარღვევის ფაქტების დადგენა არ განეცუთვნებოდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შეფასების საგანს. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ნ. უ-ის მხრიდან თანამშრომელთა უკანონოდ გათავისუფლების ფაქტები არ მიიჩნია დადგენილად.

ამასთან, შემოწმების აქტში დაფიქსირებული ფინანსური და ადმინისტრაციული დარღვევების თაობაზე ნ. უ-ისათვის ორი დღის მიცემა, სააპელაციო სასამართლომ არაგონივრულად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც საქმის მასალებით დგინდებოდა, ნ. უ-ს მიეცა მხოლოდ ორი დღე ნარედგინა საკუთარი მოსაზრებები და არგუმენტები შემოწმების აქტში დაფიქსირებული ფინანსური და ადმინისტრაციული დარღვევების თაობაზე, რაც არაგონივრული იყო, უფრო მეტიც, რომც ჰქონოდა ადგილი დაწესებულებაში რაიმე სახის ფინანსური ანდა ადმინისტრაციული ხასიათის დარღვევებს საკრებულოს უნდა მიეცა ვადა დირექტორისათვის დაწესებულებაში არსებული დარღვევების გამოსასწორებლად, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „სიღნაღის მუნიციპალიტეტის არასამენარმეო არაკომერციული იურიდიული პირის წესდების“ მიხედვით, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება წარმოადგენდა სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შექმნილ არა-

სამეწარმეო იურიდიულ პირს, წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაწესებულების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავდა და ათავისუფლებდა დამჯურნებელი.

მართალია დამსაქმებელს/დამფუძნებელს სრული უფლება ჰქონდა შეემონმებინა დასაქმებულის საქმიანობა და მოეთხოვა, სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება. მას ასევე ჰქონდა უფლება თანამდებობაზე დაწინა და გაეთავისუფლებინა დაწესებულების დირექტორი, თუმცა, მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული აქტების საფუძველზე, მიუხედავად კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულო არ იყო შეუზღუდავი და არ სარგებლობდა აბსოლუტური ავტონომიით, რაც საკმარისი საფუძველი იქნებოდა დირექტორის გათავისუფლების ცალმხრივი ნების გამოსავლენად. სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებაში საკადრო პოლიტიკის ნარმართვისა და დირექტორის გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მართლზომიერი და ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით. მოცემულ საქმეზე დადასტურებული ვერ იქნა სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტით დადგენილი საფუძვლების არსებობა, რომლის მიხედვით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტური შრომითი ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევა. კერძოდ, საქმეში არ იყო ნარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ ნ. უ-ის მხრიდან ადგილი ჰქონდა მისთვის დაკისრებული ვალდებულებების უხეშ დარღვევას, არც ის გარემოება დასტურდებოდა, რომ დირექტორმა ნ. უ-მა დაარღვია დაწესებულების შინაგანანესი და ამდენად, სადავო განკარგულება, როგორც სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის საფუძველზე სარმოადგენდა ბათოლ გარიგებას.

ვინაიდან დადგენილია, რომ მოპასუხემ მოსარჩელე ნ. უ-ი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან არაკანონიერად, რითაც შელახა მისი შრომითი უფლებები; მოპასუხის ქმედებით მოსარჩელეს მიადგა ზიანი: მას ნაერთვა შესაძლებლობა განუსაზღვრელი ვადით შეესრულებინა თავისი შრომითი მოვალეობა და მიეღო შესაბამისი შრომის ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 409-ე მუხლის მიხედვით, თუ ზიანის

ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება. 411-ე მუხლის შესაბამისად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს მიუღებელი შემოსავლისთვისაც: მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. შრომითი ურთიერთობის უკანონო შეწყვეტით, დამსაქმებელმა მოუსაპო შესაძლებლობა დასაქმებულს, განხხორციელებინა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისი სამსახურებრივი მოვალეობა და მიეღო ამავე ხელშეკრულებით გახსაზღვრული შრომითი ანაზღაურება, მისი ყოველთვიური ხელფასის ოდენობით.

შრომის კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 6. უ-ის სარჩელი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე უნდა დაკმაყოფილებულიყო. დადგენილ იქნა, რომ 6. უ-ის ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 480 ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სილნალის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სილნალის მუნიციპალიტეტის გამგეობას ყოველთვიურად უნდა დაკისრებოდა 480 ლარის გადახდა იძულებითი განაცდურის სახით, 2013 წლის 07 ოქტომბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინეს სილნალის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და სილნალის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი დასაბუთება იმ გარემოებას ემყარება, რომ 6. უ-ის სამასახურიდან გათავისუფლება საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის (შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევა) საფუძველზე განხორციელდა ნორმის შემადგენლობის სრული დაცვით, რაც თავის მხრივ, 07.10.2013წ-ის სილნალის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... განკარგულების ბათილობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების გამომრიცხველი გარემოებაა, რომელიც არ იქნა სწორად შეფასებული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ. კერძოდ, დარღვევები, აღმოჩენილია სააღმზდელო დაწესებულებაში ჯერ კიდევ 2012 წლის დეკემბრის თვიდან, როდე-

საც ა(ა)იპ სიღნალის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის თანამდებობას იკავებდა ნ. უ-ი. სააღმზრდელო დაწესებულებაში არ იყო ჩატარებელი ქონების, მოთხოვნილებებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. კასატორი აღნიშნავს, რომ ნ. უ-მა სააპელაციო საჩივარში აღიარა, რომ „31.07.2013წ-ის №... ბრძანებით შექმნილმა კომისიამ შეამონმა ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის სისწორე. აღმოჩინა „მცირედი“ შეცდომები და მოითხოვა დარღვევების აღმოსაფხვრელად ვადა“.

კასატორი აღნიშნავს, რომ ნ. უ-ს არ გააჩნდა იმის გაანგარიშება, თუ რა ჯდებოდა ერთი ბავშვის კვება ცალკე ბიუჯეტიდან და ცალკე – საკუთარი შემოსავლიდან. რეალურად კი, დაწესებულებას გაანგარიშებული ჰქონდა თუ რა ჯდებოდა ერთი ბავშვის კვება ჯამურად, ხოლო რაც შეეხებოდა საბიუჯეტო სახსრებსა და საკუთარ შემოსავლებს, აღნიშნული წარმოადგენს დაფინანსების წყოროს, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში შეიძლება სხვადასხვა თანაფარდობის იყოს.

კასატორი აღნიშნავს, რომ ასევე არ იყო თანხობრივად გაანგარიშებული თუ რა ლირებულების საკვები მიიღო აღსაზრდელმა დღეში და არ იყო გადაყვანილი ლირებულებით საზომში მთელი თვის ხარჯვა. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 12.11.2003წ,-ის №280/ 6 ბრძანებით ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზაციის სტანდარტული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სკოლამდელ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს 10-დღიანი ან 2-კვირიანი პერსპექტიული მენიუ და სპეციალურად შემუშავებული კერძების კართოტექა. პერსპექტიულ მენიუებზე დაყრდნობით, მენიუ-განრიგი უნდა შედგეს ყოველდღიურად. მასში უნდა აღინიშნოს იმ ბავშვებისა და თანამშრომლების რიცხვი, ვინც უნდა მიიღოს აღნიშნული საკვები.

გარდა ამისა, კასატორს უსაფუძვლოდ მიაჩნია, საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ იმ გარემოებაზე მითითება, რომ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორების მხრიდან ფილიალებში არსებული პრობლემების არცოდნისა და მათზე მონიტორინგის არარსებობის გარემოებების საპირისპიროდ საქმის მასალებში წარმდგენილია მტკიცებულებები: სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის 2013 წლის 15 აგვისტოს წერილი №..., რომლითაც დაწესებულების დირექტორი სიღნალის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განმე-

ორებით მიმართავს საბავშვო ბალებში საკვები პროდუქტების შენახვის პრობლემების მოგვარების მიზნით, მაცივრების შეძენის თხოვნით. კასატორი აღნიშნავს, რომ როდესაც ა(ა)იპის ხელმძღვანელი ეკონომიკის წარმოშობის გამო გასცემდა პრემიებს ამ დანესებულებაში მომუშავე თანამშრომლებზე, რატომ არ ჰქონდა საშუალება თავად შეეძინა თუნდაც ერთი მაცივარი და შემდგომ ეთხოვა დახმარება დამფუძნებლისათვის.

6. უ-ის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების ერთ-ერთ არგუმენტად საკასაციო საჩივარში დასახელებულია 6. უ-ის მხრიდან თანამშრომლების მიმართ გამოყენებული დის-ციპლინური პასუხისმგებლობის უსაფუძვლობა და არაკოლე-გიალური დამოკიდებულება, სახელდობრ, ადმინისტრაციის თა-ნამშრომლებისათვის 10 წთ-ით დაგვიანებისათვის საყვედურის წერილობითი ფორმით გამოცხადება; ბუღალტერ მ. კ-თვის დაგ-ვიანების გამო გაფრთხილების გამოცხადება; გაერთიანებაში ფინანსური შემოწმების მიმდინარეობისას გაერთიანების მთა-ვარი ბუღალტრის გათავისუფლება; ასევე, წნორის №- ფილი-ალში აღმზრდელების თანაშემწებად გადაყვანის ფაქტები, რაც კასატორის მოსაზრებით, წარმოადგენს თანამშრომელთა უკა-ნონო, შრომის კოდექსის დარღვევით განხორცილებულ გათა-ვისუფლების ფაქტებს, რითაც დაირღვა გათავისუფლებულ პირთა შრომითი უფლებები.

კასატორის კიდევ ერთი პრეტენზია იმ სამართლებრივ სა-ფუძველს ემყარება, რომ მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწ-ყვეტილება არსებითად ეწინაღმდევება მსგავსი კატეგორიის დავებზე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, რომლის ნათელი მაგალითია სუს 01.12.2012წ-ის განჩინება (საქმე №ას-343-327-2011).

ამასთან, საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ ა(ა)იპ სიღ-ნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწე-სებულების დირექტორის თანამდებობას ამჟამად ლეგიტიმუ-რად იკავებს მესამე პირი, რომელი გარემოებაც სააპელაციო სასამართლოს არ შეუმოწმებია, რის გამოც კასატორს გაუმარ-თლებლად მიაჩნია 6. უ-ის აღდგენა გათავისუფლებამდე დაკა-ვებულ ლანამდებობაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 13 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებ-ლად.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც მიჩნეულ უნდა იქნეს დაუშვებლად.

სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დაცის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოცემულ ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

ნარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი საფუძვლები (კასაციის მიზეზები) იმ გარემოებას ემყარება, რომ 6. უ-ის სამსახურიდან გათავისუფლება საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის (შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევა) საფუძველზე განხორციელდა წორმის შემადგენლობის სრული დაცვით, რაც თავის მხრივ, 07.10.2013წ.-ის სილნალის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... განკარგულების ბათილობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების გამომრიცხველი გარემოებაა, რომელიც არ იქნა სწორად შეფასებული საქმის განმხილველი სამართლოს მიერ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო სამართლწარმოებაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხ.).

ნიშანდობლივია, რომ შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩევე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩევის მითითება მასზედ, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც აკისრებს დასაქ-

მებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს შემდეგი ძირეული პრინციპიდან, კერძოდ, დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა შრომითი მოვალეობები დაარღვია, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა, ვიდრე დასაქმებული, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენს მასზედ, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა. შესაბამისად, კასატორია (მოპასუხე) ვალდებული სათანადო მტკიცებულებებით დაადასტუროს 6. უ-ის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის ფაქტები, რაც სპ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით 6. უ-ის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძლად იქნება მიჩნეული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დარღვევები (სააღმზრდელო დაწესებულების ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია), რომელსაც ედავება კასატორი 6. უ-ს, აღმოჩენილია სააღმზდელო დაწესებულებაში ჯერ კიდევ, 2012 წლის დეკემბრის თვიდან, როდესაც ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის თანამდებობას იკავებდა 6. უ-ი. მითითებულ პერიოდში, სააღმზრდელო დაწესებულებაში აღმოჩენილ დარღვევებზე პასუხისმგებელ პირად საკასაციო პალატა 6. უ-ს ვერ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ როგორც ეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებითაა დადგენილი, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 26.06.2013წ-ის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე 6. უ-ი აღდგენილ იქნა ა(ა)იპ სიღნაღის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორად. სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 06 აგვისტოს №... განკარგულებით 6. უ-ის აღდგენა დაკავებულ თანამდებობაზე განხორციელდა 2013 წლის 06 აგვისტოდან. 2013 წლის 06 აგვისტომდე პერიოდში დირექტორის თანამდებობას იკავებდნენ 2013 წლის 22 აპრილამდე – 6. ი-ე, ხოლო 22 აპრილიდან 06 აგვისტომდე – ე. კ-ი. შესაბამისად, მხარეთა შორის ახალი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 2013 წლის 06 აგვისტოდან და ამდენად, ამ დრომდე დაწესებულებაში წარმო-

შობილი ფინანსური და ადმინისტრაციული დარღვევები, საკა-საციონ პალატის მოსაზრებით, ნ. უ-ისათვის პასუხისმგებლო-ბის დაკისრების საფუძველს არ წარმოადგენს.

6. უ-ის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების ერთ-ერთ არგუმენტად, საკასაციო საჩივარში დასახელებულია 6. უ-ის მხრიდან თანამშრომლების მიმართ გამოყენებული დის-ციპლინური პასუხისმგებლობის უსაფუძვლობა და არაკოლე-გიალური დამოკიდებულება, სახელდობრ, „ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის 10 წთ-ით დაგვიანებისათვის საყვედუ-რის წერილობითი ფორმით გამოცხადება; ბუღალტერ მ. კ-თვის დაგვიანების გამო გაფრთხილების გამოცხადება; გაერთიანე-ბაში ფინანსური შემონმების მიმდინარეობისას გაერთიანების მთავარი ბუღალტრის გათავისუფლება; ასევე, წნორის №- ფი-ლიალში აღსაზრდელების თანამშემწებად გადაყვანის ფაქტე-ბი“, რაც კასატორის მოსაზრებით, წარმოადგენს თანამშრომელ-თა უკანონო, შრომის კოდექსის დარღვევით განხორცილებულ გათავისუფლების ფაქტებს, რითაც დაირღვა გათავისუფლე-ბულ პირთა შრომითი უფლებები.

6. უ-ის სამსახურიდან გათავისუფლების ფაქტობრივ საფუძ-ვლად საკასაციო საჩივარში ზემოთდასახელებული არგუმენ-ტები, საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია და განმარ-ტავს, რომ საკითხი იმის შესახებ რამდენად კანონიერად გამო-იყენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა მისდამი დაქვემდება-რებული თანამშრომლებისადმი დისციპლინური პასუხისმგებ-ლობის ზომა, იქნება ეს გაფრთხილება, საყვედური, სამსახუ-რიდან გათავისუფლება თუ სხვ. განეკუთვნება თავად დაზარა-ლებულ პირთა საჩივრის საფუძველზე ადმინისტრაციული წარ-მოების ან, საერთო სასარჩევო წარმოების წესით განსახილ-ველ საკითხს და არა კასატორის შეფასების საგანს. შესაბამი-სად, ამ გარემოებაზე მითითება სათანადო მტკიცებულებათა (როგორიცაა ადმინისტრაციული წარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილება მუშაკის მიმართ გამოყენებული დისციპლი-ნური პასუხისმგებლობის გაუქმების შესახებ ანდა სასამარ-თლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მუშაკის გა-თავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად (ცნობის თაობა-ზე) უქონლობის გამო, სწორად არ იქნა გაზიარებული სააპელა-ციონ სასამართლოს მიერ.

კასატორის იმ პოზიციასთან დაკავშირებით, რომ სააღმზდე-ლო დაწესებულებაში არ იყო თანხობრივად გაანგარიშებული თუ რა ღირებულების საკვები მიიღო აღსაზრდელმა დღეში და არ იყო გადაყვანილი ღირებულებით საზომში მთელი თვის ხარ-

კვა, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 12.11.2003წ-ის №280/6 ბრძანებაზე რომლითაც ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებაში კვების ორგანიზაციის სტანდარტული წესებისა და ნორმების მიხედვით ბავშვის კვების მენიუ უნდა იყოს მრავალფეროვანი. დღელამური რაციონის კერძების ნაკრები უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვთა ორგანიზმის მოთხოვნილებებს ძირითად საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე, სარეკომენდაციო ასაკობრივი ნორმების გათვალისწინებით... სკოლამდელ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს 10-დღიანი ან 2-კვირიანი პერსაცეტიული მენიუ და სპეციალურად შემუშავებული კერძების კართოტეკა .... ბავშვთა კვების ხარისხზე აუცილებელია, დაწესდეს ყოველდღიური კონტროლი: რომელიმე პროდუქტის არქონის შემთხვევაში, ის შეიძლება შეიცვალოს ძირითადი საკვები ნივთიერებების (ცილები და ცხიმები) იდენტური რაოდენობის შემცველი სხვა პროდუქტით, რისთვისაც აუცილებელია, პროდუქტების ურთიერთჩანაცვლების დადგენილი ცხრილით სარგებლობა. საკვების ულუფათა მოცულობა მკაცრად უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ასაკს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხოლოდ ის გარემოება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არ იყო თანხობრივად გაანგარიშებული თუ რა ღირებულების საკვები მიიღო აღსაზრდელმა დღეში და არ იყო გადაყვანილი ღირებულებით საზომი მთელი თვის ხარჯვა, არ შეიძლება შეფასდეს უხეშ დარღვევად და საფუძვლად დაედოს მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებას. საკასაციო პალატის მოსაზრებით, უხეშ დარღვევად, რაც მართლზომიერად განაპირობებდა მუშაკის სამსახურიდან გათავისუფლებას, შესაძლებელი იყო მიჩნეულიყო მენიუ-ფაქტურის იმგვარი შემთხვევების არსებობა, რომელიც პირდაპირი და უმუალო ზიანის მიყენების საფრთხეს შუქმნიდა აღსაზრდელთა ჯანმრთელობასა და მათ ფიზიკურ განვითარებას, მაგალითად, იმგვარად შედგენილი მენიუ-ფაქტურა, რომლითაც განერილი იქნებოდა მნირი დღის მენიუ (აუცილებელი პროდუქტების არარებობა, ასევე, არაბალანსირებული კვების არსებობა (სადაც არ იქნებოდა დაცული 1-1-4-ის პრინციპი: ცილები, ცხიმები, ნახშირნყლები) და დღის დასაშვებ ნორმაზე (1000 კკალორია) მნიშვნელოვნად ნაკლები კალორიით (928,67 კკალორია)) (იხ., სუს 17.03.2015წ-ის განჩინება საქმე №ას-1294-1232-2014).

საკასაციო საჩივრის შემდგომი პრეტენზია იმ გარემოებას ეფუძნება, რომ ა(ა)იპ სილნალის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელ დაწესებულების დირექტორ ნ. უ-ს არ გა-

აჩნდა იმის გაანგარიშება, თუ რა ჯდებოდა ერთი ბავშვის კვება ცალკე ბიუჯეტიდან და ცალკე – საკუთარი შემოსავლიდან, რაც მნიშვნელოვანი იყო იმ კუთხით, რომ დაწესებულებას გაანგარიშებული ჰქონდა თუ რა ჯდებოდა ერთი ბავშვის კვება ჯამურად, ხოლო რაც შეეხებოდა საბიუჯეტო სახსრებსა და საკუთარ შემოსავლებს, აღნიშნული წარმოადგინდა დაფინანსების წყაროს, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა თანაფარდობის შეიძლებოდა ყოფილიყო.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თუნდაც ჰქონდა ადგილი დაწესებულებაში რაიმე სახის ფინანსური ანდა ადმინისტრაციული ხასიათის დარღვევებს საკრებულოს უნდა მიეცა ვადა დირექტორისათვის დაწესებულებაში არსებული დარღვევების გამოსასწორებლად, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია. საკასაციო პალატის ეს მოსაზრება განპირობებულია დამსაქმებლისათვის კანონით მინიჭებული უპირატესი უფლებების გამოყენების თანაბარზომიერებისა უცილებლობით, რასაც კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა უდევს საფუძვლად. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომის სამართალში მოქმედ „Ultima Ratio“-ს პრინციპის დაცვას, რაც იმას ნიშნავს, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დასაქმებულის მიმართ, მის მიერ ჩადენილი გადაცდომის (დარღვევის) ხასიათიდან და სიმძიმიდან გამომდინარე, უფრო მსუბუქი სანქციის შეფარდებას აზრი აქვს დაკარგული (იხ., სუს 18.03.2015წ-ის გადაწყვეტილება საქმე №ას-1276-1216-2014). აღნიშნული დასკვნა ეფუძნება პრინციპის, რომლის შესაბამისადაც, შრომით სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის რღვევასთან შედარებით. შესაბამისად, მართალია, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ კვეპუნქტის მიხედვით (07.10.2013წ-ისათვის 6. უის გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქციით), შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი მუშავის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევაცაა, თუმცა, ნიშანდობლივა დასაქმებულთა შრომის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ პრინციპი, რომლის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში „Ultima Ra-

“-ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას, შორის ზომიერი ბალანსს დაცულობა. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმალებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის. ამდენად, იმისათვის, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, სახეზე იყოს ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენებას არამიზანშეწონილს ხდის. აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის ის პოზიცია, რომ ა(ა)იპ სააღმზრდელო დაწესებულებაში არ არსებობდა ხარჯვის გაანგარიშება დაფინანსების კონკრეტულ წყაროებზე მითითებით, არ ნარმოადგენდა პირდაპირ უკაცრესი ზომის – სამსახურიდან გათავისუფლების გამოყენების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძველს.

კასატორის კიდევ ერთი პრეტენზია იმ სამართლებრივ საფუძველს ემყარება, რომ მოცემულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება არსებითად ენინააღმდეგება მსგავსი კატეგორიის დაგვაზრდების დადგენილ სასამართლო პრაქტიკას, რომლის ნათელი მაგალითია სუს 01.12.2012წ-ის განჩინება (საქმე №ას-343-327-2011).

კასატორის ზემოაღნიშნულ პოზიციას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და განმარტავს, რომ კასატორის მიერ მითითებული გადაწყვეტილებით განხილულია მუშაკის გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის (შრომითი ხელშეკრულების მოშლა) გამოყენების წინაპირობები, ხოლო მოცემულ შემთხვევაში კი, სადაც ამავე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის (შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევა) გამოყენების მართლზომიერება.

ამასთან, სასამართლო პრაქტიკა, რომელიც შრომითი ხელ-

შეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად მართლზომიერად მიიჩნევდა მხოლოდ სშპ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის (შრომითი ხელშეკრულების მოშლა) გამოყენებას, რაც განმარტებული იყო, როგორც მეწარმის უფლება თავისი შეხედულებით დაექირავებინა და გაეთავისუფლებინა თანამშრომლები, შეიცვალა. სასამართლოს ამჟამინდელი პრაქტიკით „საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი აღარ განიმარტება, როგორც „კონტრაპენტის თავისუფალი არჩევანის უფლება“, თუნდაც სამეცნიერო მიზნებსათვის, დამსაქმებელმა თვითნებურად და ყოველგვარი მოტივაციის გარეშე მოშალოს შრომითი ხელშეკრულება (იხ., სუს 07.11.2014წ-ის გადაწყვეტილება, საქმე №ას-893-851-2013).

რაც შეეხება, იმ გარემოებაზე მითითებას, რომ ამჟამად სიღნაღის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის თანამდებობას ლეგიტიმურად იყავებს მესამე პირი, რომელი გარემოებაც სააპელაციო სასამართლოს არ შეუმოწმებია, რის გამოც, კასატორს გაუმართლებლად მიაჩნია ნ. უ-ის აღდგენა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპროცესო სამართალნარმობაში შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების მოქმედების შედეგად, ფაქტების მითითების (მტკიცების საგანი), ასევე მათი დამტკიცების (მტკიცების ტვირთი) ვალდებულება ეკისრებათ დავის მონაწილე მხარეებს. სასამართლო თავისი ინიციატივით, მხარეთა მითითების გარეშე, არ იყვლევს ფაქტობრივ გარემოებებს. შესაბამისად, კასატორის მიერ მითითებული გარემოება, რომ ამჟამად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების დირექტორის თანამდებობა ლეგიტიმური გზითაა დაკავებული, წარმოადგენს ფაქტს, რომელი ფაქტიც კასატორს (აპელანტის მოწინააღმდეგე მხარეს) უნდა მიეთითებინა საპელაციო შესაგებელში. ვინაიდან საკასაციო სასამართლო შეზღუდულია ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებზე მითითებისა და გამოკვლევის პროცესუალური შესაძლებლობით (საპროცესო კოდექსის 407-ე მუხ.), ამიტომ კასატორის მიერ მითითებულ გარემოებას, საკასაციო პალატა ვერც გამოიკვლევს და ვერც ამ გარემოებაზე მსჯელობის არარასებობას, სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევად ვერ შეაფასებს (ამ ნაწილში, სააპელაციო შედავების არარსებობის გამო).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ეთანხმება მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამარ-

თლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩინია, რომ ნ. უ-ს არ ჩაუდენია მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა იმგვარი დარღვევა, რომელიც მისთვის გაფრთხილებას, დამატებითი ვადის მიცემას ან კიდევ უფრო მსუბუქი სახის სანქციის შეფარდებას გამორიცხავდა და მისი სამსახურიდან გათავისუფლება მის მიერ ჩადენილი დარღვევის ადეკვატური ღონისძიება იყო. შესაბამისად, საქართველოს უზენაეს სასამართლოს მიაჩინია, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებოთად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც, ვინაიდან ამ კატეგორიის საქმეებზე უკვე არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა (სუს 18 მარტი, 2015 წელი, საქმე №ას-1276-1216-2014).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი და მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

კასატორები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბიუჯეტის სასამართლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სიღნალის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და სიღნალის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **შრომითი ხელშეკრულების შეცვალის საჭურვლები**

#### **განჩინება**

№ას-282-270-2015

13 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაო ადგილზე აღდგენა, იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

თ. ს-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე შპს „ს. პ.

ჯ-ას“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა 1. შპს „ს. პ. ჯ-ას“ 07.02.2014წ-ის №... და 12.02.2014წ-ის №... ბრძანების ბათლად ცნობა; 2. მოსარჩელის აღდგენა შპს „ს. პ. ჯ-ასი“ ნაშთების დაგეგმარების განყოფილების უფროსის/ლოჯისტიკის დეპარტამენტის ანალიტიკოსის თანამდებობაზე; 3. მოპასუხისათვის იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება ყოველთვიურად 2500 ლარის ოდენობით გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 04 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნანილობრივ. ბათლად იქნა ცნობილი შპს „ს. პ. ჯ-ას“ 2014 წლის 07 თებერვლის №... ბრძანება და 2014 წლის 12 თებერვლის №... ბრძანება თ. ს-ეს გათავისუფლების შესახებ. შპს „ს. პ. ჯ-ას“ თ. ს-ის სასარგებლოდ დაეკისრა 12 თვის ხელფასის ოდენობით (24,000 ლარი) კომპენსაციის გადახდა.

2012 წლის 06 თებერვალს შპს „ს. პ. ჯ-ასა“ და თ. ს-ეს შორის დაიდო №.. შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, თ. ს-ე დაინიშნა შპს „ს. პ. ჯ-ას“ ნაშთების დაგეგმარების განყოფილების უფროსის/ლოჯისტიკის დეპარტამენტის ანალიტიკოსის თანამდებობაზე და ხელფასის სახით განესაზღვრა 2250.00 ლარი. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა ერთი წელი. აღნიშნული ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე მხარეები არ შეატყობინებენ ერთმანეთს ხელშეკრულების შეზვეტის შესახებ, ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად მომდევნო ერთი წლის ვადით.

2012 წლის 01 სექტემბერს თ. ს-ესა და შპს „ს. პ. ჯ-ას“ შორის დადებულ შრომით ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილებები, რომლის ძალით ხელფასი განისაზღვრა 2500 ლარის ოდენობით, საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

2014 წლის 06 თებერვალს თ. ს-ეს ჯერ ზეპირსიტყვიერად, ხოლო შემდგომ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შპს „ს. პ. ჯ-ას“ ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მიერ ეცნობა, რომ იგი გათავისუფლებულ და დაკავებული თანამდებობიდან.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „ს. პ. ჯ-ას“ მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უა-

რის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 16 იანვრის გადაწყვეტილებით შპს „ს. პ. ჯ-ას“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. თ. ს-ეს უარი ეთქვა შპს „ს. პ. ჯ-ას“ 2014 წლის 7 თებერვლის №... ბრძანების და 2014 წლის 12 თებერვლის №... ბრძანების ბათილად ცნობაზე. თ. ს-ეს უარი ეთქვა შპს „ს. პ. ჯ-აში“ ნაშთების დაგეგმირების განყოფილების უფროსის/ლოჯისტიკის დეპარტამენტის ანალიტიკოსის თანამდებობაზე აღდგენაზე.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რის გამოც ადგილი ჰქონდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევას – „სამართლის ნორმების დარღვეულად ითვლება თუ სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა“. კერძოდ, სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, მაშინ როცა მისი გამოყენების აუცილებლობა არ არსებობდა.

პალატამ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მოცემული დავის გადაწყვეტილისათვის განმასაზღვრული მნიშვნელობა ჰქონდა მხარეთა 2012 წლის 6 თებერვლის შრომის ხელშეკრულების მე-3 მუხლის შინაარსის სწორ განმარტებას. ზემოხსენებული ნორმა შემდეგი შინაარსისაა: „3.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთი წლის ვადით და მოქმედებს 2012 წლის 6 თებერვლიდან 2013 წლის 6 თებერვლის ჩათვლით. 3.2. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე მხარეები არ შეატყობინებენ ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად მომდევნო ერთი წლის ვადით. 3.3. მხარეთა ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად“.

მოსარჩელის მოსაზრებით, ხელშეკრულების ავტომატური გაგრძელება გულისხმობს მისი მოქმედების გაგრძელებას იგივე პირობებით, რაც მხარეთა შორის იყო შეთანხმებული, რის გამოც ხელშეკრულების შეწყვეტა 2014 წელს უნდა მომხდარიყო იგივე წესების დაცვით, რაც ხელშეკრულების 3.2. პუნქტით იქნა განსაზღვრული. ეს მოსაზრება სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის საფუძველზე გაზიარებულ იქნა პირველი ინსტანცი-

ის სასამართლოს მიერაც, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების 6.2 აბზაცში აღნიშნა, რომ „ხელშეკრულების შენიშვნების ვადის გამოუყენებლობის შემთხვევაში, ურთერთობა გრძელდებოდა იმავე პირობებით, რაც მხარეებს შორის №...-ე ხელშეკრულება აწესებდა. აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ დამსაქმებელი ყოველ ჯერზე იყო ვალდებული ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე ეცნობებინა დასაქმებულისათვის კონკრეტული წლის 6 იანვრამდე“. სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელის მითითებული მსჯელობა არ გაიზიარა. მხარეთა მიერ ზემოხსენებული ხელშეკრულების მე-3 მუხლში გამოვლენილი ნების განმარტებისას კი, აღნიშნა, რომ „განმარტების მეშვეობით უნდა დადგინდეს თუ როგორ შეიძლება იქნეს გაგებული ნების გამოვლენა ნებისმიერი ობიექტური მიმღების (ადრესატის) მიერ. ნების გამოვლენის ნამდვილ (სუბიექტურ) ნებას ამ კოსტელაციების ფარგლებში, არ ექცევა ყურადღება. ნების გამოვლენის ადრესატის ობიექტური აღქმა, როგორც შეფასების მასშტაბი, ძირითადად გამოიყენება ისეთი ნების გამოვლენისას, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას. ამ შემთხვევაში, სამართლებრივი ბრუნვის ინტერესების დაცვას უპირატესობა ენიჭება ცალკეული პირის ნამდვილი (სუბიექტური) ნების დადგენის ინტერესთან შედარებით“ (იხ., ს. ჰენშელი „სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა“, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009წ. 126.).

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხელშეკრულების მე-3 მუხლი უნდა შეფასებულიყო ობიექტური დამკვირვებლის მოსაზრებიდან გამომდინარე და არა მხარეთა სუბიექტური შეფასებების მიხედვით. ცხადია, რომ ხელშეკრულების 3.1 მუხლი, მისი განსაზღვრულობიდან გამომდინარე, დავას არ იწვევდა – ხელშეკრულება დადგებული იყო 2012 წლის 6 თებერვლიდან 2013 წლის 6 თებერვლის ჩათვლით. ხელშეკრულების 3.2 მუხლში არსებული ფრაზა „თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე მხარეები არ შეტყობინებუნ ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“ მიერართება სწორედ ხელშეკრულების 3.1. მუხლით განსაზღვრულ ერთწლიან ვადას ანუ, თუ 2013 წლის 6 იანვრამდე მხარეები არ შეატყობინებდნენ ერთმანეთს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ დგებოდა 3.2 მუხლით განსაზღვრული მეორე პირობა (რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი). საქმის მასალებით დადგინდილია, რომ, მართლაც ჰქონდა ადგილი ასეთ შემთხვევას – ერთი წლის გასვლამდე 1 თვით ადრე მხარეებმა არ შეატყობინეს ერთმანეთს შეწყვეტის შესახებ და დადგა 3.2

მუხლით განსაზღვრული მეორე პირობა ანუ „ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად მომდევნო ერთი წლის ვადით“.

ამ პირობასთან დაკავშირებით მხარეთა დავა გამოიწვია სიტყვა „მომდევნოს“ არსმა. პირველი ინსტანციის სასამართლომ ამ გარემოებაზე კონკრეტული მსჯელობის გარეშე გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი. პალატამ აღნიშნა, რომ სიტყვა „მომდევნოს“ ფუძე – „დევნა“ და მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვები „მიდევნება“ („მისდევს“), „გადევნება“ („გასდევს“) და ა.შ. – თავისი არსით ასახავენ კონკრეტული მოვლენის შემდეგ არსებულ გაგრძელებას, მაგრამ ზედსართავი სახელი „მომდევნო“ – თავისი შინაარსით ასახავს დროის მარტოოდენ ერთ მონაკვეთს, რომელიც მოჰყვება მანამდე არსებულ დროის სხვა მონაკვეთს (მაგალითად „მომდევნო სემესტრი“). ამავე დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა სამართლებრივი კაზუსის ამოხსნის მეთოდიკაში გამოიყენებული „დასკვნა საწინააღმდეგოს საფუძველზე“ (*argumentum a contrario*). ამ მეთოდის მიხედვით ივარაუდება, რომ „ვინაიდან კანონმდებელმა (მოცემულ შემთვევაში მხარეებმა) გარკვეული საკითხი მოახესრიგა გარკვეული ფორმით, ამით მას სურდა გამოეხატა, რომ აღნიშნული ნორმა არ ვრცელდება სხვა საკითხებზე და შემთხვევებზე. ეს განსაკუთრებით აქვარაა, როდესაც ნორმის დისპოზიციაში ვხვდებით სიტყვას „მხოლოდ“. თუ კანონმდებელს სურდა მოცემული შემთხვევის მოწესრიგება, მაშინ იგი მოახერხებდა კიდეც ამას. ანუ რაიმე საკითხის არ – მოწესრიგება არის გააზრებული გადაწყვეტილება (იხ., ს. ჟენბელი „სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა“, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2009წ. 126). განსახილველ შემთხვევაში *argumentum a contrario* იქნებოდა ისეთი შემთხვევა, როდესაც მხარეებს 3.2 მუხლში ნაცვლად სიტყვისა „მომდევნო“ ჩაეწერათ ფრაზა „ყოველი მომდევნო“. ეს უკანასკნელი ფრაზა თავის იმპერატიული ხასიათიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამორიცხავდა ყოველგვარ ბუნდოვანებას. მაგრამ ვინაიდან ასეთი დათქმა ხელშეკრულების ტექსტში არ გვხდება, ივარაუდება, რომ მხარეები ასეთის სურვილის შემთხვევაში, მას ტექსტში გათვალისწინებდნენ კიდეც, ხოლო რადგან არ გაითვალისწინეს, ესე იგი არც შეთანხმებულან მასზე.

რაც შეეხება მოწინააღმდეგე მხარის მსჯელობას, რომ ვინაიდან ხელშეკრულება გაგრძელდა 2014 წლის 6 თებერვლამდე და ამის შედეგად, გაგრძელება ჰპოვა აგრეთვე 3.2 მუხლმაც, და ამის გამო, სანარმოს წარმოეშვა ვალდებულება ეცნობებინ-

და შენყვეტის განზრახვის შესახებ 2014 წლის 6 იანვრამდე, ეს მოსაზრება პალატამ არ გაიზიარა.

ვინაიდან ხელშეკრულების მოქმედება გაგრძელდა მხოლოდ ერთი ერთნლიანი ვადით და ამოინურა 2014 წლის 6 თებერვალს, სანარმოს აღარ გააჩნდა ვალდებულება შებოჭილიყო 3.2 მუხლის დანაწესით (ეცნობებინა ერთ თვით ადრე) განსხვავებით 2013 წლის 6 თებერვლისთვის შექმნილი ვითარებისაგან, რომლის დროსაც სანარმოს მიერ შეტყობინების ვალდებულებას პირდაპირ ადგენდა 3.2. მუხლი. ამასთან, ხელშეკრულება მისი მოქმედების ვადის გასვლის გამო, აღარ ითვალისწინებდა მხარეთა შორის ურთიერთობის მონქსრიგებას 2014 წლის 6 თებერვლის შემდეგ, რის გამოც უსაფუძვლოა მონინააღმდეგე მხარის მსჯელობა შენყვეტის შეუტყობინებლობის შემთხვევაში 3.2 მუხლის ყოველი ერთნლიანი პერიოდებით გაგრძელების თაობაზე.

აქედან გამომდინარე, პალატამ მიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა „შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევას – შრომითი ხელშეკრულების შენყვეტას ვადის გასვლის შედეგად. ეს ნორმა კი არ იქნა გამოყენებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, რითაც დაირღვა საქართველოს სკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. ს-ემ გაასაჩივრა საკავაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

კასატორის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ერთი კვირით ადრე არც ერთ მხარეს არ გამოიუქვაამს მზადყოფნა შრომითი ხელშეკრულების შენყვეტაზე, უნდა ჩაითვალოს არსებული შრომითი სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებად. აღნიშნულ დავაში კასატორის მოსაზრებით, არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება №ას-443-428-2014, რომელსაც ეწინააღმდეგება თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. კასატორის მითითებით სააპელაციო სასამართლომ არასწორედ განმარტა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი. სასამართლომ ასევე არ იმსჯელა და არ შეაფასა ის მტკიცებულება, რომელიც მან დასაშვებად ცნო, აღნიშნული მტკიცებულების შეფასებას კი არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი წების შინაარსის დასადგენად.

კასატორის აზრით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად

განმარტა სანდრა ჰენშელის „სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკაში“ განვითარებული მსჯელობა – დასკვნა საწინააღმდეგოს საფუძველზე, რომელიც რეალურად თ. ს-ის ინტერესებს იცავს და არა შპს „ს. პ. ჯ-აშ“ ინტერესებს. კასატორის აზრით, სასამართლომ არასწორედ გამოიყენა ხების გამოვლენის მხოლოდ ეტიმოლოგიური განმარტება, როდესაც მას ნების გამოვლენის განმარტებისას თელეოლოგიური მეთოდი უნდა გამოეყენებინა. შესაბამისად, კასატორის აზრით სასამართლომ არასწორედ დაადგინა სიტყვა შრომით ხელშეკრულებაში მითითებული სიტყვა „მომდევნოს“ მნიშვნელობა.

კასატორის მითითებით, ნების ობიექტურად შესაძლებელი აღქმის შინაარსის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს დასაქმებულის მიერ აღქმული ნება, როგორც ნების გამოვლენის ადრესატის და არა დამსაქმებლის, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი არის ნების გამოვლენი შრომით ურთიერთობაში. დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობისათვის კი, მნიშვნელობა აქვს იმ შინაარსის დადგენას, თუ დასაქმებულმა როგორ გაიგო ან/და შეიძლებოდა გაეგო დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი ნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორედ განმარტა ხელშეკრულების პირობა, რომლის თანახმადაც თუ ხელშეკრულება არ შეწყდა იგი ითვლება გაგრძელებულად, მიუთითებს მექანიზმზე, რომლის მთავარი მიზანი არის ხელშეკრულების გაგრძელება და არა შეწყვეტა. შესაბამისად, სასამართლოს ხელშეკრულების სადაო პირობა უნდა განემარტა შემდეგნაირად: ხელშეკრულება უნდა ჩათვლილიყო ყოველი მომდევნო წლის ვადის გასვლამდე გაგრძელებულად, თუ ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე ხელშეკრულება არ შეწყდებოდა მხარეების მიერ დამოუკიდებლად გამოვლენილი ნებით.

კასატორი პრეტეზზიას აცხადებს სასამართლოს მიერ გაუთვალისწინებელ ერთ-ერთ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის თანახმად, დამსაქმებელმა დასაქმებულის გათავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე შეადგინა საშტატო განრიგი, რომელშიც კასატორი შპს „ს. პ. ჯ-აში“ მომუშავე პერსონალად კვლავ იყო გათვალისწინებული. აღნიშნული კი, ნარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ დამსაქმებელი განიხილავდა შრომით ხელშეკრულებას გაგრძელებულად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მოთხოვნებს, რის გამოც, დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადავოდაა გამხდარი 06.02.2012წ-ის №644 შრომით ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნების განმარტების საკითხი.

სადავო საკითხთან მიმართებაში, დადგენილია, რომ 2012 წლის 06 თებერვალს ერთი მხრივ, შპს „ს. პ. ჯ-ას“, როგორც „დამსაქმებელსა“ და მერე მხრივ, თ. ს-ეს, როგორც „დასაქმებულს“ შორის გაფორმდა №... შრომითი ხელშეკრულება, რომლის თანახმად, თ. ს-ე დაინიშნა შპს „ს. პ. ჯ-ას“ ნაშთების დაგეგმარების განყოფილების უფროსის/ლოჯისტიკის დეპარტამენტის ანალიტიკოსის თანამდებობაზე და ხელფასის სახით განესაზღვრა 2250.00 ლარი.

ხელშეკრულების მე-3 მუხლით განისაზღვრა ხელშეკრულების ვადა, მისი შეწყვეტის საფუძვლები და წესები, სახელდობრ, 3.1. პუნქტით ხელშეკრულება დაიდო ერთი წლის ვადით და მისი მოქმედების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 06 თებერვლიდან 2013 წლის 06 თებერვლამდე პერიოდი. 3.2. პუნქტის მიხედვით კი, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე მხარეებმა არ შეატყობინეს ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად გაგრაძელებულად მომდევნო ერთი წლის ვადით. 3.3. მხარეთა ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად“.

2014 წლის 06 თებერვალს თ. ს-ეს ჯერ ზეპირსიტყვიერად, ხოლო შემდგომ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შპს „ს. პ. ჯ-ას“ ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსის მიერ ეცნობა, რომ იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

კასატორის მოსაზრებით, მხარეთა შორის არსებული შრომითი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობის შეწყვეტა უკანონოა და იგი ენინაალმდეგება ხელშეკრულების არსს. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, ხელშეკრულების 3.2. პუნქტით გათვალისწინებული სადაო პირობა უნდა განმარტებულიყო შემდეგნაირად: ხელშეკრულება უნდა ჩათვლილიყო ყოველი მომდევნო წლის ვადის გასვლამდე გაგრძელებულად, თუ

ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე ხელშეკრულება არ შეწყდებოდა მხარეების მიერ დამოუკიდებლად გამოვლენილი ნებით.

კასატორის ზემოთ მითითებულ პოზიციას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და პირველ რიგში, მიუთითებს, რომ მხარეთა შორის შრომით სამართლებრივი ურთიერთობა წარმოშობილია 06.02.2012წ-ის №... შრომით ხელშეკრულებიდან. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც შიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაცნ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია განიმარტოს 06.02.2012წ-ის №... შრომით ხელშეკრულების ის მუხლი, რომელიც შეეხება ხელშეკრულების ვადას, მისი შეწყვეტის საფუძვლებსა და წესებს რადგანაც, სწორედ 3.1 და 3.2 პუნქტების ერთობლივი განმარტებითაა შესაძლებელი გარიგებაში გამოვლენილი ნადგილი ნების დადგენა და ამდენად, სადაც საკითხის გადაწყვეტაც. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ხელშეკრულებათა განმარტების თავისებურება განპირობებულია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ.

ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსესუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათვე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშვილი ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აპსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენია, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება.

ნების გამოვლენის განმარტება ემსგავსება კანონის განმარტებას: ორივე შემთხვევაში ხდება ბუნდოვანი, საეჭვო აზრის დაზუსტება. მაგრამ თუ კანონის განმარტებას ზოგადი ხასიათი აქვს, ე.ი. სავალდებულოა და გამოიყენება ყველას მიმართ და მიზნად ისახავს კანონის ბუნდოვანი ადგილების ერთიანი გაების უზრუნველყოფას, გარიგების (ხელშეკრულების) განმარტების მიზანი უფრო ვიწროა – გარიგების (ხელშეკრულების) მონაწილე მხარებს შორის ურთიერთობის გარკვევა. ამიტომ ასეთ განმარტებას ძალა აქვს მხოლოდ გარიგების მონაწილეებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტომდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ეყყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

ხელშეკრულების განმარტების საჭიროებას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როცა სახეზეა ხელშეკრულება, რომლის გამონათქამებიც ბუნდოვანი, ორაზროვანი ან ურთიერთგამომრიცხავია, აგრეთვე, როცა მისი გამონათქვამები შესწორებასა და შევსებას მოითხოვენ.

ხელშეკრულების განმარტების დროს სასამართლო ორ მნიშვნელოვან საკითხს წყვეტს: სასამართლოს ევალება მხარეთა მიერ ხელშეკრულებაში გაკეთებული გამონათქვამების დაზუსტება, ხოლო მეორეს მხრივ, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით ხელშეკრულებაში ღიად დარჩენილი ადგილების ე.წ. ხარვეზების შევსებას ახორციელებს.

„ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტება“ და „ხელშეკრულების შევსებითი განმარტება“ განსხვავებული ცნებებია. სხვადასხვანაირი, ორაზროვანი და მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დაზუსტების აუცილებლობას ადგილი აქვს, როდესაც მხარეები ხელშეკრულების გამონათქვამების მიღმა არსებულ მნიშვნელობებზე დავობენ. ხოლო ხელშეკრულების შევსებით განმარტებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მხარეებს ხელშეკრულების ტექსტში გამორჩენილი აქვთ ცალკეულ საკითხთა მოწერილება ან ხელშეკრულების პირობები გარკვეული ხარვეზებითაა მოცემული.

ხელშეკრულების გამონათქვამების განმარტების დროს უნდა დადგინდეს მხარის შინაგანი ნების შესაბამისობა მის გამოხატულებასთან. ხელშეკრულების განმარტების მიზანი მისი შინაარსის დადგენაა. განმარტებას შეიძლება საჭიროებდეს, როგორც მთელი ხელშეკრულება, ასევე, მისი რომელიმე ნაწილი ან თუნდაც რომელიმე პუნქტი (პირობა). ხელშეკრულების პირობები იმგვარად უნდა იქნას განმარტებული, რომ ყველა მათგანს მიეცეს მნიშვნელობა და არა რომელიმე მათგანს წაერთვას ძალა.

ხელშეკრულების განმარტების საფუძვლებთან დაკავშირებით საინტერესოა ევროპული სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი პრინციპების (დებულებების) 5:101-5:107 მუხლების დანაწესები, კერძოდ, ხელშეკრულება უნდა განიმარტოს მხარეთა სახერთო ნების შესაბამისად იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი განსხვავდება სიტყვასიტყვითი მნიშვნელობისაგან. მხარეთა საერთო ნების დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, განმარტების კრიტერიუმად მიიჩნევა ხელშეკრულების მხარეთა მსგავსი გონივრული აზროვნების მქონე პირთა შეფასება მოცემულ გარემოებებში. ხელშეკრულების ცალკეული გამონათქვამი (პირობა) უნდა განიმარტოს იმ მთლიანი ხელშეკრულების ჭრილში, რომელიც ისინი არის მოცემული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარიგების განმარტების შესახებ 52-ე მუხლის გარდა, მოიცავს ასევე ნორმებს, რომლებიც ხელშეკრულებათა განმარტების საკითხებს აწესრიგებს, მაგალითად, 338-ე მუხლი, რომლის ძალითაც, ხელშეკრულებაში ურთიერთგამომრიცხველი ან მრავალმნიშვნელოვანი გამონათქვამების დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს იმ გამონათქვამს, რომელიც ყველაზე მეტად შეესატყვისება ხელშეკრულების შინაარსს (ხელშეკრულების ბუნდოვანი ნაწილის განმარტებისათვის იხ., სუს 23.02.2015-ის განჩინება №ას-1144-1090-2014). მოცემული დავის გადაწყვეტილისათვის განმსაზღვრელი

მნიშვნელობა გააჩნია 06.02.2012წ-ის №... შრომით ხელშეკრულებაში გამოვლენილი ნების დადგენას, რომელიც მხარეთა მიერ შემდეგი სახითაა ჩამოყალიბებული:

„3.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადგებულია ერთი წლის ვადით და მოქმედებს 2012 წლის 6 თებერვლიდან 2013 წლის 6 თებერვლის ჩათვლით.

3.2. თუ ხელშეკრულების ვადის გასვლამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე მხარეები არ შეატყობინებენ ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, ხელშეკრულება ჩაითვლება ავტომატურად გაგრძელებულად მომდევნო ერთი წლის ვადით.

3.3. მხარეთა ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად“.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ხელშეკრულების 3.1 მუხლით დადგენილია ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტული ვადა, თუმცა ამავე ხელშეკრულების 3.2 პუნქტი, რომელიც ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობად აწესებს წინასწარი გაფრთხილების ერთთვიან ვადას პრაქტიკულად განსაზღვრავს ამავე ხელშეკრულების პირველ პუნქტსაც, ვინაიდან, სწორედ ამ პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შედეგებს უკავშირდება და ხელშეკრულებიდან გასვლისათვის აწესებს წინასწარი გაფრთხილების/შეტყობინების სავალდებულობას.

მოცემული დავის გადაწყვეტისათვის საკვანძო საკითხი სწორედ იმაში მდგრომარეობს, რომ წინასწარი შეტყობინების არარსებობას უკავშირდება ხელშეკრულების გაგრძელება მომდევნო ერთი წლით. დადგენილია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა სწორედ ამგვარ შემთხვევას, სახელდობრ, ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამონტურგამდე ერთი თვით ადრე მხარეებმა არ შეატყობინეს ერთმანეთს შრომითი ურთიერთობიდან გასვლის შესახებ, რამაც განაპირობა ამავე მუხლის 3.2 პუნქტით დადგენილი ქცევის წესის ამოქმედება და ხელშეკრულების კიდევ ერთი წლის ვადით გაგრძელება. ამდენად, კასატორის ის პოზიცია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის წინასწარი გაფრთხილების არარსებობა ყოველ ჯერზე გამოიწვევდა ხელშეკრულების 3.1 პუნქტით დადგენილი ვადის გაგრძელებას უმართებულოა და არ გამომდინარეობს ხელშეკრულების სადაც ტექსტის განმარტებიდან.

„შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვე-პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა. მოცემულ შემთხვევაში, უდავოა, რომ მოსარჩელესთან შრომი-

თი ურთიერთობის შეწყვეტა სწორედ ზემოთმითითებული სა-მართლებრივი საფუძვლით მოხდა, ანუ გავიდა ის ერთნლიანი ვადა, რასაც მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებდა. შესაბამისად, მოსარჩელესთან შრომი-თი ურთიერთობა შეწყდა კანონისა და ხელშეკრულების მოთხოვნათა სრული დაცვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზი-არებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებას და მიაჩინია, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრატიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრატიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრატიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრატიკისაგან (ხელშეკრულების ბუნდოვანი ნაწილის განმარტებისათვის იხ., სუს 23.02.2015წ-ის განჩინება №ას-1144-1090-2014; სშკ-ის 37-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის სამართლებრივი საფუძვლისათვის ასევე იხ., სუს 11.11.2013წ-ის განჩინება №ას-924-882-2013).

ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სა-

სამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალსაზრისითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი დაუშვას საკასაციო საჩივარი, რის გამოც საკასაციო საჩივარს უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა მიჩნეული, კასატორს უნდა დაუბრუნდეს საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) 70%, რაც შეადგენს 210 ლარს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. თ. ს-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩეს განუხილველად;

2. კასატორს – თ. ს-ეს (პ/ნ:....) დაუბრუნდეს 2015 წლის 05 მარტს №...საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟის (300 ლარი) 70% – 210 ლარი შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ... .

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# შრომითი ხელშეკრულების შეცვალის საფუძვლები

## განხილვა

№ას-1304-1242-2014

27 მაისი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. პაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა

### აღწერილობითი ნაწილი:

ი. ქ-ემ სარჩელი ადრია სასამართლოში მოპასუხეების: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსა და სსიპ თბილისის იუსტიციის სახლის მიმართ, რომლითაც მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 31 იანვრის №...../კ ბრძანების ბათილად ცნობა, მოპასუხისათვის ახალი შრომითი ხელშეკრულების დადგების დავალება, იძულებითი მოცდენილი დროის ანაზღაურების დაკისრება თვეში 660 ლარის ოდენობითა და პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელე 2012 წლიდან 2013 წლის 31 იანვრამდე შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის პოზიციაზე. 2013 წლის 31 იანვრის №...../კ ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან შრომითი ხელშეკრულების ვადის ამონურვის საფუძვლით. სარჩელში აღნიშნულია, რომ მოსარჩელემ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოახდინა იუსტიციის სახლის თანამშრომელთა ორგანიზება და ღია წერილით მიმართა საქართველის იუსტიციის მინისტრს სისტემაში არსებული შრომითი პრობლემების შესახებ, რამაც იუსტიციის სახლის სხვადასხვა რგოლის თანამდებობის პირთა უკმაყოფილება გამოიწვია. ი. ქ-ის მიმართ დაიწყო დასციპლინური დევნი, თვალთვალი და ინფორმაციის შეგროვება. საქმე გადაეზარდა უწყების შიდა აუდიტის სამსახურს, რომლის დასკვნის

თანახმად, მოსარჩელეს არ დაუმტკიცდა ხელმძღვანელ პირთა მიერ წაყენებული ბრალდებები. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსარჩელეს 2013 წლის 31 იანვარიდან ალარ გაუგრძელეს შრომითი ურთიერთობა. მოსარჩელის განმარტებით, მის მიმართ განხორციელდა დისკრიმინაცია განსხვავებული აზრის გამო. ამასთან, შეიღავა მისი პატივი, ლირსება და საქმიანი რეპუტაცია.

მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა და მოსარჩელის მიერ იუსტიციის სამინისტროსადმი ღია წერილის მინერის გამო, რაიმე სახის დისკრიმინაციას მის მიმართ ადგილი არ ჰქონია. გარდა ამისა, მოპასუხეებმა განმარტეს, რომ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლებით მისი პატივი, ლირსება და საქმიანი რეპუტაცია არ შელახულა. მოპასუხეებმა აღნიშნეს, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დაიწყო დისკიპლინური წარმოება ი. ქ-ის მიერ დისკიპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტთან დაკავშირებით. დასკვნის თანახმად, მოსარჩელის გარკვეული ქმედებებით დაირღვა სამოქალაქო რეესტრის თავმჯდომარის 2009 წლის 13 აგვისტოს №... ბრძანებით დამტკიცებული მოქალაქეთა მომსახურების სტანდარტები, რაც უნდა შეფასდეს დისკიპლინურ გადაცდომად. გარდა ამისა, 2011 წლის 20 აპრილის №...../კ ბრძანების საფუძველზე, მოსარჩელე დაინიშნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ძეველი თბილისის სამსახურის მთავარ სპეციალისტად. აღნიშნულ პოზიციაზე ყოფნისას, 2011 წლის 11 სექტემბერს მას მიეცა შენიშვნა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დებულებისა და „ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს“ მოთხოვნათა დარღვევისათვის. მოგვიანებით, 2012 წლის 13 თებერვალს, ი. ქ-ეს სააგანტოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად, დისკიპლინური გადაცდომისთვის გამოცხადა საყვედური. 2012 წლის 28 თებერვალს შიდა კონტროლის სამსახურის დასკვნისა და 2012 წლის 29 თებერვლის სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანებით, მოსარჩელეს გაუგრძელდა დისკიპლინური სასჯელის ვადა სამი თვით.

მოპასუხეებმა განმარტეს, რომ მოსარჩელეს კანონის დაცვით ეთქვა უარი შრომითი ხელშეკრულების ვადის გაგრძელებაზე და განემარტა მიზეზები. მოსარჩელის მიმართ არსებობდა პრეტენზიები მის მიერ შრომითი დისკიპლინის დარღვევის საკითხებზე, რომელთა ნაწილი დადასტურდა აუდიტის დას-

კვნით. ამასთან, იუსტიციის სახლისათვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს უფლებამოსილებების დელეგირების ფაქტიდან გამომდინარე, იმ ეტაპზე არ არსებობდა შესაბამისი თავისუფალი პოზიცია, რომელზე მუშაობის გაგრძელებასაც მოსარჩელე შეძლებდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. ქ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ი. ქ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2012 წლის 22 სექტემბერს ერთი მხრივ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, როგორც „დამსაქმებელსა“ და მეორე მხრივ, ი. ქ-ეს, როგორც „დასაქმებულს“ შორის დაიდო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც ი. ქ-ე დაინიშნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების სააგენტოს თბილისის განყოფილებაში ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამონურვის შემდგომ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 04 იანვრის ბრძანებით ი. ქ-ეს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა 2013 წლის 01 იანვრიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (ხელშეკრულების ვადის გასვლა) შესაბამისად, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და 2013 წლის 01 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

უდავონ გარემოებაა, რომ საქართველოს იუსტიციის სამი-

ნისტროს იუსტიციის სახლსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით გაუქმდა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება, რომელშიც ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე დასაქმებული იყო ი. ქ-ე.

დადგენილია, რომ 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მენეჯერმა გ. ჭ-ემ რეაგირების მიზნით, მოხსენებითი ბარათით მიმართა იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-ს, რომლითაც აცნობა ი. ქ-ის მიერ მომსახურების სტანდარტების დარღვევის ფაქტი.

2013 წლის 23 იანვარს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა განიხილა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ი. ქ-ის მიერ დისციპლინარული გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტს. შიდა აუდიტის სამსახურმა შემოწმების შედეგად გამოვლენილი კანონიერების დარღვევის შესწავლისა და, ასევე, მოსამსახურეთა ახსნა-განმარტებების გაანალიზების საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს გამოცხადებოდა სიტყვიერი შენიშვნა.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის პრეტენზია მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელების შესახებ და მიუთითა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველ და მე-13 მუხლებზე, რომლის თანახმად, სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს, რომელიც ვალდებული იყო ემტკიცებინა, რომ: а) მოპასუხემ მოსარჩელის შესახებ გაავრცელა სადავო განცხადება; ბ) სადავო განცხადება არ შეესაბამებოდა სინამდვილეს, ანუ იგი მცდარი ფაქტების შემცველი იყო; გ) სადავო განცხადება ლახავდა მის პატივსა და ღირსებას.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რაც მოსარჩელის მიმართ სადავოდ გამხდარი განცხადებების გავრცელების ფაქტს დაადასტურებდა, ხოლო გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელსაც მოსარჩელე მიიჩნევდა მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ განცხადებად, წარმოადგენდა შიდასამსახურებრივ მოხსენებით ბარათს, შედ-

გენილი იყო სწორედ ამ დანიშნულებით და არ იყო გამიზნული პირთა ფართო წრის ინფორმირებისათვის. როგორც საქმის მასალებით ირკვეოდა სწორედ აღნიშნული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ანარმოა კვლევა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა და 2013 წლის 23 იანვარს შედგენილი დასკვნით არ გაიზიარა მოხსენებით ბარათში მოცემული კონკრეტული დარღვევების არსებობის ფაქტი, ხოლო, რიგი დარღვევების არსებობის ფაქტის დადგენის გამო, მიზანშენილად მიიჩნია ი. ქ-ისათვის სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომითი მოვალეობების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები ი. ქ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ 2013 წლის 31 იანვარს გამოცემულ ბრძანებას საფუძვლად არ დადებია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლზე, რომლის თანახმად, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, პირს უფლება აქვს, სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი და ღირსება შელახვისაგან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, იმისათვის, რომ სასამართლოს გზით განხორციელდეს პირის პატივისა და ღირსების შესაპამისი დაცვა, უნდა არსებობდეს შემდეგი გარემოებანი: 1. პირის პატივისა და ღირსების შელახვა; 2. პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელება; 3. გავრცელებული ცნობების სინამდვილესთან შეუსაბამობა;

„სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისათვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება (და არა კომენტარი, აზრი, ვარაუდი, მოსაზრება, შეფასება).

ცილისწამების შემადგენლობის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტების გავრცელება. ამდენად, მოსარჩევემ, უპირველესად, სწორედ ის უნდა დაამტკიცოს, რომ უშუალოდ მის შესახებ მოპასუხებ გაავრცელა ფაქტები, ეს ფაქტები არსებითად მცდარი იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდ-

გენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება, რაც მოსარჩელის მიმართ სადაც განცხადებების გავრცელებას დაადასტურებდა. შესაბამისად, არ არსებობდა პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ი. ქ-ემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში, საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას ემყარება, რომ ი. ქ-ესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტით დამსაქმებელმა ბოროტად გამოიყენა თავისი უფლება, რითაც უგულვებელყო მოქმედი კანონმდებლობა და შელახა კასატორის პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია. კერძოდ, თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათით იღახება ი. ქ-ის პატივი და ღირსება, ვინაიდან, იგი ხელმისაწვდომი გახდა უწყების თანამშრომლებისთვისაც. მოხსენებით ბარათში უგულვებელყოფილი იქნა კასატორის შრომით დისკიპლინა და მომსახურების სტანდარტი. მისი, როგორც დასაქმებულის ქმედებები შეფასდა, როგორც „დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლით გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“. მოხსენებითი ბარათის ავტორის ფუნქციური და იურიდიული სტატუსის, ბარათის ადრესატის, შეფასების არაკორექტულობისა და ფაქტების მცდარობის გათვალისწინებით, კასატორისათვის გაუგებარია, როგორ შეიძლებოდა, აღნიშნული ბარათი მიჩრეულიყო უბრალო, სუბიექტურ შეფასებად გადაჭარბების გარეშე. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმ გარემოებაზე, რომ გ. ჭ-ე მხარეს არ წარმოადგენს, რაც მის მიერ შედგენილ მოხსენებით ბარათს კიდევ უფრო სუბიექტურს ხდის. კასატორი განმარტავს, რომ გ. ჭ-ე არის თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერი, კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფაგლებში განხორცილებული ქმედებებისას იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, შესაბამისად, ოფიციალური დოკუმენტით შედგენილი მისი შეფასებითი მსჯელობა, გამოხატავს დამსაქმებლის ნებას.

კასატორმა მიუთითა საკონსტიტუციო სასამართლოს ერთეულთ საქმეზე „მოქალაქე აკაკი გოგიჩაიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, სადაც სასამართლომ აღნიშნა, რომ

ფაქტები ყოველთვის ეყრდნობოდნენ მტკიცებულებებს, შესაბამისად, ფაქტების გავრცელება ექვემდებარება მათი სისწორის, ნამდვილობის მტკიცების ვალდებულებას. ფაქტებისა და მოსაზრებების გონივრული გამიჯვნა, ერთი მხრივ, სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, მეორე მხრივ კი, პატივისა და ღირსების უფლების დაცვის გარიზნისა წარმოადგენს.

კასატორი მიუთითებს საპროცესო ნორმების დარღვევაზეც და განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მას უთხრა სააპელაციო საჩივარზე თანდართული დოკუმენტების მტკიცებულების სახით დაშევბაზე, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 83-ე, 380-ე და 215-ე მუხლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 16 მარტის განჩინებით ი. ქ-ის საკასაციო საჩივარი სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 2013 წლის 31 იანვრის №..../კ ბრძანების ბათილად ცნობის, მოპასუხისათვის ახალი შრომითი ხელშეკრულების დადების დავალებისა და იძულებითი მოცდენილი დროს ანაზღაურების დაკისრების ნაწილში დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, ხოლო საკასაციო საჩივარი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში ცნობილ იქნა დასაშვებად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიზნებს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატის განხილვის საგანია ი. ქ-ის საკასაციო საჩივარი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფის ნაწილში.

კასატორის პრეტეზიების (კასაციის მიზეზების) დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიზნებს მიუთითოს მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ რეგულირებაზე, რადგან მატერიალური ნორმების შემადგენლობის ნიშნების არსებობა განაპირობებს სარჩელის საფუძვლიანობას.

განსახილველი დაცის საგნის, სასარჩელო მოთხოვნისა და მის საფუძვლად მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი, გვაძლევს იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი, რომელიც ბლანკეტური შინაარსისაა და მოი-

ცაგს დათქმას სპეციალურ კანონზე, რომელიც საქართველოში ძალაშია 2004 წლის 16 ივნისიდან, ესაა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი. სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილი განსაზღვრავს, რომ „პირს უფლება აქვს სასამართლოს მეშვეობით, კანონით დადგენილი წესით დაიცვას საკუთარი პატივი, ლირსება, პირადი ცხოვრების საიდუმლოება, პირადი ხელშეუხებლობა ან საქმიანი რეპუტაცია შელახვისაგან“. შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სადაც საკითხის გადასაწყვეტად, პატივისა და ლირსების შელახვის ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად და დასადგენად სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მეორე ნაწილის სამართლებრივი განმარტებიდან გამომდინარე, უნდა ვიხელმძღვანელოთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ სპეციალური კანონით, რომელიც წარმოადგენს ლირსების და პატივის სამოქალაქო რეგულირების შემავსებელ ნორმას და საბოლოოდ, ქმნის საკითხის სამოქალაქო კოდექსით გადაწყვეტის წინაპირობას.

კასატორის პრეტენზია იმ გარემოებას ემყარება, რომ თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათით შეილახა მისი პატივი და ლირსება, რომელსაც საქმის განმხილველმა სასამართლომ არ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მისი პატივის, ლირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვის ფაქტი წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებას, რომლის არსებობის დადასტურების მტკიცების ტვირთს მატერიალური ნორმა აკისრებს „რეპუტაცია შელახულ პირს“. შესაბამისად, ეს ის შემთხვევაა, როდესაც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განანილების სპეციალური და ზოგადი წესი (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი) თანხვედრაშია, რაც ნიშნავს სწორედ იმას, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელეა ვალდებული და არა მოპასუხე, ამტკიცოს, რომ: а) მოპასუხებ მის შესახებ გაავრცელა სადაც განცხადება; б) სადაც განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს ანუ, იგი მცდარი ფაქტების შემცველია; გ) სადაც განცხადება ზიანს აყენებს მის პატივს, ლირსებასა და საქმიან რეპუტაციას.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგინა დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2012 წლის 22 სექტემბერს ერთი მხრივ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, როგორც „დამსაქმებელსა“

და მეორე მხრივ, ი. ქ-ეს, როგორც „დასაქმებულს“ შორის დაიდო ვადიანი შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც ი. ქ-ე დაინიშნა სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების სააგენტოს თბილისის განყოფილებაში ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების ვადის ამონტურვის შემდგომ, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 04 იანვრის ბრძანებით ი. ქ-ეს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად გაუგრძელდა შრომითი ხელშეკრულების ვადა 2013 წლის 01 იანვრიდან 2013 წლის 01 თებერვლამდე.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 31 იანვრის ბრძანებით სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორ ი. ქ-ეს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის (ხელშეკრულების ვადის გასვლა) შესაბამისად, შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და 2013 წლის 01 თებერვლიდან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

უდავო გარემოებაა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იუსტიციის სახლსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის ფუნქციების გამიჯვნასთან დაკავშირებით გაუქმდა თბილისის სამოქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილება, რომელშიც ხანგრძლივი სივრცის ოპერატორის თანამდებობაზე დასაქმებული იყო ი. ქ-ე.

დადგენილია, რომ 2012 წლის 24 დეკემბერს სსიპ „იუსტიციის სახლის“ მენეჯერმა გ. ჭ-ემ რეაგირების მიზნით მოხსენებითი ბარათით მიმართა იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-ს, რომლითაც აცნობა ი. ქ-ის მიერ მომსახურების სტანდარტების დარღვევის ფაქტი.

2013 წლის 23 იანვარს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა განიხილა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ი. ქ-ის მიერ დისციპლინარული გადაცდომის საგარაუდო ჩადენის ფაქტს. შიდა აუდიტის სამსახურმა შემოწმების შედეგად გამოვლენილი კანონიერების დარღვევის შესწავლისა და, ასევე, მოსამსახურეთა ახსნა-განმარტებების

გაანალიზების საფუძველზე მიზანშეწონილად მიიჩნია, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს თბილისის სამქალაქო რეესტრის სამსახურის მოქალაქეთა მომსახურების თბილისის განყოფილების ხანგრძლივი სივრცის ოპერატორი ი.ქ-ეს გამოცხადებოდა სიტყვიერი შენიშვნა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთდადგენილი ფაქტობრივი გარემოებები კასატორს სადაცოდ არ გაუხდია და ამდენად, მას საკასაციო პალატისათვის საგალდებულო ძალა გააჩნია.

კასატორის ძირითადი პრეტენზია (კასაციის საფუძვლები) საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების არასწორ კვალიფიკაციას ეფუძნება, რაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საქმის განმხილველმა სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებით ბარათს, რომელიც კასატორის მოსაზრებით, წარმოადგენს მისი პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველ განცხადებას – ფაქტს, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა უწყების სხვა თანამშრომლებისთვისაც. მოხსენებით ბარათში უგულებელყოფილი იქნა კასატორის შრომითი დისციპლინა და მომსახურების სტანდარტი. მისი, როგორც დასაქმებულის ქმედების შეფასდა, როგორც „დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლითს გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“.

მოცემულ შემთხვევაში, სადაცო მოხსენებითი ბარათის გ. ჭ-ის მიერ შედგენის ფაქტი სადაცო არაა, მაგრამ მოპასუხის (კასატორის მოწინააღმდეგე მხარის) განმარტებით „მოხსენებითი ბარათი არ შეიცავდა დასაქმებულის პატივისა და ღირსების შემლახველ ინფორმაციას, არამედ წარმოადგენდა შიდასამსახურებრივ დოკუმენტს და განკუთვნილი იყო იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-სათვის, რომელსაც ამ ბარათით ეცნობა ი. ქ-ის მიერ მომსახურების სტანდარტების დარღვევის ფაქტი“.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ძირითადი პრეტენზიის (კასაციის საფუძვლების) კანონიერების შემოწმებისათვის უნდა შეფასდეს შეიცავდა თუ არა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათი სინამდვილის შეუსაბამო, არსებითად მცდარი ფაქტის შემცველ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი გახდა მესამე პირისათვის.

პირველ რიგში, დაცის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია გაირკვეს, მოხსენებით ბარათში სადაცო გამონათქვა-

მები („დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო ნოლითს გაცს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“) მიეკუთვნება ფაქტებს თუ, შეფასებით მსჯელობას (აზრს). საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული აუცილებელი პირობაა გავრცელებული განცხადების შეფასებისთვის, ვინაიდან „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგით, რაც გამორიცხავს სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, კერძოდ, მითითებული კანონის პირველი მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის მიხედვით, აბსოლუტური პრივილეგია განმარტებულია, როგორც კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო განთავისუფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ აზრის გამოხატვის თავისუფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ძალზე ფართოდ განმარტავს. თავისი პრინციპული პოზიცია მან ასახა ერთერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში (LINGENCE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 08 ივლისი, 1986 წელი, განაცხადის №9815/82), რომელშიც განმარტა, რომ უდიდესი სიფრთხილით უნდა შეფასდეს „ფაქტები“ და „მოსაზრება“ / „მსჯელობა“. თავის მხრივ, „ფაქტების“ არსებობა დასაშვებად მიიჩნევდა მათ დადასტურებას, მაშინ როდესაც „მოსაზრების“ / „შეხედულების“ დადასტურება პრაქტიკულად შეუძლებელია და ამდენად, იგი განეკუთვნება შეხედულებათა თავისუფლების სფეროს და დაცულია კონვენციის მე-10 მუხლის პირველი ნაწილით.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, „ფაქტისა“ და „აზრის“ გამიჯვნისათვის აუცილებელია გამიჯვნის კრიტერიუმების დადგენა. ამისათვის უნდა მივმართოთ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლს, რომელიც მინიმალურ სტანდარტს აწესებს აზრისა და ფაქტის გამიჯვნისათვის, კერძოდ, მითითებული მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ“.

თავად აზრის დეფინიცია მოცემულია ზემოხსენებული კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში, რომლის მიხედვით,

„აზრი არის შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს“. სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე (იხ. სუსგ, №ას-1278-1298-2011, 20 თებერვალი, 2012 წელი). ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა, ხოლო „აზრის“ შემოწმება შეუძლებელია, რამდენადაც იგი განეკუთვნება „გონების სფეროს“, ნარმოადგენს აბსოლუტურად დაცულ უფლებას, რომელში ჩარევასაც კანონმდებელი დაუშვებლად მიიჩნევს და მისი მართებულობის კვლევას დღის წესრიგში არ აყენებს. ხშირ შემთხვევაში, აზრები და ფაქტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდებიან და მათი გამიჯვნა რთულია. ეს განპირობებულია იმით, რომ გამოთქმის ორივე ფორმა იშვიათად გვხვდება სუფთა სახით. უმთავრესად, სჭარბობს სწორედ ისეთი გამონათქვამები, რომლებშიც თავს იყრის როგორც შეფასებითი, ასევე ფაქტობრივი ელემენტები. აზრი ხშირად ეყრდნობა და ეხება ფაქტებს, ფაქტები კი, თავის მხრივ, აზრის საფუძველია, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს მათ, ამიტომაც ხშირად საკამათო გამონათქვამის, როგორც შეხედულების ან როგორც ფაქტის გადმოცემის, კვალიფიცირების დროს შესაძლებელია გამოთქმის კონტექსტის მიხედვით მისი ცალკეული ნაწილების იზოლირება, მაგრამ ეს მეთოდი გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც ამით არ იკარგება ან არ ყალიბდება გამონათქვამის შინაარსი და ნამდვილი აზრი. თუკი ასეთი იზოლირება შეუძლებელია გამონათქვამის შინაარსის გაყალბების გარეშე, მაშინ ეს გამონათქვამი უნდა ჩაითვალოს მთლიანად აზრის გამოთქმად, ანუ შეხედულებად, შეფასებით მსჯელობად და, შესაბამისად, მთლიანად უნდა იქნეს შეყვანილი ძირითადი უფლებით დაცულ სფეროში.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სადაცო მოხსენებით ბარათში გ. ჭ-ის მითითებები, (გამონათქვამები), როგორიცაა „დესტრუქციული, არაპუნქტუალური“, „სამუშაო პროცესში მისი ჯდომის მანერა უფრო წოლითს გავს“, „სახის უკმაყოფილო გამომეტყველებით ემსახურება

მომხმარებელს“, „მომსახურების სტანდარტი დარღვეულია 99%-ით“, წარმოადგენს მხოლოდ მისი ავტორის – გ. ჭ-ის მოსაზრებას, შეხედულებას დასაქმებულის (ი. ქ-ის) ქცევის სტანდარტთან მიმართებაში და თავისი შინაარსით, ემსახურება არა მის გავრცელებას და მესამე პირთათვის ხელმისაწვდომობას, არამედ როგორც წინამდებარე საქმის მასალებითა დადასტურებული მიზნად ისახავდა შიდასამსახურებრივ რეაგირებას. ამ მიზნითვე გადაეცა იუსტიციის სახლის აღმასრულებელ დირექტორ ნ. ჩ-ს, რომელმაც გადასცა იგი სისპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურს შესასწავლად და შესაძლო დარღვევების გამოსავლენად. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ჭ-ის მოხსენებითი ბარათის საერთო ტონალობა, მისი შინაარსი და შედგენის მიზანი არ იყო გამიზული ადრესატის ცილისწამებისაკენ. სადაც მოხსენებითი ბარათით მოპასუხეს არ გაუვრცელებია მოსარჩელის მიმართ ცილისმწამებლური ინფორმაცია, გამოიმდინარე იქიდან, რომ მასში მითითებული გამონათქვამები არ წარმოადგენს „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ შემადგენლობას, რომლის დანაწესით, ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმეუნებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება, არამედ მოხსენებით ბარათში დაფიქსირებული გამონათქვამები წარმოადგენს მოპასუხის შეფასებით მსჯელობას, მის შეხედულებას, დამკიდებულებას პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, რაც სავსებით თავსდება ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში გადმოცემულ „აზრის“ დეფინიციაში, რომელიც თავის მხრივ, დაცულია აბსოლუტური პრივილეგით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთ პრეცედენტულ საქმეში არაერთხელ განმარტა, რომ გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისა და თითოეული ინდივიდის განვითარების უმთავრეს საფუძველს. კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით დამკვებული ჩარევის აუცილებლობის არარასებობისას, ნორმით დაცულ სფეროში ხვდება არა მხოლოდ „უწყინარი“, „უვნებელი“ გამონათქვემება, არამედ „შეურაცხმყოფელი“, აღმაშფოთებელი“, „შოკისმოგვრელი“ მოსაზრებები. ეს არის პლურალიზმის, ტოლერანტობისა და ლიბერალიზმის მოთხოვნები, რომლის გარშეც, წარმოუდგენელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა (იხ. OTTO PREMINGER INSTITUTE v. AUSTRIA, სტრასბურგი, 20 სექტემბერი, 1994 ნელი, განაცხადის №13470/

87). ამ საკითხთან მიმართებაში, თავისი პრინციპული პოზიცია სასამართლომ უფრო ადრე დააფიქსირა საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (HANDYSIDE v. UNITED KINGDOM, სტრასბურგი, 07 დეკემბერი, 1976 წელი განაცხადის №5493/72).

ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნულ ბარათში მითითებული ინფორმაცია არ შეიცავს კონკრეტული ფაქტების მტკიცების პრეტენზიას, მასში ასახულია მხოლოდ მოპასუხის აზრი (მსჯელობა, თვალსაზრისი) და არა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე ფაქტების დამტკიცების მცდელობა. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის მიზანი, რომელმაც განაპირობა ამგვარი შინაარსის მოხსენებითი ბარათის შედგენა, რომელსაც ამ კონკრეტულ საქმეზე წარმოადგენდა არა დასაქმებული ი. ქ-ის დისკრედიტაცია, არამედ – დასაქმებულის მიერ კომუნიკაციის სტანდარტების დარღვევისადმი შიდასამსახურებრივი რეაგირება, რაც დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე ეკისრებოდა კიდევაც მენეჯერს. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ქ-ის მოხსენებით ბარათში გამოთქმული მოსაზრებები ვერ შეფასდება ი. ქ-ის პატივისა და ლირსების შემლახველად. უფრო მეტიც, 2013 წლის 23 იანვარს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შიდა აუდიტის სამსახურმა განიხილა რა თბილისის იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ქ-ის მოხსენებითი ბარათი, რომელიც ეხებოდა ი. ქ-ის მიერ დისკიპლინური გადაცდომის სავარაუდო ჩადენის ფაქტს, ზოგიერთი მათგანი გაიზიარა, ზოგიერთი კი, – არა.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელში მითითებული მოპასუხის განცხადებები არ წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულ ადამიანის პატივისა და ლირსების დაცულ სფეროში ჩარევას, არამედ მასში ასახულია მოპასუხის შეფასებები პიროვნებისა და მოვლენის მიმართ, არ არსებობს კონსტიტუციის მე-19 მუხლი მე-3 პუნქტით გათვალისწინებული სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის წინაპირობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ სსიპ იუსტიციის სახლის მენეჯერ გ. ქ-ის მოხსენებითი ბარათით შეილახა მისი პატივი და ლირსება, მოხდა მისი დისკრედიტაცია საფუძველს მოკლებულია. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც ი. ქ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას საფუძვლად დაედო არა გ. ქ-ის მიერ შედგენილი სადაცო მოხსენებითი ბარათი, არამედ შრომის კოდექსის 37-ე მუხ-

ლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი (ხელშეკრულების ვადის გასვლა).

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებიდან გამომდინარე დავისას იმის შეფასება, გავრცელებული განცხადება წარმო-ადგენს ფაქტს თუ აზრს სამართლის საკითხს წარმოადგენს, რომლის სამართლებრივი კვალიფიკაციაც სასამართლოს შეფა-სებაზეა დამოკიდებული. როგორც უკვე აღინიშნა, გავრცელე-ბული განცხადება არ წარმოადგენდა რა ცილისნამებას, საკა-საციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამარ-თლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარე-მოებების სამართლებრივი შეფასება იმის თაობაზე, რომ არ არ-სებობს პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყო-ფის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძ-ველი სწორი და დასაბუთებულია, რაც გამორიცხავს გასაჩივ-რებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო საჩივ-რის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძ-ვლებს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწი-ლით, 410-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. ქ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საბეჭედაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 29 ოქტომბრის გან-ჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

## შრომითი ხელშეკრულების შეცვალის საფუძვლები

### განრიცხავა

№ას-483-457-2015

7 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

6. ბაქაქური,

ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, იძულებით გაც-  
დენილი დროის ანაზღაურება

#### აღნერილობითი ნაწილი:

ლ. მ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ დი-  
რექტორის 02.12.2013წ-ის №7 ბრძანების ბათილად ცნობა და  
მოპასუხე ორგანიზაციაში სპორტული დირექტორის თანამდე-  
ბობაზე და ასაკობრივი გუნდების მოთამაშეთა მასწავლებლად  
აღდგენა; ასევე, იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზ-  
ღაურება ყოველთვიურად 2875 ლარის ოდენობით 2013 წლის  
02 დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ ლ.  
მ-ე 02.07.2013წ-ს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-სთან“ გაფორმებული შრომი-  
თი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა ა(ა)იპ „საკალ-  
თბურთო კლუბ შსს აკადემიაში. ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ დირექტო-  
რის 02.12.2013წ-ის №7 ბრძანებით მოსარჩელესთან შეწყდა  
შრომითი ხელშეკრულება. მოსარჩელე განმარტავს, რომ იგი ჯე-  
როვნად და კეთილსინდისიერად ასრულებდა მასზე დაკისრე-  
ბულ მოვალეობებს და მის მიმართ დისციპლინური პასუხის-  
მგებლობის ზომა გამოყენებული არ ყოფილა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელე  
ჯეროვნად არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა  
კოლეგიის 2014 წლის 14 მაისის გადაწყვეტილებით ლ. მ-ის სარ-  
ჩელი ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ მიმართ არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ლ. მ-  
ემ, რომელმაც სააპელაციო საჩივრის წარდგენის ეტაპზე დაა-  
ზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა, ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“  
დირექტორის 02.12.2013წ-ის №7 ბრძანების ბათილად ცნობა და

იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება ყოველ-  
თვიურად 2,875 ლარის ოდენობით 2013 წლის 02 დეკემბრიდან  
გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2015 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით ლ. მ-ის  
სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის სა-  
ქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014  
წლის 14 მაისის გადაწყვეტილება ლ. მ-ის სარჩელის დაკმაყო-  
ფილებაზე უარის თქმის ნაწილში და მიღებულ იქნა ახალი გა-  
დაწყვეტილება, რომლითაც ლ. მ-ის დაზუსტებული მოთხოვნა  
დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ დი-  
რექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №... პრძანება ლ. მ-ესთან  
გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.  
ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ დაეკისრა კომპენსაციის – 13,800 ლარის გა-  
დახდა ლ. მ-ის სასარგებლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია  
ის გარემოება, რომ 2013 წლის 02 ივლისს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-სა“  
(დირექტორი ზ. კ-ე) და ლ. მ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება,  
რომლის თანახმად, ლ. მ-ემ დაიკავა კლუბის სპორტული დი-  
რექტორის თანამდებობა.

ხელშეკრულების პირველი მუხლით განისაზღვრა, რომ „ლ.  
მ-ე შეასრულებდა კლუბის სპორტული დირექტორის ფუნქცი-  
ებს და ასევე განახორციელებდა ასაკობრივი გუნდების მოთა-  
მაშეთა სწავლებას“. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ  
მართალია, არც ხელშეკრულებით და არც კლუბის წესდებით  
სპორტული დირექტორის ფუნქციები განერილი არ იყო, მაგრამ  
მხარეები არ დაობდნენ, რომ იგი მოიცავდა მოვალეობათა საკ-  
მაოდ ფართო წრეს, რაც საბოლოოდ მიმართული იყო სხვადას-  
ხვა შეჯიბრებებში კლუბის წარმატებული გამოსვლისკენ. ეს  
ფუნქციები იყო: მოლაპარაკებების წარმოება კალათბურთე-  
ლებთან ტრანსფერების განხორციელებაზე, გუნდის მწვრთნე-  
ლების შერჩევა და მათთან გასათორმებელი კონტრაქტების პი-  
რობების განსაზღვრა, რეგულარულ, სათასო და ამხანაგურ თა-  
მაშებში გუნდის მონანილეობის უზრუნველყოფა, ასაკობრივი  
გუნდების სწავლება, კლუბის ხელმძღვანელობისთვის მომდევ-  
ნო წლის ბიუჯეტის პროექტის წარდგენა...

ხელშეკრულების 2.1 მუხლის თანახმად შრომის ანაზღაუ-  
რება განისაზღვრა ყოველთვიურად 2875 ლარით.

ხელშეკრულების 5.1 მუხლის თანახმად „ხელშეკრულება და-  
იდო 2013 წლის 02 ივლისიდან 2014 წლის 01 ივნისამდე“; ხოლო,  
5.4 მუხლის მიხედვით „დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო თა-

ნამშრომლისათვის შეწყვიტა ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, ასევე, ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ მიმართული შეუფერებელი საქციელისათვის, რომელიც ლახავდა კლუბისა და მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესებს“.

ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის ბრძანებით, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, „ს. კ. შ. ა-ს“ სპორტულ დირექტორ ლ. მ-ეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება 2013 წლის 02 დეკემბრიდან.

ბრძანებაში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მიეთითა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ წესდების მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი და „საკალათბურთო კლუბ შსს აკადემიასა“ და სპორტულ დირექტორს – ლ. მ-ეს შორის 2013 წლის 2 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების 5.4 პუნქტი. ასევე, გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, კლუბის მთავარი მწვრთნელის – დ. პ-ის კლუბის ხელმძღვანელობის სახელზე დაწერილი ელექტრონული წერილი.

2013 წლის 13 დეკემბერს ლ. მ-ემ დამსაქმებელს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე, რომლის პასუხად, 2013 წლის 16 დეკემბერს დამსაქმებელმა ლ. მ-ეს აცნობა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო 2013 წლის 02 ივლისს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-სა“ (დირექტორი ზ. კ-ე) და ლ. მ-ეს შორის დადგებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაეომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონანერის თანახმად, „ს. კ. შ. ა-ს“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენ ზ. კ-ე (დირექტორი), ნ. გ-ი (გამგეობის წევრი, თავმჯდომარე) გ. რ-ა (გამგეობის წევრი), თ. ტ-ი (გამგეობის წევრი) (ამონანერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან).

2013 წლის 21 ივნისს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ სპორტული დირექტორს ლ. მ-ესა (დამქირავებელი) და დ. პ-ს (მთავარი მწვრთნელი) შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება.

2013 წლის 21 ივნისს გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, მთავარ მწვრთნელს განესაზღვრა ყოველთვიური ანაზღაურება 4500 აშშ დოლარის ოდენობით. ანაზღაურება განხორციელდა აგვისტოს თვიდან ნოემბრის თვის ჩათვლით და საერთო თანხამ შეადგინა 18 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 37 524,39 ლა-

რი საშემოსავლოს გათვალისწინებით. ასევე, დ. პ-ის მგზავრობისათვის ავიაბილეთებში გადახდილ იქნა 2632,3 ლარი.

დადგენილია, რომ შსს „ა-ს“ მთავარმა მწვრთნელმა დ. პ-მა გუნდი დატოვა პირადი განცხადების საფუძველზე 2013 წლის ნოემბრის ბოლოს.

დადგენილია, რომ 2013 წლის 22 ივნისს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ სპორტული დირექტორს ლ. მ-ესა (დამქირავებელი) და პ. ჩ-ს (კალათბურთელი) შორის დაიდო ხელშეკრულება.

ხელშეკრულების 1.1 მუხლის თანახმად, „კალათბურთელი, როგორც პროფესიული მოთამაშე, კლუბის სახელით გამოდის საქართველოს, საერთაშორისო და სხვადასხვა სახის შეჯიბრებებში“.

ხელშეკრულების 2.1 მუხლის თანახმად, „კალათბურთელის შრომის ანაზღაურება განისაზღვრა თვეში 6000 ლარის ოდენობით. 2014 წლის ივნისი-ივლისის თვეებში კალათბურთელის ანაზღაურება განისაზღვრა 1875 ლარის ოდენობით. პ. ჩ-ე მოცემული დავის განხილვის მომენტში ირიცხებოდა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ გუნდის შემადგენლობაში.“

დადგენილია, რომ კლუბიდან ლ. მ-ის და დ. პ-ის განთავისუფლების შემდეგ შსს „ა-მ“ დაიმატა ორი უცხოელი და ერთი ქართველი კალათბურთელი.

დ. პ-ის მიერ ნ. გ-ის სახელზე გაგზავნილი 27.11.2013 წლის წერილის შინაარსიდან დგინდება შემდეგი:

– კონტრაქტზე ხელის მოწერის დროს დ. პ-სა და ლ. მ-ეს შორის არსებობდა საუბარი სეზონის განმავლობაში 5 უცხოელი კალათბურთელის მოწვევის თაობაზე, რომელიც 3 დაუყონებლივ უნდა მოეძიათ. მაგრამ, როცა მწვრთნელმა დაიწყო მოძიება და მოლაპარაკება ზოგიერთ მათგანთან, ლ. მ-ემ მას აცნობა, რომ უცხოელ კალათბურთელებს ვერ ჩამოიყვანდნენ სამინისტროს გადაწყვეტილების გამო.

– კალათბურთელები, რომლებიც გუნდში იყვნენ გასულ სეზონში, კონტრაქტი გაფორმებული ჰქონდათ გუნდში დ. პ-ის მოსვლამდე;

– რაც შეეხება კალათბურთელებს ჩ-ს, კ-ს, გ-ს, ყ-ს და კ-ს, ისინი ლ. მ-ის შემოთავაზებით და წინადადებით იყვნენ და დ. პ-მაც მიიღო, ვინაიდან, კარგად არ იცნობდა ქართველი კალათბურთელების ბაზარს;

– ლ. მ-ე პერსონალურად წყვეტდა კონტრაქტების ღირებულებას;

– დ. პ-ს სურდა ქართველ საუკეთესო კალათბურთელებთან: ლ. გ-ესთან და შ-ესთან კონტრაქტის გაფორმება, რაზედაც ლ.

მ-ემ და მ. გ-ემ მას განუცხადეს, რომ ამისთვის ფული არ ჰქონდათ, რადგან პოლიციის აკადემიის მენეჯმენტმა არ მისცათ მათ იმდენი ბიუჯეტი, რაც გასულ სეზონზე;

– დ. პ-ის განმარტებით, პოლიციის აკადემიის ბოლო ორი თა-მაშის დაბალი შედეგის გამო პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მას და გენერალურ მენეჯერს ლ. მ-ეს და გუნდის მენეჯერს მ. გ-ეს.

დ. პ-ის მიერ ლ. მ-ის სახელზე გაგზავნილი 02.12.2013 წლის წერილის შინაარსიდან დგინდება შემდეგი:

– ხელი არ მოეწერა კონტრაქტს კარგ მოთამაშებთან, ლ. მ-ის განმარტებით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ბიუჯეტი შემ-ცირდა 300 000-ზე მეტი ლარით;

– მოთამაშებს და მწვრთნელს არ ჰქონდათ ჯანმრთელობის დაზღვევა. სეზონის განმავლობაში კი იყო ისეთი პრობლემები, როდესაც მოთამაშები თავისი ჯიბიდან იხდიდნენ სამედიცინო კონტროლის საფასურს.

– დ. პ-ს მიაჩნია, რომ შედეგებზე მთავარი პასუხისმგებელი პირები არიან ლ. მ-ე, მ. გ-ე და თავად დ. პ-ი. ამასთან, აქვე მოუთითებს, რომ, მართალია, მას არანაირი პრობლემა არ ჰქონია პოლიციის აკადემიის მენეჯმენტთან (ზ-ი, ზ-ა, ნ.), თუმცა ფიქრობს, რომ ისინი არ იყვნენ დაინტერესებულნი კლუბის ბედით. „ჩემთან სწორად იქცეოდნენ, მაგრამ, ვთიქრობ ისინი ინტერესს არ გამოხატავდნენ, რათა სამინისტროსთან ჰქონიდათ მოლაპარაკება, კლუბის ბიუჯეტის გაზრდის შესახებ“.

საქმეში არსებული დოკუმენტით ირკვევეოდა, რომ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-მ“ 2012-2013წწ. სეზონში და 2013-2014წწ. სეზონში ბიუჯეტიდან მიიღო თითქმის ერთნაირი დაფინანსება.

ამასთან, მოსარჩევეთა მიერ წარმოდგენილ დისკუზზე არსებული კლუბის დირექტორის ზ. კ-ის საუბრის ჩანაწერით დგინდებოდა, რომ, მისი მოსაზრებით, უცხოელებს აღარ უნდა ეთამაშათ, უნდა დაზოგილიყო კლუბის ბიუჯეტი და არავის სჭირდებოდა მოგება (საუბარია 2013-2014 წწ. სეზონზე).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 14.05.2014წ-ის გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა, რომ ლ. მ-ის მიერ ადგილი ჰქონდა მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული 02.07.2013წლის ხელშეკრულების 5.4 პუნქტის დარღვევას, კერძოდ, ხელშეკრულების პირობების არა-ჯეროვან შესრულებას, რაც გამოიხატა:

1. ლ. მ-ის, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ, კალათბურთელ ბ. ჩ-სთან და მთავარ მწვრთნელ დ. პ-თან ხელშეკრულებების გაფორმებაში;

2. ლ. მ-ის მიერ იმ არასწორ გადაწყვეტილებათა მიღებაში,

რაც მოცემულია ყოფილი მთავარი მწვრთნელის – დ. პ-ის 27.11.2013წ-ის წერილში და რამაც საბოლოოდ ხეგატიურად იმოქმედა გუნდის შედეგებზე.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. მ-ე არ წარმოადგენდა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ სახელით ხელშეკრულების დადგებაზე უფლებამოსილ პირს. სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლი, რომელიც არეგულირებს არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის საკითხებს, ადგენს, რომ 1. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძლილის უფლებამოსილება ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა. 2. ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო ზარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. თუ სარეგისტრაციო დოკუმენტაციით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც. 3. არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა მოწესრიგდეს მისი წესდებით (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმებით), რომელიც საჭიროებს სათანადო წესით დამოწმებას. 4. არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისთვის განსაზღვრული წესები.

ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ წესდების მე-4 მუხლის თანახმად (კლუბის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა), 1. კლუბის ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის უფლებამოსილებას ახორციელებს გამგეობა (სამეთვალყურეო საბჭო), რომლის შემადგენლობასაც ორი წლის ვადით განსაზღვრავს კლუბის დამფუძნებელი; 2. კლუბის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც 2 წლის ვადით ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი.

მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად კი დგინდე-

ბა, რომ საკალათბურთო კლუბი შსს აკადემიის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ზ. კ-ე (დირექტორი), ნ. გ-ი (გამგეობის წევრი, თავმჯდომარე) გ. რ-ა (გამგეობის წევრი), თ. ტ-ი (გამგეობის წევრი).

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც პერიოდში ლ. მ-ე არ იყო წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი და არც მინდობილობის საფუძველზე სარგებლობდა ამ უფლებამოსილებით. შესაბამისად, იგი, როგორც ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ სპორტული დირექტორი, არ იყო უფლებამოსილი, კლუბის სახელით კალათბურთელთან და მთავარ მწვრთნელთან გაეფორმებინა ხელშეკრულებები. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სააპელაციო საჩივრით ლ. მ-ე ამ ფაქტობრივ გარემოებას სადაც არ ხდიდა და ეთანხმებოდა მას. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არაუფლებამოსილი პირის მიერ დადებული გარიგება არ შეიძლებოდა შეფასებული ყოფილიყო მოსარჩელის მხრიდან შრომის ხელმექრულების პირობების არაჯეროვან შესრულებად.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებდა გარიგების დადებაზე თანხმობის, როგორც გარიგების წამდვილობის პირობის, ორ სახეს: ა) წინასწარ გაცემულ თანხმობას – ნებართვას (მე-100 მუხლი) და ბ) შემდგომ თანხმობას – მოწონებას (101-ე მუხლი).

მოცემულ შემთხვევაში, ლ. მ-ის მიერ სადაც ხელშეკრულებების დადების შემდეგ, უფლებამოსილი პირების (ხელმძღვანელობის) მხრიდან ადგილი ჰქონდა ამ გარიგებების მოწონებას (შემდგომ თანხმობას).

სამოქალაქო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად, შემდგომ თანხმობას (მოწონებას) უკუქცევითი ძალა აქვს გარიგების დადების მომენტიდან, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი. ამ შემთხვევაში, დამსაქმებლის მიერ შემდგომი თანხმობა გამოიხატა იმაში, რომ ბ. ჩ-ე ამ დავის სასამართლო განხილვის ჰერიოდშიც ირიცხებოდა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ გუნდში. იგი იღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხელფასს. რაც შეეხება მთავარ მწვრთნელთან გაფორმებულ კონტრაქტს, მას ასევე მიღებული ჰქონდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ყოველთვიური ანაზღაურება. კერძოდ, ამონანერით სახელფასო უწყისიდან დგინდებოდა, რომ ანაზღაურება განხორციელებული იყო აგვისტოს თვიდან ნოემბრის თვის ჩათვლით და საერთო თანხაშეედგინა 18 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში 37 524,39 ლარი საშემოსავლოს ჩათვლით; ასევე, დ. პ-ის მგზავრობისათ-

ვის ავიაბილეთებში გადახდილი იყო 2632,3 ლარი. გასათვალისწინებელი იყო ის გარემოება, რომ შს „ა-ს“ მთავარმა მწვრთნელმა დ. პ-მა გუნდი დატოვა პირადი განცხადების საფუძველზე. ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ არ მოუთხოვა მასთან გაფორმებული შრომითა ხელშეკრულების გაუქმება, როგორც აღინიშნა, კლუბის ხელმძღვანელობა თვეების განმავლობაში უხდიდა მას ხელფასს.

როგორც გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში იყო აღნიშნული „დამსაქმებლის მიერ ლ. მ-ეს მინდობილი ჰქონდა ბიუჯეტის სწორად ფორმირება, მოთამაშეთა შერჩევა, დასაქმებულის ინტერესების გათვალისწინებით ხელშეკრულებების დადება (იხ. გადაწყვეტილების მე-7 გვერდი).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადაცო ბრძანებიდან ირკვეოდა, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისთვის. თუმცა, კონკრეტულად რაში გამოიხატა „ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულება“ ბრძანებაში არ იყო მოცემული. ამასთან, იმ პირობებში როდესაც მხარეთა შორის გაფორმებული შრომის ხელშეკრულება არ შეიცავდა დასაქმებულის მოვალეობების ჩამონათვალს, სადაცო ბრძანების ზემოთ მითითებულ ფორმულირებას უფრო ბუნდოვანს ხდიდა. ამასთან, დასაქმებულის წერილობითი მოთხოვნის მიუხედავად, დამსაქმებელმა არ დაასაბუთა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, რითაც დაარღვია შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული იმპერატიული დანაწესი, შრომის კოდექსის მითითებული ნორმის მე-7 ნაწილის თანახმად, დაგვის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი მთლიანად გადადის დამსაქმებლის (მოპასუხის) მხარეზე.

მოცემულ საქმეზე სადაცოდ გამხდარი ბრძანების ფაქტობრივი საფუძვლის ბუნდოვანება, პალატის მოსაზრებით, შეუძლებელს ხდიდა ბრძანების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებას სადაცო პერიოდში მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით. ამ ნორმის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების დარღვევის გამო, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია – ა) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი) და ბ) დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული

ვალდებულების დარღვევა, თუ დასაქმებულის მიმართ ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე გამოყენებულ იქნა დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი).

ვინაიდან, მოსარჩელის განთავისუფლებამდე, მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ზომა გამოყენებული არ ყოფილა, ღ. მ-ესთან შრომითი ურთიერთობის შენყვეტის საფუძვლად სასამართლო მიიჩნია შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია – დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა.

მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გამოიხატა: 1) უფლებამოსილების გადამეტებით, გუნდის მთავარ მწვრთნელ-სა და ერთ-ერთ კალთბურთელთან ხელშეკრულებების გაფორმებაში; 2) სუსტ მოთამაშეებთან ხელშეკრულებების დადებაში, კალათბურთელების შეუსაბამოდ მაღალ ანაზღაურებასა და ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვაში, რამაც დიდწილად გამოიწვია გუნდის წარუმატებლობა.

პირველი ფაქტობრივი საფუძვლის დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით, პალატამ ზემოთ იმსჯელა. რაც შეეხება მეორე ფაქტობრივ საფუძველს, სააპელაციო სასამართლომ აღინიშნა, რომ იგი დამსაქმებელმა დააფუძნა გუნდის ყოფილი მთავარი მწვრთნელის – დ. პ-ის 27.11.2013 წლის ელექტრონულ წერილზე.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული წერილი ვერ გამოდგებოდა მოსარჩელის მხრიდან შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად; ამასთან, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების ერთობლიობაში შეფასებით პალატამ დაასკვნა, რომ ყოფილი მთავარი მწვრთნელის მიერ დასახელებული გუნდის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი – უცხოელ და ქართველ კვალიფიციურ მოთამაშეებთან კონტრაქტების გაუფორმებლობა, გამოწვეული იქნა 2013-2014 წწ. სეზონის დასაწყისში კლუბის ხელმძღვანელობის (დირექტორი ზ. კ-ე) მცდარი სტრატეგიით, რაც გამოიხატა ძვირადლირებული და კვალიფიციური კალათბურთელების ტრანსფერებისგან თავის შეკავებაში.

სააპელაციო სასამართლომ აღინიშნა, რომ შრომითი ურთი-

ერთობის მონაწილეებს შეუძლიათ, შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევისას შეწყვიტონ შრომითი ხელშეკრულება. პრაქტიკაში, აღნიშნული ნორმა, უმეტესწილად დამსაქმებლის უფლების გამოყენებით გამოიხატება; კერძოდ, დამსაქმებელი დასაქმებულთან წყვეტს შრომით ხელშეკრულებას დასაქმებულის მიერ შრომითი პირობების დარღვევის გამო. ამიტომ, ამ საფუძვლით შრომითი ურთიერთობის მოშლა, რასაც უკავშირდება დასაქმებულის შრომითი უფლების შეწყვეტა, მოითხოვს შეწყვეტის საფუძვლის ძალიან დეტალურ და გულმოდგინე შესწავლასა და შეფასებას. ამგვარი შეფასება მნიშვნელოვანია მხარეთა შორის (დამსაქმებელი-დასაქმებული) სამართლიანი ბალანსის დასაცავად. ერთი მხრივ, დასაქმებულს უსაფუძვლოდ არ უნდა შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულება და ამით არ მოესპოს საარსებო საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, დამსაქმებელს არ უნდა შეეზღუდოს შრომითი მოვალეობების დამრღვევი მუშავის სამუშაოდან გათავისუფლების უფლება და მისთვის მიუღებელი მუშავის სამუშაოზე დატოვებით არ უნდა შეექმნას გარკვეული რისკები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია, რომ დასაქმებულის სამუშაო ადგილიდან დათხოვნისას, თუნდაც, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის წინაპირობებისას, უნდა არსებობდეს გათავისუფლების გონივრული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე, მიუთითა შემდეგზე: 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილია შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო), რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია შრომითი უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და კონვენციები. ერთ-ერთი მათგანია შსო-ს №158 შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კონვენცია, რომელიც 1982 წელს არის მიღებული და ითვალისწინების გონივრული საფუძვლის ცნებას. კონვენციის მიხედვით, „გონივრულობის“ პრინციპი ასახული უნდა იყოს ყველა სახელმწიფოს შიდა-სახელმწიფოებრივ დონეზე და განმტკიცებული უნდა იყოს საკანონმდებლო სისტემაში. „რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი 158-ე კონვენციის მონაწილე მხარე არ არის, მას „გონივრული საფუძვლის“ პრინციპის კონვენციისეული მნიშვნელობით შიდასახელმწიფოებრივ დონეზე დაწერგვის მოვალეობა იმავე ხარისხითა და მოცულობით აკისრია, როგორც ეს – კონვენციის ხელშემყრელ სახელმწიფოებს. საქართველოს ეს საერთაშორისო ვალდებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან და ეკონომიკური, სოციალური და კულ-

ტურქული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლიდან გამომდინარეობს” (ლ. კ-ე, სახელმწიფოს მინიმალური ვალდებულება და „გონივრულობის საფუძვლის“ პრინციპი და-საქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების საქმეში: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტი (“ადამიანის უფლება-თა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო-სტა-ტიათა კრებული. ავტ. კ.კორეკელია 2011]). პალატამ ასევე გან-მარტა, რომ „შრომით ურთიერთობაში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ ენინააღმდეგება ამ კონვენციით გათვა-ლისწინებულ მოთხოვნებს და მასთან თანხვედრაშია, კერძოდ, კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, დასაქმებულის სამსახუ-რიდან დათხოვნა შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არ-სებობისას, რაც უკავშირდება დასაქმებულის შესაძლებლობებ-სა და ქცევის წესს ან დაწესებულების, სანარმოს აუცილებლო-ბას ან სამსახურს“ (იხ., შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის №158 კონვენციისა და №166 რეკომენდაციის ზოგადი მიმოხილ-ვა, 89-ე პუნქტი; 1995 წ. შრომის საერთაშორისო კონფერენცია, 82-ე სესია).

აღნიშნული კონვენციის სრული სათაურია „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ კონ-ვენცია“. შესაბამისად, იგი ძირითადად დასაქმებულის უკანო-ნო საფუძვლით დათხოვნისაგან დაცვაზეა ორიენტირებული, თუმცა ამავე დროს, კონვენცია მიზნად ისახავს წონასწორო-ბის დამყარებას შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის. კონვენცია არ ითვალისწინებს დასაქმებულის დაცვას დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნებისმიერი შემთხვევის დროს. ამ მხრივ კონცენცია შეიცავს საციიალური დათქმებს, რაც დამსაქმებელს უფლებას აძლევს, გაათავისუფლოს მუშაკი გარკეული წინაპირობების არსებო-ბისას. ამგვარი დათქმები გაბნეულია სხვადასხვა მუხლში, ასე მაგ.მუხლი მე-2.მ, მე-4, მ. მე-11.

სააპელაციო სასამარტლოს განმარტებით, მოცემული კონ-ვენცია მოიცავს რეგულაციას, თუ რა ჩაითვლება მუშაკის უკა-ნონო დათხოვნად, ისევე როგორც – რა არ ჩაითვლება. კონვენ-ციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, მუშაკის დათხოვნის გო-ნივრული საფუძველი კავშირში უნდა იყოს ა) მუშაკის არაკომ-პეტურობასთან ან/და არასათანადო ქცევასთან ან ბ) უნდა მომდინარეობდეს სანარმოს, დაწესებულების თუ მათი სერვი-სის ოპერაციული საჭიროებიდან. ამგვარ კვალიფიკაციების დადგენისას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის საერთა-შორისო ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოს – ექსპერ-

ტთა კომიტეტის კომენტარებს, გადაწყვეტილებებსა და საერთაშორისო შრომით რეკომენდაციებს, რომელთაც, მართალია, სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ, მაგრამ განმარტავენ კონვენციის ტექსტს, რეგულირების მასშტაბებს და ისინი შესაძლოა წარმოდგენილ იქნას, როგორც შთაგონების წყარო კანონმდებლობისა და ეროვნული სასამართლოებისთვის. შსო-ს ექსპერტთა კომისიის 1995 წლის მოხსენებაში მიმოხილულია „არასათანადო ქცევის“ კონცეფცია, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ორ კომპონენტად: 1) მუშა-მოსამსახურეთა მიერ შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება (არასათანადო პროფესიული ქცევა); 2) შეუფერებელი ყოფაქცევა.

მუშაკის მიერ „შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაში“ იგულისხმება:

- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების უგულებელყოფა;
- შრომის შინაგანანებისა დარღვევა (განსაკუთრებით, უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის დაცვის წესების კუთხით);
- დამსაქმებლის ლეგიტიმური ბრძანების დაუმორჩილებლობა;
- არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე დაგვიანება ან საერთოდ გამოუცხადებლობა“.

ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები წარმოადგენს დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების გონივრულ, ლეგიტიმურ საფუძვლებს. შესაბამისად, პალატამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას: წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის ქმედებები საკმარისად სერიოზულ საფუძველს იმისათვის, რომ დამსაქმებელმა მასთან შრომითი ხელშეკრულება შეწყვიტოს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ამ კითხვას უნდა გაეცეს ერთმნიშვნელოვნად უარყოფითა პასუხი.

ამდენად, პალატას დადგენილად მიაჩინია, რომ დამსაქმებლის მიერ მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობები შეწყვდა სათანადო საფუძვლის გარეშე, რის გამოც ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №7 ბრძანება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს, დასაქმებულს მიეცემა შრომის ანზღაურება სრული ოდენობით. მოცდენად უნდა ჩაითვალოს იმგვარი ვითარებაც, როდესაც შრომის ხელშეკრულების არამართლზომიერად მოშ-

ლის შედეგად, დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა ესპობა, ვინაიდან, ამავე დროს, არსებობს დასაქმებულის ნება, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება.

საქართველოს შრომის კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობისას, მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შრომის ხელშეკრულების შენყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, შედეგობრივი თვალსაზრისით, იწვევს ხელშეკრულების შენყვეტამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას და იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დასაქმებულს დამსაქმებლის მხრიდან არამართლზომიერი გათავისუფლებით მიადგა; შესაბამისად, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლების კონტექსტში ის სამართლებრივი შედეგებია, რაც დამსაქმებლის არამართლზომიერ ქმედებას თან სდევს, თუმცა, პალატა აქვე განმარტავს, რომ განაცდურის სახით, ანაზღაურებას ექვემდებარება იძულებითი განაცდური არა სამუშაოზე ფაქტობრივად აღდგენის დროისათვის არსებული ოდენობის გათვალისწინებით, არამედ იმ ოდენობით, რაც დასაქმებულს შრომითი ხელშეკრულების შენყვეტის დროისათვის ჰქონდა და რაც მან ვერ მიიღო შრომითი ხელშეკრულების არამართლზომიერად შენყვეტის გამო.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულება უკანონოდ შეწყდა 2013 წლის 02 დეკემბერს, რითაც აპელაცის (მოსარჩელეს) მოესპონ საშუალება, რომ ამ ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე (2014 წლის 01 ივნისი) მიეღო შრომის ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ (ა)(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი შსს აკადემიას“ უნდა დაკისრებოდა კომპენსაციის – 13 800 ლარის (6 თვის ხელზე გასაცემი ხელფასი, 6x2300) გადახდა ლ. მ-ის სასარგებლოდ.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა სსიპ „საკალათბურთო კლუბ შსს აკადემიამ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო პრეტენზია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ სააპე-

ლაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ და გაუმართლებლად მიიჩნია, რომ ლ. მ-ის მიერ დადებული ხელშეკრულება კლუბის ხელმძღვანელობამ მოიწონა. კასატორის განმარტებით, ლ. მ-ე ააი „საკალათბურთო კლუბ შსს აკადემიის“ სპორტული დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა იმ საფუძვლით, რომ მან არასწორად შეარჩია მოთამაშეები და არასწორად დააკომიშლებული კლუბი, უფლებამოსილების გარეშე მოლაპარაკება ანარმოა მთავარ მწვრთნელთან და ერთერთ მოთამაშესთან გააფორმა ხელშეკრულება. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ გათავისუფლება მოხდა ხელშეკრულების 5.4 პუნქტის, კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებისა და მთავარი მწვრთნელის ელ. ნერილის საფუძველზე. კასატორის განმარტებით, ლ. მ-ის უკანონო მოქმედებებმა გამოიწვია სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების უსაფუძვლო ხარჯვა, მთავარი მწვრთნელისათვის ფაქტიურად ტყუილად გადახდილი 40 156.69 ლარის სახით. კასატორისათვის გაუგებარია თუ რატომ არ მიიჩნია სააპელაციო სასამართლომ მთავარი მწვრთნელის ელ. ნერილი უტყუარ მტკიცებულებად, ასევე, რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გადაწყვიტა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ლ. მ-ის მიერ დადებული ხელშეკრულება მოიწონა.

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკისაგან. მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 111-ე და არა 101-ე მუხლით. კასატორის განმარტებით, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება კლუბის ხელმძღვანელობის მიერ ლ. მ-ის მიერ დადებული ხელშეკრულებების მოწონება, არ შეიძლება ჩაითვალოს რომ ხელშეკრულებები ნამდვილია. კასატორის მოსაზრებით, ლ. მ-ის გათავისუფლება კანონიერად და საფუძვლიანად განხორციელდა, რაზეც მეტყველებს შემდგომში კლუბის მიერ მიღწეული წარმატებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 25 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესმოწმებლად, ხოლო 2015 წლის 24 ივნისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გა-

საჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიზნებს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 02 ივლისს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-სა“ (დირექტორი ზ. კ-ე) და ლ. მ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ლ. მ-ემ დაიკავა კლუბის სპორტული დირექტორის თანამდებობა. ხელშეკრულების პირველი მუხლით განისაზღვრა, რომ „ლ. მ-ე შეასრულებდა კლუბის სპორტული დირექტორის ფუნქციებს და ასევე განახორციელებდა ასაკობრივი გუნდების მოთამაშეთა სწავლებას.“

ხელშეკრულების 2.1 მუხლის თანახმად შრომის ანაზღაურება განისაზღვრა ყოველთვიურად 2875 ლარით.

ხელშეკრულების 5.1 მუხლის თანახმად „ხელშეკრულება და-იდო 2013 წლის 02 ივლისიდან 2014 წლის 01 ივნისამდე“;

ხელშეკრულების 5.4 მუხლის მიხედვით „დამსაქმებელი უფლებამოსილი იყო თანამშრომლისათვის შეეწყვიტა ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, ასევე, ზეობრივი და ეთიური წორმების წინააღმდეგ მიმართული შეუფერებელი საქციელისათვის, რომელიც ლახავდა კლუბისა და მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესებს.“

დადგენილია, რომ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის ბრძანებით, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, „ს. კ. შ. ა-ს“ სპორტულ დირექტორ ლ. მ-ეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება 2013 წლის 02 დეკემბრიდან.

ბრძანებაში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მიეთითა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ წესდების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ. ქვეპუნქტი და „ს. კ. შ. ა-სა“ და სპორტულ დირექტორ ლ. მ-ეს შორის 2013 წლის 2 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების 5.4 პუნქტი. ასევე, გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, კლუბის მთავარი მწვრთნელის – დ. პ-ის კლუბის ხელმძღვანელობის სახელზე დაწერილი ელექტრონული წერილი.

2013 წლის 13 დეკემბერს ლ. მ-ემ დამსაქმებელს გაუგზავნა წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე, რომლის პასუხად, 2013 წლის 16 დეკემბერს დამსაქმებელმა ლ. მ-

ეს აცნობა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო 2013 წლის 02 ივლისს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-სა“ (დირექტორი ზ. კ-ე) და ლ. მ-ეს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

კასატორს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზე-მოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადაცოდ არ გაუხდია. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით საგავრდაა გამხდარი ლ. მ-ესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის ბრძანების ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი ნინაპირობების არსებობა.

მოცემული დავის განხილვისას საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი, შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოცემულ ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის ბრძანებით, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, „ს. კ. შ. ა-ს“ სპორტულ დირექტორ ლ. მ-ეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება 2013 წლის 02 დეკემბრიდან. ბრძანებაში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მიეთითა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ წესდების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი და „ს. კ. შ. ა-სა“ და სპორტულ დირექტორს – ლ. მ-ეს შორის 2013 წლის 2 ივლისს გაფორმებულ ხელშეკრულების 5.4 პუნქტი. ასევე, გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება, კლუბის მთავარი მწვრთნელის – დ. პ-ის კლუბის ხელმძღვანელობის სახელზე დაწერილი ელექტრონული წერილი.

დადგენილია, რომ ლ. მ-ეს, მისივე მოთხოვნის საფუძველზე, მოპასუხემ წერილობით განუმარტა, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება შეწყვეტილი იყო 2013 წლის 02 ივლისს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-სა“ (დირექტორი ზ. კ-ე) და ლ. მ-ეს შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც საქმის მასალებით დგინდება ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013

ნლის 02 დეკემბრის №7 ბრძანების მართლზომიერების კვლევას ართულებს ის გარემოება, რომ პრაქტიკულად, ბრძანება დასაქმებულის გათავისუფლების ნორმატიულ საფუძველს არ შეიცავს. მიუხედავად ამისა, სასამართლო, რომელმაც ყოველ კონკრეტულ საქმეზე უნდა აღასრულოს მართლმსაჯულება, ვალდებულია თავად იკვლიოს და შეაფასოს სადაც ბრძანების მართლზომიერება შრომით სამართლებრივ სივრცეში მოქმედ ნორატიულ აქტებთან მიმართებაში.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ სამართალნარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების პირობებში, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები), რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასამართლო არ არის შეზღუდული. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეებს შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

პირველ რიგში, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კასატორის იმ განმარტებას, რომ ლ. მ-ე ააიპ „ს. კ. შ. ა-ს“ სპორტული დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა იმ საფუძვლით, რომ მან არასწორად შეარჩია მოთამაშეები და არასწორად დააკომპლექტა კლუბი, უფლებამოსილების გარეშე მოლაპარაკება ანარმოა მთავარ მწვრთნელთან და ერთ-ერთ მოთამაშესთან გააფორმა ხელშეკრულება (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძვლები). ასევე, ყურადსალებია უშუალოდ ბრძანებაში მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ ლ. მ-ეს შეუწყდა შრომით ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (იხ., ბრძანების დადგენილებითი ნაწილი).

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო პალატას აძლევს ოოგიური, თანმიმდევრული და დასაბუთებული მსჯელობის საფუძველს მასზე, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სადაცოდ გამხდარი ბრძანების კანონიერება უნდა შემოწმდეს სადაცო ბრძანების გამოცემის პერიოდში მოქმედ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველ ნაწილის „ზ“ პუნქტთან მიმართებაში, რადგან ლ. მ-ის სამუშაო ადგილიდან გათავისუფლების მომენ-

ტისათვის (საქართველოს შრომის კოდექსის 2013 წლის 02 დეკემბრისათვის მოქმედი რედაქცია) მითითებული ნორმა ადგენდა შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის გამო, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ლ. მ-ეს ედავება ააიპ „ს. კ.შ. ა-ა“:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის“ 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დამსაქმებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევის საფუძვლით შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს დასაქმებულს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოსაკვლევია განხორციელდა თუ არა ლ. მ-ესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ნორმის შემადგენლობის სრული დაცვით, რაც თავის მხრივ, ა(ა)იპ „ს. კ.შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის ბრძანების ბათილობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების გამომრიცხველი გარემოებაა.

ამ მიზნით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო სამართლნარმოებაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხ.).

ნიშანდობლივია, რომ შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების ნარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩევე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩევის მითითება მასზედ, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც აკისრებს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს შემდეგი ძირეული პრინციპიდან, კერძოდ, დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატყესობა, სასამართლოს ნარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა შრომითი მოვალე-

ობები დაარღვია, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა, ვიდრე დასაქმებული, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას მასზე, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა. შესაბამისად, ამ შემთხვევაში, კასატორია (მოპასუხე) ვალდებული სათანადო მტკიცებულებებით დაადასტუროს ლ. მ-ის მიერ, მასზე ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის ფაქტები, რაც საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით ლ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძლად იქნება მიჩნეული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გამოიხატა შემდეგში:

1) უფლებამოსილების გადამეტებით, გუნდის მთავარ მწვრთნელსა და ერთ-ერთ კალთბურთელთან ხელშეკრულებების გაფორმებაში;

2) სუსტ მოთამაშეებთან ხელშეკრულებების დადებაში, კალათბურთელების შეუსაბამოდ მაღალ ანაზღაურებასა და ბიუჯეტის არასწორ დაგეგმვაში, რამაც დიდწილად გამოიწვია გუნდის წარუმატებლობა.

აქვე, საკასაციო პალატა მიუთითებს კასატორის იმ მოსაზრებაზეც, რომ სწორედ ლ. მ-ის გათავისუფლების შემდგომ მიაღწია კლუბმა წარმატებებს (იხ., საკასაციო საჩივრის საფუძლები).

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოთალნიშნული გარემოებები ვერ განიხილება დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევად. უპირატესად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმის წინასწარ განსაზღვრა თუ სპორტულ შეჯიბრებებში რამდენად წარმატებული იქნება ესა თუ ის გუნდი საქმაოდ რთული შესაფასებელია. საკალათბურთო თამაშის/შეჯიბრის ამა თუ იმ გუნდის სასარგებლო ანგარიშით დასრულება დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე, მათ შორისაა, გუნდის წევრებისა და მწვრთნელის პროფესიონალიზმი, თუმცა, მხოლოდ ეს გარემოებაც არაა საკმარისი წარმატების მისაღწევად და ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია გუნდის მთლიანი შემადგენლობა და არა მხოლოდ გუნდის ცალკეული წევრები; ასევე, კონკრეტულ თამაშში არჩეული სტრატეგია; მეტოქის სიძლიერე, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სხვა-

დასხვაგვარი შეიძლება იყოს; თამაშისათვის გუნდის წინასწარი მზადების ხარისხი, რაზედაც გუნდის წევრებთან ერთად პასუხისმგებელია სხვა პირებიც. ამდენად, გუნდის წარუმატებლობა არ შეიძლება მხოლოდ ლ. მ-ეს შეერაცხოს ბრალად.

ხოლო ის გარემოება გაფინანსდათ თუ არა კონტრაქტები სუსტ კალაბურთელებს, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას, რადგან საკითხი იმის შესახებ სუსტია თუ არა კონტრაქტორი კალათბურთლი განეკუთვნება შეფასებით კატეგორიას. ასე ვთქვათ, ესა თუ ის სპორტსმენი ერთისტვის შესაძლოა ძლიერ მოთამაშედ ითვლებოდეს, ხოლო მეორისტვის კი, – სუსტ მოთამაშედ. შესაბამისად, ლ. მ-ე კონტრაქტულ კალათბურთელთან და მწვრთნელთან კონტრაქტის გაფორმების მომენტში, წინასწარ ვერ განსაზღვრავდა მათი მონაწილეობით საკალთბურთო კლუბი წაგებდა თუ მოიგებდა საკალათბურთო თამაშებს/შეჯიბრებებს.

ამასთან, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის იმ პრეტენზიას, რომ მოპასუხე ორაგანზაციის მხრიდან ადგილი არ ჰქონია ლ. მ-ის მიერ გაფორმებული გარიგებების მოწონებას, რაც არასწორად შეფასდა საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ. საქმის მასალებით დადგენილია, რომ 2013 წლის 21 ივნისს (ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ სპორტული დირექტორს ლ. მ-ესა (დამქირავებელი) და დ. პ-ს (მთავარი მწვრთნელი) შორის გაფორმდა შრომითი ხელშეკრულება, რომლითაც მთავარი მწვრთნელის ყოველთვიური ანაზღაურება შეადგენდა 4500 აშშ დოლარს. ანაზღაურება განხორციელდა აგვისტოს თვითან წოებრის თვის ჩათვლით და საერთო თანხამ შეადგინა 18 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი 37 524,39 ლარი საშემოსავლოს გათვალისწინებით. ასევე, დ. პ-ის მგზავრობისათვის ავიაბილეტებში გადახდილ იქნა 2632,3 ლარი. დადგენილია ისიც, რომ შსს „ა-ს“ მთავარმა მწვრთნელმა დ. პ-მა გუნდი დატოვა პირადი განცხადების საფუძველზე 2013 წლის ნოემბრის ბოლოს. შესაბამისად, იმ გარემოებაზე მითითება, რომ მთავარ მწვრთნელ დ. პ-თან ხელშეკრულებების გაფორმებით ლ. მ-ემ დაარღვია შრომითი ხელშეკრულება მოკლებულია ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას, რადგან თუკი მოპასუხე კლუბი თავიდანვე არ ეთანხმებოდა ამ გარიგებას, მაშინ რატომდა უხდიდა იგი აგვისტოს თვითან წოებრის თვის ჩათვლით 18 000 აშშ დოლარს კონტრაქტორს და თავისი გადაწყვეტილებით რატომ არ გაათავისუფლა იგი დაკავებული თანამდებობიდან, ხოლო კალათბურთელ ბ. ჩ-სთან ხელშეკრულების გაფორმებაზე მითითება კი, იმიტომა-

ცაა უსაფუძვლო, რომ როგორც ეს საქმის მასალებითაა დადგენილი ბ. ჩ-ე ამ დავის სასამართლო განხილვის პერიოდშიც ირიცხებოდა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ გუნდში და იღებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხელფასს.

ამდენად, კასატორის მიერ ზემოაღნიშნულ გარემოებებზე, როგორც ლ. მ-ის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე მითითება, მოკლებულია ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას. მით უფრო მის გათვალისწინებით, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დასაქმებულთან ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2014 წლის 01 ივნისამდე და მისი მოქმედების ვადა ექვს თვეში იწურებოდა. შესაბამისად, მოპასუხეს პქონდა შესაძლებლობა, რომ სამომავლოდ მისთვის მისაღებ პირთან გაეფორმებინა ხელშეკრულება და მუდმივად არ ყოფილიყო შრომით ურთიერთობაში ლ. მ-ესთან. აღნიშნული კი, შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უსაფუძვლობის დამატებითი საფუძველია. საკასაციო პალატის ეს დასკვნა ეფუძნება პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, შრომით სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის რღვევასთან შედარებით. შესაბამისად, მართალია, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით (მოსარჩელის გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქციით), შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი მუშაკის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევაცაა, თუმცა, ნიშანდობლივია, დასაქმებულთა შრომის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ პრინციპი, რომლის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში „Ultima Ratio“-ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას, შორის ზომიერი ბალანსის დაცულობა. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოიასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშენონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ

უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის.

ამდენად, იმისათვის, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, სახეზე იყოს ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუბუქი სანქციის გამოყენებას არამიზანშეწონილს ხდის.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებელმა, ვერ დაადასტურა მოსარჩელის მიერ შრომითი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი, შესაბამისად, არამართლზომიერია დაუსაბუთებელი საფუძვლით პირის სამსახურიდან გათავისუფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მარჩინა, რომ ლ. მ-ეს არ ჩაუდენია მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა იმგვარი დარღვევა, რომელიც მისთვის გაფრთხილების, დამატებითი ვადის მიცემის ან კიდევ უფრო მსუბუქი სახის სანქციის შეფარდებას გამორიცხავდა და მისი სამსახურიდან გათავისუფლება მის მიერ ჩადენილი დარღვევის ადეკვატური ღონისძიება იყო.

აქვე, საკასაციო პალატა, მისთვის მინიჭებული ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანების ფუნქციიდან გამომდინარე, მიზნაშეწონილად მიჩნევს წინამდებარე გადაწყვეტილებაში გამოყენებულ ნორმატიულ მასალასთან დაკავშირებით განმარტოს შემდეგი:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. კანონის აღნიშნული მუხლის დანაწესი იმაზე მიუთითებს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება მხოლოდ მაშინ იქცევა საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად თუ, საქართველოს გაცემული აქცეს თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე, რაც შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, როგორიცაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ხელშეკრულებაზე მიერთება, ხელშეკრულების რატიფიცირება და სხვ. („საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

ამდენად, საქართველოს თანხმობა საერთაშორისო ხელშეკ-

რულების სავალდებულოდ აღიარებაზე აუცილებელია, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით დადგენილი კომპეტენციის შესაბამისად. ამით კი, სახელმწიფო საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე იღებს პიზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებას უზრუნველყოს კანონით დაცულ სფეროში ჩაურევლობა (ნეგატიური ვალდებულება) და უფლებათა დასაცავად შეიმუშავოს შესაბამისი ნორმატიული აქტები (პოზიტიური ვალდებულება).

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ეს თავად გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაშია მითითებული 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო)ფარგლებში 1982 წელს მიღებული №158 შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კონვენციის სავალდებულოდ აღიარებაზე საქართველოს გაცემული არ აქვს თანხმობა. შესაბამისად, იგი ვერ იქნება მიჩნეული საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის – სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილების, დაფუძნება უმართებულოა.

თუმცა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის გამოყენებულ ძირითად ნორმატიულ აქტებს ნარმოადგენდა საქართველოს შრომის კოდექსი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ამიტომ, მოცემული დავის გადაწყვეტის საბოლოო შედეგზე ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტის გამოყენებას ზეგავლენა ვერ ექნება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება იმის თაობაზე, რომ სახეზე იყო ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის ბრძანების ბათილობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი სწორი და დასაბუთებულია, რაც გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს.

კასაცორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

### დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ „ს. კ. შ. ა-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შრომითი ხელშეკრულების შეთვეუზის საფუძვლები განვითარება

№ას-886-836-2015

25 ნოემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაო ადგილზე აღდგენა, იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

- II. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები**
2. ი. რ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე სს „გ-ის“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა:
    - ი. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სს „გ-ის“ დირექტორის – მ. პ-ის 2014 წლის 31 მარტის №... ბრძანების ბათილად ცნობა;
    - ი. რ-ის სს „გ-ის“ სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენა;
    - სს „გ-ისათვის“ ი. რ-ის სასარგებლოდ იძულებით მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2014 წლის 31 მარტიდან

სამუშაო ადგილზე აღდგენამდე, ყოველთვიურად 2500 ლარის ოფენობით.

### III. მოპასუხის პოზიცია

3. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო.

### IV. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

### V. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა

5. გადაწყვეტილებაზე კანონით დადგენილ ვადაში, სააპელაციო საჩივრი წარადგინა ი. რ-მა და მოითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით ი. რ-ის სარჩელის დაკმაყოფილება.

### VI. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაბილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისის განჩინებით ი. რ-ის სააპელაციო საჩივრი არ დაკმაყოფილდა.

7. მოცემული საქმის გადაწყვეტილის სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იურიდიულად იმდენად დაუსაბუთებელია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე და 385-ე მუხლების საფუძვლზე საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

8. სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ 3.2.1 აბზაცში განვითარებული მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული თანამდებობის – სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობის არსებობა არ დასტურდებოდა. პალატამ მიიჩნია, რომ ამ ნაწილში, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი და ეს ტვირთი მოსარჩელეს გადააკისრა, მაშინ, როცა შრომის სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე (ვინაიდან ამ ურთერთობებში მონაწილეობს სუსტი მხარე – დასაქმებული და ძლიერი მხარე – დამსაქმებელი), ის თუ რომელ თანამდებობაზე მუშაობდა აპელანტი (მოსარჩელე) სწორედ საწარმოს უნდა ემტკიცებინა, ვინაიდან მას, როგორც სამენარმეო სუბიექტს „მენარმეთა შესახებ საქართველოს კანონის პირველი

მუხლის მე-2 პუნქტით ევალება ეს საქმიანობა „ორგანიზებულად“ წარმართოს ანუ, მოწესრიგებული ჰქონდეს თავისი სააღრიცხვო და ა.შ. საქმიანობა და საბუთები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვინაიდან: а) 2014 წლის 31 დეკემბრის გათავისუფლების ბრძანებაში სანარმო ვერ მიუთითებდა თუ რომელი კონკრეტული თანამდებობიდან გაათავისუფლა დასაქმებული (ანუ, სავარაუდოა, რომ თავად სანარმომაც არ იცოდა კონკრეტულად რა თანამდებობაზე მუშაობდა იგი, და თუ ეს ასე არაა, მაშინ, თავად უნდა დაემტკიცებინა საწინააღმდეგო) და ბ) მოსარჩევე ითხოვდა კონკრეტულად სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენას.

9. საქმეში წარმოდგენილ საბუთებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შრომითი ურთერთობა საწარმოსთან აპელანტმა (მოსარჩევემ) დაიწყო ჯერ კიდევ, 2012 წლის 16 ივლისს, როდესაც იგი დაინიშნა მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელად ერთოვიანი გამოსაცდელი ვადით. 2012 წლის 01 დეკემბრიდან იგი დაინიშნა რეგიონალური ქსელის განვითარების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ამ ბრძანების შემდეგ რაიმე ოფიციალური საბუთი მისი დანიშვნის ან გადაყვანის შესახებ აღარ მოიპოვება, გარდა 2014 წლის 26 მარტის ცწობისა, რომლის თანახმად, აპელანტი მუშაობს სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. მართალია ეს ცწობა გაუქმდა 2014 წლის 26 მარტის ბრძანებითვე, მაგრამ პალატამ მიუთითა, რომ ისევ საწარმოს, როგორც ძლიერი მხარის მდგომარეობიდან გამოიმდინარე (რაც გამოიხატება ამგვარი ან მსგავსი ბრძანებების ყოველდღიურ ან დღეში რამდენჯერმე გამოცემის შესაძლებლობაში), უნდა ემტკიცებინა ის, რომ მას, ასეთი თანამდებობა მართლაც არ ჰქონდა. ამის დასადასტურებლად კი, მხოლოდ ანალოგიური დოკუმენტის – ბრძანების გამოცემა არ იყო საქმიანისი, საჭირო იყო ამ ბრძანების გამოცემამდე დამტკიცებული საშტატო განრიგი, რომ ასეთი თანამდებობა 2014 წლის 26 მარტს მართლაც არ არსებობდა. ასეთი კი, მხარემ ვერ წარმოადგინა. უფრო მეტიც, მოწმედ დაკითხულმა საწარმოს დირექტორმა გ. შ-მ განმარტა, რომ რაიმე დალაგებული სტრუქტურა საწარმოს არ გააჩნდა და იგი, როგორც დირექტორი მუშაობდა ამ ხარვეზის აღმოსაფეხურელად.

10. ანალოგიური განმარტება მიეცა საქმეში წარმოდგენილ 2014 წლის 27 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმს, რომლის მიხედვით, გაუქმდა თანამგზავრული ქსელის დეპარტამენტი და მასში შემავალი საშტატო ერთეულები. სახელდობრ,

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საწარმოს უნდა დაემტკიცებინა, რომ სწორედ ამ დეპარტამენტში შედიოდა ის თანამდებობა, რომელიც ეკავა ი. რ-ს და რომელიც გათავისუფლების ბრძანებაში ვერ მიუთითა, ანუ ამ მტკიცებულების განკუთვნადობა მოცემულ საქმესთან გაპირობებული შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ მაშინ თუ, დადგინდებოდა მისი კავშირი აპელაცითან.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთ ვითარებაში, როდესაც გათავისუფლების ბრძანებაში არაა აღნიშნული აპელანტის თანამდებობა, არაა წარმოდგენილი 2014 წლის 26 მარტამდე არსებული საშტატო განრიგი, შეუძლებელია დამტკიცდეს რა კავშირი აქვს ამ ოქმს აპელანტთან. შეიძლება გაუქმდა დეპარტამენტი, მაგრამ ამას უნდა ჰქონდეს კავშირი აპელანტთან. საქმეში წარმოდგენილი 2014 წლის მარტის თვის ხელფასის უწყისში ასეთი დეპარტამენტი არ იკითხება (მაშინ, როცა იგი ამ დროს იგი ჯერ კიდევ არსებობდა) და მით უმეტეს, არ იქნება ასეთი დეპარტამენტი იმავე წლის ოქტომბრის თვის უწყისში, როცა იგი გაუქმებული იყო. საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ ოქმზე საერთოდ არ უმსჯელია, მაშინ, როცა საწარმო შტატების შემცირების საფუძვლად სწორედ მას ასახელებდა.

11. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს შრომის კოდექსის მე-11 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და აღნიშნა, რომ ნორმის დანაწესით დაშვებულია შრომის ხელშეკრულების არსებითი პირობების შეცვლა გარკვეულ გარემოებებში. უფრო მეტიც, იმავე კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი უშვებს განსაზღვრულ პირობებში, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტასაც. მაგრამ იმისათვის რომ დადგინდეს ასეთი გარემოებების არსებობა, ამისათვის საჭიროა მხარეებზე მტკიცების ტვირთის სწორად გადანაწილება, რათა დავიცვათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი ქცევის წესი.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად, მიზანშენილად მიიჩნია საქმის დაბრუნება პირველი ინსტანციის სასამართლოში: ა) რა კონკრეტულ თანამდებობაზე მუშაობდა აპელანტი 2014 წლის მარტის ბოლოს; ბ) რა კონკრეტულ თანამდებობიდან გათავისუფლდა აპელანტი 2014 წლის 31 მარტის ბრძანებით; გ) რამდენად განკუთვნადია საწარმოს მიერ წარმოდგენილი სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი და მისი შედეგები აპელანტთან.

12. ასევე, საფუძველს მოკლებულად მიიჩნია პირველი ინ-

სტანციის სასამართლოს მიერ 6.2 აბზაცში მოყვანილი დასკვნა იმის შესახებ, რომ აპელანტმა გადააცილა გასაჩივრების 30-დღიან ვადას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ი-რ-მა 2014 წლის 31 მარტს ჩატარა სანარმოს წერილი შემთანხმებელი პროცედურების დაწყების შესახებ. იმავე დღეს გამოიცა სადაცო ბრძანება. ამ ბრძანების წერილობითი დასაბუთება გამოიცა 2014 წლის 14 მაისს და გაეგზავნა აპელანტს იმავე დღეს, თუმცა არაა წარმოდგენილი მისი აპელანტისათვის ჩაბარების მტკიცებულება. მიუხედავად ამისა, დგინდება, რომ სარჩელი შეტანილ იქნა 2014 წლის 18 ივნისს. ამდენად, იმისათვის რომ გამოყენებული ყოფილიყო შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი, უტყუარად უნდა დადგენილიყო წერილობითი დასაბუთების აპელანტისათვის ჩაბარების დრო, რაც სანარმოს მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა. ვინაიდან ასეთი მტკიცებულება არ იყო წარმოდგენილი, პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრების 30-დღიანი ვადის დარღვევაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება მოკლებული იყო ფაქტობრივ საფუძვლიანობას.

## **VII. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები**

13. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სს „გ-მა“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაქმაყოფილებაზე უარის თქმა.

14. კასატორის პრეტენზია (კასაციის საფუძვლები) იმ გარემოებას ემყარება, რომ სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო ნორმების დარღვევით მიიღო წარმოებაში სააპელაციო საჩივრი.

კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება ი. რ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნათა დაცვით უნდა ჩაებარებინა 2015 წლის 12 იანვრამდე, ხოლო სააპელაციო საჩივრი კი, უნდა შეეტანა 2015 წლის 26 იანვრამდე.

კასატორის მითითებით, ი. რ-ი არ წარმოადგენდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულ პირს სარჩელის მოთხოვნის ყველა ნაწილში, სახელდობრ, სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფ-

ლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ი. რ-ის ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას სამუშაო ადგილზე აღდგენა წარმოადგენდა, შესაბამისად, მოთხოვნის მითითებულ ნაწილში, იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულ პირად არ მიიჩნეოდა და სახელმწიფო ბაჟიც ჰქონდა გადახდილი ორივე ინსტანციის სასამართლოში. ეს ყოველივე კი, სამიქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად ი. რ-ს წარმოუშობდა საპროცესო სამართლებრივ ვალდებულებას გამოცხადებულიყო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30-დღიან ინტერვალში და უშუალოდ ჩაებარებინა გადაწყვეტილება.

15. ამასთან, კასატორი მუჟითებს სარჩელის ხანდაზმულობაზეც და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი და არასწორად დაადგინა, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ შრომის კოდექსით დადგენილი სარჩელის შეტანის ვადა დაცული იყო.

კასატორის მითითებით, ი. რ-მა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილით დადგენილი ვადის დარღვევით მოითხოვა სამსახურიდან გათავისუფლების წერილობითი დასაბუთება. 2014 წლის 31 მარტს გათავისუფლებულ ი. რ-ს 30 დღის ვადაში ანუ, 2014 წლის 01 მაისამდე უნდა მოეთხოვა წერილობითი დასაბუთება, მაშინ როდესაც მან დამსაქმებელს ასეთი მოთხოვნით მიმართა 2014 წლის 8 მაისს.

2014 წლის 14 მაისს სს „გ-ის“ მიერ გაიცა ი-რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების წერილობითი დასაბუთება. შესაბამისად, ი. რ-ს სარჩელი უნდა შეეტანა 2014 წლის 13 ივნისს. სარჩელი შეტანილ იქნა 2014 წლის 18 ივნისს (სარჩელზე დასმულია თარიღი 2014 წლის 17 ივნისი).

ამრიგად, აპელანტის მიერ დაირღვა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-4 ნაწილის და ამავე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი ვადები.

კასატორის განმარტებით, საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებული ვადები ერთმანეთს უკავშირდება და ერთი ვადის ამონურვა იწვევს მეორე ვადის დენის დაწყებას. სააპელაციო სასამართლომ კი, გამოიყენა მხოლოდ 38-ე მუხლის მე-6 ნაწილი და უგულვებელყო ის ვადები, რომელიც უმუალოდ წინ უძლვის ხსენებული მუხლის მე-6 ნაწილით გათვალსწინებულ ვადას, რომელიც ეხება დამსაქმებლისგან წერი-

ლობითი დასაბუთების დროულად (გათავისუფლებიდან 30 კალენდარულ დღეში) მოთხოვნას და მიუხედავად ამ დასაბუთების მიღებისა (დასაბუთების მოთხოვნისგან 7 დღის ვადა) მისი დროული გასაჩივრება (7-დღიანი ვადის ამონურვიდან 30 კალენდარული დღე).

სს „გ-მა“ საქმეში არსებული მტკიცებულებებით დაასაბუთა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ დასაბუთება მოითხოვა კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. ამიტომ, ი-რ-ის მიერ სარჩელის შეტანის ვადა დარღვეულია.

გარდა ამისა, ი. რ-მა წერილობითი დასაბუთების მოთხოვნას „გ-ს“ ჩააბარა 2014 წლის 8 მაისს. შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, მიუხედავად დამსაქმებლის წერილობითი დასაბუთებისა, ი. რ-ს 2014 წლის 08 მაისიდან 07 დღის გასვლის შემდეგ ანუ, 15 მაისიდან 30 დღის ვადაში უნდა წარედგინა სარჩელა, ანუ 2014 წლის 15 ივნისამდე. სარჩელი კი, შეტანილ იქნა 2014 წლის 18 ივნისს.

16. კასატორი სადაცოდ ხდის საქმის სააპელაციო წესით განმხილველი სასამართლოს მიერ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს.

კასატორი მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობაზე იმასთან დაკავშირებით, რომ სს „გ-ი“, „რომელიც არის „ძლიერი მხარე“ ვალდებულება ეკისრება ამტკიცოს მუშაობდა თუ არა ი. რ-ი მის მიერ სარჩელში მითითებულ თანამდებობაზე – სამოწაფულო სამსახურის უფროსად. კასატორის მითითებით, აღნიშნული მსჯელობა ენინააღმდეგება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის დანაწესს. შრომის კოდექსიდან გამომდინარე ურთიერთობებზე კი, სრულად ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული მტკიცების ტვირთის სტანდარტი. საგამონაკლისო შემთხვევას აწესრიგებს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-7 ნაწილი, რა შემთხვევაშიც, დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი ეკისრება დამსაქმებელს, რომელმაც დასაქმებულის მიერ მოთხოვნის წარდგენიდან 7 კალენდარული დღის ვადაში თუ წერილობით არ დაასაბუთა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, მაშინ დავის ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი მას ეკისრება.

მოცემულ საქმის მასალებიდან კი, ასეთი შემთხვევა არ იკვეთება.

17. კასატორი არ ეთანხმება მოწინააღმდეგე მხარის მითითებას იმასთან დაკავშირებით, თითქოს ი. რ-ი სს „გ-ის“ ყოფილი გენერალური დირექტორის – გ. შ-ს მიერ 2013 წლის 28 ნოემ-

ბრის შემდეგ დაინიშნა სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

ამასთან, სასამართლოზე ი. რ-ის მოთხოვნით მოწმედ დაკითხულმა გ. შ-მ კატეგორიულად უარყო მონინაალმდეგე მხარის დანიშვნა ხსენებულ თანამდებობაზე. მისი თქმით, სამსახურში იგეგმებოდა სტრუქტურული ცვლილებები, თუმცა ამ ცვლილებების განხორციელებამდე იგი განთავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან. მხოლოდ ამ ჩვენებაზე დაყრდნობით კი, შეეძლო სააპელაციო სასამართლოს დაედგინა, რომ ი. რ-ი ცრუობდა და არასდროს უმუშავია სადავო თანამდებობაზე. მით უფრო, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის წერილობითი დოკუმენტი მხარეს არ წარმოუდგენია. უფრო მეტიც, მან წარმოადგინა ისეთი დოკუმენტი, რომელიც წინაალმდეგობაში მოდის მისივე განმარტებასთან. კასატორის მითითებით, ყალბია დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ი. რ-ს 2013 წლის ივლისში მიმართავენ, როგორც სამონტაჟო სამსახურის უფროსს.

18. კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებულ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ სს „გ-მა“ ი. რ-ის გათავისუფლების ბრძანებაში არ მიუთითა, თუ რომელი თანამდებობიდან მოხდა მისი გათავისუფლება.

კასატორი აღნიშნავს, რომ კანონი არ ითვალისწინებს გათავისუფლების ბრძანების აუცილებელ რეკვიზიტად თანამდებობის მითითებას.

კანონი ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას წერილობით დასაბუთების თაობაზე, რომელშიც უნდა აღინიშნოს თუ, რატომ მოხდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა მხარესთან, რომელშიც ასევე აღინიშნება, თუ რომელი თანამდებობიდან მოხდა დასაქმებულის გათავისუფლება. ყველა ეს გარემოება კი, დეტალურად არის აღნერილი სს „გ-ის“ წერილობით დასაბუთებაში.

19. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა 2014 წლის 26 მარტის ცნობას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად ამ ცნობის ბრძანებით გაუქმებისა, ეს საკმარისი არ არის იმის დასამტკიცებლად, რომ ი. რ-ი მუშაობდა სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

კასატორი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა და დოქტრინა იცნობს ვალდებულებითი ურთიერთობის (ფალის) არსებობის კაუზალურ და აბსტრაქტულ აღიარებას. აბსტრაქტული აღიარება არ საჭიროებს საფუძველს (კაუზას) და იგი ნამ-

დვილია, მიუხედავად იმისა, სინამდვილის შესაბამისი ფაქტები მოცემულია თუ არა მასში. ვალის (ვალდებულებითი ურთიერთობა) აბსტრაქტულ აღიარებას ეხება სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი. განსხვავებით ვალის (ვალდებული ურთიერთობის) აბსტრაქტული აღიარებისა, ვალდებულებითი ურთიერთობის კაუზალური (არაპასტრაქტული) აღიარება აუცილებლად მოითხოვს, რომ ასეთ აღიარებას ჰქონდეს კაუზა (საფუძველი).

ცნობა, როგორც სიტყვა მიანიშნებს, რომ არის უკვე არსებულ მონაცემებსა და ურთიერთობებზე ინფორმაცია, ის პირდაპირ დაკავშირებულია პირველად მონაცემებზე და ურთიერთობებზე, რომელთა დაკავშირებითაც გაიცემა ცნობა.

სს „გ-ს“ 2014 წლის 26 მარტის ცნობა, რომ ი. რ-ი მუშაობს სამონტაჟო სამხასურის უფროსის თანამდებობაზე, არის კაუზალური აღიარება და იგი უნდა ეყრდნობოდეს კონკრეტულ საფუძველს (ი-რ-ის სამსახურში დანიშვნის ბრძანებას ან შრომით ხელშეკრულებას), რაც არ არსებობს.

მოცემულ შემთხვევაში, 2014 წლის 26 მარტის ბრძანებით გაუქმდა არასწორ მონაცემებზე დაყრდნობით გაცემული ცნობა და აღნიშნულის შესახებ ეცნობა ყველა დაინტერესებულ პირს.

ასევე, კასატორშა აღნიშა რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა 2014 წლის მარტის თვის საშტატო განრიგი. სს „გ-ში“ მარტის თვეში განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები და წარმოდგენილ საშტატო განრიგში მოცემულია სტრუქტურული ცვილებების შემდგომი მდგომარეობა და მასში ვერ აისახებოდა უკვე გაუქმებული სამსახურები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

#### **VIII. საკასაციო პალატის დასკვნები**

20. საქართველოს უზრუნველისი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 05 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამონმებლად, ხოლო 2015 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

21. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

კასატორი ერთ-ერთ საკასაციო პრეტენზიას საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევაზე ამყარებს. მისი მითითებით,

მოცემულ შემთხვევაში, დარღვეულია სააპელაციო საჩივრის შეტანის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლით დადგენილი 14-დღიანი ვადა, რაც სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საპროცესო სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

22. ვინაიდან კასატორის მითითებული პრეტენზია სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო სამართლებრივი ნორმების დარღვევას შეეხება, საკასაციო პალატა მიზანშინილად მიიჩნევს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმება დაიწყოს სწორედ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობების არსებობის კვლევით.

23. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის პოზიცია ი. რ-ის მხრიდან სააპელაციო საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადის დარღვევასთან მიმართებით, მართებულია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს, იმ ფაქტს, რომ სამოქალაქო საქმეზე №2/10284-14, ი. რ-ის სარჩელისა გამო მოპასუხე, სს „გ-ის“ მიმართ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაო ადგილზე აღდგენისა და იძულებითი მოცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი გამოცხადდა 2014 წლის 12 დეკემბერს.

მითითებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას უშუალოდ ესწრებოდა მოსარჩელე – ი. რ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილებით ი. რ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ირკვევა, რომ მოსარჩელე ი. რ-ა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მინიჭებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილებით ისარგებლა 2015 წლის 17 თებერვალს, ხოლო ამავე წლის 02 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

24. საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტი-

დან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ეს-ნრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხა-დების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილე-ბის სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოც-ხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა და-უშვებელია. ამავე მუხლის მე-2 წარმომადგენელი გადაწყვეტილების 46-ე მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის, ასე-ვე პატიმრობაში მყოფი იმ პირებისათვის, რომლებსაც არ ჰყავთ წარმომადგენელი, გადაწყვეტილების ასლის გაგზავნასა და ჩა-ბარებას უზრუნველყოფს სასამართლო ამავე კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცე-სო კოდექსის კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მე-2 წარმომადგენელი თავისი სტრუქტურით ბლანკეტური შინაარსის ნორმაა, რომელიც დათ-ქმას აკეთებს ამავე კოდექსის 46-ე მუხლზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლით კი, დად-გენილია სასამართლო ხარჯების გადახდისაგან განთავისუფ-ლების საფუძვლები. მითითებული მუხლის მე-2 წარმომადგენელი აღგენს ქცევის იმგვარ წესს, რომლის მიხედვითაც, კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებ-ლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან მხარეთა გათავი-სუფლების სხვა შემთხვევებიც.

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლების სხვა შემთხვევებს კი, თავის მხრივ, ადგენს „სახელმწიფო ბა-ჟის შესახებ“ საქართველოს კანონი, სახელდობრ, კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებულია შეღავათები სახელმწიფო ბაჟ-ში, რომლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სა-ერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთ-ხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომ-დინარებას შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ი. რ-ის სასარჩელო

მოთხოვნებს წარმოადგენდა:

– ი. რ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სს „გ-ის“ დირექტორის – მ. პ-ის 2014 წლის 31 მარტის №3... ბრძანების ბათილად ცნობა;

– ი. რ-ის სს „გ-ის“ სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამ-დებობაზე აღდგენი;

– სს „გ-ისათვის“ ი. რ-ის სასარგებლოდ იძულებით მოცდე-ნილი დროის ხელფასის ანაზღაურება 2014 წლის 31 მარტიდან სამუშაო ადგილზე აღდგენამდე, ყოველთვიურად, 2500 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული მოთხოვ-ნებიდან მოსარჩელე ბრძანების ბათილად ცნობისა და სს „გ-ის“ სამონტაჟო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, არ წარმოადგენდა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ სა-ქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვე-პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით მოსარგებლეს და მა-შასადამე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილის რეგულირების სფეროში შემავალ იმ ფი-ზიკურ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ასლის გაგზავ-ნა და ჩაბარება უნდა უზრუნველყო სასამართლოს ამავე კო-დექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამასთან, სა-კასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ვინაიდან იძულებით მოცდე-ნილი დროის ხელფასის ანაზღაურების შესახებ სარჩელის მოთ-ხოვნა, როგორც მეორადი მოთხოვნა, წარმოადგენს უკანონოდ გათავისუფლების შესახებ ბრძანების თანმდევ სამართლებრივ შედეგს, მოსარჩელე არც მოთხოვნის ამ ნაწილში, წარმოადგენს იმ ფიზიკურ პირს, რომლისთვისაც გადაწყვეტილების ჩაბარე-ბის ზემოთმითითბული წესი გავრცელდებოდა.

25. საკასაციო პალატის ზემოთ განვითარებული მსჯელო-ბიდან კი, გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ სწორედ ი. რ-ის საპროცესო სამართლებრივ ვალ-დებულებას წარმოადგენდა გამოცხადებულიყო სასამართლო-ში, გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30 დღიან ინტერ-ვალში და უშეულოდ ჩაებარებინა თბილისის საქალაქო სასამარ-თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგის 2014 წლის 12 დეკემ-ბრის გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპრო-ცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით დადგენილია შესასრულებლად სავალდებულო წესი და ამდენად, გასაჩიტოების მსურველ მხა-რეს გააჩნია არა უფლება, არამედ ვალდებულება ჩაიბაროს გა-სასაჩივრებელი გადაწყვეტილება. ამ ვალდებულების შეუსრუ-

ლებლობა კი, აისახება მხარის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების წესზე.

დადგენილია, რომ ი. რ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2015 წლის 30 იანვარს, მაშინ როდესაც უკვე გასული იყო გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 20-30 დღიანი ინტერვალი. აღნიშნული კი, იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ი-რ-ის მიმართ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის დენა დაინტ არა გადაწყვეტილების ჩაბარებიდან, არამედ, ამ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს.

26. ასევე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესი ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესთან ერთობლიობაში ადგენს გასაჩივრების უფლების წარმოშობისა და ამ ვადის დენის დასაწყისს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წლებით, თვეებით ან დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის ან იმ მოვლენის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. გასაჩივრების ვადის დენის ათვლის წესთან დაკავშირებით არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება (იხ., სუს 30.12.2014წ-ის განჩინება საქმეზე №ას-1161-1106-2014).

განსახილველ შემთხვევაში, ი. რ-ისათვის სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი ვადის დენა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კოდექსის 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, დაინტ 2015 წლის 11 იანვრიდან.

26. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 369-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საპროცესო ვადას, რომლის განმავლობაშიც, სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩევო მოთხოვნით შეიძლება კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში. მითითებული ნორმის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად მიიჩნევა დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე

259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

დადგენილია, რომ აპელანტმა სააპელაციო საჩივარი წარადგინა 2015 წლის 17 თებერვალს. ამ დროსათვის კი, გასული იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კანონით დადგნილი 14-დღიან ვადა, რადგანაც ეს ვადა ამოინურა 2015 წლის 25 იანვარს.

27. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით წლებით გამოსათვლელი ვადა დამთავრდება ვადის უკანასკნელი წლის შესაბამის თვესა და რიცხვში. თვეებით გამოსათვლელი ვადა გასულად ჩაითვლება ვადის უკანასკნელი თვის შესაბამის თვესა და რიცხვში. თუ თვეებით გამოსათვლელი ვადის უკანასკნელ თვეს სათანადო რიცხვი არა აქვს, მაშინ ვადა დამთავრებულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ დღეს.

ამავე კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად კი, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგნილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლო 2015 წლის 02 მარტს ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი მიიღო განსახილველად, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმა.

28. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონტებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო 409-ე, 412-ე მუხლების მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილა.

წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზიის შემონმების შედეგად საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილია დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ თბილისის საა-

პელაციო სასამართლომ 2015 წლის 02 მარტს ი-რ-ის სააპელაციო საჩივარი საპროცესო ნორმების დარღვევით მიიღო განსახილველად, აღნიშნული კი, გასაჩივრებული განჩინებისა და აგრეთვე, მისი წინმსწრები – ი. რ-ის სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ განჩინების გაუქმების უპირობო საფუძველია.

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას, ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

მოცემულ შემთხვევაში, სს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილებულია. შესაბამისად, ი. რ-ს უნდა დაეკისროს სს „გ-ის“ მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით, 1750 ლარის გადახდა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „გ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 22 ივნისისა და 2015 წლის 02 მარტის განჩინებები და ი. რ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად;
3. ი. რ-ს დაეკისროს სს „გ-ის“ მიერ საკასაციო საჩივარზე წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით, 1750 ლარის გადახდა.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# შრომითი ხელშეკრულების შეცვალის საფუძვლები

## განრიცხავა

№ას-776-733-2015

02 დეკემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღ-  
დგენა, იძულებით გაცდენილი დროის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ზ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ა(ა)იპ „ს. კ.  
შ. ა-ს“ მიმართ, რომლითაც მოითხოვა:

1. ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ 2013 წლის 02 დეკემბრის №... ბრძანების  
(„ს. კ. შ. ა-ს“ მწვრთნელ ზ-ისათვის ხელშეკრულების შეწყვე-  
ტის შესახებ“) ბათილად ცნობა;

2. ზ-ის აღდგენა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ში“ მწვრთნელის თანამდე-  
ბობაზე;

3. ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-სათვის“, ზ-ის სასარგებლოდ, 2013 წლის 02  
დეკემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის  
იძულებით გაცდენილი დროის ანაზღაურების დაკისრება, მისი  
ყოველთვიური ხელფასის – 750 ლარის გათვალისწინებით.

სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ ზ-  
ის, როგორც კალათბურთის მწვრთნელის ვალდებულებას წარ-  
მოადგენდა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ საკალათბურთო გუნდის ვარჯიში  
და სხვადასხვა სახის შეჯიბრებაში სათამაშოდ გამოყვანა, რა-  
საც მოსარჩელე პირნათლად ასრულებდა. დამსაქმებლისაგან  
არასდროს მიუღია რაიმე სახის შენიშვნა. შესაბამისად, მას უკა-  
ნონოდ მიაჩნდა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ 2013 წლის 02 დეკემბრის №...  
ბრძანება.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და სარჩელზე წარმოდგენილ  
შესაგებელსა და სასამართლო სხდომაზე, სასამართლოსათვის  
მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღნიშნა, რომ ზ-ე, როგორც  
მწვრთნელი, კლუბში მიწვეული იყო კლუბის სპორტული დირექ-  
ტორის – ლ- მ-ის მიერ, რომელიც კლუბის არასწორი დაკომ-  
პლექტებისა და უარყოფითი შედეგების გამო დათხოვილ იქნა  
კლუბიდან. გამოირკვა, რომ მოსარჩელე პოლიციის საკალათ-

ბურთო ბაზაზე თითქმის არავის უნახავს. იგი ძალიან იშვიათად ცხადდებოდა აკადემიაში. მის 14-წლამდელთა გუნდს ავარჯიშებდა მხოლოდ მეორე მწვრთნელი – ვ. ბ-ი. ამასთან, ზ-ე აკადემიის სახელით, ბავშვებს ავარჯიშებდა ტერიტორიულად სხვა ადგილას. ზ-ე არაჯეროვნად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ზ-ის სარჩელი სსიპ „ს. კ. შ. ა-ს“ მიმართ ბრძანების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ზ-ემდა მოითხოვა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება, სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით ზ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ააიპ „ს. კ. შ. ა-ს“ დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №... ბრძანება ზ-ესთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ; ააიპ „ს. კ. შ. ა-ს“ დაეკისრა კომპენსაციის — 3,600 ლარის (6 თვის გასაცემი ხელფასი) გადახდა ზ-ის სასარგებლოდ. ზ-ის სარჩელი პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ნაწილში, არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ 2013 წლის 30 ივლისს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-სა“ (დირექტორი ზ-კ-ე) და ზ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ზ-ეს, როგორც მწვრთნელს, დაევალა კლუბის 18 წლამდე კალათბურთელთა გუნდის ვარჯიში და სხვადასხვა სახის შეჯიბრებაში მათი სათამაშოდ გამოყვანა.

ხელშეკრულების 2.1 მუხლის თანახმად, მწვრთნელის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 750 ლარით.

ხელშეკრულების 5.1 მუხლის მიხედვით, მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 01 აგვისტოდან 2014 წლის 01 ივნისამდე. ხოლო, 5.4 მუხლის თანახმად, დამსაქმებელი უფლებამოსილია მწვრთნელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, ასევე, ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინაღმდეგ მიმართული შეუფერებელი საქციელისათვის, რომელიც ლახავს კლუბისა და მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესებს.

მხარეები არ დავობენ, რომ 2013 წლის სეზონის დასაწყისიდან, ზ-ე, მეორე მწვრთნელ ვ. ბ-თან ერთად, მიმაგრებული იყო 14-წლამდელთა გუნდზე, რომელსაც იმ სეზონში წაგება არ ჰქონდა და წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს პირველობაზე.

ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №... ბრძანებით, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, „ს. კ. შ. ა-ს“ მწვრთნელს ზ-ეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება 2013 წლის 02 დეკემბრიდან.

ბრძანებაში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მიეთითა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ წესდების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი და „ს. კ. შ. ა-სა“ და ზ-ეს შორის 2013 წლის 30 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების 5.4 პუნქტი.

ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად ასევე მიეთითა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება.

ზ-ეს დამსაქმებელისათვის არ გაუგზავნია წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის წერილობითი დასაბუთების მოთხოვნის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ დაუდასტურებლად მიიჩნია ზ-ის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტი და აღნიშნა, რომ საქმის მასალებით არ დგინდებოდა კონკრეტულად რაში გამოიხატა „ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულება“.

ამასთან, აღნიშნა, რომ იმ ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი, რომ მოსარჩელის მხრიდან ადგილი ჰქონდა სამსახურში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას, მთლიანად ეკისრებოდა დამსაქმებელს (მიკასუხეს).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მოცემული მსჯელობა ურთიერთწინააღმდეგობრივი იყო, კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლო, ერთი მხრივ, აღნიშნავდა, რომ „ზ-ე 2013 წლის შემოდგომით სამსახურში სისტემატურად არ ცხადდებოდა, რამე საპატიო მიზეზის დამსაქმებლისათვის შეტყობინების გარეშე. მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა სამსახურში მისი სისტემატური გამოცხადებისა და შესაბამისად, სამსახურის (ვარჯიშების) გაუცდენლობის ფაქტი, რაც სწორედ მას ეკისრებოდა“, მეორე მხრივ, იქვე რამდენიმე აბზაციო ქვემოთ მიუთითებდა, რომ „განსახილველ შემთხვევაში, დამსაქმებელს გააჩნდა უპირატესობა, სასამართლოსათვის წარედგინა მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა მუშაკმა დააღვია შრომითი მოვალეობები, რაც კონკრეტულ ქმედებაში გა-

მოიხატა, ვიდრე მუშაკს ედასტურებინა, რომ მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია არამართლზომიერ მოქმედებებს“ (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-6 და მე-7 გვერდები).

მოცემულ საქმეზე სადაცოდ გამხდარი ბრძანების ფაქტობრივი საფუძვლის ბუნდოვანება, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ართულებდა ბრძანების სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებას სადაც პერიოდში მოქმედი შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით. სასამართლომ მიიჩნია, რომ ზ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლად უნდა განხილულიყო შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ კვეპუნქტი, რომლის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია – დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა.

მოპასუხე მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულების პირობების არაჯერვანი შესრულების მტკიცებისას ეყრდნობოდა ზის სამსახურში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას, რაც დაეფუძნა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ თანამშრომლების: ა. უ-ს, გ. ნ-ის, დ. ა-ის, ვ. ც-ის ჩვენებებს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის ინიციატივით დაკითხებული მოწმეების: ლ. მ-ისა და მ. გ-ის ჩვენებები მათი ზედაპირულობისა და ამასთან, იმის გამო, რომ ორივე მათგანი სამსახურიდან გათავისუფლებული იყო მოსარჩელის გათავისუფლებამდე გარკვეული ხნით ადრე, სამსახურში გამოუცხადებლობისა და სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო.

სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების ეს მოსაზრებები არ გაიზიარა შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე საქალაქო საქალაქო სასამართლოს სათანადოდ არა ჰქონდა დასაბუთებული მოწმეების ლ. მ-ისა და მ. გ-ის ჩვენებების უარყოფა და აღნიშნა, რომ, მოპასუხის მოწმეებისგან განსხვავებით, ისინი წარმოადგენდნენ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ მენეჯმენტს. კერძოდ, სადაც პერიოდში ლ. მ-ე იყო „კლუბის“ სპორტული დირექტორი, ხოლო მ. გ-ე – კლუბის ტექნიკური მენეჯერი. შესაბამისად, ფუნქციონალურად სწორედ მათ ევალებოდათ ასაკობრივი გუნდების მწვრთნელების საქმიანობაზე კონტროლი. პირველი ინსტანციის სასამართლომ მათი ჩვენებები არ გაიზიარა ზედაპირულობის გამო, თუმცა, არ აკონკრეტებდა რატომ მივიდა ამ დასკვნამდე.

აღნიშნულის საპირისპიროდ, სააპელაციო პალატა, მათი ჩვე-

ნებების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის საფუძველზე შეფასების შედეგად, მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი არ იყო ზედაპირული, დასახელებულმა მოწმეებმა, კონკრეტულ ფაქტებსა და გარემოებებზე მითითებით, დაადასტურეს, რომ სადაც პერიოდში მოსარჩელე ჯეროვნად და კეთილსინდისირად ასრულებდა მასზე დაისრებულ მოვალეობებს.

კერძოდ, ლ. მ-ის ჩვენებით დგინდებოდა, რომ ზ-ე, როგორც მნიშვნელი, სადაც პერიოდში მიმაგრებული იყო 14-წლამდელთა გუნდზე. ამავე პერიოდში, ზ-ე ავარჯიშებდა სხვა ახალგაზრდა კალათბურთელებს, ე.წ. „დიდუბის მანეჟის“ ბაზაზე. 14-წლამდელთა გუნდს „კლუბის“ ბაზაზე ვარჯიშები უტარდებოდათ კვირაში ორჯერ, სამშაბათს და სუთშაბათს, საღამოს 20-საათიდან. დანარჩენ დღეებში ვარჯიშები ტარდებოდა „დიდუბის მანეჟში“. ლ. მ-ე უშუალოდ ფლობდა ვარჯიშების შესახებ ინფორმაციას, როგორც ზ-ისაგან, ისე, მეორე მნიშვნელოს ვ. ბ-ისაგან. ნოემბრის თვეში ზ-ე მას რამდენიმეჯერ, დაახლოებით 3-4 ჯერ, გაეთავისუფლა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. იგი ხშირად ცხადდებოდა ვარჯიშებზე და მისგან იღებდა ინფორმაციას. შედეგი კი იყო ის, რომ გუნდს წაგება არ ჰქონია.

მოწმე მ. გ-ის ჩვენებით, რომელსაც ევალებოდა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, მათ შორის, ყველა ასაკობრივი გუნდის საქმიანობის კონტროლი, დაინდებოდა, რომ იგი ხშირად ნახულობდა ზ-ეს ვარჯიშის დაწყებამდე. როცა ზ-ე ვერ მოდიოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი წინასწარითობაზე განთავისუფლებას, ანუ რეკავდა მათთან, თუმცა ეს იყო იშვიათი შემთხვევა. მოწმის განმარტებით, სხვა არანაირი კონტროლი სამსახურში გამოცხადების თაობაზე დაწესებული არ ყოფილა. მოწმემ უარყო ნოემბერში ზ-ის სამსახურში სისტემატური გამოუცხადებლობის ფაქტი. მისი განმარტებით, კონტრაქტის განმავლობაში ზ-ის მხრიდან სამსახურში სისტემატურად გამოუცხადებლობას ადგილი არ ჰქონია.

რაც შეეხება მითითებულ მოწმეთა ჩვენებების უარყოფის მეორე საფუძველს, თითქოს, ორივე მათგანი სამსახურიდან გათავისუფლებული იყო მოსარჩელის გათავისუფლებამდე გარკვეული ხნით ადრე, სამსახურში გამოუცხადებლობისა და სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების გამო, პალატამ არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ ლ. მ-ისა და მ. გ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ ბრძანებები ბათილად იყო ცნობილი სასამართლო გადაწყვეტილებით. ამასთან, მ. გ-ის ნაწილში, სასამართლო გადაწყვეტილება შესული იყო კანონიერ ძალაში.

ამ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხეს, რომელიც წარმოადგენდა ტექნიკურად კარგად აღჭურვილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს, სასამართლოსთვის უნდა წარედგინა სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებები, როთაც უტყუარად დაადასტურებდა კონკრეტულ რიცხვებში მოსარჩევლის სამსახურში გამოუცხადებლობას არასაპატიო მიზეზით. ამასთან, დამსაქმებელს ზ-ის შესაძლო დისციპლინური გადაცდომის საკითხე არ უნარმოებია რაიმე შემონმება, თვით დასაქმებული-სათვის არ მოუთხოვია ახსნა-განმარტება კონკრეტულ სამუშაო დღეს სამსახურში გამოუცხადებლობასთან დაკავშირებით, განმარტება არ ჩამოურთმევიათ ზ-ის თანაშემწევი ვ. ბ-ისთვის და არც სასამართლო სხდომაზე მისი მოწმის სახით დაკითხვა მოუთხოვიათ. უფრო მეტიც, პალატას ექმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დამსაქმებელმა ჯერ გამოსცა სადავო ბრძანება ზ-ის გათავისუფლების შესახებ და შემდეგ დაიწყო ამ ბრძანების ფაქტობრივი საფუძვლის დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვება. სანინააღმდეგო შემთხვევაში, ასეთ მტკიცებულებებზე მას სადაც ბრძანებაში უნდა მიეთითებინა.

პალატამ მიუთითა მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების 5.4 პუნქტზე, რომლის თანახმად, დამქირავებელი უფლებამოსილია მწვრთნელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების პირობების არაჯერვანი შესრულები-სათვის...

ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ შინაგანაწესის 8.2 მუხლის თანახმად, კლუბის შინაგანაწესი კლუბსა და კლუბის წევრებს შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილია.

შინაგანაწესის 6.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კლუბის წევრები ვალდებული არიან დროულად გამოცხადდნენ ბაზაზე, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დღის (დღის ნაწილის) საპატიო მიზეზით შესაძლო გაცდენის შემთხვევაში, წინასწარ აცნობონ კლუბის ხელმძღვანელობას. შინაგანაწესის 7.3 მუხლის თანახმად, კლუბის წევრთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება შინაგანაწესის უხეში დარღვევისათვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის. შინაგანაწესის 7.4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კლუბის წევრს შეიძლება შეუწყდეს მასთან დადებული ხელშეკრულება ბაზაზე არასაპატიოდ გამოუცხადებლობის (ორი ან მეტი დღე) შემთხვევებში.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩევეს-

თან მიმართებით სახეზე არ იყო შინაგანაწესის 7.4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, აღნიშნული წერილი ვერ გამოდგებოდა მოსარჩელის მხრიდან შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად; ამასთან, საქმეში არსებული ყველა მტკიცებულების ერთობლიობაში შეფასებით პალატამ დასაცვნა, რომ ყოფილი მთავარი მწვრთნელის მიერ დასახელებული გუნდის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი – უცხოელ და ქართველ კვალიფიციურ მოთამაშეებთან კონტრაქტების გაუფორმებლობა, გამოწვეული იქნა 2013-2014წნ. სეზონის დასაწყისში კლუბის ხელმძღვანელობის (დირექტორი ზ. კეგ) მცდარი სტრატეგიით, რაც გამოიხატა ძირირადლირებული და კვალიფიციური კალათბურთელების ტრანსფერებისგან თავის შეკვებაში.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შრომითი ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ, შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევისას შეწყვიტონ შრომითი ხელშეკრულება. პრაქტიკაში, აღნიშნული ნორმა, უმეტესწილად დამსაქმებლის უფლების გამოყენებით გამოიხატება; კერძოდ, დამსაქმებელი დასაქმებულთან წყვეტს შრომით ხელშეკრულებას დასაქმებულის მიერ შრომითი პირობების დარღვევის გამო. ამიტომ, ამ საფუძვლით შრომითი ურთიერთობის მოძლა, რასაც უკავშირდება დასაქმებულის შრომითი უფლების შეწყვეტა, მოითხოვს შეწყვეტის საფუძვლის ძალიან დეტალურ და გულმოდგინე შესწავლასა და შეფასებას. ამგვარი შეფასება მნიშვნელოვანია მხარეთა შორის (დამსაქმებელი-დასაქმებული) სამართლიანი ბალანსის დასაცავად. ერთი მხრივ, დასაქმებულს უსაფუძვლოდ არ უნდა შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულება და ამით არ მოესპოს საარსებო საშუალება, ხოლო, მეორე მხრივ, დამსაქმებელს არ უნდა შეეზღუდოს შრომითი მოვალეობების დამრღვევი მუშაკის სამუშაოდან გათავისუფლების უფლება და მისთვის მიუღებელი მუშაკის სამუშაოზე დატოვებით არ უნდა შეექმნას გარკვეული რისკები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია, რომ დასაქმებულის სამუშაო ადგილიდან დათხოვნისას, თუნდაც, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის წინაპირობებისას, უნდა არსებობდეს გათავისუფლების გონიერული საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ ასევე, მიუთითა შემდეგზე: 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილია შრო-

მის საერთაშორისო ორგანიზაცია (შსო), რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია შრომითი უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და კონვენციები. ერთ-ერთი მათგანია შსო-ს № 158 შრომითი ურთიერთობის შენკვეტის კონვენცია, რომელიც 1982 წელს არის მიღებული და ითვალისწინების გონივრული საფუძვლის ცნებას. კონვენციის მიხედვით, „გონივრულობის“ პრინციპი ასახული უნდა იყოს ცველა სახელმწიფოს შიდა-სახელმწიფოებრივ დონეზე და განმტკიცებული უნდა იყოს საკანონმდებლო სისტემაში. „რაც შეეხება საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ იგი 158-ე კონვენციის მონაწილე მხარე არ არის, მას „გონივრული საფუძვლის“ პრინციპის კონვენციისეული მნიშვნელობით შიდასახელმწიფოებრივ დონეზე დანერგვის მოვალეობა იმავე ხარისხითა და მოცულობით აკისრია, როგორც ეს – კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს. საქართველოს ეს საერთაშორისო ვალდებულება საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლიდან და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლიდან გამომდინარეობს“ (ციტირებულია: ლ. კასრაძე, სახელმწიფოს მინიმალური ვალდებულება და „გონივრულობის საფუძვლის“ პრინციპი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების საქმეში: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტი“ (ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და საქართველო-სტატიათა კრებული. ავტ. კ. კორკელია 2011)).

პალატამ ასევე განმარტა, რომ „შრომით ურთიერთობაში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ ენინააღმდეგება ამ კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მასთან თანხვედრაშია, კერძოდ, კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნა შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას, რაც უკავშირდება დასაქმებულის შესაძლებლობებსა და ქცევის წესს ან დაწესებულების, სანარმოს აუცილებლობას ან სამსახურს“.

აღნიშნული კონვენციის სრული სათაურია „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შენკვეტის შესახებ კონვენცია“. შესაბამისად, იგი ძირითადად დასაქმებულის უკანონო საფუძვლით დათხოვნისაგან დაცვაზეა ორიენტირებული, თუმცა ამავე დროს, კონვენცია მიზნად ისახავს წონასწორობის დამყარებას შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის. კონვენცია არ ითვალისწინებს დასაქმებულის დაცვას დამსაქმებლის მხრიდან შრომითი ხელშეკრულების შენკვეტის ნებისმიერი შემთხვევის დროს. ამ მხრივ კონცენცია შეიცავს სპეციალური დათქმებს, რაც დამსაქმებელს უფლებას აძლევს,

გაათავისუფლოს მუშაკი გარევეული წინაპირობების არსებობისას. ამგვარი დათემები გაბნეულია სხვადასხვა მუხლში, ასე მაგ. მუხლი მე-2.მ, მე-4, მ. მე-11.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემული კონვენცია მოიცავს რეგულაციას, თუ რა ჩაითვლება მუშაკის უკანონო დათხოვნად, ისევე როგორც – რა არ ჩაითვლება. კონვენციის მე-4 მუხლიდან გამომდინარე, მუშაკის დათხოვნის გონივრული საფუძველი კავშირში უნდა იყოს ა) მუშაკის არაკომპეტენტურობასთან ან/და არასათანადო ქცევასთან ან ბ) უნდა მომდინარეობდეს სანარმოს, დაწესებულების თუ მათი სერვისის ოპერაციული საჭიროებიდან. ამგვარ კვალიფიკაციების დადგენისას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საზედამხედველო ორგანოს – ექსპერტთა კომიტეტის კომენტარებს, გადაწყვეტილებებსა და საერთაშორისო შრომით რეკომენდაციებს, რომელთაც, მართალია, სარეკომენდაციო ხასიათი აქვთ, მაგრამ განმარტავენ კონვენციის ტექსტს, რეგულირების მასშტაბებს და ისინი შესაძლოა წარმოდგენილ იქნას, როგორც შთაგონების წყარო კანონმდებლობისა და ეროვნული სასამართლოებისთვის. შსო-ს ექსპერტთა კომისიის 1995 წლის მოხსენებაში მიმოხილულია „არასათანადო ქცევის“ კონცეფცია, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ორ კომპონენტად:

1. მუშა-მოსამსახურეთა მიერ შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება (არასათანადო პროფესიული ქცევა);

2. შეუფერებელი ყოფაქცევა.

მუშაკის მიერ „შრომითი კონტრაქტით გათვალისწინებული მოვალეობების არაჯეროვან შესრულებაში“ იგულისხმება:

– სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების უგულებელყოფა;

– შრომის შინაგანაწესის დარღვევა (განსაკუთრებით, უსაფრთხოების ან ჯანმრთელობის დაცვის წესების კუთხით);

– დამსაქმებლის ლეგიტიმური ბრძანების დაუმორჩილებლობა;

– არასაპატიო მიზეზით სამუშაოზე დაგვიანება ან საერთოდ გამოუცხადებლობა“ (ციტირებულია: შრომითი ურთიერთობის შენყვეტის №158 კონვენციისა და №166 რეკომენდაციის ზოგადი მიმოხილვა, 89-ე პუნქტი; 1995წ. შრომის საერთაშორისო კონფერენცია, 82-ე სესია).

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებები წარმოადგენს დასაქმებულის სამუშაოდან გა-

თავისუფლების გონივრულ, ლეგიტიმურ საფუძვლებს. შესაბამისად, პალატამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას: წარმოადგენს თუ არა მოსარჩელის ქმედებები საკმარისად სერიოზულ საფუძველს იმისათვის, რომ დამსაქმებელმა მასთან შრომითი ხელშეკრულება შეწყვიტოს. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ამ კითხვას უნდა გაეცეს ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი პასუხი.

ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ დამსაქმებლის მიერ მოსარჩელესთან შრომითი ურთიერთობები შეწყდა სათანადო საფუძვლის გარეშე, რის გამოც, არსებობდა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №– ბრძანების ბათილად ცნობის საფუძველი.

ამასთან, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა შრომის კოდექსის 32-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს, დასაქმებულს მიეცემა შრომის ანაზღაურება სრული ოდენობით. მოცდენად უნდა ჩაითვალოს იმგვარი ვითარებაც, როდესაც შრომის ხელშეკრულების არამართლზომიერად მოშლის შედეგად, დასაქმებულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების შესაძლებლობა ესპობა, ვინაიდან, ამავე დროს, არსებობს დასაქმებულის ნება, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება.

სამოქალაქო კოდექსის 408.1 მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება.

შრომის კოდექსის 44-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობისას, მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი აანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულება უკანონოდ შეწყდა 2013 წლის 02 დეკემბერს, რითაც აპელანტს (მოსარჩელეს) მოესპონ საშუალება, რომ ამ ხელშეკრულების ვადის ამონურვამდე (2014 წლის 01 ივნისი) მიეღო შრომის ანაზღაურება. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ უნდა დაეკისრებოდა კომპენსაციის – 3 600 ლარის (6 თვის გასაცემი ხელფასი) გადახდა ზ-ის სასარგებლოდ; ხოლო მოსარჩელის სამსახურში აღდგენის ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობ-

რივ-სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა, რადგან გა-სული იყო მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ვადა (გავიდა 2014 წლის 01 ივნისს).

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა სსიპ „ს. კ. შ. ა-მ“, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება სარჩელის დაქმა-ყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

კასატიონი მიიჩნევს, რომ მას სასამართლომ არასწორად და-აკისრა მოსარჩელის მხრიდან სამსახურში არასაპატიო მიზე-ზით გამოუცხადებლობის მტკიცების ტვირთი. კასატიონის მო-საზრებით, მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება მართებუ-ლად იყო მითითებული როგორც ზ-ესთან შრომის ხელშეკრუ-ლების შეწყვეტის მიზეზი. შესაბამისად, უსაფუძვლო იყო მსჯე-ლობა ზ-ის წინასწარ გაფრთხილების გარეშე, მოვალეობათა არა-ჯეროვანი შესრულების ფაქტის არარსებობის პირობებში გა-თავისუფლების თაობაზე.

კასატიონმა უურადლება გაამახვილა მისი მხრიდან წარმოდ-გენილი ოთხი მოწმის ერთგვაროვან ჩვენებაზე და აღნიშნა, რომ სამსახურში გამოცხადების მაკონტროლებელი მექანიზმის არარსებობის პირობებში, ობიექტურად შეუძლებელი იყო სხვა მტკიცებულების მოხმობა.

მოსარჩელის მოწმეთა ლ. მ-ისა და მ. გ-ის ჩვენებები ადას-ტურებდა მხოლოდ რამდენჯერმე გამოუცხადებლობის ფაქტს ავადმყოფობის მიზეზით, რაც არ გამორიცხავდა სხვა არასაპა-ტიო გაცდენების არსებობას. კასატიონი აღნიშნავს, რომ ლ. მ-ეს, როგორც მთავარი გუნდის სპორტულ დირექტორს არ გააჩ-ნდა დასაქმებულის დროებითი გათავისუფლების უფლება, ხო-ლო აღნიშნულზე უფლებამოსილმა ერთადერთმა პიროვნებამ, კლუბის დირექტორმა ზ. კ-ემ დაადასტურა, რომ სამხარაძეს არასოდეს უთხოვია სამსახურიდან დროებით გათავისუფლე-ბა, მისი მხრიდან საპატიო მიზეზის გარეშე გამოუცხადებლო-ბას ჰქონდა სისტემატიური ხასიათი. კასატიონი მიუთითებს სა-ქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე (საქმე №ას-911-1218-07), შრომის ხელშეკრულების მოშლასთან დაკავში-რებით სასამართლო გადაწყვეტილებაზე (№ას-873-1183-07) და ევროპის სოციალურ ქარტიაზე, რომლის მე-4 მუხლის მე-4 პუნ-ქტი ავალდებულებს დამსაქმებელს წინასწარ შეატყობინოს მუ-შაქეს დასაქმების შეწყვეტის შესახებ და ამავდროულად, და-ნართის მე-2 ნაწილი გამორიცხავს ამ დებულების იმგვარ ინ-ტერპრეტაციას რომელიც გაიგივებული შეიძლება იყოს მნიშ-

ვწელოვანი დარღვევის შემთხვევაში, სამსახურიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლებაზე აკრძალვასთან.

კასატორის განმარტებით კლუბის შინაგანაწესი ითვალისწინებს შრომის ხელშეკრულების შეწყვეტას, როგორც ორი ან მეტი დღით გამოუცხადებლობის სამართლებრივ შედეგს. ასევე, კასატორს უხეშ დარღვევად მიაჩინა მოსარჩევის მხრიდან ე.წ. მანეჟის დარბაზში კლუბის სახელით გარეშე პირებთან ვარჯიშების ჩატარება.

კასატორი ასევე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ზიანის ანაზღაურების ნაწილში და მიუთითებს, სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლების ნაცვლად სასამართლოს უნდა გამოეყენებინა სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 415-ე მუხლები.

კასატორის განმარტებით მისი, როგორც დამსაქმებლის ინტერესი აღნიშნულ შრომით ურთიერთობაში იყო კალათბურთელთა გუნდისათვის მოსარჩელის გამოცდილების გაზიარება. ამ ტიპის სამუშაოში დროის ფაქტორის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე არასაპატიო გაცდენა წარმოადგენს უხეშ დარღვევას. სამოქალაქო კოდექსის 415-ე მუხლზე დაყრდნობით, გაცდენა უნდა შეფასდეს, როგორც მოქმედება, რომელმაც ხელი შეუწყო ზიანის წარმოშობას. შესაბამისად, სასამართლოს ზიანზე მსჯელობისას უნდა გაეთვალისწინებინა დაზარალებულის ბრალი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორს მიაჩინა, რომ მოსარჩელის მხრიდან უხეშად დაირღვა შრომითი ვალდებულებები, რაც მართებულად გახდა შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი. სააპელაციო სასამართლოს მიერ არასათანადოდ შეფასდა საქმის მასალები რამაც განაპირობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დარღვევა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასამვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2015 წლის 28 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივარის საფუძვლები და მიზნევს, რომ საკასა-

ციონ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2013 წლის 30 ივლისს ა(ა)იპ „საკალათბურთო კლუბი შსს აკადემიას“ (დირექტორი ზ. კ-ე) და ზ-ეს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ზ-ეს, როგორც მწვრთნელს, დაევალა კლუბის 18 წლამდე კალათბურთელთა გუნდის ვარჯიში და სხვადასხვა სახის შეჯიბრებაში მათი სათამაშოდ გამოყვანა.

ხელშეკრულების 2.1 მუხლის თანახმად, მწვრთნელის შრომის ანაზღაურება განისაზღვრება 750 ლარით.

ხელშეკრულების 5.1 მუხლის მიხედვით, მისი მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 01 აგვისტოდან 2014 წლის 01 ივნისამდე. ხოლო, 5.4 მუხლის თანახმად, დამსაქმებელი უფლებამოსილია მწვრთნელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, ასევე, ზნეობრივი და ეთიკური ნორმების წინააღმდეგ მიმართული შეუფერებელი საქციელისათვის, რომელიც ლახავს კლუბისა და მთლიანად შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესებს.

უდავო გარემოებაა, რომ 2013 წლის სეზონის დასაწყისიდან, ზ-ე, მეორე მწვრთნელ ვ. ბ-თან ერთად, მიმაგრებული იყო 14-წლამდელთა გუნდზე, რომელსაც იმ სეზონში წაგება არ ჰქონდა და წარმატებით ასპარეზობდა საქართველოს პირველობაზე.

ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №... ბრძანებით, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, „ს. კ. შ. ა-ს“ მწვრთნელ ზ-ეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება 2013 წლის 02 დეკემბრიდან.

ბრძანებაში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მიეთითა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ წესდების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი და „ს. კ. შ. ა-სა“ და ზ-ეს შორის 2013 წლის 30 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების 5.4 პუნქტი.

ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად ასევე, მიეთითა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება.

კასატორს თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოთ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სადაცოდ არ გაუხდია. შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მათ საკასაციო პალატისათვის საგალდებულო ძალა გააჩინიათ.

წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით სადაცოდაა გამხდარი

ზ-ესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №... ბრძანების ბათილად ცნობის ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების არსებობა.

მოცემული დავის განხილვისას საკასაციო პალატა პირველ რიგში განმარტავს, რომ სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან განთავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი, შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე გამოცემულ ბრძანებაში მითითებული დასაქმებულის გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

მოცემულ საქმეზე დადგენილია, რომ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №... ბრძანებით, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, ზე-ეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება 2013 წლის 02 დეკემბრიდან. ბრძანებაში ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლად მიეთითა ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ წესდების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი და „ს. კ. შ. ა-სა“ და მნვრთნელს მორის 2013 წლის 30 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების 5.4 პუნქტი. ასევე, გათავისუფლების საფუძვლად მიეთითა კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №... ბრძანების მართლზომიერების კვლევას ართულებს ის გარემოება, რომ პრაქტიკულად, ბრძანება დასაქმებულის გათავისუფლების ნორმატიულ საფუძველს არ შეიცავს. მიუხედავად ამისა, სასამართლო, რომელმაც ყოველ კონკრეტულ საქმეზე უნდა აღასრულოს მართლმსაჯულება, ვალდებულია, თავად იკვლიოს და შეაფასოს სადაც ბრძანების მართლზომიერება შრომით სამართლებრივ სიკრცეში მოქმედ ნორატიულ აქტებთან მიმართებაში.

ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოებაში შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების პირობებში, საქმის განმხილველი სასამართლოსათვის სავალდებულოა სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტების ერთობლიობა, რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას (სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები), რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, აღნიშნული განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს, რომლის განხორციელებისას სასამართლო არ არის შეზღუდუ-

ლი. სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ, რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეებს შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს.

პირველ რიგში, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს კასატორის იმ განმარტებას, რომ ზ-ე ააიპ „ს. კ. შ. ა-ს“ მწვრთნელის თანამდებობიდან გათავისუფლდა იმ საფუძვლით, რომ კლუბი მოწვეული იყო კლუბის იმჟამინდელი სპორტული დირექტორის – ლ. მ-ის მიერ, რომელიც კლუბის არასწორი დაკომპლექტებისათვის და უარყოფითი შედეგების გამო დათხოვნილ იქნა კლუბიდან. კასატორის (მოპასუხე) მითითებით, მწვრთნელს უნდა ევარჯიშებინა სხვადასხვა ასაკობრივი კალათბურთელთა გუნდები, მოგვიანებით, გაირკვა, რომ ამგვარი ასაკობრივი გუნდების ჩამოყალიბების ნორმატიული საფუძველი არ არსებობდა. გარდა ამისა, მოსარჩელე პოლიციის აკადემიის სახელით ბავშვებს ავარჯიშებდა ტერიტორიულად სხვა ადგილას და კლუბის სახელს იყენებდა მხოლოდ სახელის გამოყენების მიზნით. ამასთან, მოსარჩელე სისტემატიურად არასაპატიოდ არ ცხადდებოდა საწვრთნელ ბაზაზე, რაც კასატორის მითითებით, უნდა შეფასდეს შინაგანაწესის უხეშ დარღვევად (იხ., შესაგებელი; საკასაციო საჩივრის საფუძვლები). ასევე, ყურადსალებია უშუალოდ ბრძანებში მითითებული გარემოება იმის თაობაზე, რომ ზ-ეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის (იხ., ბრძანების დადგენილებითი ნაწილი).

ყოველივე ზემოაღნიშნული საკასაციო პალატას აძლევს ლოგიკური, თანმიმდევრული და დასაბუთებული მსჯელობის საფუძველს მასზედ, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სადაცოდ გამხდარი ბრძანების კანონიერება უნდა შემოწმდეს სადაცო ბრძანების გამოცემის პერიოდში მოქმედ შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველ ნაწილის „ზ“ პუნქტთან მიმართებაში, რადგან ზ-ის სამუშაო ადგილიდან გათავისუფლების მომენტისათვის (საქართველოს შრომის კოდექსის 2013 წლის 02 დეკემბრისათვის მოქმედი რედაქცია) მითითებული ნორმა ადგენდა შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების უხეში დარღვევის გამო, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ზ-ეს ედავება ააიპ „ს. კ. შ. ა-ს“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექ-

სის“ 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დამსაქმებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევის საფუძველზე შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს დასაქმებულს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, გამოსაკვლევია განხორციელდა თუ არა ზ-ესთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ნორმის შემადგენლობის სრული დაცვით, რაც თავის მხრივ, ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №... ბრძანების ბათილობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების გამომრიცხველი გარემოებაა.

ამ მიზნით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო სამართლნარმოებაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხ.).

ნიშანდობლივია, რომ შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩევე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება მასზედ, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აპრუნებს დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც აკისრებს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას.

ზემოაღნიშნული დასკვნა გამომდინარეობს შემდეგი ძირეული პრინციპიდან, რომლის მიხედვით დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა შრომითი მოვალეობები დაარღვია, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა, ვიდრე დასაქმებული, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას მასზე, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა.

საკასაციო პალატის მითითებული მსჯელობიდან გამომდინარე, ვერ იქნება გაზიარებული კასატორის პოზიცია, რომ საქმის სააპელაციო წესით განმხილველმა სასამართლომ არასაწო-

რად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და სამსახურში გამოცხადებისა და შინაგანანესით გათვალისწინებულ სხვა მოვალეობათა ჯეროვანი შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულება, არასწორად გადააკისრა დამსაქმებელს.

ამავე მოსაზრებით არ იზიარებს საკასაციო პალატა თბილის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებულ მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეს უნდა ედასტურებინა სამსახურში სისტემატიურად გამოცხადების შესახებ ფაქტობრივი გარემოება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მწვრთნელის (დასაქმებულის) სამსახურში გამოცხადებლობა, რაც საფუძვლად ედება შრომითი ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევის გამო, სამსახურიდან მის გათავისუფლებას, წარმოადგენს შესაგებლის ფაქტს, რომელი ფაქტიც სარწმუნოდ სწორედ მოპასუხემ უნდა დაადასტუროს.

ამდენად, სადაც ომმთხვევაში, სწორედ კასატორი (მოპასუხე) იყო ვალდებული სათანადო მტკიცებულებებით დაედასტურებინა ზ-ის მიერ, მასზე ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის ფაქტები, რაც საკართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით ზ-ის სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძვლად იქნებოდა მიჩნეული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულება, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გამოიხატა შემდეგში:

– მოსარჩელე სისტემატიურად არასაპატიოდ არ ცხადდებოდა საწვრთნელ ბაზაზე, რითაც უხეშად დაირღვა შრომის შინაგანანესი.

– მწვრთნელს უნდა ევარჯიშებინა სხვადასხვა ასაკობრივი კალათბურთელთა გუნდები. მოგვიანებით, გაირკვა, რომ ამგვარი ასაკობრივი გუნდების ჩამოყალიბების ნორმატიული საფუძვლი არ არსებობდა.

ზემოთაღნიშნული გარემოებები, ვერ განიხილება დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების პირობების დარღვევად, შემდეგი მოსაზრებების გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ 2013 წლის 30 ივლისს ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-სა“ (დირექტორი ზ. კ-ე) და ზ-ეს შორის დაიდო

ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით მხარეებს შორის წარმოიშვა ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობა და მწვრთნელს დაევალა, 18 წლის ასაკამდე გუნდების ვარჯიში და სხვადასხვა შეჯიბრებებში სათამაშოდ გამოყვანა.

ხოლო საკითხი იმის შესახებ, არსებობდა თუ არა, რომელიმე კონკრეტული ასაკობრივი გუნდისათვის კონკრეტული ნორმატიული საფუძველი, წარმოადგენს კლუბის ადმინისტრაციის შიდა რეგულირების სფეროს და ამგვარი ნორმატიული საფუძვლის არარეგობის პირობებშიც კი, მაშინ როდესაც, მწვრთნელი ბავშვებს აგარჯიშებდა ხელშეკრულებით დადგენილი ასაკობრივი ზღვარის ფარგლებში, შინაგანაწესის ანდა ხელშეკრულების დარღვევად ვერ შეფასდება. მით უფრო, ეს დარღვევა მწვრთნელს ბრალად ვერ შეერაცხება.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის (მოპასუხის) მეორე არგუმენტს ზ-ის მიერ სისტემატიურად, არასაპატიო მიზეზით, ვარჯიშების გაცდენასთან მიმართებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული შესაგებლის ფაქტია, რომელიც სარწმუნოდ უნდა დაედასტურებინა მოპასუხეს (კასატორი).

იმ პირობებში, როდესაც სამსახურის ადმინისტრაცია არ ახორციელებდა თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე გამოცხადების აღრიცხვიანობას, მხოლოდ ამჟამად დასაქმებულ ადმინისტრაციის თანამშრომელთა ჩვენება, რომელიც წინააღმდეგობრივი მოცემულ საქმეზე დაკითხულ და სამსახურიდან უკვე გათავისუფლებულ პირთა ჩვენებებთან, საკმარის და უტყუარ მტკიცებულებად ვერ შეფასდება.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ყურადღებაა მისაქცევილ. მ-ის ჩვენებაზე, რომელსაც სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებამდე ეკავა კლუბის სპორტული დირექტორის თანამდებობა. მისი ჩვენებით დასტურდება, რომ ზ-ე, როგორც მწვრთნელი, სადავონ პერიოდში მიმაგრებული იყო 14-წლამდელთა გუნდზე. ამავე პერიოდში, ზ-ე ავარჯიშებდა სხვა ახალგაზრდა კალათბურთელებს, ე.ნ. „დიდუბის მანეჟის“ ბაზაზე. 14-წლამდელთა გუნდს „კლუბის“ ბაზაზე ვარჯიშები უტარდებოდათ კვირაში ორჯერ, სამშაბათს და ხუთშაბათს, საღამოს 20-საათიდან. დანარჩენ დღეებში ვარჯიშები ტარდებოდა „დიდუბის მანეჟში“. ლ. მ-ე უშუალოდ ფლობდა ვარჯიშების შესახებ ინფორმაციას, როგორც ზ-ისაგან, ისე, მეორე მწვრთნელის ვ. ბ-ისაგან. ნოემბრის ოვეში ზ-ე მას რამდენიმეჯერ, დაახლოებით 3-4 ჯერ, გაეთავისუფლა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. იგი ხშირად ცხადდებოდა ვარჯიშებზე და მისგან იღებდა

ინფორმაციას. შედეგი კი იყო ის, რომ გუნდს წაგება არ ჰქონია.

მონმე მ. გ-ის ჩვენებით, რომელსაც ევალებოდა ორგანიზაციული საკითხების მოგვარება, მათ შორის, ყველა ასაკობრივი გუნდის საქმიანობის კონტროლი, დგინდებოდა, რომ იგი ხშირად წარმოადგინდებოდა ზეს ვარჯიშის დაწყებამდე. როცა ზე ვერ მოდიოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი წინასაზღვრით ითხოვდა განთავისუფლებას, ანუ რეკავდა მათთან, თუმცა ეს იყო იშვიათი შემთხვევა. მონმეს განმარტებით, სხვა არანაირი კონტროლი სამსახურში გამოცხადების თაობაზე დაწესებული არ ყოფილა. მონმემ უარყო ნოემბერში ზ-ის სამსახურში სისტემატური გამოუცხადებლობის ფაქტი. მისი განმარტებით, კონტრაქტის განმავლობაში ზ-ის მხრიდან სამსახურში სისტემატურად გამოუცხადებლობას ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოთმითითებულ მონმეთა ჩვენებების უარყოფა იმ პირობებში, როდესაც სწორედ ისინი ახორციელებდნენ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ მენეჯმენტს, სახელდობრ, სადაც პერიოდში ლ. მ-ე იყო „კლუბის“ სპორტული დირექტორი, ხოლო მ. გ-ე – კლუბის ტექნიკური მენეჯერი. ფუნქციონალურად, სწორედ მათ ევალებოდათ ასაკობრივი გუნდების მწვრთნელების საქმიანობაზე კონტროლი, დაუსაბუთებელია.

ის მოტივი კი, თითქოს ორივე მათგანი გათავისუფლებული იყო დაკავებული თანამდებობიდან შრომითი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, მოკლებულია ნორმატიულ საფუძველს, გამომდინარე იქიდან, რომ ლ. მ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №7 ბრძანება ბათილად იქნა ცნობილი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მარტის გადაწყვეტილებით, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული (იხ., სუს 2015 წლის 07 ოქტომბრის განჩინებით. საქმე №ას-483-457-2015).

ამ ვითარებაში, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპარებეს, რომელიც წარმოადგენდა ტექნიკურად კარგად აღჭურვილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულს, სასამართლოსთვის უნდა წარედგინა სარწმუნო და დამაჯერებელი მტკიცებულებები, რითაც უტყუარად დაადასტურებდა კონკრეტულ რიცხვებში მოსარჩელის სამსახურში გამოუცხადებლობას არასაპატიო მიზეზით.

ამასთან, მოპარებების მხარეზე დაკითხულ მონმეთა მიუკერძოებლობას ეჭვდება ისიც აყენებდა, რომ თუკი ზ. ს-ის მხრიდან სამუშაო ადგილზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას

სისტემატიური ხასიათი ჰქონდა, რატომ ერთხელაც არ იქნა მის მიმართ გამოყენებული შინაგანანერებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე ფორმა, რატომ არ მოსთხოვეს დასაქმებულს ახსნა-განმარტება ამ დარღვევებთან დაკავშირებით. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამგვარი დარღვევის შემთხვევაში, ადმინისტრაციის მხრიდან განსახორციელებელ ღონისძიებებს ეთმობოდა შინაგანანერების არაერთი მუხლი. კერძოდ, მხარეთა შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების 5.4 პუნქტის თანახმად, დამქირავებების უფლებამოსილია მწვრთნელს შეუწყვიტოს ხელშეკრულება, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის...

ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ შინაგანანერების 8.2 მუხლის თანახმად, კლუბის შინაგანანერები კლუბსა და კლუბის წევრებს შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილია.

შინაგანანერების 6.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, კლუბის წევრები ვალდებული არიან დროულად გამოცხადდნენ ბაზაზე, ხოლო „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დღის (დღის ნაწილის) საპატიო მიზეზით შესაძლო გაცდენის შემთხვევაში, ნინასწარ აცნობონ კლუბის ხელმძღვანელობას. შინაგანანერების 7.3 მუხლის თანახმად, კლუბის წევრთან დადებული ხელშეკრულების შეწყვეტა შეიძლება შინაგანანერების უხეში დარღვევისათვის და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის. შინაგანანერების 7.4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კლუბის წევრს შეიძლება შეუწყდეს მასთან დადებული ხელშეკრულება ბაზაზე არასაპატიოდ გამოუცხადებლობის (ორი ან მეტი დღე) შემთხვევაში.

ზემოთ მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩინია, მოსარჩევესთან მიმართებით სახეზე არ იყო შინაგანანერების 7.4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.

ამდენად, კასატორის მიერ ზემოაღნიშნულ გარემოებზე, როგორც ზ-ის მიერ შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე მითითება, მოკლებულია ფაქტობრივ-სამართლებრივ დასაბუთებას. მით უფრო, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დასაქმებულთან ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2014 წლის 01 ივნისამდე და მისი მოქმედების ვადა ექვს თვეში იწურებოდა. შესაბამისად, მოპასუხეს ჰქონდა შესაძლებლობა, რომ სამომავლოდ მისთვის მისაღებ პირთან გაეფორმებინა ხელშეკრულება და მუდმივად არ ყოფილიყო შრომით ურთიერთობაში ზ-ესთან. აღნიშნული კი, შრო-

მითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უსაფუძვლობის და-მატებითი საფუძველია. საკასაციო პალატის ეს დასკვნა ეფუძ-ნება პრინციპს, რომლის შესაბამისადაც, შრომით სამართლებ-რივი ურთიერთობის შენარჩუნებას აქვს პრიორიტეტი მის რღვევასთან შედარებით. შესაბამისად, მართალია, შრომის კო-დექსის 37-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით (მოსარჩელის გათავისუფლების დროისათვის მოქმედი რედაქციით), შრომი-თი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველი მუშავის მიერ მის-თვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექ-ტიური ხელშეკრულებით ანდა შრომის შინაგანანესით დაკის-რებული ვალდებულების უხეში დარღვევაცაა, თუმცა, ნიშან-დობლივია, დასაქმებულთა შრომის უფლებების დაცვის კონ-სტიტუციურ პრინციპი, რომლის შესაბამისად, დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მი-სი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და რაც მთავარია, შედეგობრი-ვი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში „Ultima Ratio“-ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებუ-ლის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მი-ზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას, შორის ზომიერი ბალანსის დაცულობა. ნი-შანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებ-ლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გა-მოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშავს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმალებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწო-ნილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარ-და იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებუ-ლებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის.

ამდენად, იმისათვის, რომ დასაქმებულის სამსახურიდან გა-თავისუფლება დამსაქმებლის მხრიდან ადეკვატურ, საჭირო და პროპორციულ ღონისძიებად იქნეს მიჩნეული, აუცილებელია, სახეზე იყოს ისეთი მძიმე დარღვევა, რომელიც სხვა უფრო მსუ-ბუქი სანქციის გამოყენებას არამიზანშეწონილს ხდის.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებელმა, ვერ და-ადასტურა მოსარჩელის მიერ შრომითი ხელშეკრულების დარ-ღვევის ფაქტი, შესაბამისად, არამართლზომიერია დაუსაბუთე-ბელი საფუძვლით პირის სამსახურიდან გათავისუფლება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ზ-ეს არ ჩაუდენია მასზე დაკისრებულ

ვალდებულებათა იმგვარი დარღვევა, რომელიც მისთვის გაფრთხილების, დამატებითი ვადის მიცემის ან კიდევ უფრო მსუბუქი სახის სანქციის შეფარდებას გამორიცხავდა და მისი სამსახურიდან გათავისუფლება მის მიერ ჩადენილი დარღვევის ადეკვატური ღონისძიება იყო.

აქვე, საკასაციო პალატა, მისთვის მინიჭებული ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების უმნიშვნელოვანესი ფუნქციიდან გამომდინარე, მიზნაშენონილად მიიჩნევს წინამდებარე გადაწყვეტილებაში გამოყენებულ ნორმატიულ მასალასთან დაკავშირებით განმარტოს შემდეგი:

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საქანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. საქართველოს ნორმატიულ აქტებს განეკუთვნება აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება. კანონის აღნიშნული მუხლის დანაწესი იმაზე მიუთითებს, რომ საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება მხოლოდ მაშინ იქცევა საქართველოს კანონმდებლობას ნაწილად თუ, საქართველოს გაცემული აქვს თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე, რაც შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, როგორცაა ხელშეკრულებაზე ხელმოწერა, ხელშეკრულებაზე მიერთება, ხელშეკრულების რატიფიცირება და სხვ. („საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი).

ამდენად, საქართველოს თანხმობა საერთაშორისო ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე აუცილებელია, რომლის თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები საქართველოს კონსტიტუციითა და ამ კანონით დადგენილი კომპეტენციის შესაბამისად. ამით კი, სახელმწიფო საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე იღებს პიზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებას უზრუნველყოს კანონით დაცულ სფეროში ჩაურევლობა (ნეგატიური ვალდებულება) და უფლებათა დასაცავად შეიმუშავოს შესაბამისი ნორმატიული აქტები (პოზიტიური ვალდებულება).

მოცემულ შემთხვევაში, როგორც ეს თავად გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მითითებული 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო)ფარგლებში 1982 წელს მიღებული №158

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კონვენციის სავალდებულოდ აღიარებაზე საქართველოს გაცემული არ აქვს თანხმობა. შესაბამისად, იგი ვერ იქნება მიჩნეული საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელ ნაწილად და მასზე სასამართლოს მიერ მიღებული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის – სახელმწიფოს სახელით მიღებული გადაწყვეტილების, დაფუძნება უმართებულოა.

თუმცა, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან განსახილველი დავის გადაწყვეტისათვის გამოყენებულ ძირითად ნორმატიულ აქტებს წარმოადგენდა საქართველოს შრომის კოდექსი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ამიტომ, მოცემული დავის გადაწყვეტის საბოლოო შედეგზე ზემოთ მითითებული ნორმატიული აქტის გამოყენებას ზეგავლენა ვერ ექნება.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოცემულ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება იმის თაობაზე, რომ სახეზე იყო ა(ა)იპ „ს. კ. შ. ა-ს“ კლუბის დირექტორის 2013 წლის 02 დეკემბრის №... ბრძანების ბათილობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი სწორი და დასაბუთებულია, რაც გამორიცხავს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების ფაქტობრივ-სამართლებრივ საფუძვლებს.

კასატორი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

### **დადგინდება:**

1. სსიპ „ს. კ. შ. ა-ს“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## შრომითი ხელშეკრულების შეცვალის საფუძვლები

### გადაცვალება საქართველოს სახელით

№ას-1028-970-2015

3 თებერვალი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენა

**აღწერილობითი ნაწილი:**

I. სასამართლო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები

1. მ. ა-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ქალაქ თბილის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ, რომლითაც მოითხოვა:

1.1. ქ. ო-ის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 02 დეკემბრის №306 ბრძანების ბათილად ცნობა,

1.2. ა(ა)იპ „ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის“ დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა და

1.3. იძულებით მოცდენილი დროის ხელფასს ანაზღაურება, ყოველთვიურად 700 ლარის ოდენობით 2014 წლის 02 დეკემბრიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ მოსარჩელე ო-ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 22 აპრილის №114 ბრძანების საფუძველზე დაინიშნა ა(ა)იპ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობაზე. ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის მერის 18.08.2014-ის №84 ბრძანებით მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. ო-ის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის მერის 01.12.2014-ის №301 ბრძანებით მოსარჩელე აღადგინეს ააიპ „ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის“ დირექტორის თანამდებობაზე. ქ. ო-ის მუნიციპალიტეტის მერის 02.12.2014-ის №306 ბრძანების შესაბამისად იგი კვლავ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

3. მოსარჩელემ სადავო ბრძანებაში მითითებული გათავი-

სუფლების სამართლებრივი საფუძვლები იურიდიულად დაუ-  
საბუთებლად და უსაფუძვლოდ მიიჩნია.

მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხივლისას, სა-  
სამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათა-  
ვისუფლებისას. ასევე მიუთითა, რომ ა(ა)იპ ო-ის მუნიციპალი-  
ტეტის ცენტრალური სტადიონის შიდა აუდიტორული შემოწ-  
მების საფუძველს წარმოადგენდა ქ. ო-ის მერის 2014 წლის 15  
სექტემბრის №166 ბრძანება. შიდა აუდიტის აქტი თარიღდება 2014  
წლის 27 სექტემბრით. ალნიშნულ პერიოდში მოსარჩელე  
გათავისუფლებული იყო თანამდებობიდან და დავა მიმდინარე-  
ობდა სასამართლოში. საქართველოს კანონის სახელმწიფო ში-  
და ფინანსური კონტროლის 23-ე მუხლის შესაბამისად შიდა აუ-  
დიტორული ანგარიშის პროექტი ეგზავნება შიდა აუდიტის ობი-  
ექტს იმ მიზნით, რომ მან წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრება  
ანგარიშში დასმულ საკითხებზე. მოცემულ შემთხვევაში, შიდა  
აუდიტის ობიექტისათვის – მოსარჩელისათვის აუდიტის ანგა-  
რიში არ ჩაუბარებიათ და შესაბამისად, მოსარჩელისათვის არ  
მიუციათ საშუალება მიეცა ახსნა-განმარტება აუდიტის აქტში  
მითითებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

## II. მოპასუხის პოზიცია

4. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩე-  
ლის გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ქალაქ ო-ის მუნიცი-  
პალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2014 წლის 27  
სექტემბრის ა(ა)იპ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტა-  
დიონის აუდიტორული შემოწმების აქტში მითითებული მოსაზ-  
რებები.

მოპასუხის განმარტებით, ორგანიზაციას არ ჰქონდა დამ-  
ტკიცებული 2014 წლის ძირითადი ფინანსური დოკუმენტი, რის  
გამოც, ვერ დადგინდა ორგანიზაციის დაფინანსების ფარგლებ-  
ში გაწეული ხარჯების რეალურობა და მიზნობრიობა.

მოპასუხემ მიუთითა, რომ ორგანიზაციის ხარჯვით ნაწილში  
შესრულებული იყო ფინანსური ოპერაციები, რომელმაც გამო-  
იწვია ხელფასის ფონდში და ზოგიერთ სხვა ხარჯვით ნაწილში  
შეუსაბამობა და გადახარჯვა, რითაც დაირღვა ორგანიზაციის  
ნესდების მე-4 მუხლის 4.4 და 4.5 პუნქტები.

აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, 2014 წლის 01 იანვრი-  
დან 01 სექტემბრის ჩათვლით ყველა გამოვლენილი დარღვევე-  
ბის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშება შეფასდა მა-  
ლალი რისკის შემცველად.

ზემოთმითითებული და სხვა შიდა აუდიტის აქტით შეფასებული დარღვევების საფუძველზე დირექტორი მოსარჩევე გათავისუფლდა ა(ა)იპ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობიდან.

### **III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება**

5. ო-ის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაქმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ქ. ო-ის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 2 დეკემბრის №306 ბრძანება მ. ა-ის სამუშაოდან გათავისუფლებს შესახებ და იგი აღდგენილი იქნა ააიპ ქ. ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობაზე. დაევალა, ქ. ო-ის მუნიციპალიტეტის მერიას, მოსარჩელეს აუნაზღაუროს სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან იძულებით განაცდური ხელფასი, თვეში 700 ლარის ოდენობით (დაუქვითავი), გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

#### **IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა**

6. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი წარადგინა ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის მერიამ, რომელმაც მოითხოვა, ო-ის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღება.

#### **V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები**

7. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით ქ. ო-ის მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივარი დაქმაყოფილდა ნაწილობრივ. გაუქმდა ო-ის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილება მ. ა-ის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში და ამ ნაწილში, მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. სარჩელი, ააიპ ქ. ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, არ დაქმაყოფილდა. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ 2013 წლის 22 აპრილს ო-ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის №114 ბრძანების შესაბამისად, მ. ა-ე დაინიშნა ა(ა)იპ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობაზე.

9. 2014 წლის 18 აგვისტოს ქ. ო-ის მუნიციპალიტეტის მერის №84 ბრძანებების შესაბამისად, მ. ა-ე გათავისუფლდა ა(ა)იპ ქა-

ლაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობიდან.

10. 2014 წლის 01 დეკემბრის ქ.ო-ის მუნიციპალიტეტის მერის №301 ბრძანების შესაბამისად, მ. ა-ე აღდგენილი იქნა ა(ა)იპ ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობაზე და აუნაზღაურდა სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან იძულებით განაცდური ხელფასი.

11. 2014 წლის 02 დეკემბერს ქ.ო-ის მუნიციპალიტეტის მერის №306 ბრძანების შესაბამისად, მ. ა-ე გათავისუფლდა ა(ა)იპ ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობიდან. გასაჩივრებულ ბრძანებას საფუძვლად დაედო ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2014 წლის 27 სექტემბრის შემოწმების აქტში მითითებული მოსაზრებები.

12. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებისათვის, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით, 30-ე მუხლით, საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი, მე-2 და მე-6 პუნქტებით, 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტით, 38-ე და 32-ე მუხლებით და მივიდა დასკვნამდე, რომ მ. ა-ის გათავისუფლება დანიშვნიდან მეორე დღეს, ყოველგვარი შეტყობინებისა და გაფრთხილების გარეშე, დაუშვებელი იყო.

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული მოსაზრებები არ ქმნიდა მოსარჩევესთან დადებული ხელშეკრულების უპირობოდ შეწყვეტის საფუძვლებს. ეს ანგარიში შედგა 2014 წლის 27 სექტემბერს, ე.ი. მოსარჩელის თანამდებობაზე დანიშვნამდე და მან მოიცავა 2014 წლის პირველი იანვრიდან 2014 წლის პირველი სექტემბრამდე განვლილი პერიოდი.

13. სააპელაციო პალატამ მიუთითა, საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა. ამავე კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბ

რდება შრომითი ხელშეკრულების დადებას. პალატის მოსაზრებით, ამ ნორმის საფუძველზე, მხარეებს შორის ხელშეკრულება 2014 წლის პირველ დეკემბერს დაიდო და 2014 წლის პირველი იანვრიდან 2014 წლის პირველ სექტემბრამდე ამ ხელშეკრულების პირობებს მოსარჩელე ვერ დაარღვევდა.

ასეც რომ არ იყოს, აუდიტის ანგარიშის მიხედვით, დარღვევად არის მიჩნეული 2014 წლის „ძირითადი ფინანსური დოკუმენტის“ დაუმტკიცებლობა ე.წ. სახელფასო ფონდის გადახარჯვა, 1050 ლარით.

ამათგან, 600 ლარი გაიცა სახელფასო ფონდის, ყოველთვიურად, 100 ლარით გაზრდის ხარჯზე, ხოლო 450 ლარი, კი – ავანსად.

ამავე დასკვნის მიხედვით, ორგანიზაციამ არასწორად გამოიყენა საგადასახადო შედავათი და ამის ხარჯზე, მოსარჩელემ ზედმეტად გასცა ხელფასი, 240 ლარი. დასკვნაში, ასევე, მითითებულია, ორგანიზაციის მიერ საშემოსავლო და ქონების გადასახადის გადახდის ვალდებულების თაობაზეც.

14. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადასახადი არის ამ კოდექსის მიხედვით სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე. ამ ნორმის მიხედვით, კუთვნილი საშემოსავლო და ქონების გადასახადის გადახდა ორგანიზაციის ვალდებულებაა და ამ ვალდებულების არსებობის გამო ორგანიზაციის დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება დაუშვებელია.

15. სააპელაციო პალატამ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 33-ე მუხლის პირველ პუნქტზე, რომლის თანახმად, დამსაქმებელს უფლება აქვს, დასაქმებულის შრომის ანაზღაურებიდან დაქვითოს ზედმეტად გაცემული თანხა ან ნებისმიერი სხვა თანხა, რომელიც, შრომითი ურთიერთობიდან გამოდინარე, მისთვის დასაქმებულს აქვს გადასახდელი.

პალატის მოსაზრებით, ამ ნორმის საფუძველზე, ქალაქ ოის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონი უფლებამოსილია მუშაკებს დაუქვითოს ზედმეტად, მათ შორის, წინასწარ, ავანსად გაცემული თანხები. ამიტომ, მუშაკებისათვის ხელფასის ავანსად ან ზედმეტად გაცემით ორგანიზაციას ზიანი არ მისდგომია. მითუმეტეს, რომ ორგანიზაციის წესდების 4.2. მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სტადიონის თანამშრომლების შრომითი მოწყობა ხორციელდებოდა დირექტორის მიერ. ეს კი ნიშნავს, რომ დირექტორი უფლებამოსილი იყო მუშაკებისათ-

ვის ხელფასი ავანსადაც მიეცა.

16. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ დასკვნაში მითითებული არ არის, თუ რა იგულისხმება 2014 წლის ძირითად ფინანსურ დოკუმენტში. წესდების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, სტადიონს უნდა ეწარმოებინა, მხოლოდ, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეედგინა ბალანსი და წარედგინა მერიის შესაბამისი სამსახურისათვის. ის გარემოება, რომ მ. ა-ეს ზემოხსენებულ მუხლში მითითებული ვალდებულებები არ შეუსრულებია, აუდიტის დასკვნაში მითითებული არ არის. ამგვარად, დასკვნაში მითითებული ძირითადი დარღვევა არის ის, რომ მ. ა-ემ მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმების გარეშე გაზარდა სახელფასო ფონდი 1050 ლარით. აღსანიშნავია, რომ თავად ამ თანხის გაცემის მიზნობრიობა სადაც არ არის.

17. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ წესდების 4.2. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სტადიონის დირექტორს სახელფასო ფონდი უნდა განესაზღვრა, მხოლოდ, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით. დადგენილია, რომ ეს ვალდებულება მ. ა-ემ დაარღვია. მიუხედავად ამისა, პალატამ მიიჩნია, რომ ამგვარი დარღვევისათვის დირექტორის სამუშაოდან გათავისუფლება არაა დაეკატურად უნდა შეფასებულიყო, ვინაიდან ეს დარღვევა არ შეიძლებოდა მისი გათავისუფლების უპირობო საფუძველი გამხდარიყო. თუმცა, როგორც არ უნდა ყოფილიყო 2014 წლის იანვრიდან სექტემბრამდე ჩადენილი ქმედებები 2014 წლის დეკემბერში დადებული ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი ვერ გახდებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სადაც პრძანება ბათილი იყო.

18. იმავდროულად, პალატამ აღნიშნა, რომ მ. ა-ე ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის არა მხოლოდ დაქირავებული პირი, არამედ – დირექტორი იყო.

სააპელაციო პალატის განმარტებით, დამფუძნებელსა და დირექტორს შორის არსებული ურთიერთობები სპეციფიკურია. ხელმძღვანელობითი საქმიანობა, არსებითად, წარმომადგენლობის ერთგვარი ფორმაა. ეს ნიშნავს, რომ ა(ა)იპ-ის დირექტორი დამფუძნებლის წარმომადგენელია და მის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და, მათ შორის, საზოგადოების ხელმძღვანელობა დაფუძნებულია ხელმძღვანელსა და დამფუძნებელთა, პარტნიორთა შორის განსაკუთრებულ ნდობაზე. ამის გამოცაა, რომ ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის

ერთ-ერთი უდავო საფუძველია მისთვის უნდობლობის გამოცხადება.

სააპელაციო პალატის მითითებით, არ შეიძლება საზოგადოების დირექტორი იყოს ის პირი, რომელსაც ერთადერთმა დამფუძნებელმა შეუწყვიტა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება და რომლის მენეჯერული თვისებები დამფუძნებელს არადამატაყმაყოლებლად მიაჩინია. ამის გამო, პალატამ მიაჩინია, რომ მ. ა-ის მოთხოვნა დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში, რაიონულმა სასამართლომ შეცდომით დააკმაყოფილა. თუმცა, პალატის მოსაზრებით, აპელანტის მოქმედებით მოწინააღმდეგე მხარეს მიადგა ზიანი, რომელიც უნდა აუნაზღაუროს აპელანტმა.

პალატამ მიუთითა საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლდასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან სასამართლომ გასაჩივრებული ბრძანება ბათილად ცნო, მიღებული გადაწყვეტილება მ. ა-ისათვის განაცდურის ანაზღაურების თაობაზე კანონიერია.

#### VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები

19. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი წარადგინა მ. ა-ემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება მოსარჩელის თანამდებობაზე აღდგენის გაუქმების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

20. საკასაციო პრეტენზია იმ გარემოებას ეფუძნება, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის მოთხოვნები და გასცდა სააპელაციო საჩივრის ფარგლებს.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ისეთ გარემოებაზე (დირექტორსა და დამფუძნებელს შორის არსებულ ურთიერთობის სპეციფიურობაზე), რაც აპელანტს არ მიუთითებია არც ერთი ინსტანციით საქმის განხილვისას. კასატორის გამარტებით, სააპელაციო სასამართლო არ მიუთითებს არც ერთ სამართლებრივ ნორმას, რომელსაც დაეყრდნო გადაწყვეტილების ამ ნა-

ნილში დასაბუთების დროს. რის გამოც, სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთება გასაჩივრებულ ნაწილში იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

21. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლო სადაოდ არ მიიჩნევს, რომ მხარეებს შროის არსებობდა საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობა. შესაბამისად, გაუგებარია რა საფუძვლით გასცდა სააპელაციო სასამართლო შრომით კანონმდებლობას, მით უმეტეს, რომ აღნიშნულის დასასაბუთებლად სამართლის არც ერთი კონკრეტული ნორმა არ მიუთითებია.

22. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო წინააღმდეგობაში მოდის თავისივე მსჯელობასთან. ერთი მხრივ, სასამართლო მიიჩნევს, რომ რაიონულმა სასამართლომ სწორად შეაფასა დადგენილი ფაქტები და მართებულად მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის, პირველი პუნქტი, 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი, საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი, მეორე და მეექვსე პუნქტების, 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტის, 38-ე და 32 მუხლების საფუძველზე, მოსარჩელის გათვალისფულება დანიშვნიდან მეორე დღეს, ყოველგვარი შეტყობინებისა და გაფრთხილების გარეშე, დაუშვებელი იყო. მეორე მხრივ, უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ ნდობის საკითხი შეიძლება გახდეს სამსახურიდან გათვალისწილების საფუძველი და ამ საკითხს აკავშირებს თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობასთან, რაც სამართლებრივად დაუსაბუთებელია.

23. კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი. კერძოდ, კასატორმა მიუთითა, რომ დაუსაბუთებელი და გაურკვეველია, თუ რა მოტივით არ გამოიყენა სასამართლომ შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული პირვანდელ სამუშაოზე აღდგენა, მაშინ როდესაც აღნიშნული ნორმა გამოიყენა იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების დასაბუთების მიზნით. თუმცა, ამ მუხლით გათვალისწინებული კომპენსაცია (რომლის ოდენობაც სასამართლოს მიერ უნდა იყოს განსაზღვრული) განსხვავდება როგორც შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით განსაზღვრული კომპენსაციის, ასევე შრომის კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებული იძულებითი განაცდურისაგან.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

### **VII. საკასაციო პალატის დასკვენები:**

24. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა პალატის 2015 წლის 08 ოქტომბრის განჩინებით საკასა-  
ციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპრო-  
ცეო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესა-  
მომებლად, ხოლო 2015 წლის 09 დეკემბრის განჩინებით საკა-  
საციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

25. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები,  
გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუ-  
თება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ სა-  
კასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

26. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხის მი-  
ერ ცალმხრივად გამოვლენილი ნება დაკავებული თანამდებო-  
ბიდან მ. ა-ის გათავისუფლების შესახებ ენინაალმდეგებოდა  
მოქმედ კანონმდებლობას, რის გამოც, გასაჩივრებული ბრძა-  
ნება ბათილად მიიჩნია და დასაქმებულს მიაკუთვნა კომპენსა-  
ცია. თუმცა, პირველდედ სამუშაო ადგილზე აღდგენის ნაწილ-  
ში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს უარი უთხრა,  
რაც საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ გარემოებით იყო ნა-  
კარნახევი, რომ არაკომერციული (არასამენარმეო) იურიდიუ-  
ლი პირის დირექტორი, როგორც დამფუძნებლის წარმომადგე-  
ნელი მის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებ-  
და, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და, მათ შო-  
რის, საზოგადოების ხელმძღვანელობა ეფუძნებოდა ხელმძღვა-  
ნელსა და დამფუძნებელთა (პარტნიორთა და მისთ.) შორის გან-  
საკუთრებულ ნდობას. ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილე-  
ბის შეწყვეტის ერთ-ერთ უდავო საფუძველს კი, მისთვის უნ-  
დობლობის გამოცხადება წარმომადგენდა.

27. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრით მ. ა-ემ სადაცოდ გა-  
ხადა ა(ა)იპ ქალაქ ო-ის ცენტრალური სტადიონის დირექტორის  
თანამდებობაზე მ-ა-ის აღდგენაზე უარის თქმის ნაწილში, ქუ-  
თაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალა-  
ტის 2015 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება, იმ საფუძვლით,  
რომ საქმის განმხილველმა სააპელაციო სასამართლოს შემად-  
გებლობამ იმსჯელა არაკომერციული (არაიურიდიული) პირის  
დამფუძნებელსა და მისივე დირექტორს შორის არსებული ურ-  
თიერთობის თავისებურებაზე, მათ შორის, ნდობაზე დამყარე-  
ბული იმგვარი ურთიერთობის არარსებობაზე რაც, თავად დამ-  
ფუძნებელსაც სადაცოდ არ გაუხდია და საქმის განხილვის არც-  
ერთ ეტაპზე მასზე არ მიუთითებია. შესაბამისად, კასატორის

მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ ნაწილში, იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველია.

28. საკასაციო საჩივრის საფუძვლების ანალიზის შედეგად პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ ნაწილში, კასატორმა დასაბუთებული სამართლებრივი შედავება (პრეტენზია) წარმოადგინა, კერძოდ, მიუთითა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიულ დაუსაბუთებლობაზე (საქართველოს სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტი).

29. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილადაა ცნობილი დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– 2013 წლის 22 აპრილს ო-ის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის №114 ბრძანებით მ. ა-ე დაინიშნა ა(ა)იპ „ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის“ დირექტორის თანამდებობაზე.

– 18.08.2014წ-ის ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის მერის №84 ბრძანების შესაბამისად, მ. ა-ე გათავისუფლდა ა(ა)იპ „ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის“ დირექტორის თანამდებობაზე.

– ო-ის რაიონული სასამართლოს 30.10.2014წ-ის გადაწყვეტილების საფუძველზე ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის მერის 01.12.2014წ-ის №301 ბრძანებით მოსარჩევე ალადგინეს ა(ა)იპ „ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის“ დირექტორის თანამდებობაზე.

– ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის მერის 02.12.2014წ-ის №306 ბრძანების შესაბამისად იგი კვლავ გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

30. დადგენილია, რომ მ. ა-ის გათავისუფლების სამართლებ-

რივ საფუძვლად სადავო ბრძანებაში მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის“ წესდების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტი და ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის მერის შიდა აუდიტის სამსახურის 2014 წლის 27 სექტემბრის ა(ა)იპ „ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის“ შიდა აუდიტორული შემოწმების აქტი.

31. დადგენილია ის გარემოებაც, რომ ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის შერის 15.09.2014-ის №166 ბრძანების საფუძველზე შემოწმდა არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის (ს/კ: 237113039) საფინანსო სამეურნეო საქმიანობის 2014 წლის 01 იანვრიდან იმავე წლის 01 სექტემბრის პერიოდი. შიდა უდიტის შემოწმების ანგარიშის მიხედვით ორგანიზაციის საქმიანობისათვის მაღალი რისკის შემცველად იქნა მიჩნეული გარკვეული საკითხები, რის გამოსასწორებლადაც ორგანიზაციას მიეცა წინადადებები.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობაში აღმოჩენილი და შიდა აუდიტის შემოწმების ანგარიშში მითითებული ორგანიზაციული საქმიანობისთვის რისკის შემცველი საკითხები მ-ა-ეს ბრალად ვერ შეერაცხებოდა, გამომდინარე იქიდან, რომ შემოწმება შეეხო 2014 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 01 სექტემბრამდე პერიოდს. საქმის მასალებით კი, დადგენილია, რომ 18.08.2014-ის ქ. ო-ის მუნიციპალიტეტის მერის №84 ბრძანებით მ. ა-ე გათავისუფლდა ა(ა)იპ „ქალაქ ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის“ დირექტორის თანამდებობიდან. მოგვიანებით კი, მითითებულ თანამდებობაზე მისი აღდგენა განხორციელდა ო-ის რაიონული სასამართლოს 30.10.2014-ის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ქ.ო-ის მუნიციპალიტეტის მერის 01.12.2014-ის №301 ბრძანებით. შესაბამისად, მხარეთა შორის ახალი შრომით-სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშვა 01.12.2014-დან და ორგანიზაციაში ამ დრომდე წარმოშობილი ფინანსური და სხვა სახის დარღვევები, საფუძვლად ვერ დაედება საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული (შრომითი მოვალეობების უხეში დარღვევა) სამართლებრივი საფუძვლით დაკავებული თანამდებობიდან მ. ო-ის გათავისუფლებას.

32. აქვე, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში წარ-

მოდგენილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის წესდების მიხედვით ო-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონი წარმოადგენს ო-ის მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, წესდების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანხმად, დაწესებულების დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი.

მართალია დამსაქმებელს/დამფუძნებელს სრული უფლება ჰქონდა შეემონმებინა მის მიერ დაფუძნებული ორგანიზაციისა და მისი ხელმძღვანელის (დირექტორის) საქმიანობა. ასევე, მას ჰქონდა უფლება თანამდებობაზე დაენიშნა და გაეთავისუფლებინა ორგანიზაციის დირექტორი, თუმცა, მოქმედი ეროვნული და საერთაშორისო ნორმატიული აქტების საფუძველზე, მიუხედავად კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა, ო-ის მუნიციპალიტეტის მერია არ იყო შეუზღუდავი და არ სარგებლობდა აბსოლუტური აეტონომიით, რაც საქმარისი საფუძველი იქნებოდა დირექტორის გათავისუფლების ცალმხრივი ნების გამოსავლენად. დირექტორის გათავისუფლების საკითხის გადაწყვეტისას ო-ის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მართლზომიერი და ნაკარნახევი ობიექტური აუცილებლობით. რამდენადაც, მოცემულ საქმეზე არ დადასტურდა საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ პუნქტით დადგენილი საფუძვლების არსებობა, სადაც ბრძანება, როგორც ო-ის მუნიციპალიტეტის მერის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება, ბათილ გარიგებად იქნა ცნობილი.

33. სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილობის იურიდიული შედეგის სამართლებრივი რეგულირება მოცემულია საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილში, რომლის დანაწესით, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს იგი ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

34. მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებელს დასაქმებულის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგენის ფაქტობრივ შეუძლებლობაზე არც მიუთითებია და აღნიშნული სარწმუნოდ არ დაუდასტურებია, კერძოდ, არ დასტურდება, რომ კონკრეტული სამუშაო ადგილი (ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამ-

დებობა) გაუქმდა რეორგანიზაციის ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლის გამო.

პირვანდელ სამუშაო ადგილზე მოსარჩელის აღდგენის დამაბრკოლებელ გარემოებად კი, სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, იმის შესახებ, რომ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ უდაცო საფუძველს უნდობლობის გამოცხადება წარმოადგენს, საკასაციო პალატა იურიდიულად დასაბუთებულ მსჯელობად და ამ ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საკმარის სამართლებრივ საფუძვლად ვერ მიიჩნევს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის სამართლებრივ საკითხებს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია ერთ პირს მიანიჭოს საქმეების ერთპიროვნულად გაძლიერის უფლებამოსილება ან/და დაანესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა.

ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად კი, არაკომერციული იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების წარმოშობისა და შეწყვეტის მიმართ ვრცელდება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირისათვის განსაზღვრული წესები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მითითებული ნორმა მენარმე სუბიექტის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეწყვეტის მატერიალურ საფუძვლად ინტერესთა კონფლიქტს, საზოგადოების საქმიანობის კეთილსინდისიერად გაძლიერის ვალდებულების დარღვევას მიჩნევს, რაც მოცემულ კონკრეტულ საქმეზე, მოპასუხეს არ მიუთითებია და ამდენად, მითითებული ნორმა დირექტორის პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღდგენის ნაწილში, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლად ვერ გამოდგება.

35. სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძვლის დამატებითი კვლევისათვის „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით უნდა ვიხელმძღვანელოთ აგრეთვე საზოგადოების წესდებით ანდა დირექტორთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, ა(ა)იპ ო-ის მუნიციპალი-

ტეტის ცენტრალური სტადიონის წესდება დირექტორის თანამ-დებობაზე აღდგენის ნაწილში, რაიმე მატრიალურ საფუძველს არ შეიცავს, ხოლო დირექტორთან შრომითი ურთიერთობა მო-ნერიგებული იყო მხოლოდ ქ.ო.-ის მუნიციპალიტეტის მერის 01.12.2014წ.-ის №301 ბრძანებით, ამიტომ ა(ა)იპ-ის დირექტორ-თან შრომითი ურთიერთობების სახელდობრ კი, ა(ა)იპ-ის ხელ-მძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის თანამდებობაზე გამნესება-გამოწვევისა და მასთან შრომითი ურთიერთობის რეგულირების მოსაწესრიგებ-ლად უნდა ვიხელმძღვანელოთ სპეციალური კანონით – შრო-მის კოდექსით.

36. საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირ-ველი და მე-2 ნაწილები ადგენენ შრომით-სამართლებრივ ურ-თიერთობებში სამართლის ნორმათა გამოყენების პრინციპს, კერძოდ, ეს კანონი ანგერიგაბს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავე-ბულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქარ-თველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. შრომით ურთი-ერთობასთან დაკავშირდებული საკითხები, რომლებსაც არ ანგე-რიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სა-სამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამ-საქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღად-გინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს იგი ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არას-წორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნა-წილი, რადგან გადაწყვეტილებაში მითითებულ თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის მიზეზი ზემოაღნიშნული ნორმის არც ერთ დანაწესს არ შეესაბამება და ამდენად, სახეზეა ამ გადაწ-ყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტით განსაზღვრული წინაპირობა.

37. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სა-სამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებოს 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტი-ლების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხე-ლახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. რადგანაც

არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების წინაპირობები, საკასაციო პალტას მიაჩნია, რომ უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს დავა, კასატორის არამართლზომიერად გათავისუფლების ფაქტის დადგენის გამო კი, მისი მოთხოვნა დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ საფუძვლიანად უნდა იქნეს მიჩნეული და დაკმაყოფილდეს.

### **III. სასამართლო ხარჯი**

38. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი და მე-3 წარმომადგენლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი წანილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ წანილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. დასახელებული წორმიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა სარჩელი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის – 300 ლარის ანაზღაურება.

39. მოსარჩელეს ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაო ადგილზე აღდგენის მოთხოვნის წანილში გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟის სახით სულ, 550 ლარი. იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის წანილში „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მოსარჩელე გათავისუფლებულია ბაჟის გადახდისაგან. შესაბამისად, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 550 ლარი.

### **სარეზოლუციო წანილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 წარმომიდან, 410-ე მუხლით და

## **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ ე ბ ა :**

1. მ. ა-ის საკასაციო საჩივარი დაქმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2015 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. მ. ა-ის სარჩელი დაქმაყოფილდეს;
4. ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თ-ის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 02 დეკემბრის №306 ბრძანება მ. ა-ის ა(ა)იპ ქალაქ თ-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და მ. ა-ე აღდგენილ იქნეს ა(ა)იპ ქალაქ თ-ის მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის დირექტორის თანამდებობაზე.
5. ქალაქ თ-ის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს მ. ა-ის სასარგებლოდ იძულებითი განაცდურის ანაზღაურება (ყოველთვიური ხელფასის – 700 ლარის ოდენობით (დაუქვითავი)), სამუშაოდან განთავისუფლების დღიდან (2014 წლის 02 დეკემბრიდან) სამუშაოზე აღდგენამდე;
6. ქალაქ თ-ის მუნიციპალიტეტის მერიას დაეკისროს მ. ა-ის სასარგებლოდ წინასწარ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურების მიზნით 550 ლარი;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# შრომითი ხელშეკრულების შეცვალის საფუძვლები

## განრიცხვა

№ას-115-111-2016

08 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ზ.ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ბ. ალავიძე,

ნ. ბაქაევი

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, ტოლფას სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

### აღნერილობითი ნაწილი:

#### I. სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები:

1. თ. ხ-მა, ლ. კ-იამ, ი. მ-მა (შემდეგში: „მოსარჩელები“ ან „მოწინააღმდეგებელი“) სარჩელი აღძრეს ა(ა)იპ „ბათუმის კორპუსის“ (შემდეგში: „მოპასუხებელი“ ან „აპელაციტი“ ან „ა(ა)იპ-ი“) მიმართ და მოითხოვეს:

– ლ. კ-იას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 2015 წლის 01 აპრილის №38 ბრძანების ბათილად ცნობა, ა(ა)იპ-ის დირექტორის მოადგილის ტოლფასს თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის – 2015 წლის 01 აპრილიდან სამუშაოზე აღდგენამდე, ყოველთვიურად, 1100 ლარის დაკისრება;

– ი. მ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 2015 წლის 01 აპრილის №39 ბრძანების ბათილად ცნობა, ა(ა)იპ-ის კოორდინატორის ტოლფასს თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის – 2015 წლის 01 აპრილიდან სამუშაოზე აღდგენამდე, ყოველთვიურად, 750 ლარის დაკისრება;

– თ. ხ-ის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ 2015 წლის 01 აპრილის №40 ბრძანების ბათილად ცნობა, ამხანაგობის კოორდინატორის ტოლფასს თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის – 2015 წლის 01 აპრილიდან სამუშაოზე აღდგენამდე, ყოველთვიურად, 750 ლარის დაკისრება.

#### II. მოპასუხის პოზიცია:

2. მოპასუხებ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელები სამუშაოდან გათავისუფლდნენ ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებებიდან (რეორგანიზაციის სახელწოდებით) გამომდინარე, ვინაიდან ა(ა)იპ-ში გაუქმდა ის თა-

ნამდებობები, რომლებზედაც მუშაობდნენ მოსარჩელები. შესაბამისად, მოპასუხე მიიჩნევს, რომ მოსარჩელებთან შრომითი ურთიერთობა შეწყდა საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილებას.

### **III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება:**

3. ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილებით:

1. ლ. კ-იას, თ. ხ-ის, ი. მ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა;

2. ბათილად იქნა ცნობილი 2015 წლის 01 აპრილის №38 ბრძანება ლ. კ-იას ა(ა)იპ-ის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და იგი აღდგენილ იქნა ა(ა)იპ-ის დირექტორის მოადგილის ტოლფასს თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი 2015 წლის 01 აპრილიდან სამუშაოზე სრულად აღდგენამდე ყოველთვიური შრომის ანაზღაურების 1100 ლარის ოდენობით.

3. ბათილად იქნა ცნობილი 2015 წლის 01 აპრილის №39 ბრძანება ი. მ-ის ა(ა)იპ-ის ამხანაგობის კოორდინატორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და იგი აღდგენილ იქნა ა(ა)იპ-ის ამხანაგობის კოორდინატორის ტოლფასს თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი 2015 წლის 01 აპრილიდან სამუშაოზე სრულად აღდგენამდე ყოველთვიური შრომის ანაზღაურების 750 ლარის დაანგარიშებით.

4. ბათილად იქნა ცნობილი 2015 წლის 01 აპრილის №40 ბრძანება თ. ხ-ის ა(ა)იპ-ის ამხანაგობის კოორდინატორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ და იგი აღდგენილი იქნა ა(ა)იპ-ის ამხანაგობის კოორდინატორის ტოლფასს თანამდებობაზე და აუნაზღაურდა იძულებითი განაცდური ხელფასი 2015 წლის 01 აპრილიდან სამუშაოზე სრულად აღდგენამდე ყოველთვიური შრომის ანაზღაურების 750 ლარის დაანგარიშებით.

### **IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა:**

4. გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივრი წარადგინა მოპასუხებ და მოითხოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 03 აგვისტოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2015 წლის 09 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

6. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ:

ლ. კ-ია 2012 წლის 3 დეკემბრიდან 2015 წლის 1 აპრილამდე მუშაობდა მოპასუხე ა(ა)იპ-ის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება განისაზღვრებოდა 1100 ლარით. 2015 წლის 01 აპრილის №38 ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძვლად ბრძანებაში მიეთითა ორგანიზაციული ცვლილებები – საშტატო ერთეულის შემცირება.

7. ი. მ-ი მუშაობდა 2012 წლის 2 ოქტომბრიდან ა(ა)იპ-ის კოორდინატორის პოზიციაზე, 2015 წლის 5 იანვრიდან 2015 წლის 16 თებერვლამდე – ა(ა)იპ-ის მუშიციპალური ერთეულის მიხედვით კოორდინატორის პოზიციაზე, ხოლო 2015 წლის 16 თებერვლიდან 2015 წლის 01 აპრილამდე – ა(ა)იპ-ის კოორდინატორის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება განისაზღვრებოდა 750 ლარით. 2015 წლის 01 აპრილის №39 ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძვლად ბრძანებაში მიეთითა ორგანიზაციული ცვლილებები – საშტატო ერთეულის შემცირება.

8. თ. ხ-ი 2012 წლის 5 აპრილიდან 2015 წლის 1 აპრილამდე მუშაობდა ა(ა)იპ-ის კოორდინატორის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება განისაზღვრებოდა 750 ლარით. 2015 წლის 01 აპრილის №40 ბრძანებით ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. გათავისუფლების საფუძვლად ბრძანებაში მიეთითა ორგანიზაციული ცვლილებები – საშტატო ერთეულის შემცირება.

9. თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 27 ივნისის №195 განკარგულებით დამტკიცებული ა(ა)იპ-ის წესდების თანახმად, ა(ა)იპ-ი არის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ის) და „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე თვითმმართველი ქალაქი ბათუმის მიერ შექმნილი არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის მართვაც ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის და აღნიშნული წესდების შესაბამისად. წესდების მე-7 მუხლის თანახმად, „ბათუმის კორპუსის“ შემადგენლობაში სტრუქტურულად შედის ადმინისტრაცია (დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, იურისტი, შესყიდვების კოორდინატორი, ამ-

ხანაგობების კოორდინატორი, საქმეთა მმართველი), სამეურნეო განყოფილება, დაგეგმვისა და სამუშაოთა წარმოების განყოფილება.

10. ა(ა)იპ-ის 2012 წლის 27 ივლისის №2 ბრძანებით დამტკიცდა ა(ა)იპ-ის დირექტორის მოადგილის ფუნქციები, რომლებსაც წარმოადგენდა:

– ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და მისი განვითარების ხელშეწყობა; ორგანიზაციის სახელით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან, წევრებთან, მოსახლეობასთან ურთიერთობა და სასწავლო, სააგიტაციო-განმარტებითი მუშაობის განხორციელება; შესაბამის ორგანოებთან ერთად და საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობით მრავალბინიანი სახლების ტექნიკური პასპორტებისა და მრავალბინიანი სახლების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის კოორდინაცია, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა სწავლების კოორდინაცია; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საწყის მუშაობად პროგრამებისათვის წინადადებების შემუშავება და დირექტორთან წარდგენა; ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინფორმირებისა და საინფორმაციო მასალების გავრცელების უზრუნველყოფა; ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე დირექტორის ცალკეული დავალებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების შესრულება.

11. ა(ა)იპ-ის დირექტორის 2012 წლის 27 ივლისის №2 ბრძანებით ასევე დამტკიცდა ამხანაგობების კოორდინატორების ფუნქციებიც, რომლებსაც წარმოადგენდა:

– საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მონაწილეობის მიღება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წარმოშობის, ჩამოყალიბების, საქმიანობისა და განვითარების საკითხებში; სამსახურის სახელით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან, წევრებთან, მოსახლეობასთან ურთიერთობა და სასწავლო, სააგიტაციო-განმარტებითი მუშაობა; შესაბამის ორგანოებთან ერთად და საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობით მრავალბინიანი სახლების ტექნიკური პასპორტებისა და მრავალბინიანი სახლების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამებისა და მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების

ბის შესრულების მონიტორინგი; ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ხელმძღვანელობის ცალკეული დავალებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლება-მოვალეობების შესრულება.

12. ქ. ბათუმის მერის 2013 წლის 22 აგვისტოს №582 ბრძანებით დამტკიცდა ა(ა)იპ-ის საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები, რომლის თანახმად, ა(ა)იპ-ის საშტატო განრიგი განისაზღვრა 41 საშტატო ერთეულით, რომელშიც შედიოდა ერთი დირექტორის მოადგილე და ოთხი ამხანაგობის კოორდინატორი.

13. ქ. ბათუმის მერის 2014 წლის 07 თებერვლის №69 ბრძანებით ცვლილებები შევიდა ა(ა)იპ-ის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქ. ბათუმის მერის 2013 წლის 22 აგვისტოს №582 ბრძანებაში და ა(ა)იპ-ის საშტატო განრიგი განისაზღვრა 42 საშტატო ერთეულით კერძოდ, დაემატა დირექტორის მოადგილის კიდევ ერთი შტატი.

14. ა(ა)იპ-ის დირექტორის 2014 წლის 19 თებერვლის №15 ბრძანებით ა(ა)იპ-ის დირექტორის მოადგილეს, ლ. კ-იას დაევალა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებთან დაკავშირებულ საქმიანობაზე კოორდინაცია.

15. ქ. ბათუმის მერის 2014 წლის 24 თებერვლის №95 ბრძანებით ცვლილება შევიდა ა(ა)იპ-ის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქ. ბათუმის მერის 2013 წლის 22 აგვისტოს №582 ბრძანებაში და ა(ა)იპ-ის საშტატო განრიგი განისაზღვრა 43 საშტატო ერთეულით კერძოდ, ამჯერად დაემატა ამხანაგობის კოორდინატორის კიდევ ერთი საშტატო ერთეული.

16. ქ. ბათუმის მერის 2014 წლის 25 დეკემბრის №919 ბრძანებით კვლავ ცვლილება შევიდა ა(ა)იპ-ის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქ. ბათუმის მერის 2013 წლის 22 აგვისტოს №582 ბრძანებაში და საშტატო განრიგი განისაზღვრა ამჯერად, 55 საშტატო ერთეულით, კერძოდ, დაემატა ამხანაგობის კოორდინატორების საშტატო ერთეულები მუნიციპალური ერთეულების მიხედვით.

17. 2015 წლის 20 მარტს, ა(ა)იპ-ის დირექტორის მიერ ჩატარდა თათბირი, სადაც ა(ა)იპ-ის ყველა თანამშრომელი წერილობით იქნა გაფრთხილებული ა(ა)იპ-ში მოსალოდნელ ორგანიზაციულ ცვლილებებთან დაკავშირებით სამუშაოდან გათვალისწილების და შრომითი ურთიერთობის შესახებ.

18. 2015 წლის 30 მარტს, ქ. ბათუმის მერის მიერ მიღებულ

იქნა №3/380 ბრძანება ა(ა)იპ-ის წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმად, ა(ა)იპ-ის წესდების მე-7 მუხლი, რომლითაც განსაზღვრული იყო სტრუქტურა, ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

სტრუქტურა და სტრუქტურაში შემავალი თანამშრომლების რაოდენობა და თანამდებობრივი სარგოების ოფენტობა განისაზღვრება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. თანამშრომელთა უფლებამოსილებები (თანამდებობრივი ინსტრუქციები) ა(ა)იპ-ის ფუნქციებიდან გამომდინარე განისაზღვრება დირექტორის სამართლებრივი აქტით-ბრძანებით. ა(ა)იპ-ის დირექტორს დაევალა აღნიშნული ბრძანებით განხორცილებული ცვლილებების შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებების განხორცილება.

19. 2015 წლის 31 მარტს ქ. ბათუმის მერის მიერ მიღებული იქნა №226 ბრძანება ა(ა)იპ-ის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ქ. ბათუმის მერის 2013 წლის 22 აგვისტოს №582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და ჩამოყალიბდა ა(ა)იპ-ის ახალი საშტატო განრიგი და თანამდებობრივი სარგოები, რომლის თანახმადაც, კვლავ გაიზარდა საშტატო ერთეული და ა(ა)იპ-ის საშტატო ერთეული განისაზღვრა 56 შტატით. აღნიშნული საშტატო განრიგით მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულები შეცვლილია და საშტატო განრიგი აღარ შეიცავს დირექტორის მოადგილის შტატს, მაგრამ დამატებულია განყოფილების უფროსების საშტატო ერთეულები.

20. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე აპელანტმა (მოპასუხე) განმარტა, რომ საწარმოში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად ა(ა)იპ-ის ფუნქცია არ შეცვლილა, მოსარჩევეთა თანამდებობებით გათვალისწინებული საქმიანობის სახეები კვლავ ხორციელდება, თუმცა იგი სრულდება სხვადასხვა საშტატო ერთეულზე დასაქმებული პირების მეშვეობით და კონკრეტული საშტატო ერთეული, რომლითაც სრულად იქნებოდა გათვალისწინებული ადრინდელი სამუშაოს შესრულება საწარმოში აღარ არსებობს.

21. დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასებისას სააპელაციო სასამართლომ, რომ მოსარჩევების საშუალებან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ქ. ბათუმის მერის 2015 წლის 31 მარტის №226 ბრძანებით დამტკიცებული ახალი საშტატო განრიგი და მოსამართლების კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

ამდენად, მხარეებს შორის ძირითადი სადაც საკითხია ა(ა)იპ-ში რეორგანიზაციის ჩატარება.

სადაც საკითხის დადგენისას სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით (შემდეგში: სსკ-ი) გათვალისწინებული მხარეთა თანასწორობის, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებით, რომლის თანახმადაც, მოპასუხის საპროცესო ვალდებულებაა სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენით დაამტკიცოს, რომ რეალურად განხორციელდა ორგანიზაციული ცვლილებები, რასაც მოჰყვა მუშავთა რიცხოვნობის შემცირება და მოსარჩელები სწორედ ამ ორგანიზაციული ცვლილების გამო, გათავისუფლდენ დაკავებული თანამდებობებიდან.

22. საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშკ-ი) 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაო ძალის შემცირებას. დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სხვა საფუძვლით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა.

სშკ-ის 38-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, დამსაქმებლის მიერ ამ კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი ვალდებულია არანაკლებ 30 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამასთანავე, დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 1 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

დამსაქმებლის მიერ სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ი“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებელი უფლებამოსილია არანაკლებ 3 კალენდარული დღით ადრე გააფრთხილოს დასაქმებული წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. ამ შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა კომპენსაცია არანაკლებ 2 თვის შრომის ანაზღაურების ოდენობით, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

23. მხარეთა ახსნა-განმარტებების, საქმეში წარმოდგენილი ა(ა)იპ-ის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების,

ასევე ა(ა)იპ-ის თანამშრომელთა თანამდებობრივი ფუნქციების განსაზღვრის თაობაზე წერილობითი მტკიცებულებებისა და მოსარჩელეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების დროისათვის ადგილი ჰქონდა ა(ა)იპ-ის რეორგანიზაციას, რაც სამსახურებში ცვლილებებში და სხვადასხვა სამსახურებში შტატების ოპტიმიზაციაში გამოიხატა.

სანარმოში არ არსებობს ახალი საშტატო ერთეულებით განსაზღვრული პოზიციების ფუნქციების განმსაზღვრელი რაიმე დოკუმენტი, რომლის შედგენის ვალდებულება სანარმოს დირექტორს გააჩნდა.

შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ რეორგანიზაციის შედეგად იმგვარად შეიცვალა მოსარჩელეთა მიერ დაკავებული პოზიციებისათვის წაყენებული მოთხოვნები, რომ მოსარჩელეები მას ვეღარ აკმაყოფილებდნენ.

ამავდროულად, სასამართლომ განმარტა, რომ რეორგანიზაციის შედეგად დასაქმებულების სამსახურიდან გაშვების ერთერთ განმაპირობებელ კანონისმიერ საფუძვლად შტატების შემცირება ან ფუნქციების მატება და შესაბამისად, რეორგანიზაციამდე დასაქმებული კადრების უკვე არასაკმარისი კვალიფიკაცია შეიძლებოდა მიჩნეულიყო.

კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დადასტურდა რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირების ფაქტი და არც ახალი საშტატო ნუსხით განსაზღვრულ შესაბამის პოზიციებზე მოსარჩელეების მიერ რეორგანიზაციამდე დაკავებულ თანამდებობებზე არსებული მოთხოვნებიდან განსხვავებული მოთხოვნების არსებობა, რასაც მოსარჩელეები ვეღარ აკმაყოფილებდნენ.

საქმის მასალებით დადასტურდა საპირისპირო – შტატების გაზრდის ფაქტი. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ მიუთითა და ვერ დაადასტურა, რომ მისი მხრიდან შრომითი ხელშეკრულების მოშლის უფლება მართლზომიერად იყო გამოყენებული, ხოლო სსკ-ის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წეს-სა და აკრძალვებს, ენინააღმდეგება საჯარო წესრიგს და ზნეობის ნორმებს. ხელშეკრულების მოშლა დამსაქმებლის ცალმხრივი ნების გამოხატვაა, რომელსაც დასაქმებულთან არსებული შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა მოსდევს.

24. სშე-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან ა(ა)იპ-ის გადაწყვეტილებები (ბრძანებები) მოსარჩელეთა სამუშაოდან გათავისუფლების თაობაზე ბათილია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელები აღდგენილი იქნა ტოლფას თანამდებობაზე, გამომდინარეობს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნებიდან და დასაბუთებულია.

25. სშე-ის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს, დასაქმებულს მიეცემა შრომის ანაზღაურება სრული ოდენობით. 44-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ შრომის ხელშეკრულების საფუძვლის ბათილად ცნობა, შედეგობრივი თვალსაზრისით, იწვევს ხელშეკრულების ბათილობამდე არსებული მდგომარეობის აღდგენასა და იმ ზიანის ანაზღაურებას, რომელიც დასაქმებულს დამსაქმებლის მხრიდან არამართლზომიერი განთავისუფლებით მიადგა. შესაბამისად, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, სამოქალაქო კოდექსის 408-ე და 411-ე მუხლების კონტექსტში ის სამართლებრივი შედეგებია, რაც დამსაქმებლის არამართლზომიერ ქმედებას სდევს თან. ამ გარემოების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეებს აუნაზღაურდათ იძულებითი განაცდური ხელფასი 2015 წლის 01 აპრილიდან სამუშაოზე სრულად აღდგენამდე ყოველთვიური შრომის ანაზღაურების ოდენობით, დასაბუთებულია.

## VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები

25. სააპელაციო სასამართლოს განჩინება აპელანტმა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და მოცემულ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

26. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრი ძირითადად ემყა-

რება იმავე გარემოებებსა და მოსაზრებებს, რასაც სააპელაციო საჩივარი, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ:

– სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ის ფაქტობრივი გარემოება, რომ უფლება-მოვალეობები, რასაც მოსარჩელები ასრულებდნენ, თითქოსდა დღის წესრიგიდან არ ამოღებულა, კვლავ აქტიურია და იგი სრულდება სხვა საშტატო ერთეულების მეშვეობით.

– სასამართლომ არასწორად გამოიყენა შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელი ვალდებულია ამავე კოდექსის 37-ე მუხლს „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას, არანაკლებ 30 დღით ადრე შრომითი ხელშეკრულების შენყვეტის შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნით გააფრთხილოს დასაქმებული. მართალია, მითითებული მუხლი შეიცავს ასეთ ჩანაწერს თუმცა, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, 37-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, ასევე შესაძლებელია დამსაქმებელმა შეწყვეტის თაობაზე დასაქმებული გააფრთხილოს 3 დღით ადრე. განსხვავება მდგომარეობს დასაქმებულისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობაში. 30 დღით ადრე გაფრთხილების შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობა შეადგენს ერთი თვის შრომის ანაზღაურებას, ხოლო 3 დღით ადრე გაფრთხილებისას – 2 თვის შრომის ანაზღაურებას.

– გადაწყვეტილება სამართლებრივად დაუსაბუთებელია ტოლფას სამუშაოზე მოსარჩელეთა აღდგენის ნაწილშიც, ვინაიდან ა(ა)იპ-ში ასეთი ტოლფასი თანამდებობები აღარ არსებობს. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო ჩათვლიდა, რომ მოსარჩელეთა გათავისუფლება მოხდა უკანონოდ, გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო მსჯელობა, თუ კონკრეტულად რომელი თანამდებობები იყო მოსარჩელეთა მიერ გათავისუფლებამდე დაკავებული თანამდებობების ტოლფასი.

გარდა ამისა, სასამართლო არ მსჯელობს იმაზე თუ, ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული საშტატო განრიგით გათვალისწინებული რომელი თანამდებობის პირის ან პირთა მიერ, ასევე, რომელი სამსახურის მიერ ხორციელდება ამჟამად ის უფლება-მოვალეობები, რომლებსაც მოსარჩელები ასრულებდნენ გათავისუფლებამდე.

– კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დამსაქმებელს, როგორც არასამენარმეო არაკომერციული იურიდიულ პირს, აიძულებს მოსარჩელეთა სამუშაო ადგილზე აღდგენით დაასაქმოს იმაზე მეტი ადამიანი, ვიდრე ეს განისაზ

ღვრა დამფუძნებლის მიერ, თანაც იმ პირობებში, როდესაც საშტატო ნუსხას ამტკიცებს ბათუმის მერია.

– გარდა ამისა, გამოუვალი მდგომარეობაა იმ თვალსაზრისითაც, რომ ლ. კ-ის ტოლფასს თანამდებობაზე აღდგენა ნიშნავს დამსაქმებლისთვის იძულებას დანიშნოს იგი იმ თანამდებობაზე, რა ფუნქციასაც ასრულებს დირექტორი და გადაუხადოს მას 1100 ლარი. რაც კასატორის მოსაზრებით, ნიშნავს ბათუმის მერიის ფუნქციებში უხეშ ჩარევას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

#### **VIII. საკასაციო პალატის დასკვნები:**

27. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 23 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

28. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, შეამოწმა საკასაციო საზივრის დასაშვებობის საკითხი და მიიჩნევს, რომ იგი დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგ გარემოებათა გამო:

29. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის საგანს გათავისუფლების შესახებ ბრძანებების ბათილად ცნობა, ტოლფას თანამდებობებზე აღდგენა და იძულებით გაცდენილი დროის ხელფასის ანაზღაურება ნარმოადგენს.

30. მოცემულ საქმეზე დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– ლ. კ-ია 2012 წლის 3 დეკემბრიდან 2015 წლის 1 აპრილამდე მუშაობდა მოპასუხე ა(ა)იპ-ის დირექტორის მოადგილის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება განისაზღვრებოდა 1100 ლარით. 2015 წლის 01 აპრილის №38 ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

– ი. მ-ი მუშაობდა 2012 წლის 2 ოქტომბრიდან ა(ა)პ-ის კოორდინატორის პოზიციაზე, 2015 წლის 5 იანვრიდან 2015 წლის 16 თებერვლამდე – ა(ა)იპ-ის მუნიციპალური ერთეულის მიხედვით კოორდინატორის პოზიციაზე, ხოლო 2015 წლის 16 თებერვლიდან 2015 წლის 01 აპრილამდე – ა(ა)იპ-ის კოორდინატორის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება განისაზღვრებოდა 750 ლარით. 2015 წლის 01 აპრილის №39 ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

– თ. ხ-ი 2012 წლის 5 აპრილიდან 2015 წლის 1 აპრილამდე მუშაობდა ა(ა)იპ-ის

კოორდინატორის პოზიციაზე და მისი ყოველთვიური შრო-მითი ანაზღაურება განისაზღვრებოდა 750 ლარით. 2015 წლის 01 აპრილის №40 ბრძანებით იგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

დადგენილია, რომ მოსარჩელეთა გათავისუფლებას საფუძვლად დაედო ორგანიზაციული ცვლილებები (საშტატო ერთეულის შემცირება), ქ. ბათუმის მერის 2015 წლის 31 მარტის №226 ბრძანებით დამტკიცებული ახალი საშტატო განრიგი და შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

ამდენად, სადაც ო(ა)პ-ში რეორგანიზაციის ჩატარებისა და მოსარჩელეთა მიმართ რეორგანიზაციის შედეგების მართლზომიერება.

31. სადაც საკითხის მართლზომიერების შესწავლის მიზნით, საკასაციო პალატა მიუთითებს სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის სამართლებრივ დანაწესებზე: „შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია ეკონომიკური გარემოებები, ტექნოლოგიური ან ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც აუცილებელს ხდის სამუშაოს ძალის შემცირებას. დაუშვებელია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა სხვა საფუძვლით, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებისა“.

32. მხარეთა ახსნა-განმარტებების, საქმეში წარმოდგენილი ო(ა)პ-ის საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოების, ასევე ო(ა)პ-ის თანამშრომელთა თანამდებობრივი ფუნქციების განსაზღვრის თაობაზე წერილობითი მტკიცებულებებისა და მოსარჩელებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესწავლის საფუძველზე, დადგენილია შემდეგი:

– ადგილი ჰქონდა ო(ა)პ-ის რეორგანიზაციას, რაც სამსახურების ცვლილებებში და სხვადასხვა სამსახურებში შტატების ოპტიმიზაციაში გამოიხატა.

– საწარმოში არ არსებობს ახალი საშტატო ერთეულებით განსაზღვრული პოზიციების ფუნქციების განმსაზღვრელი რაიმე დოკუმენტი, რომლის შედგენის ვალდებულება საწარმოს დირექტორს გააჩნდა.

– არ დასტურდება, რომ რეორგანიზაციის შედეგად იმგვარად შეიცვალა მოსარჩელეთა მიერ დაკავებული პოზიციები-სათვის წაყენებული მოთხოვნები, რომ მოსარჩელეები მას ველარ აკმაყოფილებდნენ.

– არც რეორგანიზაციის შედეგად შტატების შემცირების ფაქტი დადასტურდა და არც ახალი საშტატო ნუსხით განსაზღვრულ შესაბამის პოზიციებზე მოსარჩელეების მიერ რეორგა-

ნიზაციამდე დაკავებულ თანამდებობებზე არსებული მოთხოვნებიდან განსხვავებული მოთხოვნების არსებობა, რასაც მოსარჩელები ველარ აკმაყოფილებდნენ.

საქმის მასალებით დასტურდება საპირისპირო, შტატების გაზრდის ფაქტი.

33. სსკ-ის 115-ე მუხლის რომლის თანახმადაც, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამონმებს უფლების გამოყენების კანონიერებას, რის მიხედვითაც აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა საფუძვლიანობას. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა შესწავლა. სამუშაოდან გათავისუფლების ან დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის მიმართ ამა თუ იმ ღონისძიების გამოყენების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, თუ რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულთან მიმართებაში. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი შესაძლებელია მხოლოდ ბრძანებაში მითითებული საფუძვლების კვლევის შედეგად.

მოცემულ შემთხვევაში, დამსაქმებელმა დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტა შტატების შემცირების (რეორგანიზაცია) მოტივით.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტილია სათვის შესაფასებელია შტატების შემცირების მოტივით (რეორგანიზაცია) მართლზომიერად გათავისუფლდნენ თუ არა მოსარჩელეები დაკავებული თანამდებობებიდან, ადგილი ხომ არ ჰქონდა დამსაქმებლის მხრიდან უფლების პორტაციად გამოყენებას, რაც ენინაალმდეგება სსკ-ის 37.1. „ა“, სკ-ის 115-ე, მე-8.3 მუხლს და ბუნებრივია საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ შრომის უფლებას (30-ე მუხლი), ვინაიდან რეორგანიზაცია მუშაკთან ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმალური საფუძველი არ არის და ორგანიზაციაში მიმდინარე სტრუქტურული, ორგანიზაციული ცვლილებები არ უნდა იქცეს უმართებულო გადაწყვეტილების, რაც პირდაპირ ენინაალმდეგება დასაქმებულთა უფლებებს, მიღების კანონისმიერ საფუძვლად. ამგვარი ნების გამოვლენას მიუხედავად იმისა რა ფორმით არსებობს იგი აქტი, ბრძანება, გარიგება, სკ-ის 54-ე მუხლის დისპოზიციური შინაარსი (საჯარო წესრიგისა და ზნეობის წინააღმდეგობა) ბათილად მიიჩნევს და მის იურიდიულ შედეგს არ უკავშირებს. რეორგანიზაციის შედეგად დასაქმებულის სამ-

სახურიდან გაშვების ერთ-ერთ კანონისმიერ საფუძვლად რე-ორგანიზაციამდე დასაქმებული კადრის არასაკმარისი კვალი-ფიკაცია შეიძლება იქნეს მიჩნეული, კერძოდ ის, რომ განახლე-ბული ფუნქციების შედეგად იგი ვეღარ აკმაყოფილებს დაწე-სებულ მოთხოვნებს და ამდენად, დაკავებული თანამდებობის-თვის შეუფერებელია. მოცემულ შემთხვევაში, ამგვარი გარე-მოებები, რაც სარჩელის უარყოფის საფუძველი შეიძლებოდა ყოფილიყო, არ დადასტურდა.

საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტია, რომ დასაქმე-ბულის სამუშაო ადგილიდან დათხოვნისას, თუნდაც, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის წი-ნაპირობებისას, უნდა არსებობდეს გათავისუფლების გონივრუ-ლი საფუძველი. შრომით ურთიერთობაში მოქმედი საქართვე-ლოს კანონმდებლობით დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვ-ნა შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას, რაც უკავშირდება დასაქმებულის შესაძლებლობებსა და ქცევის წესს ან კვალიფიკაციას, დამსაქმებლის მიერ არჩევანის გაე-თებისას გონივრული და დასაბუთებული კრიტერიუმით ხელ-მძღვანელობას, რაც გამორიცხავს ეჭვის საფუძველს გადაწყვე-ტილების მიღების პროცესში და დაუსაბუთებლად არ ხელყოფს დასაქმებულის კანონიერ ინტერესს, მის შრომით უფლებებს.

სასიცოცხლოდ აუცილებელია წონასწორობის დამყარება შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის. ძლიერი მხარის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას არ უნდა დაგვაცინებული სუსტი მხარის ინტერესები. მუშაკის დათ-ხოვნის გონივრული საფუძველი კავშირში უნდა იყოს ა) მუშა-კის არაკომპეტენტურობასთან ან/და არასათანადო ქცევასთან ან ბ) უნდა მომდინარეობდეს სანარმოს, დაწესებულების თუ მათი სერვისის ოპერაციული საჭიროებიდან.

34. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საპროცესო სამარ-თალწარმოებაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკი-ცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვ-ნებსა და შესაგებელს (სსსკ-ის 102-ე მუხლი).

ნიშანდობლივია, რომ შრომით სამართლებრივი დავები მტკი-ცების ტვირთის განაწილების გარკვეული თავისებურებით ხა-სიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზ-რისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძ-ლებლობები განაპირობებს. მოსარჩელე, დასაქმებული, რომე-ლიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელი-რებს, ვერ დადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკა-

ნონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება მასზედ, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც აკისრებს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას.

სსკ-ის 105-ე მუხლის თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც, მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულებები, რომლებითაც დადგინდებოდა რა მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა მოსარჩელეთა მიმართ გადაწყვეტილების მიღება; რამდენად ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს ემყარება დამსაქმებლის გადაწყვეტილება სამსახურიდან მათი გათავისუფლების შესახებ. პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულების მოშლა დამსაქმებლის ცალმხრივი წების გამოხატვაა, რომელსაც დასაქმებულთან არსებული შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა მოსდევს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეებთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა მართებულად იქნა ბათილად ცნობილი.

35. ბრძანების ბათილად ცნობის თანმდევ სამართლებრივ შედეგად ასევე სწორად იქნა გამოყენებული სშკ-ის 38-ე მუხლის მე-8 პუნქტი: „სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაუხადოს მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით“.

ასევე, სშკ-ის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენის დროს, დასაქმებულს მიეცემა შრომის ანაზღაურება სრული ოდენობით. სშკ-ის 44-ე მუხლის მიხედვით, შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაუ-

რება, სსკ-ის 408-ე და 411-ე მუხლების კონტექსტში ის სამართლებრივი შედეგებია, რაც დამსაქმებლის არამართლზომიერ ქმედებას სდევს თან.

36. აღსანიშნავია ისიც, რომ საკასაციო პრეტენზია ემყარება იმავე გარემობებს, რასაც ემყარებოდა სააპელაციო საჩივარი, რომელთან დაკავშირებით დადგენილ იქნა იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რამაც ვერ უზრუნველყო სარჩელის უარყოფა.

37. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ იკვეთება საკასაციო საჩივრის დასაშვებობის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობა, ვინაიდან ნორმის დანაწესით საკასაციო საჩივარი ქონებრივ და სხვა არაქონებრივ დავებში დასაშვებია, თუ: ა) საქმე მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება ამ კატეგორიის საქმეებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან; გ) სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე; დ) გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება ან განჩინება დაუსწრებელი გადაწყვეტილების უფლებლად დატოვების თაობაზე.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე არ არის განხილული მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევებით, ვერც კასატორი მიუთითებს რაიმე ისეთ საპროცესო დარღვევაზე, რომელსაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, რის გამოც საკასაციო საჩივარს არა აქვს წარმატების პერსპექტივა.

საკასაციო საჩივარი არ არის დასაშვები არც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო სასამართლოს სტაბილური პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ განსხვავდება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან.

38. ამასთან, საკასაციო საჩივრის განხილვისა და საკასაციო სასამართლოს ახალი გადაწყვეტილების მიღების საჭიროება არ არსებობს არც სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობის თვალ-

საზრისითაც, ვინაიდან შრომით სამართლებრივ დავებთან დაკავშირებით არსებობს სასამართლოს მიერ დადგენილი სტაბილური პრაქტიკა.

39. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო არ არის უფლებამოსილი, დაუშვეს წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი, რის გამოც მას უარი უნდა ეთქვას განხილვაზე.

40. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნება მიჩნეული, პირს დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს უნდა დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 1,560.00 ლარის 70% – 1.092 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე, 401-ე მუხლებით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ა(ა)იპ „ბ. კ-ს“ საკასაციო საჩივარი დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

2. კასატორ ა(ა)იპ „ბ. კ-ს“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“, ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) დაუბრუნდეს სახელმწიფო ბაჟის სახით 2016 წლის 17 თებერვალს №... საგადახდო მოთხოვნით გადახდილი 1,560.00 ლარის 70% – 1.092 ლარი.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# შრომითი ხელშეკრულების შეცვალის საფუძვლები

## განრიცხვა

№ას-151-147-2016

19 აპრილი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
6. ბაქაქური,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღ-  
გენა, იძულებით განაცდურის ანაზღაურება

### აღნერილობითი ნაწილი:

#### I. სასაჩქელო მოთხოვნა და სარჩელის საფუძვლები:

1. ა-ემ (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან დასაქმებუ-  
ლი) სარჩელი აღმდარა მოპასუხე სს „პ-ის (შემდეგში: მოპასუხე ან  
მოწინააღმდეგე მხარე ან დამსაქმებელი) მიმართ, რომლითაც  
მოითხოვა: მოპასუხე ბანკის დირექტორის 2014 წლის 29 აპრი-  
ლის ბრძანების ბათილად ცნობა; მოსარჩელის აღდენა მოპა-  
სუხე ბანკის ვაკის სერვის პუნქტში ფიზიკური პირების მრჩევ-  
ლის თანამდებობაზე; მოპასუხისათვის იძულებითი განაცდუ-  
რის ანაზღაურების დაკისრება, 2014 წლის 29 აპრილიდან სასა-  
მართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

2. სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებულია, რომ  
2007 წლის 21 დეკემბრიდან 2014 წლის 29 აპრილამდე მოსარ-  
ჩელე მუშაობდა მოპასუხე ბანკში. მისი საქმიანობა არაერთხელ  
გამზღარა მოპასუხე ბანკის ხელმძღვანელობის მხრიდან და-  
დებითი შეფასების საფუძველი.

2014 წლის 11 აპრილს, ვაკის სერვის პუნქტის კოორდინა-  
ტორმა სიტყვიერად შესთავაზა არჩევანი – პოზიცია დაეტოვე-  
ბინა 11 აპრილს ან თვის ბოლოს, 30 აპრილს.

მოსარჩელე გახდა პიროვნული შეუთავსებლობის მსხვერ-  
პლი. მან უარი განაცხადა საკუთარი ნებით თანამდებობის და-  
ტოვებაზე.

#### II. მოპასუხის პოზიცია:

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

4. მოპასუხის განმარტებით, მოსარჩელე ერთმანეთში ურევს  
2007 წელს, მის მიმართ, გამოსაცდელი ვადის დროს არსებულ  
გამოწვევებს და მოთხოვნებს და დღევანდელი რეალობით მო-

ცემულ მდგომარეობას; 2007 წლიდან საქართველოს საბანკო სისტემა შეიცვალა, გაიზარდა, ასევე გაიზარდა კლიენტებისათვის მისაწოდებელი არასაბანკო პროდუქტების სია და სხვ. განსაკუთრებით ბოლო წლებში, განხორციელდა მთელი რიგი ტექნოლოგიური მიღწევები ამ სფეროში. როდესაც დასაქმებული დაგდა ახალი გამოწვევების წინაშე, მისი უნარ-ჩვევები არასაკრისი აღმოჩნდა დაკავებულ თანამდებობასთან მიმართებაში, რაც პირდაპირ გამოიხატა მოსარჩელის მხრიდან ბანკის მიერ დადგენილი გეგმის სისტემატურ ჩავარდნაში: 01 თვის წარმატებული მონაცემი ვერ გამოდგება იმის დასტურად, რომ მისი საქმიანობა და ბიზნეს უნარ-ჩვევები იყო საკმარისი.

5. მოპასუხებ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით გააფრთხილო მოსარჩელე მისი გათავისუფლების შესახებ, გადაუხადა მას დადგენილი კომპენსაცია.

6. პიროვნული ანგარიშსწორების არსებობას მოპასუხე უარყოფს და აღნიშნულს ბანკის სტრატეგიისათვის მიუღებლად მიიჩნევს.

### **III. პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნებზე მითითება:**

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკამაყოფილდა.

#### **IV. სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა:**

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკამაყოფილების მოთხოვნით სააპელაციო საჩივრი წარადგინა მოსარჩელემ.

#### **V. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები:**

9. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე 2007 წლის 12 სექტემბრიდან მუშაობდა მოპასუხე ბანკში სამომზარებლო სესხების ექსპერტის, ბიზნეს სესხების ექსპერტის და ფიზიკური პირების მრჩევლის პოზიციებზე.

10. 2014 წლის 29 აპრილს, მოპასუხებ მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელესთან, 2014 წლის 05 მაისიდან შრომითი ხელშეკრულების (შრომითი ურთიერთობის) შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც, 2014 წლის 29 აპრილს, ელექტრონული წერილით შეატყობინა მას. შეტყობინებაში, გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა საქართველოს შრომის კოდექსის (შემდეგში: სშე-ის) 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველია დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან.

11. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც მხარეთა შორის გაფორმებული შრომის ხელშეკრულება არ შეიცავდა დასაქმებულის მოვალეობების კონკრეტულ ჩამონათვალს, მოპასუხის განმარტება, რომ მოსარჩელე არ ასრულებდა ბანკის მიერ დადგენილ სამუშაო ფინანსურ გეგმას და არ აკეთებდა პრეზენტაციებს, სადაც ბრძანების სამართლებრივ საფუძველს ბუნდოვანს ხდიდა.

12. სააპელაციო პალატამ შრომით სამართლებრივ დავებში მტკიცების ტვირთის განანილების გარკვეული თავისებურების გათვალისწინებით, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი შესაძლებლობები განაპირობებს, მოსარჩელის მითითებამ მასზე, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთი შეაბრუნა დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც დაკაიისრა მოსარჩელის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულება.

13. მოპასუხე მოსარჩელის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობის ფაქტობრივ საფუძვლად უთითებდა შემდეგს:

ა) მოსარჩელე ვერ ასრულებდა ბანკის მიერ დადგენილ სამუშაო ფინანსურ გეგმას;

ბ) მის მიერ ჩატარებული პრეზენტაციები იყო ცუდი;

გ) კლიენტებთან ურთიერთობაში იყო ფამილიარული.

14. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების დასადასტურებლად აპელანტის ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენდა მოწმეთა ჩვენებები. მოწმის სახით დაკითხული ვაკის სერვის პუნქტის კოორდინატორის ნ. ხ-ის და ფიზიკური პირების დაკრედიტების კოორდინატორის გ. ნ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებები, რომელთა შინაარსით ირკვეოდა, რომ „ბოლო პოზიციაზე მოსარჩელის მუშაობის შედეგები იყო არადამაკმაყოფილებელი, როგორც უშუალოდ საკრედიტო კუთხით, ისე კლიენტების მოზიდვის, ანაბრების სფეროს თუ ყოველკარტალური პრეზენტაციის გაკეთების მხრივ; მითითებულ პერიოდში, მოპასუხე ბანკის მიერ დადგენილ სამუშაო ფინანსურ გეგმას მოსარჩელე ვერ ასრულებდა. მთლია-

ნად ბანეში, იმავე პოზიციაზე დასაქმებული 14 თანამშრომლის მონაცემებში მოსარჩელის პირადი მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია (ბოლოდან მეორე). იგი, მისთვის მიცემულ დავალებებს (მითითებებს) ასრულებდა არასრულად, ამასთან, ზედაპირულად; კლიენტებთან ურთიერთობაში აკლდა თავდაჯერებულობა და კომპეტენტურობა; ამავე დროს, მათთან ურთიერთობაში იყო ზედმეტად ფამილიარული.

15. პალატის მოსაზრებით არ არსებობდა მოწმეთა ჩვენებების გაზიარების საფუძველი, რადგან 6. ხ-სა და მოსარჩელეს შორის იყო გარკვეული უთანხმოება, ასევე, 6. ხ-ი და გ. 6-ი უშუალოდ მონაწილეობდნენ მისი გათავისუფლების შესახებ საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში.

16. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მხრიდან ბანკის მიერ დადგენილი გეგმის შეუსრულებლობა უპირობოდ არ შეიძლებოდა შეფასებულყოყო არაკვალიფიციურ თანამშრომელად, მოსარჩელის მიჩნევის საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი არ იყო მტკიცებულებები, რომლებითაც დადგინდებოდა თუ რა მეთოდით და რა მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა აღნიშნული გეგმის (მისაღწევი შედეგების) შემუშავება; რამდენად ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს ემყარება „გეგმა“; თანამშრომლის მიერ გეგმის შესრულებისას გასათვალისწინებელია გარეშე ფაქტორებიც, რასაც შესაძლოა ემოქმედა გეგმის სრულყოფილად შესრულებაზე (მაგალითად ფინანსური კრიზისი), რაც გამორიცხავს ბანკის თანამშრომლის ბრალს გეგმის არაჯეროვნად შესრულებაში. აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის ბანკის სხვა თანამშრომელთა მხრიდან გეგმის შესრულების შედეგები, რაც თვალნათელს გახდიდა გეგმის შეუსრულებლობაში რამდენად მიუძღვის ბრალი მოსარჩელეს და ხომ არ არის ეს გამოწვეული ზოგადად ბანკის ფინანსური პოლიტიკით, ან სხვა გარეშე ფაქტორებით.

17. რაც შეეხება მოსარჩელის მიერ განსახორციელებელ პრეზენტაციებს, მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ პრეზენტაციები განკუთვნილი იყო მხოლოდ ბანკის თანამშრომელთათვის და შეეხებოდა განვლილი პერიოდის შედეგების შეჯამებასა და მომავალი გეგმების დასახვას, შესაბამისად, აღნიშნულის განხორციელება სცდებოდა ფიზიკური პირების მრჩევლის ჩვეულებრივ საქმიანობას და მათი განუხორციელებლობა არ შეიძლებოდა განხილული ყოფილიყო დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობად, მის მიერ დაკავებულ თა-

ნამდებობასთან, ანდა შესასრულებელ სამუშაოსთან. ამასთან, საქმეში არ მოიპოვებოდა მტკიცებულება, რითაც დაადასტუ- რებდა, რომ პრეზენტაციების გაკეთება მოსარჩელეს ოფიცია- ლურად ევალებოდა და რომ მოსარჩელის მიერ ჩატარებული პრეზენტაცია იყო ცუდი.

18. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრე- ბა, რომ ბანკის თანამშრომლის მხრიდან კლიენტებისადმი მი- მართვა სიტყვებით „ღმერთმა დაგლოცოს“ წარმოადგენს ფა- მილიარულ დამოკიდებულებას და გაითვალისწინა ის, რომ კლი- ენტების მოშვიდობის სფეროში მუშაობისას მუშაკს განსა- კუთრებით მართებს სიტყვების მაქსიმალურად სწორად შერ- ჩევა, ვინაიდან თითოეული სიტყვა კლიენტისთვის აღიქმება იმ ორგანიზაციის ნათქვამად, რომელსაც მუშაკი წარმოადგენს, თუმცა, მიმართვა „ღმერთმა დაგლოცო“ ქართულ საზოგადო- ებაში დამკვიდრებული ურთიერთობის სტანდარტებიდან და ფორმებიდან გამომდინარე, პალატის მოსაზრებით, არ შეიძლე- ბა შეფასდეს ფამილიარულ დამოკიდებულებად.

19. გარდა ზემოაღნიშნულისა, პალატამ ყურადღება გაამახ- ვილა 6. ხ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცე- მულ განმარტებაზე, სადაც მან აღნიშნა, რომ მოსარჩელე უფ- რო არ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს, ვიდრე ვერ ას- რულებდა. პალატის მოსაზრებით, მოწმის აღნიშნული ჩვენება გამორიცხავს მოსარჩელის არაკეთალიფიციურობას. შესაბამი- სად, მოპასუხის მითითება მოწმე 6. ხ-ის ჩვენებაზე დაყრდნო- ბით მოსარჩელის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვე- ვების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობას- თან დაკავშირებით, გაზიარებული არ იქნა.

20. დამატებით პალატამ აღნიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვე- ბოდა მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა მოსარჩელის მხრიდან ბანკში მუშაობის პერიოდში რაიმე დისციპლინარული გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დადასტურდებოდა მოპასუხის მიერ პკელანტის სამსა- ხურიდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებული ფაქტობ- რივი გარემოებები: 2013 წლის ოქტომბრიდან 2014 წლის მაი- სამდე პერიოდში გეგმის არაჯეროვნად შესრულება, ბანკის თა- ნამშრომლებისთვის პრეზენტაციის ცუდად ჩატარება და კლი- ენტისადმი სიტყვებით მიმართვა „ღმერთმა დაგლოცო“, აღ- ნიშნული ქმედებები არ წარმოადგენდა საკმარის, სერიოზულ საფუძველს იმისათვის, რომ დამსაქმებელს მოსარჩელესთან შრომითი ხელშეერულება შეეწყვიტა არაკომპეტენტურობის და დაბალი კვალიფიკაციის საფუძვლით.

21. საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ვინაიდან სააპელაციო პალატამ მიზნია, საქმეზე არ იყო დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ა) განაცდური ხელფასის ოდენობა – მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა იძულებით განაცდურის დაკისრება. შესაბამისად, დასაზუსტებელი იყო რა თანხას ითხოვდა მოსარჩელე განაცდურის სახით ყოველთვიურად და რამდენს შეადგენდა მოსარჩელის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება მის გათავისუფლებამდე.

ბ) მოსარჩელის გათავისუფლებამდე არსებული თანამდებობის არსებობა – თუ დადგინდება მოპასუხე ბანკის ვაკის სერვის ჟუნქტში ფიზიკური პირების მრჩევლის თანამდებობის არარსებობის ფაქტი, სასამართლოს შეფასების საგანი უნდა ყოვილიყო უკანონოდ გათავისუფლებული პირის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის საკითხი.

#### **VI. კასატორის მოთხოვნა და კასაციის საფუძვლები:**

23 გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილების ძალში დატოვების მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარადგინა მოწინააღმდეგე მხარემ.

24. კასატორი გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივ საფუძვლად მიუთითებს სსსკ-ის 394. „ე“ მუხლს.

25. კასატორი მიუთითებს, რომ მოცემული დავის განხილვისას დაირღვა სსსკ-ის მე-4 მუხლი.

26. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არ გამოუკვლევია მოქმედებდა თუ არა მოპასუხე საპანკო სფეროში არსებული რეგულაციებისა და წესა-ჩვეულებების მიხედვით. ასრულებდა თუ არა იგი ჯეროვნად ფიზიკური პირის მრჩევლის პოზიციაზე არსებული მუშავის ვალდებულებებს (თანამდებობრივი ინსტრუქციების მიხედვით). მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ვალდებულების შესრულებას სჭირდება არამარტო კვალიფიკაცია, არამედ შესაბამისი უნარ-ჩვევები, რომელიც ეხმარება ამ პოზიციაზე დასაქმებულ პირებს წარმატებით გაართვან თავი ახალ, კონკურენტუნარიან გარემოს და მისი საქმიანობით ბანკმა მიიღოს დადგენილი მინიმალური შემოსავალი. ამ პოზიციაზე დასაქმებულ პირს უნდა გააჩნდეს არა მხილოდ უმაღლესი განათლება და დიპლომი, არამედ კომუნიკაციის კარგი უნარი.

კასატორის მოსაზრებით, სასამართლო ერთმანეთში ურევს არაკვალიფიციურობასა და პროფესიულ უნარ-ჩვევებს. მოსარ-

ჩელის თანდებობრივი მოვალეობა და შესასრულებელი სამუშაო გეგმა კვალიფიკაციასთან კავშირში არაა, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს უმაღლესი განათლება, მაგრამ არ გააჩნდეს პროფესიული და მარკეტინგული უნარ-ჩვევები და უნარი შეასრულოს დასახული სამუშაო გეგმა, კონკრეტულ შემთხვევაში 10 თვის უარყოფით შედეგზე აპლირებდა მოპასუხე.

– კასატორი მიუთითებს, რომ მოსარჩელე ვერ ასრულებდა სამუშაო გეგმას და მისი ფინანსური მაჩვენებელი იყო საშუალოზე დაბალი.

– კასატორი მიუთითებს, რომ მოსარჩელე ბიზნეს სესხების ექსპერტის პოზიციიდან კვლავ დაქვეითდა ფიზიკური პირების მრჩევლის პოზიციაზე. 2013 წლის 26 ივლისიდან იგი მუშაობდა ვაკის სერვის ცენტრში და საქმიანობდა ფიზიკური პირების მრჩევლის პოზიციაზე. მისი დაქვეითება განაპირობა ბიზნეს სესხების ექსპერტის თანამდებობასთან მისმა შეუსაბამობამ.

– კასატორი უთითებს, რომ მოსარჩელე ჯეროვნად არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მოსარჩელემ, დადგა რა ახალი გამოწვევების წინაშე, თავისი უნარ-ჩვევებით, არასაქმარისი კვალიფიკაციით თავი ვერ გაართვა, გაზრდილ მოთხოვნებს და მასზე დაკისრებულ ამოცანებს. მისი მუშაობის პერიოდის ანალიზი ცხადყოფს, რომ მისი მუშაობის შედეგი იყო არადამაკმაყოფილებელი, როგორც უშუალოდ, საკრედიტო ისე, სხვა საბანკო პროდუქტების კუთხით.

უფრო მეტიც, კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს ხელი რომ არ შესწოდა მომავალ საქმიანობაში, მას შესთაგაზეს ხელშეკრულების ორმხრივად შეწყვეტა, რაზედაც მოსარჩელემ უარი განაცხადა. საპოლოდ, მოპასუხე იძულებული გახდა სშკის 37 „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გაეთავისუფლებინა იგი დაკავებული თანამდებობიდან.

– კასატორი მიუთითებს მოსარჩელის ზედმეტად ფამილარულ დამოკიდებულებაზე კლიენტებთან ურთიერთობაში, აგრეთვე არაჯეროვანი პრეზენტაციების ჩატარებაზე.

31. კასატორის მოსაზრებით, მხარეთა შორის არასწორად გადანაწილდა მტკიცების ტვირთი, სახელდობრ, იგი არ ეთავსნება სასამართლოს იმ პოზიციას, რომ სშკ-ის 37-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მუშაკის გათავისუფლების საფუძვლების არსებობის მტკიცების ვალდებულება დამსაქმებელს ეკისრება, რადგან მიაჩნია, რომ მტკიცების ტვირთის ამგვარი გადანაწილება არღვევს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებს (სსსკ-ის მე-4-5 მუხლები).

32. კასატორის მოსაზრებით, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუნება არ იყო დავის ობიექტური გადაწყვეტა.

33. გარდა ამისა, უზუსტობებია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებში, კერძოდ, არასწორია თითქოს მოსარჩევემ ელექტრონულად მიიღო შეტყობინება გათავისუფლების შესახებ, რადგან მას დაზღვეული ფოსტით გაეგზავნა აღნიშნული ბრძანება და ჩაბარდა ხელზე.

სასამართლოს მითითება იმაზე თითქოს მხარეთა შორის არ არსებობდა დასაქმებულის მოვალეობათა სრული ჩამონათვალი, რაც ბუნდოვანს ხდიდა მოპასუხის მითითებას, რომ მოსარჩევე არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, კასატორს არასწორად მიაჩინა. ამ არგუმენტის საწინააღმდეგოდ კასატორი მიუთითებს შრომითი კონტრაქტის 3.2 მუხლზე, რომელიც მუშაკს ავალდებულებს გულისხმიერად და კეთილსინდისიერად შეასრულოს თავისი მოვალეობები. ამასთან, დასაქმებულის შეხედულებით, ეს მოვალეობანი შეიძლება გაიზარდოს, შეიცვალოს ან შემცირდეს. კონტრაქტის 3.8 მუხლის თანახმად კი, მუშაკი ვალდებულია თავისი კვალიფიკაციის შესაბამისად შეასრულოს დასაქმებულის ყველა ბრძანება.

კასატორის მოსაზრებით არასწორია მითითება იმაზე, თითქოს პრეზენტაციების ჩატარების ვალდებულება მოსარჩევეს არ ეკისრებოდა და მიუთითებს შრომითი კონტრაქტის პირველ მუხლზე, რომლის თანახმად დასაქმებული თანახმაა შეასრულოს სამუშაო ინსტრუქციის, კონტრაქტისა და დებულების შესაბამისად.

იმ გარემოებაზე აპელირება, რომ მოსარჩევე ვერ ასრულებდა სამუშაო გეგმას შეიძლება თავად მოსარჩევის განმარტებითაც იქნეს მიჩნეული დადგენილად (სსსკ-ის 131-ე მუხლი), რადგან პროცესზე მოსარჩევე ცდილობდა მოექებნა ის ობიექტური გარემოებები თუ, რატომ ვერ სრულდებოდა სამუშაო საფინანსო გეგმები მის მიერ.

34. კასატორი არ ეთანხმება მოწმეთა ჩვენების უარყოფასაც და აღნიშნავს, რომ მათი მოწვევა სასამართლოში სწორედ მოსარჩევის ინიციატივით განხორცილდა. ამასთან, მოწმეება ფიცის ქვეს მისცეს ჩვენება და რაიმე უსწორო ინფორმაცია სასამართლოსათვის მათ არ მიუწოდებიათ.

### სამოტივაციო ნაწილი:

#### VII. საკასაციო პალატის დასკვნები:

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქ-

მეთა პალატის 2016 წლის 19 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა ნარმოებაში, სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2016 წლის 08 აპრილის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად.

36. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

37. თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

– მოსარჩელე 2007 წლის 12 სექტემბრიდან მუშაობდა მოპასუხე ბანკში სხვადასხვა პოზიციებზე: სამომხმარებლო სესხების ექსპერტი, ბიზნეს სესხების ექსპერტი და ფიზიკური პირების მრჩეველი.

– 2014 წლის 29 აპრილს, მოპასუხებ მიიღო გადაწყვეტილება მოსარჩელესთან, 2014 წლის 05 მაისიდან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ.

– შრომითი ხელშეკრულებს შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლად მიეთითა სპ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი და 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ზემოთ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩინათ.

38. მოსარჩელემ სადავოდ გახადა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მოპასუხის გადაწყვეტილება.

39. საკასაციო პალატა პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ სამუშაოდან განთავისუფლების თაობაზე შრომითი დავის განხილვისას, სასამართლომ უნდა შეამოწმოს, რამდენად მართლზომიერად მოქმედებდა დამსაქმებელი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლებისას. აღნიშნული საკითხის გამორკვევა კი, შესაძლებელია მხოლოდ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებაში მითითებული გათავისუფლების საფუძვლის კვლევის შედეგად.

40. საკასაციო პალატა მიუთითებს სპ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომლითაც დამსაქმებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება დაკავებულ თანამდებობას-თან/შესასრულებელ სამუშაოსთან დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობის შემთხვევის

ვაში, შრომითი ხელშეკრულება შეუწყვიტოს დასაქმებულს.

41. კონკრეტულ შემთხვევაში, კასატორი მოსარჩელის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობის ფაქტობრივ საფუძვლად უთითებს შემდეგს:

ა) მოსარჩელე ვერ ასრულებდა ბანკის მიერ დადგენილ სამუშაო ფინანსურ გეგმას;

ბ) მის მიერ ჩატარებული პრეზენტაციები იყო ცუდი;

გ) კლიენტებთან ურთიერთობაში იყო ფამილიარული.

42. მოცემულ შემთხვევაში, გამოსაკვლევია შეწყდა თუ არა მოსარჩელესთან შრომითი ხელშეკრულება ნორმის (სპ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი) შემადგენლობის სრული დაცვით, რაც თავის მხრივ, სადაც ვო გადაწყვეტილების ბათილობის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლების გამომრიცხველი გარემოება.

43. სადაც საკითხის კვლევის მიზნით, საკასაციო პალატა განმარტას, რომ საპროცესო სამართალნარმოებაში მოქმედი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი წესის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს (სსკ-ის 102-ე მუ.). თუმცა შრომითსამართლებრივი დავები მტკიცების ტვირთის განაწილებისას გარკვეული თავისებურებით ხასიათდება, რასაც მტკიცებულებების წარმოდგენის თვალსაზრისით, დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარა შესაძლებლობები განაპირობებს. მოსარჩელე, დასაქმებული, რომელიც სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის თაობაზე აპელირებს, ვერ დაადასტურებს მისი სამსახურიდან დათხოვნის უკანონობას. შესაბამისად, მოსარჩელის მითითება მასზე, რომ იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, მტკიცების ტვირთს აბრუნებს დამსაქმებლის მხარეს, რომელსაც აკისრებს დასაქმებულის სამსახურიდან მართლზომიერად გათავისუფლების მტკიცების ვალდებულებას.

44. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ერთ-ერთი პრეტენზიაც სწორედ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის არასწორ განაწილებას ეფუძნება. კასატორი მიიჩნევს, რომ მტკიცების ტვირთის დამსაქმებლის მხარეს შებრუნებით დაირღვა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის ძირეული პრინციპები (იხ., საკასაციო საჩივრი).

45. კასატორის მითითებულ პოზიციას საკასაციო აპალატა არ იზიარებს და ალინშავს, რომ სამართალნარმოებაში მოქმედებს მტკიცების ტვირთის განაწილების ორი ძირითადი წესი:

ზოგადი წესი, რომელიც სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად ეკის-რება თითოეულ მხარეს, და სპეციალური წესი, რომელსაც თავად გამოსაყენებელი მატერიალური ნორმა აწესებს. მოცემულ შემთხვევაში, სადავოა რა სამსახურიდან გათავისუფლების (შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა) მართლზომიერება, რომელიც უნდა შემოწმდეს შრომის სამართალში მოქმედი ნორმებით, უნდა ვიხელმძღვანელოთ მტკიცების ტვირთის განაწილების სწორედ იმ სტანდარტით, რომელსაც შრომის სამართალი აწესებს და რომლის თანახმად, სწორედ დამსაქმებელია ვალდებული ადასტუროს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების (შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის) კანონიერი და საკმარისი საფუძვლის არსებობა. საკასაციო პალატის ამგვარი დასკვნის საფუძვლია პრინციპი, რომლის მიხედვითაც დამსაქმებელს გააჩნია მტკიცებითი უპირატესობა, სასამართლოს წარუდგინოს მისთვის ხელსაყრელი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისმა თანამშრომელმა არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობები, ან რომ მას არ გააჩნია საკმარისი კვალიფიკაცია ან არ ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს, რაც კონკრეტულ ქმედებებში გამოიხატა, ვიდრე დასაქმებული, რომელიც ობიექტურად ვერ შეძლებს მტკიცებულებების წარდგენას შასზედ, რომ იგი ვალდებულებას ჯეროვნად ასრულებდა ან რომელ უნარ-ჩვევებს არ ფლობს, მით უფრო, რომ ამა თუ იმ საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ფლობის საკითხი შეფასებით კატეგორიას განეკუთვნება.

შესაბამისად, ამ შემთხვევაში, კასატორია (მოპასუხე) ვალდებული სათანადო მტკიცებულებებით დაადასტუროს მოსარჩელის მიერ, შრომითი მოვალეობების დარღვევისა და უნარ-ჩვევების არქონის ფაქტები, რაც სპ-ის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძვლით მას სამსახურიდან გათავისუფლების მართლზომიერ საფუძვლად შეერაცხებოდა.

ამდენად, ამ ნაწილში, კასატორმა ვერ დაასაბუთა სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევა (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

46. კასატორი მოსარჩელის კვალიფიკიის ან პროფესიული უნარ-ჩვევების მის მიერ დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან შეუსაბამობის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითებს იმავე გარემოებებზე, რაზედაც მიუთითებდა პირველი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში, სახელდობრ:

ა) მოსარჩელე ვერ ასრულებდა ბანკის მიერ დადგენილ სა-მუშაო ფინანსურ გეგმას;

ბ) მის მიერ ჩატარებული პრეზენტაციები იყო ცუდი;

გ) კლიენტებთან ურთიერთობაში იყო ფამილიარული.

47. სსს-ის მე-4 მუხლის დანაწესით, სამართალწარმოება მიმდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობის საფუძველზე, რაც გულისხმობს, რომ მხარები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები.

შეჯიბრებითობის პრინციპი მოიცავს მხარეთა საქმიანობას საქმის ფაქტობრივი გარემოებებისა და მტკიცებულებების სფეროში. მოთხოვნების თუ შესაგებლის ფაქტობრივი დასაბუთება ეკისრებათ თავად მხარებს. მხარეებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ თუ რომელი ფაქტები დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებსა და რა კონკრეტულ გარემოებებს დაემყარება მათი შესაგებელი. შეჯიბრებითობის პრინციპის კონკრეტული გამოვლენაა სსს-ის 102-ე მუხლის დებულება, ამავე მუხლით განსაზღვრულია მტკიცებულებათა სახეები, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ, თავიანთი მოთხოვნების დასადასტურებლად გამოიყენონ. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არც ერთს არ აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. საბოლოოდ კი, მხარეთა მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს აფასებს სასამართლო მათ ერთობლიობაში სსს-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასება უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

48. სადაც ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად კასატორი ეყრდნობა მოწმეთა ჩვენებებს, რომელიც საკასაციო პალატის მოსაზრებით, ვერ დაედება საფუძვლად დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას, გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში, კასატორი მოსარჩელეს ედავება ბანკის მიერ დაფგენილი სამუშაო ფინანსური გეგმის შეუსრულებლობას. ამ გარემოებების არსებობის დასადასტურებლად კი, ძირითად მტკიცებულებად მოწმეთა ჩვენებები მით უფრო, მოწმის სახით დაკითხული ვაკის სერვის პუნქტის კოორდინატორის ნ. ხ-ის და ფიზიკური პირების დაკრედიტების კოორდინატორის გ. ნ-ის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებები საკმარისი არ არის. მათი შინაარსით ირ-

კვევა, რომ „ბოლო პოზიციაზე მოსარჩელის მუშაობის შედეგები იყო არადამაკმაყოფილებელი, როგორც უშუალოდ საკრედიტო კუთხით, ისე კლიენტების მოზიდვის, ანაბრების სფეროს თუ ყოველკვარტალური პრეზენტაციის გაკეთების მხრივ; მითითებულ ჰერიონდში, მოპასუხე ბანკის მიერ დადგენილ სამუშაო ფინანსურ გეგმას მოსარჩელე ვერ ასრულებდა. მთლიანად ბანკში, იმავე პოზიციაზე დასაქმებული 14 თანამშრომლის მონაცემებში მოსარჩელის პირადი მაჩვენებელი საშუალოზე დაბალია (ბოლოდან მეორე). იგი, მისთვის მიცემულ დავალებებს (მითითებებს) ასრულებდა არასრულად, ამასთან, ზედაპირულად“.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ით განსაზღვრულია მტკიცებულებათა ფალკეული სახეები, რომელთა შორისაა მხარეთა ახსნა-განმარტებები, მოწმეთა ჩვენებები. სსკ-ის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოწმედ შეიძლება იყოს ყოველი პირი რომლისთვისაც ცნობილია რაიმე საქმის შესახებ. საკასაციო პალატას მიაჩინია, რომ დაკითხულ მოწმეთა ჩვენების შინაარსი არ ქმნიდა დასაქმებულის მიერ შრომითი მოვალეობების დარღვევის დადგენისათვის ურყევ რწმენას. ამასთან, მოწმეთა ჩვენებების გაზიარების საფუძველი არ არსებობდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ნ. ხ-სა და მოსარჩელეს შორის იყო გარკვეული უთანხმოება, ასევე, ნ. ხ-ი და გ. ნ-ი უშუალოდ მონაწილეობდნენ მისი გათავისუფლების შესახებ საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში. შესაბამისად, მათი ჩვენებები უტყუარ მტკიცებულებად მიჩნეული ვერ იქნებოდა. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულების გამოკვლევა უპირველესად გულისმობრივი მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ მისი ოურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სანრმუნოობის) შემოწმებას.

49. კასატორი არ ეთანხმება მოწმეთა ჩვენების უარყოფას და აღნიშნავს, რომ მათი მოწვევა სასამართლოში სწორედ მოსარჩელის ინიციატივით განხორცილდა. ამასთან, მოწმეებმა ფიცის ქვეშ მისცეს ჩვენება და რაიმე უსწორო ინფორმაცია სასამართლოსათვის მათ არ მიუწოდებიათ.

კასატორის ამ პოზიციას მოწმეთა ჩვენების უპირობოდ გაზიარების საფუძვლად საკასაციო პალატა ვერ მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მოწმეთა ჩვენებები, ისევე როგორც სადაცო გარემოების დასადასტურებლად წარმოდგენილი ნებისმიერი მტკიცებულებები ფასდება სასამართლოს მიერ სწორედ მათი უტყუარობისა და სანრმუნოობის თვალსაზრისით. შესაბამისად, იმაზე მითითება თუ ვისი ინიციატივით იქნა სასამართლოში წარ-

მოდგენილი მტკიცებულება ან და დაკითხული მოწმე, მათ შეფასებაზე გავლენას არ ახდენს. განმსაზღვრელი სწორედ ის არის უყალიბებენ თუ არა ისინი მოსამართლეს შინაგან რწმენას და შესაბამისად, ადასტურებენ თუ არა სადაცო ფაქტობრივ გარემოებებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ ვერც ამ ნაწილში დაასაბუთა კასატორმა სააპელაციო სასამართლოს მიერ საპროცესო ნორმების დარღვევა (სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

50. ამასთან, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, რომლითაც პალატამ მიიჩინა, რომ მოსარჩელის მხრიდან ბანკის მიერ დადგენილი გეგმის შეუსრულებლობა უპირობოდ არ შეიძლებოდა შეფასებულიყო არაკვალიფიციურ თანამშრომლად, მოსარჩელის მიჩნევის საფუძველი.

საკასაციო პალატის ამგვარი დასკვნის საფუძველს ის დადგინდილი ფაქტობრივი გარემოებები ქმნის, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულებები, რომლებითაც დადგინდებოდა თუ რა მეთოდით და რა მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა აღნიშნული გეგმის (მისაღწევი შედეგების) შემუშავება; რამდენად ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს ემყარებოდა „გეგმა“. მით უფრო, რომ აღნიშნული სუბიექტური ფაქტორია და ობიექტური კრიტერიუმების არსებობის გარეშე, მისი შესრულების რეალური შეფასება შეუძლებელია. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილში, რომ თუკი „გეგმა“ არ არის ზუსტად ჩამოყალბებული, მაშინ თანამშრომლის მიერ მისი შესრულებისას გასათვალისწინებელია გარეშე ფაქტორებიც, რასაც შესაძლოა ემოქმედა გეგმის სრულყოფილად შესრულებაზე (მაგალითად ფინანსური კრიზისი), რაც გამორიცხავს ბანკის თანამშრომლის ბრალს გეგმის არაჯეროვნად შესრულებაში. აღსანიშნავია, რომ საქმეში წარმოდგენილი არ არის ბანკის სხვა თანამშრომელთა მხრიდან გეგმის შესრულების შედეგებიც, რაც თავლნათელს გახდიდა გეგმის შეუსრულებლობა რამდენად შეერაცხება ბრალად მოსარჩელეს და ხომ არ არის ეს გამოწვეული ზოგადად ბანკის ფინანსური პოლიტიკით, ან სხვა გარეშე ფაქტორებით.

ზემოთაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩინა, რომ მოპასუხემ ვერ უზრუნველყო მისი წილი მტკიცების ტყვირთის იმგვარად რეალიზება, რომ გაექარნყოფებინა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებული გარემოებების უტყუარად არსებობა.

51. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ერთ-ერთ საფუძვლად მოპასუხებ/კასატორმა მიუთითა მოსარჩელის მიერ უხარისხოდ ჩატარებულ პრეზენტაციებზეც.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლად მითითებული არგუმენტი ყოველგვარ დასაბუთებასაა მოკლებული. როგორც ეს საქმის მასალებითაა დადგენილი პრეზენტაციები განკუთვნილი იყო მხოლოდ ბანკის თანამშრომელთათვის და შეეხებოდა განვლილი პერიოდის შედეგების შეჯამებასა და მომავალი გეგმების დასახვას, შესაბამისად, აღნიშნულის განხორციელება სცდებოდა ფიზიკური პირების მრჩევლის ჩვეულებრივ საქმიანობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ასკვნის, რომ იმ მოვალეობის ჯეროვანი შეუსრულებლობა, რომელიც არ შეძიოდა დასაქმებულის სამუშაო ვალდებულებაში, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს მასთან შრომითი ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას. მით უფრო, აღნიშნული არ შეიძლება შეფასდეს დასაქმებულის კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარჩვევების დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობად.

კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმასთან დაკავშირებითაც, რომ საქმეში არ მოპოვებებოდა მტკიცებულება, რითაც დაადასტურებდა, რომ პრეზენტაციების გაკეთება მოსარჩელეს ოფიციალურად არ ევალებოდა, თუმცა წარმოდგენილი საკასაციო საჩივარი საწინააღმდეგო მოსაზრების არგუმენტირებულ დასაბუთებას არც ამ ნაწილში შეიცავს.

52. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას, რომ ბანკის თანამშრომლის მხრიდან კლინეტებისადმი მიმართვა სიტყვებით „ღმერთმა დაგლოცოს“ წარმოადგენს ფამილარულ დამოკიდებულებას და გასათვალისწინებელია ის, რომ კლიენტების მომსახურების სფეროში მუშაობისას მუშაკს განსაკუთრებით მართებს სიტყვების მაქსიმალურად სწორად შერჩევა, ვინაიდან თითოეული სიტყვა კლიენტისთვის აღიქმება იმ ორგანიზაციის ნათქვამად, რომელსაც მუშაკი წარმოადგენს, თუმცა, მიმართვა „ღმერთმა დაგლოცოთ“ ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ურთიერთობის სტანდარტებიდან და ფორმებიდან გამომდინარე, არ შეიძლება შეფასდეს ფამილიარულ დამოკიდებულებად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ნაწილშიც, საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია.

53. ხოლო რაც შეეხება, საქმის ხელახლა განსახილველად

პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების საკითხს, ამ ნაწილში, წარმოდგენილია დასაშვები და დასაბუთებული საკა-საციი პრეტენზია (შედავება).

სსსკ-ის 385-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თა-ნახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს, სააპელაციო სასა-მართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს უბრუნებს პირ-ველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად. ამა-ვე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს შეუძლია, არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვი-ტოს იგი. ამდენად, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლო-სათვის უკან დაბრუნება, ისევე როგორც საქმეზე ახალი გადაწ-ყვეტილების მიღება, სააპელაციო სასამართლოს უფლებაა და არა ვალდებულება. მიუხდავად ამისა, აღნიშნული არ გულის-ხმობს სააპელაციო სასამართლოს შეუზღუდაობას, ნებისმიე-რი დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების შემთხვევაში ქვემდგო-მი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად დაუბ-რუნოს საქმე. ასეთი მიდგომა ენინაალმდეგება რაციონალური მართლმასაჯულებისა და პროცესუალური ეკონომიკის პრინცი-პებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნამდვილ აზრს, რითაც მოცემულ შემთხვევაში, შებო-ჭილია სააპელაციო სასამართლო. ამიტომ, სააპელაციო სასა-მართლომ, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თა-ნახმად, ასევე საქმის არსებითად განმხილველი სასამართლოა, პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმე უკან უნდა დაუბ-რუნოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც მას თა-ვად რეალურად გაუქმირდება ფაქტობრივი გარემოებების დად-გენა ან კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მართლაც მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება (საკასაციო პალატის მითითებული მსჯელობა შესაბამისობაშია უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკასთან, იხ., სუს 10.12.2012წ-ის განჩინება საქმე №ას-657-618-2012 ).

54. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ სა-ქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა საქმის გადაწ-ყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დასადგენად, სახელდობრ, საქმის უკან დაბრუნების აუცილებ-ლობა სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა მასზე მითითე-ბით, რომ დადგენას საჭიროებდა განაცდური ხელფასის ოდე-ნობა და მოსარჩელის გათავისუფლებამდე არსებული თანამ-დებობის არსებობა. ამ ფაქტების დადგენის აუცილებლობა კი, სააპელაციო სასამართლოს მითითებით განპირობებული იყო იმ

გარემოებით, რომ მოსარჩელის ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა იძულებით განაცდურის დაკისრება. შესაბამისად, დასაზუსტებელი იყო რა თანხას ითხოვდა მოსარჩელე განაცდურის სახით ყოველთვიურად და რამდენს შეადგენდა მოსარჩელის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება მის გათავისუფლებამდე. ამასთან ერთად, თუ დადგინდება მოპასუხე ბანების ვაკის სერვის პუნქტში ფიზიკური პირების მრჩევლის თანამდებობის არარსებობის ფაქტი, სასამართლოს შეფასების საგანი უნდა ყოფილიყო უკანონოდ გათავისუფლებული პირის ტოლფას თანამდებობაზე აღდგენის საკითხი.

ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რომელთა გამოც გამართლებული იქნებოდა საქმის უკან გადაგზავნა. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავადვე შეეძლო დაედგინა მის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები, სამართლებრივად შეეფასებინა ისინი და გამოყენებინა კანონის შესაბამისი ნორმები. ამას მოითხოვს გონივრულ ვადაში საქმის განხილვისა და პროცესუალური ეკონომისი ინტერესებიც, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში, მიზანშეუწონელია საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში განსახილველად დაბრუნება.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, გარემოებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის უკან დაბრუნების საფუძვლად მიიჩნია, არ განეკუთვნება ისეთ გარემოებებს, რაც სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობას ართმევდა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე თავად გადაეწყვიტა საქმე და არ დაეპრუნებინა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად.

55. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მითითებული საპროცესო გარემოებები არ წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს. სააპელაციო სასამართლოს თავად შეეძლო განეხორციელებინა ის საპროცესო მოქმედებები და დაედგინა საქმის ის ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა დადგენაც პირველი ინსტანციის სასამართლოს დაავალა, მიეცა მათოვის სამართლებრივი შეფასება და გამოეტანა არსებითი გადაწყვეტილება საქმეზე.

56. საკასაციო პალატის ამგვარი დასკვნის საფუძველია სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ადა-

მიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა და მოიცავს ადამიანის უფლებას მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვა-დაში, სწრაფად და ეფექტიანად (Profitis and Others v. Greece, §93; Tierce v. San Marino, §31; Surmeli v. Germany [GC], §129; Capuano v. Italy, §§30-31; Versini v. France, §29), რაც წარმოშობს სახელმწი-ფოს ვალდებულებას იმგვარად მოაწყოს თავისი სამართლებ-რივი სისტემა, რომ სასამართლოებმა უზრუნველყონ თითოეუ-ლი პირის უფლება გონივრულ ვადაში მიაღწიოს საბოლოო ვა-დაწყვეტილებას დავაზე, რომელიც მისი სამოქალაქო უფლე-ბებისა და მოვალებების განხორციელებას ეხება (Scordino v. Italy (no.1) [GC] §183, Surmeli v. Germany [GC], §129).

57. თუმცა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს რა, რომ მართლმსაჯულება იყოს სწრაფი და ეფექტიანი, ხაზს უსვამს, რომ ამით არ უნდა დაზარალდეს მართლმსაჯულების სწორად (სათანადოდ) განხორციელების პრინციპი (Von Maltzan and Others v. Germany (dec.) [GC], §132), რომელიც სამართლიანი სასამართლოს უფლების უფრო ზოგადი პრინციპია.

სამართლიანი სასამართლოს უფლებით დადგენილი სტან-დარტის ჭრილში, სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული, სასამართლო ვადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური სა-ფუძვლების განხილვა, თვალსაჩინოს ხდის, რომ რამდენიმე მათგანი, კერძოდ: ა) საქმე განიხილა სასამართლოს არაკანონი-ერმა შემადგენლობამ; ბ) სასამართლომ საქმე განიხილა ერთ-ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია შეტყობი-ნება კანონით დადგენილი წესით, ან მისი კანონიერი წარმო-მადგენლის გარეშე, თუ ასეთი წარმომადგენლობა კანონით იყო გათვალისწინებული; გ) გადაწყვეტილება გამოტანილია საქმე-ზე, რომელიც უწყებრივად სასამართლოს არ ექვემდებარება; დ) გადაწყვეტილება მიღებულია საქმის ზეპირი განხილვის სა-ფუძველზე, რომლის დროსაც დარღვეულია პროცესის საჯა-რობის წესები; ე) გადაწყვეტილებას ხელს არ აწერენ ის მოსა-მართლები, რომლებიც გადაწყვეტილებაში არიან აღნიშნულ-ნი; ვ) გადაწყვეტილება გამოტანილია იმ მოსამართლების მი-ერ, რომლებიც საქმის განხილვაში ადრე მონაწილეობდნენ; ზ) საქმეში არ არის სასამართლოს სხდომის ოქმი – პირდაპირ გა-მომდინარეობს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების პრინციპიდან, მათ შორის, საქმის განხილვაში მხარის მონაწი-ლეობის და სამართლიანი და საჯარო განხილვის ფუნდამენტუ-რი უფლებიდან, და ქმნის იმ შემთხვევას, როდესაც ცალსახაა, რომ საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმ სა-სამართლოს, სადაც მოხდა აღნიშნული დარღვევა.

თუმცა სსსკ-ის 394-ე მუხლით გათვალისწინებული კიდევ ორი საფუძველი, კერძოდ: ა) გადაწყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული; და ბ) გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია – წარმოადგენს ისეთ საფუძვლებს, რომლებიც, საკასაციო სასამართლოს აზრით, იძლევა სსსკ-ის 385-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმის გარემოებების სრულყოფილი ანალიზის შედეგად და სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების მართებულობა-არამართებულობის შეფასების საშუალებას.

58. სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის უკან დაბრუნების მართებულობის შეფასებისას, სასამართლომ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს: (1) რა პროცესუალური გარემოებები მიუთითებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის უკან დაბრუნებაზე; (2) ამ გარემოებების გათვალისწინებით, რამდენად მიზანშეწონილია საქმის უკან დაბრუნება, და (3) ხომ არ გამოიწვევს ეს საქმის უსაფუძვლოდ გაჭიანურებას (იხ. სუსგ 2012 წლის 10 იანვარი, №ას-1118-1145-2011).

59. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება საქმის ხელახლი განხილვისათვის პირველი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების ნაწილში და ამ ნაწილში, საქმე განსახილველად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

37. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დაბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხაჯვები, რაც გაწეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ

მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „პ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **4. შრომითი ხელშეკრულების შეცვალის შესახებ დამსაქმნებლის გადაწყვეტილების პათილად ცენტა და სამუშაოზე აღდგენა**

##### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელით**

№ას-1011-972-2014

16 ოქტომბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ზ. ძლიერიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღ-  
დგენა, განაცდურის ანაზღაურება

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

###### **1. სასარჩელო მოთხოვნა:**

ე. გ-კ-ემ (შემდგომში – მოსარჩელე) მოითხოვა თვითმმარ-  
თველი ერთეულის, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
(შემდგომში – მოპასუხე) 2014 წლის 17 იანვრის №... განკარგუ-  
ლების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ბათილად ცნობა, აა-  
იპ „ტ. მ-ის ს. ა-ის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტო-  
რის თანამდებობაზე აღდგენა, სამუშაოდან გათავისუფლების  
შესახებ განკარგულების გამოცემიდან საქმეზე საბოლოო გა-  
დაწყვეტილების მიღებამდე მოპასუხისათვის იძულებითი გა-  
ნაცდურის სახით ყოველთვიურად 800 ლარის დაკისრება.

###### **2. მოპასუხის პოზიცია:**

მოპასუხემ სარჩელში მითითებული გარემოებების წინააღ-  
მდეგ მიუთითა გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონის  
მოთხოვნათა დაცვით გამოცემის თაობაზე და აღნიშნა, რომ მო-  
სარჩელის გათავისუფლებას საფუძვლად მისი მხრიდან კანონ-  
მდებლობის მოთხოვნათა დარღვევა დაედო.

###### **3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილე- ბის სარეზოლუციის ნაწილი:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 3 აპრილის გა-  
დაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

###### **4. აპელანტის მოთხოვნა:**

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წე-

სით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

## 5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივლისს გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 იანვრის №... განკარგულება მოსარჩელის გათავისუფლების ნაწილში, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსარჩელის სასარგებლოდ 2014 წლის 17 იანვრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე დაეკისრა 800 (რვაასი) ლარის გადახდა, ხოლო თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

## 6. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

6.1. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ააიპ ტ. მ-ის ს. ა-ის დაწესებულებათა გაერთიანება 2007 წლის 23 ოქტომბერს დააფუძნა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

6.2. მოსარჩელე ამ დაწესებულების დირექტორი იყო 2013 წლის 18 იანვრიდან და მისი ყოველთვიური ხელფასი შეადგენდა 800 ლარს.

6.3. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2014 წლის 17 იანვრის №... განკარგულებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აპელანტი გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობიდან და, იმავე განკარგულებით, ორგანიზაციის ხელმძღვანელად დანიშნა 6. შ-ა.

6.4. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-7 და 7<sup>1</sup> პუნქტების, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აღნიშნა, რომ აპელანტს უფლებამოსილება შეუწყიტეს იმ მიზეზით, რომ ერთ-ერთი ბალის გამგემ გაასხვისა მწყობრიდან გამოსული მაცივარი და რემონტის დროს მოჭრილი გამათბობელი, ხოლო მეორე ბალში „ვიზუალური დათვალიერებით“ აღმიჩნდა, რომ „ნაშთად დარჩენილ პროდუქტებს შორის იყო მაღლუჭბადი პროდუქტი“ კარაქი, ხორცი და კისელის ფხვნილი. უფლებამოსილების შეწყვეტას ძირითად საფუძვლად დაედო 2013 წლის აპრილში ჩატარებული კონკურსის დროს, საკრებულოს

აზრით, გამოვლენილი დარღვევები.

6.5. საქმის მასალების შესწავლის შედეგად პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ გათავისუფლების საფუძვლად მითითებული გარემოებების თაობაზე რიგ შემთხვევაში, აპელანტი ინფორმირებული არ იყო, ამასთანავე, არც გადაცდომის ფაქტები დასტურდებოდა, რაც შეეხებოდა ჩატარებულ კონკურსს, მისი წესების დარღვევა ასევე ვერ დადგინდა, ხოლო საკრებულოს პოზიცია გამოვლენილი დარღვევების თაობაზე არ იყო დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, აპელანტს თავისი მოვალეობები არ დაურღვევია და მასთან ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები არ არსებობდა.

6.6. სასამართლომ იხელმძღვანელა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 7<sup>2</sup>, ასევე 7<sup>1</sup> პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით, შრომის კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა, რომ საკრებულოს აპელანტი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე არც ერთი თვით და არც სამი დღით ადრე არ გაუფრთხილებია, რის გამოც დამსაქმებელმა დაარღვია კანონი, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის, 50-ე და 54-ე მუხლის თანახმად, მოპასუხის მიერ გამოვლენილი ნება იყო ბათილი.

6.7. პალატამ დამატებით აღნიშნა, რომ ხელმძღვანელობითი საქმიანობა, არსებითად, ნარმომადგენლობის ერთგვარი ფორმაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ააიპ-ის დირექტორი დამფუძნებლის ნარმომადგენელია და მის მიერ მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და, მათ შორის, საზოგადოების ხელმძღვანელობა, დაფუძნებულია ხელმძღვანელსა და დამფუძნებელთა, პარტნიორთა შორის განსაკუთრებულ ნდობაზე. ამის გამოცაა, რომ ხელმძღვანელისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთი უდავო საფუძველია მისთვის უნდობლობის გამოცხადება. ამდენად, პალატის შეფასებით, არ შეიძლებოდა საზოგადოების დირექტორი ყოფილიყო ის პირი, რომელსაც ერთადერთმა დამფუძნებელმა შეუწყვიტა ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება, შესაბამისად, აპელანტის მოთხოვნა დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში არ უნდა დაკემაყოფილებულიყო.

6.8. მიუხედავად აღნიშნულისა, პალატამ ჩათვლა, რომ საკრებულოს მოქმედებით აპელანტს მიადგა ზიანი და შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, კომპენსაციის სახით მოპასუხეს აპელანტის სასარგებლოდ უნდა დაკისრებოდა მიუღებელი ხელფასის – 800 ლარის გადახდა 2014 წლის 17 იანვრიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

## **7. კასატორის მოთხოვნა:**

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი ნაწილობრივ გაუქმება და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილება.

7.1. საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

7.1.1. გაასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა არც ერთი საფუძველი, რაც სადავო განკარგულებით კასატორის სამუშაოდან გათავისუფლებას საფუძვლად დაედო, შესაბამისად, სავსებით კანონიერად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლით და ბათილად ცნო განკარგულება, რის თაობაზეც კასატორს პრეტენზია არ გააჩნია, თუმცა გაურკვეველია, თუ რა საფუძვლით იხელმძღვანელა სასამართლომ მოსარჩელის მიმართ უნდობლობის გამოცხადების ნაწილში, რადგანაც გათავისუფლების შესახებ აქტის ბათილად ცნობის პირობებში, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლისა და შრომის კოდექსის 38-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელე უნდა აღდგეს დაკავებულ თანამდებობაზე,

7.1.2. სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში დაარღვია კანონი, კერძოდ, არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 54-ე და 408-ე მუხლები.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამონმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

**1. გაასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:**

1.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხის მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე ეწინააღმდეგებოდა კანონით დადგენილ ნესსა და აკრძალვებს, რის გამოც სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, ბათილად მიიჩნია და დასაქმებულს მიაკუთვნა კომპენსაცია გათავისუფლების დროიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუმცა, პალატამ არამართლზომიერად ჩათვალა მოსარჩელის მოთხოვნა დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე, რასაც არ ეთანხმება კასატორი, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს დასაქმებულის დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის დაკვ-

მაყოფილებაზე უარის თქმის მართლზომიერება წარმოადგენს.

1.2. საკასაციო საჩივრის საფუძვლების ანალიზის შედეგად პალატა მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებულ ნაწილში კა-სატორმა დასაბუთებული სამართლებრივი შედავება წარმოადგინა, კერძოდ, მიუთითა სააპელაციო სასამართლოს მხრიდან მატერიალური სამართლის ნორმის არასწორ გამოყენება-განმარტებაზე (სსკ-ის 393.2 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები) იმგვარად, რომ გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოებები სადაც არ გაუხდია, თავის მხრივ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მოპასუხე მხარეს არ გაუსაჩივრებია.

1.3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დამკვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია დავის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1.4.1. 2007 წლის 23 ოქტომბერს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააფუძნა ააიპ „ტ. მ-ის ს. ა-ის დაწესებულებათა გაერთიანება“, რომლის დირექტორიც 2013 წლის იანვრიდან იყო მოსარჩელე.

1.4.2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 იანვრის №... განკარგულებით, შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მოსარჩელე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან და ორგანიზაციის ხელმძღვანელად დაინიშნა სხვა პირი.

1.5. როგორც უკვე აღინიშნა, შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე დამსაქმებლის მიერ გამოვლენილი წება, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კანონშეუსაბამოდაა მიჩნეული, თუმცა სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნაზე უარი დასაბუთებულია იმით, რომ ხელმძღვანელობითი საქმიანობა წარმომადგენლობის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც ემყარება ხელმძღვანელსა და საზოგადოების დამ-

ფუძნებელთა (პარტნიორთა და მისთ.) შორის არსებულ განსაკუთრებულ ნდობას. რადგანაც ხელმძღვანელობითი უფლება-მოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ უდავო საფუძველს უნდობლობის გამოცხადება წარმოადგენს, პალატამ დაასკვნა, რომ ერთადერთი დამფუძნებლის მიერ საზოგადოების დირექტორი-სათვის ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, მოსარჩევე არ შეიძლებოდა კვლავ დირექტორის პოზიციაზე აღმდგარიყო.

1.6. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის არგუმენტს საპელაციო სასამართლოს მხრიდან მატერიალური სამართლის ნორმის დარღვევის თაობაზე და განსარტყავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩევედ და მოპასუხედ. იურიდიული პირის ამ ზოგადი ცნების ქვეშ მოაზრება როგორც სამენარმეო, ისე არასამენარმეო მიზნით შექმნილი კერძო სამართლის სფეროს დაქვემდებარებული ორგანიზაციული წარმონაქმნი, თუმცა სხვაობა, გარდა კომერციული მიზნისა, სამართლებრივ საფუძვლებშიც იკვეთება, კერძოდ, არასამენარმეო იურიდიული პირის მიმართ მოთხოვნებს განსაზღვრავს სამოქალაქო კოდექსი (სსკ-ის 24.6 მუხლი).

1.7. მოცემულ შემთხვევაში, საპელაციო პალატამ, სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე არასამენარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ჯეროვნად შეაფასა, თუმცა, შრომითი ურთიერთობების მიმართ არ გაითვალისწინა, რომ არასამენარმეო იურიდიული პირის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე სუბიექტის თანამდებობაზე გამჩენება-გამოწვევისა და მასთან შრომითი ურთიერთობის რეგულირებისათვის სპეციალურ კანონს შრომის კოდექსი და არა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი წარმოადგენს (მაგ: კანონის 9<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული საერთო კრების უფლება დირექტორის გამოწვევაზე და სხვა).

1.8. ორგანული კანონის საქართველოს შრომის კოდექსის პირველი მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენენ შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებში სამართლის ნორმათა გამოყენების პრინციპს, კერძოდ, ეს კანონი აწესრიგებს საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით. შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელსაც არ აწესრიგებს ეს კანონი ან სხვა სპეციალური კანონი, რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმებით.

1.9. მოცემულ შემთხვევაში უდავოდაა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 იანვრის №... განკარგულებით და გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად დამსაქმებელმა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე მიუთითა. საკრებულომ მოსარჩელის მხრიდან შრომითი პირობების დარღვევის ფაქტი ვერ დაამტკიცა, რაც ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე გამოვლენილი ნების ბათილობის საფუძველი გახდა. შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, დამსაქმებელი ვალდებულია პირვანდელ სამუშაო ადგილზე აღადგინოს პირი, რომელსაც შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება, ან უზრუნველყოს ის ტოლფასი სამუშაოთი, ან გადაწყვეტილების მას კომპენსაცია სასამართლოს მიერ განსაზღვრული ოდენობით. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი, რადგანაც გადაწყვეტილებაში მითითებულ თანამდებობაზე აღდგენის შეუძლებლობის მიზეზი ზემოაღნიშნული ნორმის არც ერთ დანაწესს არ შეესაბამება, ამდენად, სახეზეა ამ გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წინაპირობები.

1.10. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაპრუნების საფუძვლები. რადგანაც არ იკვეთება საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაპრუნების წინაპირობები, პალატა თვლის, რომ უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს დავა, კასატორის არამართლზომიერად გათავისუფლების ფაქტის დადგენის გა-

მო კი, მისი მოთხოვნა დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

## 2. სასამართლო ხარჯები:

2.1. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარე-მოებაზე, რომ ტყუიბულის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 17 იან-ვრის №... განეარგულების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღ-დგენის მოთხოვნის ნაწილში კასატორმა სახელმწიფო ბაჟის სა-ხით სულ 550 ლარი გადაიხადა ( $100+150+300$ ), იძულებითი გა-ნაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „ა“ ქვეპუნ-ქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ მო-სარჩელე გათავისუფლებულია ბაჟის გადახდისაგან. ამავე კა-ნონის 5.1. მუხლის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოპასუხე ასე-ვე გათავისუფლებულია ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსნორები-საგან.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირვე-ლი და მე-3 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანი-ლი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხა-რე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამარ-თლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკ-მაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რო-მელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილე-ბული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტი-ლებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. დასახელე-ბული ნორმიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო სასამარ-თლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილ-და სარჩელი, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა და-ეკისროს ამ უკანასკნელის მიერ განეული სასამართლო ხარჯის – 550 ლარის ანაზღაურება.

2.3. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშ-სნორებას, პალატა თვლის, რომ სამოქალაქო საპროცესო კო-დექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხისათ-ვის ხარჯების დაკისრების წინაპირობები.

## სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 53-ე, 411-ე მუხლებით და

**გ ა დ ა ნ ყ ვ ი ლ ე ბ ა:**

1. ე. გ-კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-თა პალატის 2014 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილების შეცვლით (სარეზოლუციო ნაწილის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტები) მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ე. გ-კ-ის სარჩელი თვითმმართველი ერთეული ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, ააიპ ჭ. მ-ის ს. ა-ის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის თანამდებობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირად აღდგენის თაობაზე დაკმაყოფილდეს.
4. თვითმმართველი ერთეული ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (ს/№...) ე. გ-კ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 550 ლარის გადახდა.
5. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საპირელი

1. დამატებითი ანაზღაურებადი შვებულების მიცემის წესი ..... 3
2. ხელფასის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს დაკისრება 19
3. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის  
საფუძვლები ..... 33; 49; 68; 86; 100; 115; 138; 153; 176; 192; 209
4. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის  
შესახებ დამსაქმებლის გადაწყვეტილების  
ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა ..... 229